ბაჩანა ბრეგვაძე



ბლეგ ჯასკალი

81

„ნაკადული“
თბილისი
1987

83.3Фр1
ბ 912

წიგნში აღწერილია ფრანგი ფიზიკოსისა და მათემატიკოსის, ფილოსოფოსისა და მწერლის ბლეზ პასკალის ცხოვრება და შემოქმედება.

მ ე ო რ ე გ ა მ ო ც ე მ ა

© „ნაკადული“, 1987

Б $\frac{70803-91}{М-603\ (08)-87}$ 134 — 87

„საკურთხეველზე გენდრუკის უთვალავი მარცვალი ძევს; ზოგი უფრო ადრე ცვივა სამსხვერპლო ცეცხლში, ზოგი კი უფრო გვიან, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას?“

მარკუს ავრელიუსი

„იყო ერთი კაცი, რომელმაც თორმეტი წლის ასაკში, „რგოლებისა“ და „ჯოხების“ თამაშით ხელახლა აღმოაჩინა გეომეტრია; თექვსმეტი წლისამ დაწერა დიდებული მეცნიერული ტრაქტატი კონუსური კვეთის შესახებ, რომლის ბადალიც ანტიკურობის შემდეგ იშვიათად; თუ შეუქმნია კაცის გენიას; თვრამეტი წლისამ „არითმეტიკულ მანქანას“ გადაუნერგა ყველაფერი, რაც ახასიათებს ადამიანის გონიერებას; ოცდასამი წლისამ დაამტკიცა, რომ ჰაერს სიმძიმე აქვს და, ამრიგად, ბოლო მოუღო ძველი ფიზიკის ერთ-ერთ უდიდეს შეცდომას; ხოლო იმ ასაკში, როცა სხვები ძლივს აღწევენ გონებრივ სიმწიფეს, არსებითად, ამოწურა ადამიანური ცოდნისა და მეცნიერების ვეება სფერო. შეიცნო მათი უბადრუკობა და ამაოება და მთელის არსებით მიიქცა სარწმუნოების მიმართ; აქედან მოყოლებული ვიდრე თვით აღსასრულამდე (იგი ოცდაცხრამეტი წლისა გარდაიცვალა), ავადმყოფმა და სნეულებით გაწამებულმა შექმნა ენა, რომლითაც მეტყველებდნენ ბოსიუე და რასინი; დაგვიტოვა ყველაზე მახვილგონივრული სატირის, ისევე; როგორც ყველაზე დახვეწილი მსჯელობის უებრო ნიმუშები; და ბოლოს, ტკივილის უსასტიკეს შეტევებს შორის, სულისმოთქმის ხანმოკლე შუალედებში, თავშესაქცევად გადაწყვიტა გეომეტრიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა და ქაღალდზე გადაიტანა აზრები, რომელთა ავტო-

რობაც შეიძლება ისევე მიეწეროს ღმერთს, როგორც კაცს. ამ თავზარდამცემ გენიას (Cet effrayant genie) ერქვა ბლეზ პასკალი".

ფრანსუა რენე დე შატობრიანის ამ სიტყვებში[1] ზღვრული სისხარტით და სისადავით გადმოცემულია პასკალის მთელი ხანმოკლე სიცოცხლე, უფრო სევდიანი და გულისშემძვრელი, უფრო მშფოთვარე და ბობოქარი, ვიდრე თვით ყველაზე უჩვეულო თავგადასავლებით, ათასგვარი ხიფათით და ფათერაკით, თავბრუდამხვევი მიღწევების სიმაყითა თუ იმედგაცრუებისა და ხელისმოცარვის სიმწრით აღსავსე რომელიც გნებავთ ბიოგრაფია... მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ, აქვე დავაზუსტოთ ერთი გამოთქმის — „ხანმოკლე სიცოცხლის" მნიშვნელობა, აქვე განვსაზღვროთ მისი ჭეშმარიტი არსი. ნუ გავზომავთ პასკალის ამქვეყნიური არსებობის ყავლს მარტოოდენ ქრონოლოგიური სკალით, არამედ გავიაზროთ მისი ცხოვრების უჩვეულო ინტენსივობა, ნაყოფიერება და მრავალმხრივობა, მთელი მისი სიმდიდრე, მისი სიღრმე, მისი სიუხვე; წარმოვიდგინოთ ბლეზ პასკალი: მათემატიკოსი — ალბათობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის დიდ აღმომჩენთა (ნიუტონი, ლაიბნიცი) უშუალო წინამორბედი; ფიზიკოსი — ჰიდროსტატიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დამაარსებელი: კიბერნეტიკოსი — კაცობრიობის ისტორიაში პირველი გამომთვლელი მანქანის შემქმნელი[2]; ბლეზ პასკალი — ფილოსოფოსი-მორალისტი, ქრისტიანიზმის აპოლოგეტი; ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ეკზისტენციალიზმის, პერსონალიზმისა და სხვა თანამედროვე ფილოსოფიური სკოლებისა თუ მიმართულებების შორეული წინაპარი; პოლ ვალერის, რომანო გვარდინის, ლეონ ბრუნშვიგისა და თანადროულობის ბევრი სხვა თვალსაჩინო მოაზროვნის უშუალო შთამაგონებელი... დიახ, წარმოვიდგინოთ ყოველივე ეს, და ჩვენ შეგვიძლია თამამად დავასკვნათ: ამ კაცს, უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმეს, უფლება ჰქონდა გაემეორებინა დიდი იტალიელის სიტყვები: „La vita bene spesa longa è" — „კარგად დახარჯული სიცოცხლე დღეგრძელი სიცოცხლეა"[3]... „ადამიანი უნდა დაიხარჯოს... სწორედ ამით განისაზღვრება მისი

ფასი. წაართვით მას ეს ფასი და ადამიანი არარად იქცევა", — ამბობს პოლ ვალერი.[4]. ამ არარაობასთან უწყვეტ ჭიდილში არავის დაუხარჯავს უფრო დაუზოგავად თავისი გონების ძალმოსილება, არავის გაუცია უფრო უშურველად თავისი გულის სითბო.

მაგრამ ჩვენს უშუალო მიზანს არ შეადგენს ამ „თვითმფლანგველის" მეცნიერული მიღწევების გამოწვლილვით გაანალიზება, მისი შემოქმედებითი ღვაწლის დეტალური ანალიზი. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვაინტერესებს: მოკლედ მაინც მიმოვიხილოთ პასკალის ცხოვრება, ვინაიდან არაფერი ისე მჭიდროდ არ ერწყმის და არაფერი ისე სრულად არ განსაზღვრავს ერთიმეორეს, როგორც დიდი ფრანგის პირადი ბედი და მისივე მსოფლმხედველობა: „მისი აზრი არის მისი ცხოვრება და მისი ცხოვრება არის მისი აზრი (Ce qu'il a pensé, c'est sa vie; ce qu'il a vécu, c'est sa pensée) — მართებულად შენიშნავს ფრანგი სწავლული პოლ არშამბოლი, — პასკალის ცხოვრების აღწერით ჩვენ ვიმეცნებთ პასკალისავე ფილოსოფიას, ვიცხადებთ მის პირველსაწყისს, ვწვდებით მის ინტიმურ სიღრმეს"[5]. ჩვენც სწორედ ამით დავიწყოთ, ხოლო პირველი სიტყვა მივცეთ მას, ვის წინაშეც კრძალვით დუმდება ყველა ფრანგი თუ არაფრანგი პასკალოლოგი (ქვემოთ ეს თბილი და მოალერსე, დედობრივი სინაზით, სიყვარულითა და თანალმობით მთრთოლავი ხმა კვლავ არაერთხელ დაარღვევს სამსაუკუნოვან დუმილს):

„ჩემი ძმა დაიბადა კლერმონში, 1623 წლის 19 ივნისს. მამაჩემს, სასამართლოს თავმჯდომარეს (président en la cour des aides) ერქვა ეტიენ პასკალი, ხოლო დედას — ანტუანეტა ბეგონი", — ამ სიტყვებით იწყებს თავისი ძმის ცხოვრების აღწერას მადამ პერიე (ჟილბერტა პასკალი)[6] — „აზრების" ავტორის ყველა ბიოგრაფის ეს უერთგულესი მეგობარი, მწე და მეოხი, ვისი თხრობის შესაშური სისადავე და უპრალოება ესოდენ წრფელად, შეუფერავად და შეულამაზებლად გადმოგვცემს მისი დიდი ძმის სულიერ სამყაროს[7]...

ეტიენ პასკალი თავისი დროის მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო[8]: მათემატიკოსი და ფიზიკოსი, ბუნებისმეტყველი და ლინგვისტი, ხოლო პასკალის დედა სათნოებითა და ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა. ერთადერთი ვაჟის გარდა მათ

ჰყავდათ კიდევ სამი ქალიშვილი: ანტონია (სულ პატარა გარდაიცვალა), ჟილბერტა (დაიბადა 1620 წლის 3 იანვარს) — 1641 წელს ცოლად გაჰყვა ბლეზის მეგობარს, თანამზრახველსა და თანამოაზრეს ფლორენ პერიეს, და ბოლოს, ყველაზე უმცროსი — ჟაკლინი (დაიბადა 1625 წლის 4 ოქტომბერს), რომელიც შემდგომ თავისი ძმის ზეგავლენით მონაზვნად აღიკვეცა. ბლეზი მხოლოდ სამი წლისა იყო, როცა დედა გარდაეცვალა და შვილების აღზრდა მთლიანად თავს იდო მამამ. 1631 წელს პასკალების ოჯახმა დასტოვა კლერმონ-ფერანი და საცხოვრებლად პარიზს გადასახლდა.

პასკალის დროინდელი პარიზი, XVII საუკუნის საფრანგეთი — ევროპის უძლიერესი სახელმწიფო, მსოფლიო კულტურის აღიარებული ცენტრი: თავისი სახელგანთქმული მწერლებით — პიერ კორნელი (1606 — 1684), ჟან რასინი (1639 — 1699), ჟან-ბატისტ მოლიერი (1622 — 1673), ჟან ლაფონტენი (1621 — 1695), ნიკოლა ბუალო-დეპრეო (1636 — 1711), შარლ პერო (1628 — 1703); თავისი არანაკლებ სახელგანთქმული ფილოსოფოსებით — რენე დეკარტი (1596 — 1650); ნიკოლა მალბრანში (1638 — 1715). თავისი მეცნიერებით — ჟაკ-ბენინ ბოსიუე (1627 — 1704), ესპრი ფლეშიე (1632 — 1710), ფრანსუა ფენელონი (1651 — 1715); თავისი მორალისტებით — ფრანსუა ლა-როშფუკო (1613 — 1680), ჟან ლაბრიუიერი (1645 — 1696); თავისი მხატვრებით — ნიკოლა პუსენი (1594 — 1665), კლოდ ლორენი (1600 — 1682); თავისი მათემატიკოსებით, ფიზიკოსებით, ასტრონომებით, მედიკოსებით; თავისი ახლად დაარსებული აკადემიებით და პირველი აკადემიკოსებით; თავისი მონარქებით — უნიათო ლუი XIII (1610 — 1643) და მისი მემკვიდრე, „მეფემზე", „ღმერთისნაცვალი" ლუი XIV (1643 — 1715); თავისი გაქნილი კარდინალებით, რომლებმაც პოლიტიკაზე გაცვალეს მღვდელთმეუფება — დიდი რიშელიე (1585 — 1642) და პატარა მაზარინი (1602 — 1661); თავისი „ფრონდით" (1648 — 1653); თავისი გაუთავებელი სისხლისმღვრელი ომებით (ესპანეთთან, ჰოლანდიასთან, გერმანიასთან, შვეიცარიასთან, ინგლისთან, ავსტრიასთან)[19], რომლებმაც განადიდეს საფრანგეთის სახელი და იმავდროულად, დაწრიტეს კიდეც მისი ძლიერება; თავისი დიპ-

ლომატიური ინტრიგებით, პოლიტიკური ავანტურებით, აბსოლუტისტური მისწრაფებებით; თავისი შინაშლილობებითა და რელიგიური ბრძოლებით; თავისი ფუფუნებაში ჩამხრჩვალი სასახლის კარით, გულმოყირჭებული დიდებულების ბალ-მასკარადებითა და თავისი დამშეული, უუფლებო და სასომიხდილი მდაბიორების ამბოხებებით; : თავისი სიმდაბლით და სიდიადით, თავისი ცრემლითა და სიცილით, თავისი ბრწყინვალებით თუ უბადრუკობით, თავისი ძოწეულით თუ ძონძებით...

თემცა აქვე უნდა ითქვას, რომ XVII საუკუნის ფრანგული სინამდვილის მთელი ეს ქაოტურად ჭრელი სურათი, მთელი ეს ფერადი მოზაიკა მხოლოდ ქრონოლოგიური ჩარჩოა, რომელშიაც, ბედისწერისა თუ განგების ნებით, ჩაქსოვილია პასკალის ცხოვრება და რომელშიაც ფწიფდება მისი აზრი, ყალიბდება მისი მსოფლმხედველობა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ სწორედ ასე განიცდიდა ამქვეყნად თავისი მოვლინების მისტიურ იდუმალებას:

„...მე ვხედავ სამყაროს საშინელ სივრცეს, რომელშიაც ვარ ჩაკეტილი; მე ვგრძნობ, რომ მიჯაჭვული ვარ ამ უვრცესი სამყაროს მხოლოდ ერთ კუნჭულს, მაგრამ არ ვიცი, რად მხვდა წილად სწორედ ეს კუთხე და არა რომელიმე სხვა ადგილი, ან რად შეგვძა სასიცოცხლოდ ერთი მსწრაფლწარმავალი წამი მარადისობის სწორედ ამ და არა რომელიმე სხვა წერტილში, მარადისობისა, რომელიც წინ უსწრებს ჩემს დასაბამს და რომელიც მოსდევს ჩემს დასასრულს“[11].

აი, რატომაა, რომ, რამდენიმე ნართაული მინიშნების გარდა, პასკალის „აზრებში“ ვერსად შეხვდებით ფრანგული ისტორიული სინამდვილის თუნდაც შორეულ გამოძახილს, თუნდაც მქრქალსა და ულონო ექოს. ისტორია მისთვის მხოლოდ და მხოლოდ სარკეა, რომლის ცივი და გლუვი ზედაპირი უცვლელი მონოტონურობით ირეკლავს ერთი და იმავე კალაპოტით მარადმედინი სიცოცხლის, წამითი-წამად ცვალებადი სინამდვილის ჟინიან თამაშს[12]. „აზრების“ ავტორისათვის თითქოს არ არსებობს ობიექტური დრო — სამყაროული ყოვლისქმნადობის, დენადობის, ნგრევის, შენების ზოგადი ფორმა; ერთადერთი ქრონოლოგიური რეალობა მისთვის არის პიროვნული განცდის შინაარსით განსაზ-

ღვრული და განპირობებული სუბიექტური დრო; ინტერესის ერთადერთი საგანი — ისტორიული, ევოლუციის პროცესში არსებითად უცვლელი ზნეობრივი სუბიექტი, მისი ვნებებით და სურვილებით, მიზნებით და მისწრაფებებით, სამყაროსა და ღმერთის მიმართ მისი ურღვევი თანაფარდობით. „ამ კაცის განსაცვიფრებელი მთლიანობის, მისი შინაგანი სიმტკიცის, მისთვის ნიშნეული ორგანული ძალმოსილებისათვის მიუღებელია არაცნობიერი ქცევა, ეგზალტირებული როკვა ღმერთის გარშემო. მისი გონება ყველგან ჭეშმარიტ კონტაქტს ეძებს... ცდა მყისიერად მიითვლის ანგარიშში სამყაროს, ადამიანს, ღმერთს. შესაქმე, ქმნილება, შემოქმედი ერთი და იგივე აღქმის სამი ზღვარია (Création, Créature, Créateur sont trois termes d'une même préhension). მათი ურთიერთგანმხოლოება ერთობლივი სხეულის, მთლიანი ორგანიზმის დანაწევრებას ნიშნავს"[13]... სამ ასპექტად განუწილველ ამ სუბიექტურ დროში, ამ ინტეგრალურ სინამდვილეში, ამ მარადიულ აწმყოში ის პირველი კაცის — ადამის თანამედროვეა, ისევე როგორც ჯვარცმული ღმერთის აგონიის უშუალო მოწმე, თანამონაწილე და თანამლმობი...

მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ შეწყვეტილ სიტყვას: პარიზში ეტიენ პასკალის ერთადერთი საზრუნავი ის იყო, რომ საფუძვლიანი განათლება მიეცა შვილებისათვის, რომელთა ნიჭითაც უსაზღვროდ ამაყობდა. როგორც მომავალი გვიჩვენებს, ეს ნიჭი მართლაც მოითხოვდა ზრუნვას: ბლეზზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საკმარისია ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ჟილბერტას თხზულების ლიტერატურული ღირსება, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ჟაკლინის პოეტური ტალანტი თვით პიერ კორნელის ყურადღებას მიიპყრობს, ხოლო სცენაზე მისი დახვეწილი აქტიორული თამაშით მოხიბლული დარჩება კარდინალი რიშელიე... ჯერხნობით კი საჭიროა სწავლა, რუდუნება, გულმოდგინება, და ეტიენ პასკალი თვითონ ადგენს შვილების აღზრდის მეთოდური თანმიმდევრობით მოფიქრებულსა და მკაცრად აწონილ-დაწონილ გეგმას. განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ყურადღებას მოითხოვს ბლეზი. მამას სურს შეძლებისდაგვარად გააწონასწოროს, ერთი მხრივ, არაბავშვურად მძლავრი გონება, ნაადრევად გაღვიძებული ცნობისწადილი და, მეორეს მხრივ, ბიუნას სუსტი ჯანმრთელობა. ამი-

ტომ, მტკიცედ გადაწყვეტს, თორმეტ წლამდე არ ასწავლოს ენები, ხოლო თექვსმეტ წლამდე — მათემატიკა, და იფარგლება მხოლოდ იმით, რომ ცდილობს ბავშვში განავითაროს ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვების, ლოგიკური მსჯელობისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; ზოგადად განუმარტავს სხვადასხვა ენის სპეციფიკას, გრამატიკული წესების ზუსტი ანალიზის აუცილებლობას და საჭიროებას: „ის უხსნიდა ზოგადად ენების რაობას, უჩვენებდა, როგორ დაიყვანება ისინი გრამატიკაში გარკვეულ წესებამდე, ასწავლიდა, რომ ამ წესებს ზოგიერთი გამონაკლისი აქვს, რომ საჭიროა მათი ჩანიშვნა და დამახსოვრება, და რომ ამ გზით შესაძლებელია ყველა ენა გასაგები გახადო სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთათვის"[14].

და, მაინც, მთელი თავისი სიფრთხილისა და წინდახედულობის მიუხედავად, ეტიენ პასკალმა ვერ შესძლო დაეკანონა ბავშვის უსაზღვრო ცნობისწადილი და ბუნებრივი გზით წარემართა მისი გონებრივი განვითარება. რა იცოდა მაგის მოსიყვარულე გულმა, ყმაწვილის ასაკისათვის რაოდენ უჩვეულო აზრები ბობოქრობდნენ — თითქოს გალიაში გამომწყვდეული ბოკვრები ბორგავენო — შვილის ჭკვიან შუბლს მიღმა, ან რა იყო იმის მიზეზი, რომ ბიჭუნას ნათელი და კრიალა თვალები ველური ცეცხლით ანთებოდნენ ხოლმე ყოველი ახალი ჭეშმარიტების შეცნობისას თუ აღმოჩენისას? რას წარმოიდგენდა ეტიენ პასკალი, რომ, თავისი ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო და საქმიანი საუბრებით, ღავისი გზამკვლევი ფინიშნებებით[15] თვითონვე აქეზებდა ბავშვს ცნობისმოყვარეობას, თვითონვე იტყუებდა მის მცდელსა და მაძიებელ აზრს მირიადი კითხვის უსიერ ტევრში, თვითონვე შლიდა შვილის წინაშე უთვალავი ფერით მოცეკეული ბუნების ჯადოსნურ წიგნს, სადაც ყოველი მოვლენა, ყოველი არსი, ყოველი ნივთი ენიგმურ იეროგლიფებად ესახებოდა ნორჩის გონებას, და მას ერთი სული ჰქონდა, როდის გაშიფრავდა ამ უცნაურ სიმბოლოებს, როდის ჩასწვდებოდა მათ ფარულ აზრს, როდის გაიცხადებდა ჭეშმარიტებას. შეიძლება ითქვას, რომ ყოველთვის ყოველი საგნის კვლევისას ჭეშმარიტება იყო მისი გონების ერთადერთი მიზანი, რადგან არასდროს არაფერს შეეძლო დაეცხრო მისი ცნობისწადილი, გარდა ჭეშმარიტების შემეცნებისა"[16].

[illegible]ალო ვუნდერკინდი (l'enfant prodige)! მაშინ, როდესაც ჯოხის ცხენებზე ამხედრებული და ხის ხმლებით აღჭურვილი მისი თანატოლები — მომავალი მუშკეტერები — გამაყრუებელი ყიჟინით იკლებენ ქიუიფის, ბუშეს, ნეე-სენ-ლამბერისა და ბრიზემიშის ქუჩებს[illegible], ის, თავისი სამუშაო ოთახისა თუ მამის კაბინეტის სიმყუდროვეში გამოკეტილი, საგანთა არსზე, მოვლენათა კანონზომიერ თანმიმდევრობასა და ყოველი შედეგის მიზეზით განპირობებულობაზე ფიქრობს. „მას სურდა შეეცნო ყოველი საგნის მიზეზი (il voulait savoir la raison de toutes choses)"[18].

ეს ბაკში, როცა, ეტიენ პასკალის გეგმით, მის ვაჟს მხოლოდ უნდა დაეწყო ენების სწავლა, ბლეზი უკვე საფუძვლიანად ფლობს ძველ ბერძნულს, ლათინურს, იტალიურს: დედანში კითხულობს ციცერონს, სენეკას, მარკუს ავრელიუსს, ეპიქტეტეს (თუმცა ჯერხნობით ყოველივე ეს მისთვის მხოლოდ საკითხავი ტექსტებია და არა ფილოსოფია ან ლიტერატურა), ფრანგი ავტორებიდან — მონტენს და შარონს, რომლებმაც შემდგომ ესოდენ დიდი გავლენა მოახდინეს მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაზე[19]. რაც შეეხება ზუსტ მეცნიერებებს, საკმარისია გავიხსენოთ ორი გულისშემძვრელი ეპიზოდი, რომლებსაც ესოდენ მომხიბლავი უშუალობით გადმოგვცემს ჟილბერტა პასკალი:

ეტიენ პასკალს სტუმრები ჰყავს. სუფრას უფროსებთან ერთად უსხდებიან ბავშვებიც. ერთ-ერთი სტუმრის დანა შემთხვევით ფაიფურის თხელ თეფშს მოხვდა. თეფშმა გაბმით გაიწკრიალა, მაგრამ როგორც კი ხელით შეეხნენ, წკრიალი შეწყდა, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა ბლეზის გაუთავებელი კითხვები: როგორ ჩნდება, რატომ წყდება, ან რა გზით აღწევს ჩვენს ყურს ბგერა? ვერც ვერთმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა ბავშვის ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ბლეზი რის ბლეზი იქნებოდა, ასე ადვილად რომ მოშვებოდა მისთვის საინტერესო მოვლენას: „ბავშვობიდანვე ის არ ენდობოდა არაფერს, რაც აშკარა და თვალსაჩინო არ იყო მისთვის. ასე რომ, როცა ჯეროვნად ვერ განუმარტავდნენ რასმე, ოდეთონვე იწყებდა პასუხის ძებნას. და რაკი ამოიჩემებდა ამა თუ იმ კითხვას, მანამდე არ მოეშვებოდა, სანამ დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მიაკვლევდა (il ne la quittait point qu'il n'en eut trouve qeulqu 'ne qui le pût satisfaire)"[20]. ბიჭი რამდენიმე დღე

ჩაფიქრებული დადიოდა სახლში, სხვადასხვა საგნებს უკაკუნებდა, ყურს უგდებდა და ერთმანეთს უდარებდა ბგერებს. ამ დაკვირვებების შედეგად დაიწერა მისი პირველი მეცნიერული შრომა — „ტრაქტატი ბგერების შესახებ" („Traite des sons"). ათი წლის ბავშვი დამოუკიდებლად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბგერების წარმოშობის მიზეზი ამა თუ იმ ნივთიერების ნაწილაკთა რხევაა, რომ ეს რხევები ჰაერის გზით აღწევს ჩვენს სმენას, რომ ბგერა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია რხევის ქანი (ღღეს ვიტყოდით — „ამპლიტუდა") და მით უფრო მაღალი, რაც უფრო მეტია რხევის სიხშირე...

კიდევ უფრო ნიშანდობლივი და მრავლისმეტყველია მეორე ეპიზოდი, ესოდენ ნათლად რომ გვიმეღავნებს ბავშვის გონების არაბავშვურ ქმედითობას და ძალმოსილებას, მისი სულიერი ძალისხმევის უჩვეულო სიმძაფრეს, მის განსაცვიფრებელ უნარს — მწყობრი წესრიგი, დახვეწილი სტრუქტურა, ორგანიზაცია, სისტემა აღმოაჩინოს იქ. სადაც ზერელე და ზედაპირული აღქმა უთავბოლობის, უწესრიგობის, უსისტემობის მეტს ვერაფერს ამჩნევს... მაგრამ აქ სიტყვას მთლიანად ჟილბერტა პასკალს ვუთმობთ, ვინაიდან ვერავინ მასზე უკეთ ვერ გადმოგვცემს ქვემოთ მოთხრობილ ამბავს ჩემდა თავად კი მხოლოდ ერთ რასმე შევახსენებ მკითხველს — ბლეზი თორმეტი წლისაა:

„მამაჩემი მათემატიკის დიდი მცოდნე იყო და ამიტომ ამ მეცნიერებაში განსწავლულ ყველა კაცს იცნობდა, რომლებიც ხშირად იყრიდნენ თავს ჩვენსას. მაგრამ რაკი მას სურდა ენები ესწავლებინა თავისი ეაკისთვის და რაკი იცოდა, რომ მათემატიკა არის მეცნიერება, რომელიც მთლიანად ავსებს და ყოველმხრივ აკმაყოფილებს სულს (une science qui remplit et qui satisfait beaucoup l'esprit), ამიტომ არ უნდოდა, რომ ჩემი ძმა ზერელედ მაინც გასცნობოდა მათემატიკის საფუძვლებს, რადგან შიშობდა, ეაითუ გული აიყაროს ლათინურსა თუ სხვა ენებზეო, რომლებშიაც სურდა გაეწაფა და დაეოსტატებინა იგი. სწორედ ამ მოსაზრებით უმალავდა უკლებლივ ყველა მათემატიკურ წიგნს და ეაკის თანდასწრებით არასოდეს ელაპარაკებოდა მათემატიკაზე თავის მეგობრებს. მაგრამ ამ სიფრთხილით მაინც ვერ მიაღწია სასურველ მიზანს, ვერ მოახერხა არ გაემძაფრებინა ბავშვის

ცნობისწადილი, და ის ხშირად ეეედრებოდა მამას, მათემატიკა ესწავლებინა მისთვის. მამაჩემი უარზე იდგა, თუმცაღა ჰპირდებოდა როგორც კი ლათინურისა და ბერძნულის სწავლას დასრულებ, მათემატიკასაც გასწავლიო. ამ წინააღმდეგობას რომ წააწყდა, ჩემმა ძმამ ერთხელ სთხოვა, ის მაინც მითხარი, რა არის ეს მეცნიერება, ან რას შეისწავლისო იგი. მამაჩემმა ზოგადად[21] აუხსნა: ესაა სწორი ფიგურების აგებისა და მათ შორის თანაფარდობის აღმოჩენის საშუალებაო, ხოლო იმავდროუად, არა მარტო ლაპარაკი, ამიერიდან ფიქრიც კი აუკრძალა ამ საგანზე. მაგრამ ამ სულმა, რომელიც ვერ ეტეოდა თავის თავსა და თავის ფარგლებში (mais cet esprit, qui ne pouvait demeurer dans ces bornes), როგორც კი აღმოაჩინა ეს მარტივი ჭეშმარიტება, რომ მათემატიკა იძლეოდა შეუმცდარად ზუსტი ფიგურების აგების საშუალებას, შესვენების საათებში (à ses heures de récreation) თავად დაიწყო ამაზე ფიქრი. როცა მარტო იყო დარბაზში, სადაც ჩვეულებრივ, ერთობოდა ხოლმე, ის იღებდა ნახშირს და ფიგურებს ხაზავდა იატაკზე, თანაც ცდილობდა დაეხაზა, მაგალითად, სრულყოფილად მრგვალი წრე, სწორკუთხა და ტოლგვერდა სამკუთხედი და სხვა მისთანანი. ის მარტო, თავისით ახერხებდა ამას; შემდეგ კი ეძებდა თანაფარდობას დახაზულ ფიგურებს შორის. მაგრამ რაკი მამაჩემი საგულდაგულოდ უმალავდა ყველაფერს, მან ამ ფიგურების სახელებიც კი არ იცოდა, ამიტომ იძულებული იყო თავად განესაზღვრა ისინი. წრეს ის უწოდებდა „რგოლს", ხაზს — „ჯოხს" და ა. შ. განსაზღვრებათა შემდეგ მან გამოიყვანა აქსიომები და ბოლოს მიაღწია სრულყოფილ მტკიცებას (des démonstrations parfaites). და რაკი მათემატიკაში ყველაფერი ერთიმეორისაგან გამომდინარეობს, ის იმდენად გაიტაცა კვლევა-ძიებამ, რომ თავისით მივიდა ევკლიდეს პირველი წიგნის ოცდამეთორმეტე თეორემამდე[22]. ერთხელ, ამ საქმით გართულს, ანაზდეულად მამაჩემი წაადგა თავს, ისე რომ ჩემს ძმას არაფერი არ გაუგია... ძნელი სათქმელია, ვინ უფრო განცვიფრებული დარჩა: შვილი — მამით თუ მამა — ამ საქმეში თავჩარგული შვილის დანახვით. მაგრამ მაინც მამის განცვიფრება უფრო დიდი იყო, რაკიღა მის კითხვაზე, რას აკეთებო, შვილმა უპასუხა, რომ ერთ რაღაცას ეძებს, ეს „ერ-

თი რაღაცა“ კი სხვა არა იყო რა, თუ არა ევკლიდეს პირველი წიგნის ოცდამეთორმეტე თეორემის ამოხსნა. მამამ კვლავ ჰკითხა: რამ ვაფიქრებინა ამის ძებნაო. შვილმა მიუგო: იმან, რომ ამას და ამას მივაგენიო. როცა მამამ კვლავ შეუბრუნა კითხვა, შვილმა თავისი ძველი აღმოჩენებიც გააცნო და ბოლოს, მის მიერ განვლილი გზის თანდათანობითი და თანმიმდევრული გადმოცემით, ოომლის დროსაც წამდაუწუმ „რგოლისა“ და „ჯოხის“ სახელებს იშველიებდა, ის მივიდა თავის დეფინიციებსა და აქსიომებამდე.

მამაჩემი ისე შეძრწუნდა ამ ნორჩი გენიის სიდიადითა და ძალმოსილებით, რომ უსიტყვოდ დასტოვა ის და ბატონ ლე პაიერთან გაიქცა, რომელიც მისი ახლო მეგობარი და მასავით ღრმად განსწავლული კაცი იყო. მეგობრის სახლში ერთ ადგილას გახევდა გაოგნებული და სიტყვის დაძვრა ვერ მოახერხა. ეს რომ დაინახა და, თანაც, მის თვალზე მომდგარი ცრემლიც შენიშნა, ბატონი ლე პაიერი შეშინდა და სთხოვა, ნუ მიმალავ შენი უსიამოვნების მიზეზსო. მამაჩემმა მიუგო: ეს სიხარულის ცრემლებია და არა მწუხარებისაო. თქვენ ხომ იცით, რა გულოდგინედ ვუმალავდი ჩემს შვილს ყველაფერს, რაც გეომეტრიას ეხება, ოთა სხვა საგნებზე გული არ ამეცრუებინა მისთვის: ჰოდა, აი, რა გამოვიდა აქედან. და მან უამბო ყველაფერი, რაც თავისი თვალით იხილა და რაზე დაყრდნობითაც კაცს შეეძლო თამამად ეთქვა, რომ ჩემმა ძმამ, გარკვეული აზრით, ხელახლა აღმოაჩინა გეომეტრია (par où l'on pouvait dire en quelque facon qu'il avait inventé les mathématiques)“[23].

ბ-ნი ლე პაიერი ისე მოიქცა, როგორც მოიქცეოდა მის ადგილას საქმის არსში ჩახედული და თავისი პროფესიის პატივისმცემელი ყველა სხვა კაცი: ურჩია მეგობარს — „უსამართლობა იქნება კვლავ ტყვეობაში ამყოფო ეს სულიო (de captiver plus longtemps cet esprit)“[24]. რამაც, ფაქტიურად, გადაწყვიტა ბავშვის შემდგომი ბედი. ვეტო ახსნილ იქნა. ბლეზს ნება დართეს გასცნობოდა ევკლიდეს „საწყისებს“, ისევე როგორც თანამედროვე მათემატიკოსთა შრომებს, და შედეგმაც არ დააყოვნა. თხუთმეტი წლის ბიჭი უკვე მოხსენებებს კითხულობს პარიზელ მათემატიკოსთა წრეში, რომლის სული და გული იყო ფრანცისკანელი ბერი და მეცნიერი მარენ მერსენი (1588 — 1648)[25], ხო-

ლო წევრები, ეტიენ პასკალისა და ლე პაიერის გარდა, — უსასრულოდ მცირე სიდიდეთა სახელგანთქმული მკვლევარი რობერვალი (1602 — 1675)[26]; გეომეტრი და ფიზიკოსი კლოდ ფიდორჟი (1585 — 1647), რომელმაც თითქმის მთელი თავისი უზარმაზარი სიმდიდრე, დაახლოებით, ასი ათასი ეკიუ ოპტიკური ხელსაწყოების დამზადებას შესწირა; მათემატიკოსი და არქიტექტორი ჟერარ დეზარგი (1593 — 1662)[27], რომლის პრაქტიკულ სულშიაც" მათემატიკური იდეების სიღრმე და სიმდიდრე ორგანულად ერწყმოდა დიდი კონსტრუქტორის ტალანტს და რომელმაც ყველაზე თვალსაჩინო გავლენა მოახდინა პატარა ბლეზზე; მათემატიკოსი და ფიზიკოსი პიერ კარკავი (1603 — 1664) და სხვ...

ეს იყო სულიერი წრთობის, ინტელექტუალური დისციპლინის ბრწყინვალე სკოლა. აქ, უფროს კოლეგებთან სისტემატური თანამშრომლობის წყალობით, პასკალისათვის აშკარა ხდება, რომ მათემატიკა ბუნების კვლევის, სინამდვილის შემეცნების მძლავრი ინსტრუმენტია, რომელსაც წარმატებით მოიხმარს მხოლოდ ის, ვინც სრულყოფილად ფლობს ამ დიადი მეცნიერების უსასრულოდ მდიდარ არსენალს; აქ ეზიარება იგი ზუსტი მათემატიკური მტკიცებისა და მისი მწყობრი თანმიმდევრობით წარმართვის ხელოვნებას; აქ სწვდება მტკიცების საგხისა და კვლევის მეთოდის თანაფარდობის ყველა ნიუანსს; თუმცა აქვე პირველად და, შესაძლოა, ცოტა ნაადრევადაც ჩაიღვრება მის სულში სკეპსისის გესლნარევი ეჭვის სიმწარე; დიახ, სწორედ აქ შეიგნებს ის, რომ ჩვენი გონების თუნდაც ზღვრულ, თუნდაც თავგანწირულ ძალისხმევას ყოველთვის როდი აგვირგვინებს ნანატრი ჯილდო — ჭეშმარიტება... მაგრამ სიამაყე სწრაფად თრგუნავს ყოველგვარ ეჭვს, საკუთარი ძალების რწმენა უშრეტი შემოქმედებითი აქტივობისათვის აქეზებს მის აზრს („ჩვენი ბუნების ნამდვილი არსი მოძრაობაა, სრული სიმშვიდე სიკვდილს მოასწავებს"[28]) და პატივმოყვარეობით აგზნებული წარმოსახვა ხარბად მიელტვის ამქვეყნიური დიდების სხივოსან მწვერვალს, ანდამატური ძალით რომ იზიდავს მთელს მის არსებას („დიდება ისე მომხიბვლელია, რომ ხალხი ყველაფერს სწირავს მისი გულისთვის, თვით სიცოცხლესაც"[29]).

1639 წ. თექვსმეტი წლის ჰაბუკი წერს თავის სახელგანთქმულ მათემატიკურ გამოკვლევას, „ცდა კონუსური კვეთის შესახებ“ (Essay pour les coniques. Par B. P.[30]). კონუსური კვეთი — ესაა ე. წ. უმაღლესი რიგის მრუდი, რომელიც მიიღება კონუსის სიბრტყით გადაკვეთისას: ელიპსი, პარაბოლა, ჰიპერბოლა. დეკარტის „გეომეტრიასა“ (გამოქვეყნდა 1637 წ.) და, განსაკუთრებით, დეზარგის უახლეს მათემატიკურ გამოკვლევებზე დაყრდნობით[31], პასკალმა გამოიყვანა თავისი ცნობილი ლემა, რომლის მიხედვითაც, კონუსურ კვეთში ჩაწერილი ექვსკუთხედის მოპირისპირე გვერდების გადაკვეთის სამი წერტილი ერთ სწორ ხაზზე მდებარეობს; ამ სწორ ხაზს დღეს „პასკალის წრფე“ ეწოდება, ხოლო თვით ლემა, რომელმაც ასე აღაფრთოვანა მისი ავტორის უფროსი კოლეგები[32] (მერსენის წრის ზოგიერთ წევრზე, ჰათ შორის, ეტიენ პასკალზეც შემომწყრალი დეკარტის გარდა) და რომელსაც ჟერარ დეზარგმა „პასკალის დიდი თეორემა“ (grand proposition de Pascal) უწოდა, ამავე სახელწოდებით შევიდა მათემატიკის ოქროს ფონდში და დღემდე პროექციული გეომეტრიის ერთ-ერთ ძირითად თეორემად ითვლება[33].

თუმცა არც ჰუმანიტარული მეცნიერებანი რჩება განზე: ფილოსოფია — მისი საყვარელი სტოიცისტები და სკეპტიკოსები, ძველი თუ ახალი ენები, ლოგიკა, ფსიქოლოგია[34]. მხოლოდ ეგაა, ნაკლები დრო და ყურადღება ეთმობა ლიტერატურას. შემდგომში ის თანდათანობით შეავსებს ამ ხარვეზს, მისთვის ჩვეული გულმოდგინებით დასძლევს ამ ნაკლს.

იმავე 1639 წლის დამლევს ეტიენ პასკალი, კარდინალ რიშელიეს ბრძანებით, დანიშნულ იქნა რუანის ინტენდანტად და სულ მალე, 1640 წლის 2 იანვარს, პასკალების ოჯახი რუანს გადასახლდა, სადაც ახალი ინტენდანტი დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობის აღსრულებას. განსაკუთრებით მძიმე და შრომატევადი იყო ათასგვარი ხარჯთაღრიცხვა თუ ანგარიშწარმოება. იმდროინდელ წერილებში ეტიენ პასკალი გამუდმებით უჩივის მოუცლელობას, უძილობას, გადაღლილობას[35]. ბლეზს თავდავიწყებით უყვარდა მამა და მისი ქანცგამწყვეტი შრომის შესამსუბუქებლად გადაწყვიტა შეექმნა გამომთვლელი მანქანა. პირველადი იდეა მარტივი იყო: ხანგრძლი-

ვი ფიქრისა და თეორიული გამოთვლების შედეგად ჭაბუკის სულში თანდათანობით გამოიკვეთა თავისი სისხარტით და სისადავით გასაოცარი აზრი: თურმე შესაძლებელია არითმეტიკულ მოქმედებათა „კინეტიკური რედუქცია", მათი დაყვანა რიტმულად მოწესრიგებულსა და რეგულირებულ მოძრაობამდე. მაგრამ, ერთის შეხედვით, ამ ფარტივი იდეის პრაქტიკულმა ხორცშესხმამ მოითხოვა პასკალის მთელი შემოქმედებითი ენერგია, სულიერი ძალების ზღვრული დაძაბვა, გეომეტრიის, ფიზიკისა თუ მექანიკის დარგში მის მიერ შეძენილი მთელი ცოდნა, მთელი მისი ერუდიცია. მხოლოდ ჯიუტ მოთმინებას, მხოლოდ უტეხ სიკერპეს შეეძლო დაეძლია მუშაობის პროცესში ერთიმეორის მიყოლებით წამოჭრილი თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის ყველა სიძნელე. 1642 წელს პასკალს უკვე მზად ჰქონდა თავისი არითმეტიკული მანქანის პირველი მოქმედი მოდელი, რომელსაც შემდგომ წლების მანძილზე თანდათანობით ხვეწდა და სრულყოფდა[36].

„მან დაამზადა ორმოცდაათზე მეტი სხვადასხვა მოდელი, ზოგი სწორი ღერძებითა და ფირფიტებით, ! ზოგი მრუდე ღეროებითა და ჯაჭვური გადაცემებით; ზოგი კონცენტრული კბილანა ბორბლებით, ზოგიც კიდევ ექსცენტრიკებით (excentriques); სწორხაზოვნად თუ წრიულად მოძრავნი, კონუსისა თუ ცილინდრის ფორმისანი და მათგან მასალის კონფიგურაციისა თუ მოძრაობის მიხედვით სრულიად განსხვავებულნიც", — ნათქვამია 1649 წლის 22 მაისს კანცლერ სეგიეს (1588 — 1672) მიერ პასკალის სახელზე გაცემულ სამეფო პატენტში[37].

„მე მეყო მოთმინება დამემზადებინა ორმოცდაათი სხვადასხვა მოდელი: ზოგი ხისა, ზოგი სპილოს ძვლისა, ზოგიც აბანოზისა თუ სპილენძისაგან, სანამ არ შევქმენი მანქანა, რომელსაც ამჟამად გთავაზობ და რომელიც, წვრილი დეტალების მთელი სიმრავლის მიუხედავად, იმდენად მტკიცეა, რომ ვერავითარი ჯაჭვაი ნებისმიერ მანძილზე გადატანისას არათუ ვერ მოშლის, იოტის ოდენადაც ვერ დააზიანებს მას", — წერდა პასკალი თავის სარეკლამო „წინასწარ უწყებაში" მეგობარი მკითხველისადმი"[38].

დიახ, მას ეყო მოთმინება, და არა მარტო მოთმინება, ცოდნაც, მცდელობის უნარიც, უდრეკი ნებაც, გულმოდგინებაც თავისი დიდი გამოგონების — „სამყაროს ამ ახალი სასწაულის",

როგორც თანამედროვენი უწოდებდნენ მას, — წარმატებით დასა-
გვირგვინებლად. და მხოლოდ ერთი რამ არ აღმოჩნდა საკმარისი,
მხოლოდ ერთმა რამემ უმტყუნა ძიების ნარ-ეკლიან გზაზე: სუსტ-
მა ჯანმრთელობამ. დაეწყო თავის სასტიკი ტკივილი, მისი მო-
მავალი მარტვილობის პირველი სიმპტომი:

„ამ სამუშაომ მეტისმეტად დაღალა ის, დაღალა არა იმან, თუ
როგორ მიენიჭებინა აზროვნება და მოძრაობა მანქანისათვის, რაც
მან იოლად მოახერხა, არამედ იმან, რომ ძალიან გაჭირდა მუ-
შებისათვის ყოველივე ამის გაგებინება. ასე რომ, ორი წელი[39]
მოუნდა, რათა მანქანისათვის ისეთი სრულყოფილი სახე მიეცა,
როგორიც მასა აქვს დღეს.

მაგრამ ამ დაღლილობამ და რამდენიმე წლის წინათ შერყეულ-
მა ჯანმრთელობამ ძალიან შეაჭირვა ის, და ამ შეჭირვებას აღა-
რასოდეს დაუტოვებია მერე. ასე რომ, თავად იტყოდა ხოლმე:
მას შემდეგ, რაც თვრამეტისა გავხდი, ერთი დღეც არ მახსოვსო
ტკივილისა და ტანჯვის გარეშე. მაგრამ ეს ტკივილი ყოველთვის
თანაბრად მძაფრი როდი იყო, და როგორც კი ოდნავ მოეფონე-
ბოდა და შვებას იგრძნობდა, მისი სული დაუყოვნებლივ იწყებ-
და რაიმე ახლის ძებნას[40].

თუმცა ამჯერად, წმინდა შემთხვევითობის წყალობით ეს სი-
ახლე სულ სხვა რიგისა აღმოჩნდა, სხვა რამ მოექცა მისი ყუ-
რადღების ცენტრში, ინტერესის სულ სხვა საგანი დაეუფლა
მთელს მის არსებას, მის გონებას და ნებას, მის ინტიმურ ზრახ-
ვებს, მიზნებსა თუ მისწრაფებებს... 1646 წლის იანვარში ეტიენ
პასკალს ყინულზე დაუსხლტა ფეხი, დაეცა და თეძო ამოიგდო.
მკურნალებად მოიწვიეს მთელს რუანში სახელგანთქმული ექიმები
— ბ-ნი დე ლა ბუტეიერი და ბ-ნი დე ლანდი. მკურნალობა სამ
თვეს გაგრძელდა. ექიმები ჰოლანდიელი თეოლოგის კორნელიუს
იანსენის (1583 — 1638) მიმდევრები გამოდგნენ. სწორედ მათი
მეშვეობით გაეცნო ბლეზი იანსენისა და მისი ფრანგი ადეპტების
— არნოსა და სენ-სირანის თხზულებებს[41].

ამ წიგნების ავტორები ამტკიცებდნენ, რომ, ქრისტიანული რე-
ლიგიის წმიდათა-წმიდა მოძღვრების მიხედვით, დასაბამიერმა
ცოდვამ არა მარტო ღვთიური მადლისაგან განძარცვა კაცი, არა
მარტო ზებუნებრივი ნიჭი მიჰხადა, და, ამრიგად, დააკნინა მისი

ბუნება, არამედ სულის სიღრმემდეც შებღალა იგი. რა იყო პირველქმნილი ადამიანის უზენაესი დანიშნულება? მას უნდა ჰყვარებოდა ღმერთი და ეცხოვრა ღვთიური მადლის თანახმად. უფლის ამ ურჩეულეს ქმნილებაში თვით ბუნებაც კი ზებუნებრივი იყო. მაგრამ მან თავისი თავი არჩია ღმერთს, უარყო მისი გულმოწყალება, და მთელი არსებით, თავისი გამრუდებული გონებითა და გაუკუღმართებული ნებით ბოლომდე დაემონა საკუთარ „მე“-ს. ამიტომ უფლის მიმართ მიქცევას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს იგი, თუ პირწმინდად წაშლის, უკვალოდ წარხოცს პირად ეგოიზმს და თავის ამქვეყნიურ ყოფას ბუნებრივ ცხოვრებას. ღმერთისმიერ არსებობას დაუქვემდებარებს. მირიადი ასპექტი აქვს კაცის ეგოიზმს. უთვალავი სხვადასხვა სახით, ხორციელი თუ სულიერი ვნების სახით ვლინდება იგი. დიახ, ხორციელი ვნების გარდა არსებობს სულის ვნებაც, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანური ცნობისწადილის დაკმაყოფილება და რომელსაც საფუძვლად უდევს იგივე, რაც ყველა სხვა ადამიანურ ვნებას: ზეობა, ცუდმედიდობა, თავმოყვარეობა. ამიტომ კაცის ამქვეყნიური არსებობის მიზანი მეცნიერება კი არ არის, არამედ სულის სიწმინდე; არა უძღები სურვილი ამ წარმავალი სინამდვილის შემეცნებისა, არა გონების პატივმოყვარული მისწრაფებანი, არამედ მარადიულ, თუნდაც, გონებამიუწვდომელ ჭეშმარიტებათა წინაშე ქედის მოდრეკა, მათი გულმხურვალე სიყვარული, — აი, ჩვენი ჭეშმარიტი დანიშნულება, ვინაიდან მიუტევებელი მკრეხელობაა ყოველგვარი თვითგანწილვა, თვითგაორება, შუა გაყოფილი სულის რყევა, ერთის მხრივ, ღმერთსა, ხოლო მეორეს მხრივ, სამყაროს შორის[42].

„რამეთუ წერილ არს: წარვწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთაჲ და მეცნიერებაჲ იგი მეცნიერთაჲ შეურაცხ-ვყო.

სადა არს ბრძენი? სადა არს მწიგნობარი? სად არს გამომეძიებელი იგი ამის სოფლისაჲ? ანუ არა განაცოფაა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ“[43].

რელიგია ყოველთვის უკეთ იცნობდა ადამიანის გულს, მის სისუსტეს თუ სიძლიერეს, ყოველ შემთხვევაში, უფრო ადვილად პოულობდა მისკენ მიმავალ გზას, ვიდრე რომელიც გნებავთ აბსტრაქტული მეცნიერება. ამჯერადაც მან ერთბაშად მონუსხა და

მოინადირა ყმაწვილი კაცის მგრძნობიარე და ჭეშმარიტების უსაზღვრო სიყვარულით მფეთქავი გული. ბლეზმა პირველად შეხედა ექვით თავის სათაყვანებელ კერპს, მის თვალში პირველად გაფერმკრთალდა მეცნიერების გოროზ მწვერვალთა მანამდე მზისებრ მოელვარე სხივცისკროვნება. უთუოდ ამდროინდელი განწყობილების ანარეკლია მისი ერთ-ერთი ფრაგმენტი:

„მე ბევრი დრო შევალიე განყენებულ მეცნიერებათა შესწავლას, მაგრამ რაკი ბევრი ვერა შევიძინე რა, ბოლოს, გული ავიყარე მათზე. მერე ადამიანის შესწავლას მივყავი ხელი და მივხვდი, რომ განყენებული მეცნიერებანი სრულიად უცხოა ჩვენთვის, ვინაიდან მე — მათ მცოდნეს — უფრო ნაკლებ მესმის, რა ადგილი მიჭირავს სამყაროში, ვიდრე იმას, ვისაც წარმოდგენაც არა აქვს მათზე“[44]...

ჩვენ შეგვიძლია მიახლოებით მაინც აღვადგინოთ ან წარმოვიდგინოთ პასკალის იმდროინდელი განწყობილება, მისი ორად გაყოფილი და შინაგანი წინააღმდეგობებით გაწამებული სულის უშუალო რეაქცია. ბედმა მწარედ დასცინა მას: მეცნიერებისა და რელიგიის გზაგასაყარზე ძრწოლით შემდგარი ყმაწვილი კაცი იძულებულია იმ ასაკში მოახდინოს, ფასეულობათა გადაფასება, როცა სხვები, შატობრიანის თქმისა არ იყოს, ძლივს აღწევენ გონებრივ სიმწიფეს. მისი სულის მთელი ძალა ამჯერად უკვე იმის კრიტიკას ხმარდება რასაც აქამდე ასე ერთგულად და თავდავიწყებით ეწესახურებოდა.

რა არის მეცნიერება? რას ისახავს მიზნად იგი? ჭეშმარიტების წვდომას, სამყაროს ამა თუ იმ ასპექტისა და, საერთოდ, მთელი გრძნობად-კონკრეტული სინამდვილის შემეცნებას, გრანდიოზული მაკროკოსმოსით დაწყებული და ჩვენი გრძნობებისათვის მიუწვდომელი და მოუხელთებელი მიკროკოსმოსით დამთავრებული. ხოლო მეცნიერული კვლევა-ძიების იდეალური შედეგი არის ფორმულა, დიახ, ზუსტი და სხარტი ფორმულა, რომელშიაც ზღვრული ლაკონიურობით ისახება საკვლევი საგნის სპეციფიკური არსი, მისი რაობა, მისი შინაგანი კანონზომიერება. აი, ყოველგვარი მეცნიერული შემეცნების საბოლოო რეზულტატი. მაგრამ ფორმულა, გარკვეული აზრით, სხვა არა არის რა, თუ არა რეალური სტრუქტურის ზოგიერთ ნიშან-თვისებათა ერთობლიო-

ბის აბსტრაქტული სქემა, მისი სიმბოლური გამოხატულება. უხეში ანალოგიით, შეიძლება ითქვას, რომ ფორმულის ვიწრო ჩარჩოში ჩაკეტილ აბსტრაქციასა და მის შესატყვის ცოცხალ სინამდვილეს შორის დაახლოებით ისეთივე თანაფარდობა არსებობს, როგორც გეოგრაფიულ რუკასა და ჩვენი პლანეტის რეალურ სახეს შორის. მეცნიერული აზრის ყოველი მიღწევა სამყაროს საიდუმლოებათა ბნელ ლაბირინთში ცოცმილიევით მოხეტიალე ცნობიერებისათვის უფრო გზამკვლევი ნიშანსვეტია, უფრო შუქურად აღმართული ორიენტირია, ვიდრე ამ იდუმალებაში დაფარული ჭეშმარიტების უშუალო წვდომა („ფიზიკოსი... აგროვებს ცდისეულ მონაცემებს. ერთმანეთს უთანხმებს და მახვილგონივრული, ექსპერიმენტებით აერთებს მათ... მაგრამ თავდაჯერებული მტკიცება იმისა, რომ სწორედ ესაა ბუნება, ჩვენ უნდა აღვიქვათ... კეთილმოსურნე ღიმილით და ერთგვარი ეპვით". — გოეთე, „ბუნების ჭვრეტა").

ნუ დავტოვებთ უყურადღებოდ ამ სავარაუდო კრიტიკის კიდევ ერთ საგულისხმო ასპექტს: მეცნიერება ამტკიცებს სამყაროს მატერიალურობას, ბუნების კანონთა ზოგადსა და საყოველთაო ხასიათს, თამამად იჭრება საგანთა და მოვლენათა სიღრმეში, გარდაქმნის ბუნებას, სახეს უცვლის საზოგადოებას, ათასგვარი ცრურწმენის საუკუნოვანი არტახებისაგან ათავისუფლებს ადამიანის აზრს. და მაინც, მის ძალმოსილებას, მისი უშრეტი შემოქმედებითი აქტივობის ყოვლისმომცველსა და, ერთის შეხედვით, თითქოს უსასრულო ასპარეზს თავისი ზღვარი აქვს. ყოველთვის, როცა სიცოცხლის თანმიმდევრული ევოლუციის საბოლოო მიზანზე, ადამიანის უზენაეს დანიშნულებაზე, ისტორიის საზრისსა და საერთოდ, სამყაროს არსებობის ფარულ აზრზე[45] მიდგება საქმე, მეცნიერული, რაციონალურ-დისკურსიული შემეცნების ქმედითობა ძალაუნებურად წყდება. გონება მხოლოდ ემპირიული სინამდვილის უკიდურეს ზღვრამდე მიაცილებს ადამიანს, როგორც ვერგილიუსი — სამი სკნელის მომხილავ დანტეს; ამას იქით მას უკვე ახალი მეგზური — ბეატრიჩე — ევლინება მწედ და მეოხად: ესაა ზერაციონალური ინტუიცია. სწორედ ინტუიციაში ვლინდება ჩვენი არსების სასიცოცხლო მოთხოვნილება — გასცდეს გრძნობადი სამყაროს „ვიწრო ჰორიზონტს" რეალური

სინამდვილის დაბშულ პერსპექტივას და ზეგრძნობად სამყაროში დაამთავროს გონების მიერ „შუა გზაზე“ შეწყვეტილი საქმე, გუმბათი დაადგას ტაძარს, დაასრულოს ჩვენი შემეცნება. მაგრამ ამ უღრმეს მოთხოვნილებას საფუძვლად შეიძლება ედოს მხოლოდ მორალური მრწამსი, მხოლოდ ეთიკური რწმენა იმისა, რომ ჩვენი დანიშნულება შორს სცილდება ჩვენივე რაციონალური შემეცნების ფარგლებს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ცნობიერების მთელი სიცოცხლე განპირობებულია ზნეობრივი იმპულსით, მარადიული სწრაფვით ზეგრძნობადი სამყაროს მიმართ, სადაც მას ეგულება სამყაროული ყოვლისერთობის რეალური საფუძველი, ყველაფრის საბოლოო მიზანი და პირველმიზეზი, უსრულქმნილესი და უზენაესი არსი... სწორედ აქ დგება პასკალის მსოფლმხედველობის გარდატეხის, მისი სულიერი ევოლუციის საკვანძო მომენტი: „დიადი წამი, როცა ჭეშმარიტი სიკეთის ფუჭი ძიებით დაღლილი სული ხელს აღაპყრობს თავისი მხსნელის მიმართ“[46].

ის „მოიქცა“, ე. ი. იანსენიზმის ერთი ყველაზე გულმხურვალე აღმსარებელი გახდა[47]. „...ოცდასამი წლის ასაკიდან მოყოლებული, ქრისტიანული სრულქმნილების სიყვარულმა ისეთი ძალით იფეთქა მის არსებაში, რომ თანდათანობით მთელს ოჯახზეც გავრცელდა (qu'il se répandait sur toute la maison)“[48]. პასკალის გეხია თითქოს გაორდა, და ეს გაორება მით უფრო მტკივნეული იყო, რაც უფრო მტკიცე და მონოლითური ჩანდა ამ გარდატეხის მომენტამდე მისი ნათელი სული[49]. ამიერიდან მთელი მისი ცხოვრება ორი ურთიერთსაპირისპირო გრძნობის ჭიდილით განისაზღვრება: ესაა, ერთის მხრივ, პასკალის ენებიანი სიყვარული მეცნიერებისა და მისი წყალობით მოხვეჭილი დიდების მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ, მეცნიერული კვლევა-ძიების ამაოებით გამოწვეული სიცარიელის გრძნობა, პატივმოყვარული ცთუნების მთელი უკეთურობის შეგნება და გულმხურვალე სურვილი იმისა, რომ მთელი სიცოცხლე შესწიროს მხოლოდ და მხოლოდ ღმრთისმსახურებას.

მაგრამ აზარი, რომელმაც შუა გაყო პასკალის საბრალო გული, ელვასავით გაიკლაკნა მომდევნო საუკუნეების სიღრმეში, და ორად გათიშა შთამომავლობის მსჯავრი. ცნობილია პასკალის

პორტრეტზე დალამბერის მიერ წარწერილი ლექსი, სადაც სახელგანთქმული ფრანგი ენციკლოპედისტი ამ სიტყვებით მიმართავს რელიგიას: „შენ მეცნიერებას წარსტაცე ეს დიდი კაცი; მაშ, იმის ნება მაინც გვიბოძე, რომ სინანული გამოვთქვათ ამ დანაკარგის გამო"[50]. იგივე დალამბერი, ბიბლიური სასწაულების პასკალისეულ ინტერპრეტაციას[51] რომ მიმოიხილავს, გულისტკივილით დაასკვნის: „ამ სოფიზმს ისეთივ გენიისას, როგორიც იყო პასკალი, დავუმატოთ „აპოკალიპსის" ნიუტონისეული კომენტარები[52] და შევიბრალოთ ადამიანის ბუნება"[53]. დალამბერს ერთხმად უკრავენ კვერს დიდრო და ვოლტერი[54], ხოლო უფრო გვიან ჟიულ ლემეტრი პასკალის მისამართით იტყვის: „შენ აღმართე ჯვარი საფლავზე, რომელშიაც დაასამარე შენი გონება, შენი დიდება, შენი გენია..."[55].

ახლა კი, როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ, **audiatur et altera pars** (მეორე მხარესაც მოვუსმინოთ). პასკალისადმი მიძღვნილ თავის „შვენიერ სტატიაში ლევ ტოლსტოი წერს: „...ასეთი კაცი იყო პასკალი. ასეთივე იყო ჩვენთვის ესოდენ ახლობელი რუსი ადამიანი გოგოლი (მე, ვგონებ, გოგოლის მიხედვით შევიცან პასკალი). ერთმაც და მეორემაც, მათი პირადი თვისებების, სულიერი წყობისა თუ გონებრივი ძალმოსილების მთელი სხვაობის მიუხედავად, ერთი და იგივე გზა განვლეს, ერთმაც და მეორემაც სწრაფად მიაღწიეს დიდებას, რომელსაც ასე ვნებიანად მიელტვოდნენ, მაგრამ სახელის მოხვეჭისთანავე შეიცნეს მთელი ამაოება იმისა, რასაც ამქვეყნად ყველაზე დიდი და ფასდაუდებელ სიკეთედ რაცხდნენ; შეიცნეს და შეძრწუნდნენ იმ საცთურის გამო, რომელსაც მანამ ემონებოდნენ. და თავიანთი სულის ძალა შესწირეს იმას, რომ ადამიანებისათვის ეჩვენებინათ იმ ცთომის მთელი საშინელება, რომელსაც სწრაფად დააღწიეს თავი, და რაც უფრო დიდი იყო იმედგაცრუება, მით უფრო დაჟინებით ესახებოდათ იმნაირი მიზნის, ცხოვრების იმნაირი დანიშნულების აუცილებლობა, რომელსაც ვერაფერი ვერ შეცვლიდა, ვერ შეარყევდა.

ესაა რწმენისადმი როგორც ჩვენი გოგოლის, ისე პასკალის ვნებიანი სიყვარულის მიზეზი, იმ მიზეზითვე აიხსნება ორივეს გულაცრუება ყოველივე იმის მიმართ, რაც მათ ადრე უკეთებიათ;

რადგან ყველაფერი ეს დიდების მოსახვეჭად კეთდებოდა მხოლოდ და მხოლოდ. დიდებაც მოვიდა, მაგრამ მასში არ ეყარა არაფერი სიცრუის გარდა. მაშასადამე, ფუჭი და ამაო იყო ყველაფერი, რაც სახელის მოსახვეჭად კეთდებოდა. არსებითია მხოლოდ ერთი, ერთადერთი რამ: ის, რაც არ იყო. ის, რასაც ახშობდა ამქვეყნიური დიდების ფუჭი სურვილი. საჭირო იყო მხოლოდ რწმენა, რომელიც აზრს ანიჭებს ამ მსწრაფლ წარმავალ ცხოვრებას და მტკიცე კალაპოტით წარმართავს მთელს მის ქმედითობას. და რწმენის აუცილებლობის, ისევე როგორც მის გარეშე არსებობის შეუძლებლობის ეს შეგნება ისეროვნად აოგნებს ამნაირ ადამიანებს, რომ მათ არ შეუძლიათ არ უკვირდეთ: როგორ შეგვეძლო, ან როგორ შეუძლიათ, საერთოდ, ხალხს რწმენის გარეშე ცხოვრება. რწმენისა, რომელიც ჩვენი სიცოცხლისა თუ სიკვდილის აზრს გვიხსნის და გვიცხადებს.

ასეთი კაცი იყო პასკალი, და სწორედ ესაა მისი დიადი, ფასდაუდებელი და ჯერ კიდევ სათანადოდ დაუფასებელი დამსახურება"[56].

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ პასკალის „მოქცევის" ამ ორი ურთიერთგამომრიცხველი შეფასებიდან თვითეული ცალცალკე მხოლოდ ნაწილობრივაა მართალი და. სწორედ ამიტომ, — ნაწილობრივ მცდარიც. ფრანგი რაციონალისტები თავიანთ დიდ წინაპარში მხოლოდ მეცნიერების რენეგატს ხედავენ, რუსი მწერალი და ღმრთისმაძიებელი — მხოლოდ მორწმუნეს. მაგრამ პასკალის სული მეტისმეტად რთულია, შინაგანი წინააღმდეგობანი — მეტისმეტად ღრმა და მძაფრი, რათა მისი პიროვნების ესოდენ ცალმხრივი კრიტერიუმით შეფასებისას, ნებსით თუ უნებლიედ, არ ვუღალატოთ ჭეშმარიტებას, რომელსაც თვითონ უფრო უტყუარად გვიმოწმებს, ვიდრე მისი მგმობელნი, გინდ მეხოტბენი. აი, როგორ იწყება პასკალის პატარა ტრაქტატი „ცოდვილის მოქცევისათვის":

„პირველი, რასაც ღმერთი შთააგონებს სულს, რომელსაც იმის ღირსად მიიჩნევს, რომ თავისი დაფარული არსის გამოცხადებით შესძრას. ესაა ყოვლად უჩვეულო შემეცნება და უჩვეულო ხედვა, რომლითაც სული სრულიად ახლებურად ჭვრეტს საგნებს.

ეს ახლად მოვლენილი ნათელი აძრწუნებს და უცნაური ძალით აშფოთებს მთელს მის არსებას; და ეს ძრწოლა, ეს შეშფოთება

აშკარად ჩრდილავს იმ სიმშვიდეს და აუმღვრეველობას, რასაც აქამდე ანიჭებდა მისთვის ესოდენ სანუკვარი საგნების ჭვრეტა.

მას აღარ ძალუძს მშვიდად დატკბეს ყოველივე იმით, რაც აქამდე ასე ხიბლავდა. მუდმივი ეკვი ამღვრევს ამ ტკბობას, და ეს შინაგანი ხედვა მთლიანად აქარწყლებს მისთვის ჩვეულ სიტკბოებას, მოგვრილს იმ სანუკვარი საგნების ჭვრეტით, რომლებშიაც ესოდენ თავდავიწყებით ინთქმებოდა და ესოდენ სრულად ითქვიფებოდა მისი გულის მთელი სინაზე

მაგრამ იმ ღვთისმოსაობაში კიდევ უფრო მეტ სიმწარეს ხედავს, ვიდრე ამა სოფლის ამაოებაში. ერთის მხრივ, ხილულ საგანთა ხიბლი უფრო მეტად სძრავს და აღელვებს, ვიდრე სასოება უხილავ საგანთა მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ, უხილავ საგანთა უცვლელობა უფრო გულისშემძვრელად მოქმედებს მასზე, ვიდრე ხილულთა ამაოება. და ასე, ამ ორი გრძნობის ჭიდილი იწვევს მის გულაყრილობას და გულაცრუებას. რაც დასაბამს აძლევს სრულ ქაოსს და უწესრიგობას: ესაა მის არსებაში ღრმად ფესვგადგმული ძველი შთაბეჭდილებების, ძველი გრძნობებისა და ახალ განცდათა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შედეგი"[57]...

აზრის და გრძნობის, გულის და გონების, რწმენისა და რაციონალური შემეცნების ამ „სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილმა" თავისი დაღი დაასვა პასკალის მთელს შემდგომ ინტელექტუალურ ცხოვრებას, მის მეცნიერულსა თუ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. არის რაღაც საბედისწერო, ტრაგიკული და გულისშემძვრელი მისი დიადი მეცნიერული აღმოჩენების ფრაგმენტულობასა და დაუმთავრებლობაში. არის რაღაც უსასოო, საწყალობელი და, იმავდროულად, ძრწოლის მომგვრელიც მისი „ღვთისმოსაობის ამ სიმწარეში". საკმარისია ერთმანეთს შევუდაროთ პასკალისა და მისი დიდი თანამედროვის ბოსიუეს რწმენა:

სახელგანთქმული პრელატი, რომელსაც პოლ კალერი უებრო სტილისტად თვლის[58], „დინჯად იღებს ხელში კალამს და შეუმღვრეველი სიმშვიდით გადმოგვცემს საეკლესიო მოძღვრების ყველა პარაგრაფს: ადამიანის ორმაგ ბუნებას, მის კეთილშობილურ წარმომავლობას, მის არსებაში დვრიტად ჩადებული სულიერი საწყისის უპირატესობას და უკვდავებას, მის უშუალო

კავშირს ღმერთთან. ბოსიუე ქადაგებს როგორც ნამდვილი მღვდელმთავარი; ის თავის ამბონზე დგას და მტკიცედ ეყრდნობა მას. ეს — მშფოთვარე, გვემული და წამებული მაძიებელი კი არ არის, არამედ გზის მაჩვენებელი მოძღვარი. ყოველგვარი შინაგანი ბრძოლის, ყოველგვარი მტანჯველი ძალისხმევის გარეშე, ის ერთმანეთზე ახვავებს თავისი მოძღვრების დამამტკიცებელ საბუთებს... მისი ბაგეებით ღაღადებს თვით წარუვალი ჭეშმარიტების ურყევი ავტორიტეტი. ის ნეტარებით აღვსილი ჭვრეტს სამყაროულ წესრიგს, ხოლო თუ ეს წესრიგი სადმე დაირღვა, დაუყოვნებლივ აღადგენს მას თავისი სიტყვით პასკალი, პირიქით, დაჟინებით ხაზს უსვამს განხეთქილებას და უწესრიგობას, რაც, მისი აზრით, ნიშნეულია ბუნების ყველა მოვლენისათვის. იქ სადაც ერთი თვითმპყრობელური ყესტით გვიშლის თავისი მოძღვრების დიდებულ პანორამას, მეორე თავის სისხლგამდინარ ჭრილობებს გვიშიშვლებს და თავისი უკიდურესობით უფრო ახლოა ჩვენთან, უფრო მეტად გვჭრავს და გვაღელვებს"[59]...

„აი რას ვხედავ და რა მაშფოთებს. საითაც არ გავიხედავ, ყველგან განუჭვრეტელი წყვდიადია და უკუნეთი. ყველა ერი, რასაც ბუნება მივლენს, მხოლოდ ეჭვსა და ძრწოლას იწვევს ჩემში. მე რომ ღვთაების ნიშნით აღბეჭდილს ვერაფერს ვჭვრეტდე, ალბათ, ურწმუნო გავხდებოდი; ყველაფერი რომ ღვთაების ნიშნით აღბეჭდილი მევლინებოდეს, სამუდამოდ დავცხრებოდი, რწმენით აღვსილი. მაგრამ მე ვხედავ მეტისმეტად ბევრს, რათა უარვყო და მეტისმეტად ცოტას, რათა აღვივსო ურყევი რწმენით, და ჩემი გული წუხს, ჩემი საბრალო გული"[60]...

ბოსიუე, ალბათ, მკრეხელობად შერაცხავდა თვით ამნაირ ალტერნატივას:

„წარმოუდგენელია, რომ ღმერთი არსებობს. წარმოუდგენელია, რომ ღმერთი არ არსებობს: რომ ჩვენ გვაქვს სული, რომ არა გვაქვს სული; რომ სამყარო შექმნილია, რომ სამყარო შეუქმნელია; რომ არსებობს დასაბამიერი ცოდვა, რომ არ არსებობს დასაბამიერი ცოდვა და ა. შ."[61]

შეიძლება ითქვას, რომ არსად, არასდროს, ქრისტიანული რელიგიის, არც ერთ ჭეშმარიტ აღმსარებელს არ ულაპარაკია ამ ორპოფული ენით. ყველა ეს დილემა, თავის არსით,

წმინდა გონების ანტინომიების შესახებ კანტის მსჯელობას უფრო მოგვაგონებს[62], ვიდრე ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად დოგმათა ორთოდოქსულ ინტერპრეტაციას. მაგრამ კანტი თავისი ლოგიკის უებრო ძალმოსილებით ამტკიცებს, რომ ამ რიგის კონდრადიქტორულ დებულებათა ჰეშმარიტების დამტკიცება ან უარყოფა ადამიანური გონების უნარს აღემატება, მაშინ როდესაც პასკალი მხოლოდ ინტუიტურად გრძნობს, მხოლოდ გუმანით ხვდება კანტისეული დასკვნის ურყევობას და ეპვშეუვალობას. მის მრწამსსა და ბოსიუეს რწმენას შორის ჯერ კიდევ გადაულახავ დაბრკოლებად დგას რაციონალური შემეცნების უსაზღვრო ძალმოსილების შეგნება, გონების კულტი. აქედან — მისი შინაგანი ბრძოლით გატანჯული სულის სალმობა მისი რწმენის ტრაგიკული პათოსი, მისი სასოწარმკვეთი შიში და ძრწოლა:

„პასკალის რწმენა სხვა არა არის რა, თუ არა უცნაური აგონია (la foi n'est dans Pascal, qu,une agonie étrange)". წერს ფრანგი პოეტი სიული-პრუდომი[63], ხოლო ემილ ზოლა შემდეგნაირად გადმოგვცემს პასკალის რელიგიური ფრაგმენტების კითხვით მიღებულ შთაბეჭდილებას: „მე მაშინებდა ჩემი ურწმუნოება, უფრო მეტად კი — მისი რწმენა; მე ერუანტელი მივლიდა ტანში და ჭირის ოფლს მასხამდა, როცა ის მიჩვენებდა ჩემი სკეპსისის მთელ სიბილწეს. და მაინც, მე არ გავცვლიდი ჩემს შიშს მის შიშზე, დიახ, მის შიშზე, ვისაც ასე მხურვალედ სწამდა"[64].

ორად გაყოფილი „საბრალო გული", მუდმივი ბორგვით და ძიებით დაქანცული, კიდევ უფრო საბრალო ტვინი, რომლის მტანჯველ ძალისხმევას ამჯერად ზედ დაერთო „უცნაური ავადმყოფობა" (une maladie mal connue), უკურნებელი სენი, რამაც კინალამ ომსხვერპლა იგი: „მისი ტვინი იმდენად გადაღლილი იყო, რომ ბიძაჩემს დამბლა დაეცა. ეს დამბლა წელს ქვემოთ გავრცელდა, ასე რომ, ერთხანს მხოლოდ ყავარჯნებით შეეძლო სიარული. ხელ-ფეხი ყინულივით ცივი ჰქონდა და ამიტომ არაყში დასველებულ წინდებს აცმევდნენ, რათა ფეხები ოდნავ მაინც გაეთბოთ სნეულისათვის", — იგონებს პასკალის დისწული მარგარიტა პერიე[65].

უმატა თავის ტკივილმა, დაუსივდა ღრძილები, საყლაპავს უხუთავდა კრუნჩხვა. პასკალი უდრტვინველად ითმენდა ტკივილს.

გეგონებოდათ, მისი შემყურე ახლობლები უფრო იტანჯებიანო. ვიდრე თავად: „ბევრ სხვა უბედურებასთან ერთად ისიც სჭირდა, რომ არ შეეძლო არავითარი სითხის დალევა, თუკი წინასწარ არ შეუთბობდნენ, და იმასაც მხოლოდ წვეთ-წვეთობით (goutte à goutte) სვამდა. მაგრამ რაკი, გარდა ამისა, თავის აუტანელი ტკივილი, შიგნეულობის საშინელი ხურვება და ბევრი სხვა სნებაც სტანჯავდა, ექიმებმა ურჩიეს სამი თვის მანძილზე ყოველ ორ დღეში ერთხელ გაეწმინდა კუჭი (se purger), ასე რომ, იძულებული იყო მიეღო ყველა მათ მიერ გამოწერილი წამალი, თანაც, გაეთბო და წვეთ-წვეთად დაელია ისინი. ეს იყო ნამდვილი წამება, რომელიც გულს უკლავდა ყველას, ვინც თავზე ადგა, თუმცა თვითონ არასოდეს დაუჩივლია[68].

სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში დაიწერა პასკალის ტრაქტატი „ლოცვა უფლის მიმართ სნეულების სიკეთედ მოქცევისათვის" („Prière pour demander à Dieu la bon usage des maladies"), სადაც აზრის სიღრმესა და სიცხადესთან ორგანულად შერწყმული რელიგიური განცდის სიწრფელე ესოდენ ნათლად გვიმოწმებს პასკალის ნების შესაშურ სიმტკიცეს და თვითფლობის არანაკლებ შესაშურ უნარს:

ავადმყოფობა, ტანჯვა, ტკივილი — ბოროტებაა, მით უმეტეს, მაშინ, როცა ჭირთათმენა თითქოს ჩვენი სულისა და ხორცის ძალას აღემატება. და მაინც, საქმე ისაა, როგორ ავიტანოთ ტკივილი, როგორ დაეითმინოთ ტანჯვა. მხოლოდ უფლის სამართლიანობისა და გულმოწყალების იმედით, მხოლოდ ქრისტიანული ქედმოდრეკითა და თვინიერებით. დიახ, უფრო სამართლიანია და გულმოწყალე ცოდვით დაცემულ, თავისი თავის მაღმერთებელსა და ნივთიერი ბუნების, ცელადი, ხრწნადი და წარმავალი სინამდვილის ბრმა სიყვარულით მონუსხულ კაცს მისმა სამართლიანობამ ტანჯვის გზას დაუსახა სულიერი სიკვდილისგან თავის სახსნელად და მისმავე გულმოწყალებამ აქცია ტანჯვა ცხოველური ეგოიზმის წარხოცის, სამყაროს ჯადოქრული ხიბლის დათრგუნვისა და ჭეშმარიტი მიზნისაკენ მიქცევის ერთადერთ საშუალებად. მხოლოდ ტანჯვა ამაღლებს და აკეთილშობილებს სულს, მხოლოდ ტანჯვა აერთებს ღვთიური მადლის სასწაულმოქმედ სალბუნად ცოდვილის წყლულებსა და მირიადი ცოდვი-

ლის გამოსახსნელად ჯვარცმული ღმერთის წმინდა ჭრილობებს.

— „განა შენდა სამსახურად არ მიბოძე ჯანმრთელობა? მე კი ფუჭსა და ცრუ მიზანს შევწირე იგი. ახლა თავს მახვევ სნეულებას, რათა თვალი ამიხილო და წრფელი გზა მაჩვენო... მე ბოროტად მოვიხმარე ჯანმრთელობა, და შენ სამართლიანად დამსაჯე. მაშ, შემეწიე, რათა სიკეთედ მოვაქცი. შენი სასჯელი“[67].

1647 წლის ზაფხულში, უმცროსი დის ჟაკლინის თანხლებით, პასკალი სამკურნალოდ მიეშგზავრება პარიზს. და-ძმა თავის ძველ სახლში — ბრიზემიშის ქუჩის ჩიხში[68] დაბინავდა. პარიზელი ექიმების მცდელობამ, დის სიყვარულმა და მზრუნველობამ, ახალგაზრდა ორგანიზმის უტეხმა სიკერპემ, ბოლოს და ბოლოს, თავისი გაიტანა: სიცოცხლის უსაზღვრო წყურვილმა დროებით მაინც სძლია სნეულებას. გამოჯანსაღება მეორედ დაბადებას, ან, უფრო ზუსტად, მკვდრეთით აღდგომას ჰგავდა. ის გრძნობს, როგორ უბრუნდება ძალა, სილაღე, სიხალისე სიცოცხლისგან თითქოს სამუდამოდ განძარცულ სხეულს, როგორ ეუფლება სიხარული განცდა მის მწუხარე გულს, როგორ ღვივდება კვლავინდებურად მის არსებაში ფერფლწაყრილი ნაკვერცხალივით მინავლული, მაგრამ არა საბოლოოდ ჩამქრალი ენება — მოქმედების, ბრძოლის, კვლევა-ძიების, სრულქმნილებისაკენ ლტოლვის უშრეტი ჟინი.

„იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“[69], — ევანგელისტის ეს სიტყვები მთელი მისი ცხოვრების დევიზად იქცა. ყმაწვილი კაცის სული უდროოდ შეაძრწუნა სიკვდილის სისხლგამყინავმა სუნთქვამ, ბედისწერამ ძალზე ნაადრევად დააპირა დაეზრო „მისი სიცოცხლის ყვავილი“. ის თითქოს გრძნობს, რომ დიდი დღე აღარ უწერია და ცდილობს სულიერი ცხოვრების ინტენსივობით გააწონასწოროს, ან, თუ უფალი ინებებს, დასძლიოს კიდეც თავისი მყიფე სიცოცხლის მსწრაფლწარმავლობა. თვითწვრთნა, სიქველეში თავის განმტკიცება, ყველა ბუნებრივი ნიჭის, უნარის, შესაძლებლობის დახვეწა და განვითარება, — ასე ესახება ამიერიდან თვითდამკვიდრების ერთადერთი გზა. „სრულყოფილება თავდაცვის იარაღია. (აღმართე სრულყოფილება შენსა და სხვას შორის, შენსა და შენსავე

თავს შორის", — ამბობს მისი დიდი თანამემამულე, მისი მეტოქე, მისი მემკვიდრე[70]....

პარიზში და-ძმა გატაცებით ისმენს ფრანგული იანსენიზმის ერთ-ერთი ბურჯის, პორ-როიალის მამათა მონასტრის — „პორ-როიალ-დეშამპის" დამაარსებლის ანტუან სენგლენის ქადაგებებს. სენგლენი არ იყო დიდი მჭევრმეტყველი, მაგრამ მისი მარტივი და წრფელი სიტყვა გულის გულამდე სწვდებოდა მსმენელს. სწორედ სენგლენის მეშვეობით დაუახლოვდა ჟაკლინი პორ-როიალის დედათა მონასტრის წინამძღვარს ანჟელიკა არნოს[71] და მტკიცედ გადაწყვიტა მონაზვნად აღკვეცილიყო ამავე მონასტერში, ხოლო ბლეზი, სენგლენისავე გავლენით, ისე ხარბად დაეწაფა ბიბლიას, რომ მალე ზეპირად იცოდა თითქმის მთელი საღმრთო წერილი[72]. ბიბლიას მოჰყვა ღმრთისმეტყველება: უწინარეს ყოვლისა, კათოლიკური თეოლოგიის ორი გიგანტი — წმიდა ავგუსტინე[73] და თომა აქვინელი. ....ღმერთმა ისე გაანათლა ამ კითხვისას მისი სული, — გადმოგვცემს ჟილბერტა პასკალი — რომ მან მთელი სავსებით შეიგნო ურყევი ჭეშმარიტება: ქრისტიანული რელიგია გვავალდებულებს ეცოცხლობდეთ მხოლოდ უფლისათვის და არ გაგვაჩნდეს სურვილი ლტოლვის სხვა საგანი, გარდა უფლისა, და ეს ჭეშმარიტება ისე ცხადი, ისე აუცილებელი შეიქმნა მისთვის. რომ ზღვარი დაუდო მის ყოველგვარ კვლევა-ძიებას: ასე რომ, ამიერიდან ხელი აიღო ყველა სხვა სახის შემეცნებაზე გარდა იმისა, რასაც მაცხოვარი აუცილებლობად გეისახავს ჩვენ"[74].

მაგრამ სწორედ აქ რელიგიური აღტყინება და გულმოდგინება მოსიყვარულე დის თვალში პირველად ჩრდილავს ჭეშმარიტებას. და განა მარტო დის თვალში? მის სიტყვებზე დაყრდნობითა თუ თავიანთი ტენდენციური ცალმხრივობის გამოისობით, ამასვე ერთხმად ამტკიცებენ შატობრიანიც. ტოლსტოიც და ბევრი სხვა მათი თანამოაზრეც. მაგრამ ფაქტი ჯიუტია და ურყევი: ჭეშმარიტების დადგენისას პასკალის ცხოვრება უფრო ზუსტი, უფრო სარწმუნო და სანდო წყაროა, ვიდრე მისი ცხოვრების, რომელიც გნებავთ, აღმწერლის აზრი. ხოლო ეს ცხოვრება აშკარად და თვალნათლივ გვიმოწმებს ჩვენ, რომ, სარწმუნოებისადმი მთე-

ლი თავისი გულმხურვალე სიყვარულის მიუხედავად, პასკალს არასოდეს უარუყვია მეცნიერება, მის სულში არასოდეს დამცხრალა მეცნიერული კვლევა-ძიების შმაგი წყურვილი. დიახ, „წიგნთა-წიგნმა“ — ბიბლიამ — მის თვალში ვერ დაჩრდილა უთვალავ ფერად, ურიცხვ ენიგმად გადაშლილი ბუნების დიადი წიგნი, ღმრთისმეტყველებამ — ბუნებისმეტყველება. ყამკანონმა — ბუნების კანონთა არსში წვდომისა და მათი შეცნობის ყოვლისმძლე ყინი. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა და საგულისხმო პასკალის მრწამსი: „ის ამბობდა, რომ საღმრთო წერილი გონების მეცნიერება კი არ არის, არამედ გულისა (Il disait que l'Ecriture sainte n'était pas un science de l'esprit, mais un science du coeur), რომ ის გასაგებია მხოლოდ გულმართალთათვის, და რომ სხვები მასში ვერ ჰპოვებენ ვერაფერს, სიბნელის გარდა (et que tous les autres n'y trouvent que de l'obscurite)“[75].

მაშ, ასე, არსებობს გულის მეცნიერება და გონების მეცნიერება, ღმრთისმეტყველება და ბუნებისმეტყველება, ანუ „ფიზიკა“, ამ სიტყვის უზოგადესი„ პასკალის დროინდელი გაგებით. პირველისათვის მთავარი და გადამწყვეტია საღმრთო წერილის, ღვთაებრივი გამოცხადების ურყევი და ეჭვშეუვალი ავტორიტეტი, მაშინ როდესაც მეორისათვის ავტორიტეტს არავითარი ძალა არა აქვს; აქ მის ადგილს მთლიანად იკავებს ცდა, პრაქტიკა, ექსპერიმენტი, — ამ აზრს მკაცრი თანმიმდევრობით ავითარებს პასკალი თავისი თხზულების — „ტრაქტატი სიცარიელის შესახებ“ ; („Traité du vide“) წინასიტყვაობაში[76]. უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ტრაქტატი 1647 წელსაა დაწერილი. აი, სწორედ ეს გახლავთ ჭეშმარიტი, რეალური და, თუ გნებავთ, ისტორიული პასკალი, ესოდენ მკვეთრად რომ განსხვავდება, ერთის მხრივ, დალამბერ-ვოლტერის, ხოლო, მეორეს მხრივ, შატობრიანტოლსტოის მიერ წარმოსახული პასკალისაგან.

ზემოთქმულიდან უშუალოდ გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: თუ ღვთაებრივი გამოცხადების ავტორიტეტი მიუღებელია მეცნიერებისათვის, მით უმეტეს, მიუტევებელია მონური ქედმოდრეკილება ადამიანური სიბრძნის ყოველგვარი ერთპიროვნული ავტორიტეტის წინაშე. სახელმწიფო და ეკლესია კი სწორედ ამ-

ნაირ ავტორიტეტს ახეევდნენ თავს შუა საუკუნეების საღათას ძილისგან რის ვაივაგლახით გამორკვეულსა და ახლად ფეხადგმულ მეცნიერებას. „აიღე და წაიკითხე“, — ამბობდნენ სქოლასტიკოსები. იგულისხმებოდა წაიკითხე, უწინარეს ყოვლისა, არისტოტელეს თხზულებანი, რომლებსაც მეცნიერებაში ჭეშმარიტების წვდომის ისეთსავე უზენაეს გამოხატულებად თვლიდნენ, როგორც საღმრთო წერილს — თეოლოგიაში. კათოლიკურმა სარწმუნოებამ საუკუნეების მანძილზე ისე ორგანულად შეითვისა და შეისისხლხორცა არისტოტელეს მოძღვრება, ისე ზედმიწევნით მიუსადაგა ის საღმრთო წერილს, რომ ქრისტიანიზმისა და პავანიზმის ეს კონკორდანსი დღემდე აცვიფრებს ევროპული კულტურის, მეცნიერებისა და რელიგიის არაერთ მკვლევარს. მაგრამ ის, რაც თავის დროზე მართლაც გონების უზენაესი მიღწევა იყო, ორი ათასი წლის შემდეგ, მეცნიერების მანამდე გაუგონარი და არნახული განვითარების შედეგად, თანდათანობით ფრომოქმულ ცოდნად, სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის გზაზე ადამიანის მცდელი და მაძიებელი აზრის საბედისწერო მუხრუჭად იქცა.

მართალია, ეს ეხება არა იმდენად საკუთრივ არისტოტელეს მოძღვრებას, რამდენადაც მისი პედანტი მიმდევრების — პერიპატეტიკოსების მიერ ხშირ შემთხვევაში მცდარად გაგებულ, კათოლიკიზმის პრაქტიკული მიზნებისათვის თვითნებურად მისადაგებულსა და სქოლასტიზირებულ არისტოტელიზმს, რომლის სულისშემხუთველად ვიწრო ჩარჩოებში უკვე ვეღარ ეტეო�ბუნებაზე უშუალო დაკვირვების, ოსტატთა და გამომგონებელთა გამოცდილების, ახალი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად დაგროვილი ცოდნა. დროქოქმული სიბრძნის ქექვაში საუკუნეების მანძილზე დახელოვნებულმა პერიპატეტიკოსებმა თითქოს მთლიანად დაივიწყეს ევანგელისტის შეგონება: „არცა შთაასხიან ღვინოჲ ახალი თხიერთა ძველთა, რაჲთა არა განსჴდენ თხიერნი და ღვინოჲ დაითხიოს და თხიერნი წარწყმდენ“[77]... მკვდარი ასოს ინერტული მარწუხი უკვე ვეღარ აოკებდა ცოცხალი აზრის უჩვეულო გაქანებას და აღმაფრენას. ჩვენ ვიცით, რომ პირველი გამანადგურებელი დარტყმა სქოლასტიკიზმს მიაყენა ახალმა ასტრონომიამ. ნიკოლოზ კოპერნიკის (1473 — 1543), ტიხო ბრაჰეს (1546 — 1601), ჯორდანო ბრუნოს

(1550 — 1600), გალილეო გალილეის (1564 — 1642), იოჰან კეპ-ლერის (1571 — 1630) დიადმა აღმოჩენებმა საფუძველი გამოაცალეს არისტოტელეს კოსმოლოგიასა და პტოლემაიოსის ასტრონომიულ სისტემას. ჩვენ ისიც ვიცით, რა სისხლის ფასად დაუჯდა ეს ტრიუმფი ასტრონომიულ მეცნიერებას. საკმარისია გავიხსენოთ ჯორდანო ბრუნოსა და გალილეო გალილეის პირადი დრამა.

ოველი ასტონომიის დამხობის შემდეგ ჯერი უშუალოდ არისტოტელეს ფიზიკური თეორიის გადაფასებაზე მიდგა. მეცნიერების განვითარების ახლებურმა ტენდენციამ, უწინარეს ყოველისა, კვლევა-ძიების ახალი, თვისობრივად განსხვავებული მეთოდის ბოძარჯვება და მისი რაციონალური დაფუძნება მოითხოვა. პერიპატეტიკოსების პირწმინდა ფორმალიზმს, მკვდარი ტექსტების გაუთავებელ ჩხრეკას, სინამდვილისაგან განყენებული ლოგიკური კონსტრუქციებითა და სოფისტური სილოგიზმებით თვითმიზნურ თაშაშს სულ უფრო მკვეთრად უპირისპირდება ცოცხალ ბუნებაზე უშუალო დაკვირვების, სინამდვილის ექსპერიმენტული კვლევისა და თეორიული დასკვნების ცდით, პრაქტიკით შემოწმების ანალიტიკური მეთოდი:

რენე დეკარტი მწარედ დასცინოდა იმ მეცნიერებს, რომლებიც „უგულებელყოფენ ცდას და ფიქრობენ, რომ ჭეშმარიტება ისეევ მზამზარეული. სახით გამოვა მათი თავებიდან, როგორც მინერვა დაიბადა იუპიტერის თავიდან"[78]... სქოლასტიკოსების მიმართ არანაკლებ დაუნდობელი იყო გალილეო გალილეი. 1640 წელს, თავისი დიადი სიცოცხლის მიმწურსრს, ინკვიზიციის მიერ წამებული, თვალდაშრეტილი და სნეულებით გატანჯული, მაგრამ მაინც უტეხი და ქედუხრელი მეცნიერი მისთვის ჩვეული ირონიით წერდა: „თუ ფილოსოფია არის ის, რასაც არისტოტელეს თხზულებები შეიცავს, ჩემის აზრით, ისე გამოდის, რომ თქვენი მოწყალება ყოფილა სამყაროს უდიდესი ფილოსოფოსი, ვინაიდან მაშინ ის მთლიანად თქვენს ხელთაა და ამიტომ შეგიძლიათ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინოთ. მე კი მგონია, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფიის წიგნი არის ის, რაც ერთთავად გადაშლილია ჩვენს თვალწინ, მაგრამ რაკი ეს წიგნი თქვენი ანბანისაგან განსხვავებული ასოებითაა დაწერილი, ყველას როდი შეუძლია მისი წა-

კითხვა: დიახ, ამ წიგნის ასოებია სამკუთხედები, ოთხკუთხედები, წრეები, სფეროები, კონუსები, პირამიდები და სხვა მათემატიკური ფიგურები". ამ სიტყვების უშუალო ადრესატია ფილოსოფიისა და მედიცინის პროფესორი, არისტოტელეს დიდი მცოდნე და „ნატურალურ მაგიაში" გაწაფული პერიპატეტიკოსი ფორტუნიო ლიჩეტი, რომელიც ცდილობდა ბერძენი ფილოსოფოსის თხზულებებიდან ამოკრეფილი, ერთმანეთზე დახვავებული და უთავბოლოდ შეკოწიწებული ციტატების მეშვეობით გაებათილებინა გალილეის კონცეფცია მთვარის ფერფლისებრი ნათების შესახებ[79].

ეპოქის საერთო განწყობილებითაა განპირობებული მეცნიერთა და მოაზროვნეთა ამ ბრწყინვალე პლეადის განსაცვიფრებელი ერთსულოვნება. სახელგანთქმული ინგლისელი ნატურალისტი რობერტ ჰუკი (1635 — 1703), თითქოს დეკარტისა და გალილეის სიტყვებს იმეორებსო, თავის მხრივ, აღნიშნავდა: „ის, რასაც ჩვენ ვკითხულობთ არისტოტელეს, პლინიუსისა და ნატურალური ისტორიის სხვა ავტორთა თხზულებებში, მეტისმეტად არასანდოა, ზერელე და ზედაპირული, ვინაიდან ისინი აღნუსხავდნენ მხოლოდ ზოგიერთ უმნიშვნელო და თვითცხად მოვლენებს, თანაც, ისე დაუდევრად, რომ მათ აღწერებს თითქმის არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. ეს ავტორები საჭიროდ არ თვლიდნენ მოეხსენებინათ ბუნებრივ სხეულთა უფრო დახვეწილი კვლევა დისექციის, ექსპერიმენტებისა თუ მექანიკური ცდების მეშვეობით. მეტიც, მათთვის საერთოდ უცხო იყო ამგვარი კვლევა. მე ვერსად შევნიშნე მათი მიდრეკილება ექსპერიმენტებისადმი, ვერც მათი სიმარჯვე და აზრიანობა ცდების დაყენებისას, განსაკუთრებით, ისეთი ცდების, რომელთა ჩატარებაც დიდ ყურადღებასა და ყველა დეტალის გულდასმით აწონ-დაწონას მოითხოვს. მათ არ გააჩნდათ არც სათანადო სიზუსტე და მკაცრი თანმიმდევრობა, აუცილებელი ყოველივე იმის სარეგისტრაციოდ, რაც მათ თხზულებებში გვხვდება... ამ ავტორთა უმრავლესობას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს: საგანთა გარეგნული ფორმისა თუ ფიგურის[80], მათი სილამაზის, ან კიდევ ცრურწმენის მიერ ამ საგნებისათვის თვითნებურად მიწერილი მაგიური თუ სხვაგვარი თვისებების ფუჭი აღწერა. ისინი მიზნად ისახავენ ჩვენს გარ-

თობას, სიამოვნებას, განცვიფრებას თუ აღტაცებას, მაგრამ არას დაგიდევენ საგანთა იმნაირ ცოდნას, რომელიც პრაქტიკაში სასარგებლო და გამოსადეგი იქნებოდა"[81].

ცხადია, ამ საყოველთაო ანტისქოლასტიკურ განწყობილებას სრულიად სხვა კალაპოტით უნდა წარემართა მეცნიერული აზრის შემდგომი განვითარება. დრომოჭმულისა და თანადროულის დაუნდობელ ურთიერთშიდილში თანდათანობით იკვეთება სამყაროს ახალი ფიზიკური თეორიის კონტურები. მაშინ როდესაც არისტოტელეს ფიზიკური კონცეფცია ნაწილ-ნაწილ ბარდება მეცნიერების მტვრიან არქივს და ამიერიდან ფილოლოგთა თუ ფილოსოფიის ისტორიკოსთა კუთვნილებად იქცევა. ჩვენ მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას: . საკმარისია ვნახოთ, როგორ დაასრულა არსებობა არისტოტელესეული ტრადიციისაგან მომდინარე ე. წ. „სიცარიელის შიშმა" (horror vacui), რაშიაც გადამწყვეტი როლი ითამაშა პასკალის მეცნიერულმა აღმოჩენებმა. დიახ, მხოლოდ პასკალმა შესძლო საბოლოოდ ემხილებინა ძველი ფიზიკის ერთ-ერთი უმძიმესი შეცდომა, მიუხედავად იმისა რომ ამ მხრივ, მას ჰყავდა ისეთი სახელოვანი წინამორბედები, როგორიც იყვნენ ნიდერლანდელი სიმონ სტევინი (1548 — 1620), იტალიელები: გალილეო გალილეი და მისი მოწაფეები — ევანჯელისტა ტორიჩელი (1608 — 1647) და ვინჩენცო ვივიანი (1622 — 1703). თუ პასკალი დაინტერესდა ზემოაღნიშნული პრობლემით, ეს, უწინარეს ყოვლისა, მათი ექსპერიმენტული კვლევა-ძიების შედეგია. ნაწილობრივ, მათსავე შრომებს უნდა უმადლოდეს იგი თავის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს შემოქმედებითს მიღწევას, რამაც სამუდამოდ დაამკვიდრა მისი სახელი საბუნებისმეტყველო მეცნიერების ისტორიაში. „თუ ჩემი თვალსაწიერი უფრო ფართო იყო, ვიდრე სხვებისა, მხოლოდ იმიტომ, რომ გიგანტთა მხრებს ვეყრდნობოდიო", — უთქვამს ისაკ ნიუტონს[82]. პასკალს, მართალია, უფრო მოკრძალებულად, მაგრამ მაინც უეჭველი უფლებამოსილებით შეეძლო გაემეორებინა გენიალური ინგლისელის ეს სიტყვები:

„ბუნებას ეშინია სიცარიელის", — ამბობდა არისტოტელე, რომელიც გადაჭრით უარყოფდა ცარიელი სივრცის არსებობის შესაძლებლობას როგორც კოსმოსის შიგნით, ისე მის ფარგლებს

გარეთაც[83]. სქოლასტიციზმმა უყოყმანოდ აღიარა, და არა მარტო აღიარა, არამედ ყოველგვარი სიცარიელის დაუყოვნებლივ შევსების ანთროპომორფული ტენდენციაც მიაწერა ბუნებას და ამ სახით გაიზიარა არისტოტელესეული კონცეფცია, რომლის სიზუსტისა და უტყუარობის ურყევ საბუთად ორი ათასი წლის მანძილზე ითვლებოდა დიდი სტაგირელის ავტორიტეტი, სანამ პრაქტიკამ პირველად არ დააეჭვა ადამიანის მცდელი აზრი მის სისწორეში.

ეს ჯერ კიდევ გალილეის სიცოცხლეში მოხდა: ხელოსნები, რომლებსაც შადრევანი ამოჰყავდათ ფლორენციის დიდი ჰერცოგის კოზიმო II მედიჩის სასახლის ბაღში, უცნაურ დაბრკოლებას წააწყდნენ: წყალი მილში მხოლოდ 34 ფუტის (10.3 მ) სიმაღლეზე აჰყვა დგუშს: აქ კი ჯიუტი ჯორივით „გაოჩნდა" და ვერავითარმა მცდელობამ ვეღარ შესძლო მისი ადგილიდან დაძვრა. საპრალო ხელოსნები, რომლებსაც სწამდათ, რომ ბუნებას ეშინია სიცარიელის, საგონებელში ჩავარდნენ: ჯერ ეგონათ, ალბათ, ჩვენი მანქანა მოიშალაო, მაგრამ რაკი ბევრი კირკიტის მიუხედავად, საქმეს საშველი არ დაადგა, დახმარებისათვის გალილეის მიმართეს. მხცოვანმა მეცნიერმა მისთვის ჩვეული ირონია მოიშველია: ბუნებას დიახაც ეშინია სიცარიელის. მაგრამ როგორც ჩანს, ეს შიში 34 ფუტს ზევით არ ვრცელდებაო. ხომ მახვილგონივრული სიტყვებია, მაგრამ გალილეიზე უკეთ ვის ესმოდა, რომ მოსწრებული ხუმრობა მეცნიერებაში დამაკმაყოფილებელ პასუხად ვერ ჩაითვლება, და მან თავის უნიჭიერეს მოწაფეებს — ტორიჩელის და ვივიანის დაავალა ამ უცნაური მოვლენის მიზეზის ახსნა.

1643 წელს, უკვე გალილეის სიკვდილის შემდეგ, ტორიჩელიმ ჩაატარა თავისი სახელგანთქმული ცდა[84]. მან აიღო 1 მ სიგრძის მინის მილი, რომლის ერთი ბოლო დარჩილული იყო და ვერცხლისწყლით აავსო იგი. შემდეგ მაგრად დაუცვა თავი მეორე — ღია ბოლოს, გადმოაპირქვავა მილი და ვერცხლისწყლით სანახევროდ სავსე ფინჯანში ჩაუშვა. საცობის მოძრობისთანავე ვერცხლისწყლის ნაწილი ფინჯანში ჩაიღვარა და მილში დარჩა დაახლოებით 76 სმ. სიმაღლის ვერცხლისწყლის სვეტი. ტორიჩელიმ სავსებით სამართლიანად დაასკვნა, რომ მილში, ვერცხლისწყლის სვეტის ზემოთ, ცარიელი სივრცეა (უფრო

გვიან მას ტორიჩელის სიცარიელე ეწოდა). მანვე მართებულად ივარაუდა ისიც, რომ ფინჯანში ჩასხმულ ვერცხლისწყალზე ზემოქმედებას ახდენს ჰაერის წნევა, რომელიც აწონასწორებს მილში დარჩენილი ვერცხლისწყლის სვეტის წონას[85]. მაშასადამე, ტუმბოს დგუშის მიერ წყლის გარკვეულ სიმაღლემდე შეწოვის, ისევე როგორც მინის მილში ვერცხლისწყლის სვეტის ამა თუ იმ დონეზე დგომის მიზეზი „სიცარიელის შიში" კი არ არის, არამედ ჰაერის სვეტის წონა, რომელიც სითხის ღია ზედაპირზე მოქმედებს. „აქამდე ფიქრობდნენ, — სწერდა ტორიჩელი თავის მეგობარს რიჩის, — თითქოს ძალა, რომელიც ხელს უშლის დაბლა დაწევისკენ ვერცხლისწყლის სვეტის ბუნებრივ სწრაფვას, მილის ზემო ნაწილშია, სიცარიელისა თუ ძალზე გაუხშოებული მატერიის სახით. მე კი ვამტკიცებ, რომ მიზეზი მილს გარეთაა: ჭურჭელში ჩასხმულ სითხეს აწვება ჰაერის სვეტი... რა გასაკვირია, რომ სითხე შედის მინის მილში (რომელსაც ის არც მიელტვის და არც გაერბის) და მაღლა იწევს მანამ, სანამ გარეშე ჰაერით არ გაწონასწორდება"[86].

მიუხედავად იმისა, რომ ტორიჩელის ზოგიერთი ჰიპოთეტური მოსაზრება ჰიპოთეზადვე დარჩა, ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამ ცდის მნიშვნელობა. ადამიანი თითქოს პირველად გასცდა უშუალო გრძნობადი აღქმის ტლანქ მონაცემებს; დიახ, მან, პირველად აღმოაჩინა, რომ ყოვლისგანმწონი ნივთიერება, რომელიც გარს არტყია ჩვენს პლანეტას, რომლითაც ვსუნთქავთ და ვსულდგმულობთ და რომელსაც, ყოველივე ამის მიუხედავად, ისევე ვერ ვგრძნობთ და ვერ განვიცდით, როგორც თევზი წყალს, თურმე ჩვენი გრძნობებისათვის სრულიად მიუწვდომელი და მოუხელთებელი ეთერული სუბსტანცია კი არ არის, არამედ მას თავისი კონკრეტული ფიზიკური თვისებები, ყოველ შემთხვევაში, წონა მაინც აქვს. „ჩვენ ვცხოვრობთ ჰაერის ოკეანის ფსკერზე და ეჭვმიუტანელი ცდებით ვამტკიცებთ, რომ ჰაერი მძიმეაო, — წერდა ტორიჩელი[87].

თავისი მეგობრის, მერსენის წრის ერთ-ერთი წევრი პიერ პეტის მეშვეობით, პასკალი ჯერ კიდევ რუანში ყოფნისას, 1646 წლის ოქტომბერში გაეცნო ტორიჩელის ცდის შედეგებს. იტა-

ლიელი კოლეგის ექსპერიმენტმა აღაფრთოვანა და სიცარიელის პრობლემის არსზე დააფიქრა იგი. ინტერესი ისეთი მძაფრი იყო, რომ, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, პასკალმა დაუყოვნებლივ გაიმეორა ტორიჩელის ცდა, თანაც, სხვადასხვა სითხით — წყლით, ზეთით, წითელი ღვინით, ხოლო შემდეგ პარიზშიც განაგრძო სიცარიელის ბუნების კვლევა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ — 1647 წ. ოქტომბერში — პარიზელი გამომცემლის პიერ მარგის ტიპოგრაფიაში დაისტამბა პასკალის ტრაქტატი „ახალი ცდები სიცარიელის შესახებ" („Nouvellex expériences touchant le vide"), სადაც ავტორი აგვიწერს თავდაპირველად ტორიჩელის ექსპერიმენტს, ხოლო შემდეგ მის მიერ ორიგინალური ხერხით ჩატარებულ რვა სხვადასხვა ცდას, რამაც უშუალოდ დაარწმუნა იგი ტორიჩელის დასკვნის უეჭველობასა და უმცთარობაში: „...აღმოჩნდა იგივე, — წერდა პასკალი, — რაც მიკვლეულ იქნა იტალიაში... აქედან მოყოლებული, მე ბევრს ვფიქრობდი ამ საკითხზე და საბოლოოდ განმიმტკიცდა რწმენა, რომ სიცარიელე არ არის რაღაც შეუძლებელი, და რომ ბუნება სულაც არ გაურბის მას ისეთი შიშით, როგორც ეს ბევრს ეჩვენება"[58]...

ახალი ფიზიკა სქოლასტიციზმთან ისეთივე ულმობელი და დაუნდობელი ბრძოლით იკაფავდა გზას, ისეთივე თავგანწირული ძალისხმევით იმკვიდრებდა არსებობის უფლებას, როგორც ახალი ასტრონომია. პასკალის ტრაქტატს ჯერ კიდევ სტამბის საღებავი არ შეშრობოდა, რომ მის წინააღმდეგ გაილაშქრა იეზუიტური „კოლეჟ-დე-კლერმონის" (დღეს ლუი დიდის ლიცეუმი) რექტორმა ეტიენ ნოელმა[59], რომელიც გადაჭრით უარყოფდა, საერთოდ, ყოველგვარი სიცარიელის არსებობას და, ცხადია, არც ე. წ. „ტორიჩელის სიცარიელისათვის" უშვებდა გამონაკლისს: „მე ვამტკიცებ. რომ ეს სხეულია, ვინაიდან ის მოქმედებს როგორც სხეული, გადატეხით და არეკვლით გადასცემს სინათლეს, აბრკოლებს მეორე სხეულის მოძრაობას, როგორც ეს შეიძლება შევნიშნოთ ვერცხლისწყლის დაწევის მიხედვით, როცა ზემო ნაწილში ამ სიცარიელით სავსე მილს გადმოვაპირქვავებთ. მაშასადამე, ვერცხლისწყლის ადგილს სწორედ ეს სხეული იკავებს"... „მართლაც, იმის ვარაუდი, რომ ესა თუ ის სივრცე ცარიელია, როცა სიცარიელედ ყოველგვარი სხეულის არარსე-

ბობას ვსახავთ, არა მარტო ეწინააღმდეგება საღ აზრს, არამედ ამასთან, წინააღმდეგობის შემცველიცაა. ამ ვარაუდის მიხედვით, ეს სიცარიელე სივრცეა და, იმავდროულად, არც არის სივრცე, რაკიღა გულისხმობს, რომ ის — სივრცეა, მაგრამ თუ ის სივრცეა, შეუძლებელია ყოველგვარი სხეულისაგან დაცლილი სიცარიელე იყოს, ვინაიდან ყოველი სივრცე მხოლოდ და მხოლოდ სხეულად გვევლინება... და რაკი ის სივრცეა, ჩვენ ვასკვნით, რომ ის, იმავდროულად, სხეულიც არის — დიდი, მცირე, მრგვალი, კვადრატული, და ყველა ეს განსხვავება, რასაც სიცარიელესთან საერთო არა აქვს რა, უარყოფს არარას და აღიარებს რაღაცას, რის გამოც არისტოტელე ამბობს: „იმას, რაც არ არის, განსხვავება არ გააჩნია“[90].

სქოლასტიკოსები ისევე ჰგვანან ერთიმეორეს, როგორც მათი მოპირისპირენი: კვლავ დახავსებულ აზრებში ქექვა, კვლავ მკვდარ ტექსტებში კირკიტი, ყოველივე ახლის ხელაღებით უარყოფა, განუსჯელად უკუგდება ყოველივე თანადროულის. „ბევრი, ჩემს შრომებს რომ წაიკითხავს, იმას კი არ ეცდება, როგორ გაერკვეს ჩემს აზრებში, არამედ იმას, რომ ხრიკებით თუ მანქანებით, სიმართლით თუ სიმრუდით უარყოს ყველა ჩემი საბუთი“ — გულისტკივილით აღნიშნავდა გალილეი[91]. და მაინც, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, „პერიპატეტიკოსთა ბელადის“ (princeps peripateticorum)[92] ავტორიტეტი უკვე უძლური იყო ჰეშმარიტების წვდომით ფრთაშესხმული აზრის წინაშე. ყველაფერში, რაც მეცნიერებას ეხება, ჩვენ ვენდობით მხოლოდ გონებას და გრძნობებს“, — წერდა პასკალი თავის საპასუხო წერილში 1647 წლის 29 ოქტომბერს[93].

როგორც ჰეშმარიტ პოლემისტს შეშვენის, პასკალის პასუხს არც ხანდაზმული მოწინააღმდეგის მიმართ პატივისცემის ტონი აკლია, არც მახვილგონიერება და არც შემპარავი ირონია: „...თქვენ ისე დიდებულად დაიცავით პერიპატეტიკოსების ფიზიკა, როგორც ეს, საერთოდ, ხელეწიფება კაცს, და ჩემის აზრით, თქვენი წერილი იმდენადვე მოწმობს თქვენ მიერ დაცული საგნის სისუსტეს, რამდენადაც თქვენი გონების ძალმოსილებას. ხოლო სიმარჯვე, რომლითაც სიცარიელის შეუძლებლობას ამტკიცებთ,

თამამად გვავარაუდებინებს, რომ გაცილებით უკეთ შეგეძლოთ დაგეცვათ საპირისპირო აზრი"[94].

პოლემიკა გაჭიანურდა. რაც უფრო მშვიდი, აუმღვრეველი და თავდაჯერებულია საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული პასკალი, მით უფრო ნერვიული და ისტერიული ხდება მოთმინებიდან გამოსული და აღშფოთებული ნოელის ტონი. ყოვლად ღირსი მამა აქვეყნებს სპეციალურ ნაშრომს „სიცარიელის სისავსე" („Le plein du vide"), რომელსაც პრინც დე კონტის უძღვნის. იეზუიტური დემაგოგიის მთელი არსენალი — სიცრუე, მაბეზღრობა, ცილისწამება, მოწინააღმდეგის მოყივნება, და ბოლოს, მუქარანარევი ლანძღვა-გინება — მრისხანედ მგრგვინავ ანათემად ატყდება თავს და მიწასთან გასწორებით ემუქრება „ბუნების თავხედ ბრალმდებელს". მაგრამ პასკალი ყველაზე მეტად გაოგნებულია იეზუიტის უპრინციპობით: „ნეტავი გამაგებინა, — სწერს იგი ლე პაიერს, — ვინ მისცა მამა ნოელს იმისი ძალა, რომ თავის ნებაზე ათამაშოს ბუნება? ძალა, რომლის წყალობითაც სტიქონები ისევე იცვლიან თვისებებს, როგორც თავად იცვლის თვალსაზრისს; ასე რომ, სამყარო მისი ზრახვების გამუდმებულ ცვალებადობას ექვემდებარება და ესადაგება. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თითქმის შეუძლებელია უარყო ამ ღირსი მამის აზრები, ვინაიდან ის უფრო სწრაფად იცვლის მათ, ვიდრე პასუხის გაცემას მოასწრებს კაცი"[95].

ზემოთ ვთქვი და ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ „სქოლასტიკოსები ისევე ჰგვანან ერთიმეორეს, როგორც მათი მოპირისპირენი". მკითხველი ყველგვარი კომენტარის გარეშეც დარწმუნდება ამ აზრის სიმართლეში, თუკი ერთმანეთს შეუდარებს მამა ნოელის პასკალისეულ დახასიათებას და იტალიელი სქოლასტიკოსების მისამართით წარმოთქმულ სიტყვებს, რომელთა ავტორია გალილეო გალილეი: „როგორ გინდა მოდრიკო ბრიყვი, თუკი იმ მომენტში, როცა მის ერთ სიბრიყვეს აპათილებ, დაუყოვნებლივ მეორე — უფრო დიდი სიბრიყვის მტკიცებას იწყებს და ასე შემდეგ დაუსრულებლივ?"[96]...

მაგრამ პასკალმა მშვენივრად იცის, რა შედეგი შეიძლება მოპყვეს იეზუიტის ამნაირ გამძვინვარებას. სქოლასტიკოსები მარტოოდენ თეორიული მსჯელობის მანერით როდი ჰგვანან ერთი-

ფეორეს. არა, საოცრად მსგავსია მათი სიმუსტლეც, ეერაგობაც, საზარელი შურისძიებაც. პასკალს ახსოვს მიგელ სერვეტის, ჯორდანო ბრუნოს, ლუჩილიო ვანინის, გალილეო გალილეის, ტომაზო კამპანელასა და მეცნიერების სხვა დიდ მარტვილთა ტრაგიკული ხვედრი. ამ მხრივ, არც მისი თანამემამულენი წარმოადგენდნენ გამონაკლისს. კათოლიკური რეაქცია ერთნაირად დაუნდობელია იტალიაშიც და საფრანგეთშიც. სწორედ კლერიკალთა რისხვას გაურბის რენე დეკარტი საფრანგეთიდან — ჰოლანდიაში, ჰოლანდიიდან — შვეიცარიაში... ლუი XIII-ის დროს პარლამენტის (უმაღლესი სასამართლოს) მიერ გამოტანილი საგანგებო დადგენილება კატორღით ემუქრება ყველას, ვინც გაბედავს არისტოტელეს მოძღვრების ხელყოფას, მის წინააღმდეგ გალაშქრებას". ალბათ ამიტომ, 1621 წ. ფრანგი მედიკოსი სებასტიენ ბასონი პარიზში კი არა ჟენევაში აქვეყნებს „ნატურალური ფილოსოფიის თორმეტ წიგნს არისტოტელეს წინააღმდეგ" („Philosophiae naturalis adversus Aristotelem libri XII"). სამი წლის შემდეგ მისი თანამოაზრენი — მედიკოსი და ქიმიკოსი ეტიენ დე კლავი, ჟან ბიტო და ანტუან ვიიონი პარიზში აკრავენ არისტოტელეს წინააღმდეგ მიმართულ თეზისებს, რომლებითაც საჯარო პაექრობაში იწვევენ ბერძენი ფილოსოფოსის ყველა მიმდევარს. დისპუტი არ შედგა. დე კლავი დააპატიმრეს. ვიიონი მიიმალა. პარლამენტის განაჩენით, თეზისები დაწვეს, ხოლო დისპუტის სამივე ორგანიზატორს ებრძანა 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინათ პარიზი, სამუდამოდ აეკრძალათ იქ დაბრუნება და ლექციების კითხვა[98]...

„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს"... მამა ნოელის გამომწვევი ტონი აშკარად პროვოკაციულ ხასიათს იღებს, ხოლო პასკალი ჯერ კიდევ ისე სუსტად გრძნობს თავს, რომ თვითონ ვერ ახერხებს წერას და იძულებულია დას უკარნახოს თავისი სათქმელი. ეგეც არ იყოს, იეზუიტთან უნაყოფო პაექრობისათვის სად სცალია ამ სნეულ კაცს, როცა ამდენი საინტერესო პრობლემაა გადასაჭრელი, ამდენი საშური საქმე — მოსაგვარებელი, მოსაწესრიგებელი, მოსასწორები?.. და პასკალი კეთილგონივრულად არჩევს დუმილს. რამდენიმე წლის შემდეგ ის კვლავ შეეჯახება იეზუიტებს, მაგრამ ამჯერად არა მეცნიერული აზრის, მეცნი-

ერული მსოფლმხედველობის, არამედ ჭეშმარიტი რწმენის დასაცავად.

ხომ სრულიად ფუჭი და ზედმეტი იყო, ერთის შეხედვით, მამა ნოელთან პაექრობა, მაგრამ მას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია პასკალისათვის. პოლემიკამ მთლიანად გამოავლინა პერიპატეტიკოსთა ფიზიკის არა ერთი და ორი მანკიერი ასპექტი, სქოლასტიკოსთა თეორიული მომზადების, მათი განათლებისა და განსწავლულობის საერთო დონე, რაც პასკალისათვის შემდგომი კვლევაძიების გარკვეულ სტიმულად იქცა. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ, ის გამონაკლისი როდია ახალი მეცნიერების დიდ კორიფეთა შორის. გალილეო გალილეის ბიოგრაფიაში, რომლის ავტორია მისი მოწაფე ვივიანი, ვკითხულობთ: „...გალილეი იტყოდა ხოლმე: არ არსებობს უფრო დახვეწილი და დახელოვნებული მოძღვარი, ვიდრე უმეცრება, ვინაიდან ახალი და ზუსტი ცდებით დასაბუთებული ბევრი მახვილგონივრული დასკვნა მხოლოდ იმიტომ იქნა მიკვლეული, რომ წინ აღვდგომოდი მოპირისპირეთა უმეცრებას, ჩემდა თავად კი სულაც არ მჭირდებოდაო მათზე თავის მტვრევა“[99].

პასკალი მიხვდა, რომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თვით კვლევის პერიპატეტიკული მეთოდის ყველა ნაკლოვანი მხარის მხილება და, ამ გზით, მისი სრული და საბოლოო უარყოფა. სქოლასტიკოსები თავიანთ ფიზიკას განიხილავდნენ როგორც ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულსა და თავის თავში დასრულებულ მეცნიერებას, როგორც სამყაროს ახსნის ერთადერთ ჭეშმარიტ თეორიას და შესაძლებლად თვლიდნენ მხოლოდ და მხოლოდ მისი ცალკეული დეტალების შემდგომ დახვეწას და დაზუსტებას. თვითეული ახალი ფაქტი აღიქმებოდა როგორც კანონიზირებული ტექსტების ამა თუ იმ პარაგრაფის ახალი ილუსტრაცია, ხოლო, თავის მხრივ, ყოველი სიახლის ახსნა-განმარტებას ისევ და ისევ ამ ძველისძველ ტექსტებთან მისი შეჯერება-შეპირისპირება ედო საფუძვლად.

ასე იკვროდა ერთგვარი „ბიწიერი წრე“ (circulus vitiosus), საიდანაც თავის დაღწევის ერთადერთ გზად და საშუალებად პასკალს მიაჩნდა, უწინარეს ყოვლისა, ახალი, ექსპერიმენტული კვლევით დადგენილი ფაქტების რაც შეიძლება მეტი სიმრავლის დაგ-

როვება და მხოლოდ შემდეგ — მათი ობიექტური, სქოლასტიკური ინტერპრეტაციისაგან თვისობრივად განსხვავებული, მეცნიერული დაფუძნება და დასაბუთება, ვინაიდან ღრმად სწამდა, რომ „ყოველგვარი ვარაუდის გამოთქმა, სათანადო ფაქტების უქონლად, იმ კაცის ქცევასა ჰგავს, დაკეტილ სახლში რომ უნდა შესვლა და გასაღები კი არა აქვს; უაზროდ დაბორიალობს გარეშემო, ხელს უფათურებს კედლებს და დროდადრო ფანჯრებში იქყიტება. ფაქტები — სწორედ ის გასაღებია“[100].

მაშასადამე, საჭიროა ფაქტები და მხოლოდ ფაქტები. ახალი მეცნიერების ეს ჭეშმარიტი „არსობის პური“, ისევე აუცილებელია ზუსტი კვლევა-ძიებისათვის, როგორც სიცოცხლისთვის — წყალი, როგორც სუნთქვისათვის — ჰაერი. „მთელი თავისი სრულქმნილების მიუხედაკად, — წერს დიდი რუსი ფიზიოლოგი გ. ი. პავლოვი, — ფრთა ვერასოდეს ააფრენდა ფრინველს ცაში, ჰაერს რომ არ ემყარებოდეს. ფაქტები — სწავლულის ჰაერია. უიმათოდ ის ვერასოდეს ვერ შესძლებდა მაღლა აფრენას“[101]... და პასკალიც აგროვებს ფაქტებს: ხელახლა იმეორებს ტორიჩელის ექსპერიმენტს, ჯიუტი თანმიმდევრობით ატარებს ახალ, ორიგინალურ ცდებს. შედეგი კვლავინდებურად უცელელია. მამა ნოელი აშკარად ცდება: ვერცხლისწყლის სვეტს ზემოთ დარჩენილი სივრცე არა მარტო გვეჩვენება ცარიელად, არამედ მართლაც ცარიელია: „მას შემდეგ, რაც მე დავამტკიცე, — წერს იგი, — რომ ჩვენი გრძნობებისათვის მისაწვდომი და ჩვენთვის ცნობილი არც ერთი სხვა ნივთიერება არ ავსებს ამ სივრცეს, რომელიც ცარიელი გვეჩვენება, ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ — სანამ მისი ამვსები რომელიმე ნივთიერების არსებობას არ დამიმტკიცებენ, — ეს სივრცე მართლაც ცარიელი და ყოველგვარი ნივთიერებისაგან დაცლილია. ამიტომ ნამდვილ სიცარიელეზე ისევე ვილაპარაკებ, როგორც მოჩვენებითს სიცარიელეზე ვმსჯელობდი და მართებულად მივიჩნევ ადრე აღწერილ და აბსოლუტური სიცარიელის შესატყვის წესებს, ისევე როგორც მოჩვენებითი სიცარიელის მიმართ მათ მართებულობას ვაღიარებდი“[102].

ცღების შედეგთა ანალიზისა და სიცარიელის ბუნების თეორიული კვლევის პროცესში პასკალი, ბოლოს და ბოლოს, აღმო-

აჩენს ჭეშმარიტების წვდომის უტყუარ გზას; მის სულში ანაზდეულად იკვეთება თავისი სისხარტით და სისადავით გასაოცარი აზრი: თუკი მილში ვერცხლისწყლის სვეტის დონეს „სიცარიელის შიში“ კი არ განსაზღვრავს, არამედ სითხის ღია ზედაპირზე მოქმედი ჰაერის სვეტის სიმძიმე, მაშინ ამ უკანასკნელის სიმაღლის შემცირება უშუალოდ გამოიწვევს იმას, რომ ვერცხლისწყალი მილში დაბლა დაიწევს, ამისთვის კი საკმარისია მაღალი მთის ძირას ჩავინიშნოთ ვერცხლისწყლის დონე და შემდეგ მწვერვალზე ავიტანოთ ხელსაწყო. და, აი, აქ პასკალს ახსენდება თავისი მშობლიური ქალაქი კლერმონ-ფერანი, რომელსაც დასავლეთით თავს დაჰყურებს ოვერნის ქედის მძლავრი განტოტება — პიუი-დე-დომი (Puy-de-Dôme). 1647 წლის 15 ნოემბერს პასკალი სათანადო მითითებებითა და ახსნა-განმარტებებითურთ უგზავნის წერილს თავის სიძეს ფლორენ პერიეს, რომელიც კლერმონში ცხოვრობს, და სთხოვს დაეხმაროს მის მიერ მოფიქრებული ცდის ჩატარებაში:

„..ხომ გესმით, თუ ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლე მთის წვერზე უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე მთის ძირას (მე ბევრი საბაბი მაქვს საიმისოდ, რომ ასე ვიფიქრო, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ვინც ამ საკითხზე წერს, სხვაგვარად მსჯელობს), შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ მოვლენის ერთადერთი მიზეზია ჰაერის სიმძიმე და არა უბადაღებული horror vacui. ცხადია, მთის ძირას ჰაერი უფრო მკვრივი უნდა იყოს, ვიდრე მთის წვერზე, და მაინც უაზროობა იქნებოდა გვეგვარაუდა, თითქოს, მასში სიცარიელის შიში მთის ძირას უფრო დიდია, ვიდრე მთის წვერზე“[10]...

პერიე სიამოვნებით დათანხმდა და დახმარება აღუთქვა ცოლისძმას, მაგრამ გადაუდებელი საქმეების გამო მხოლოდ ათი თვის შემდეგ მოახერხა ექსპერიმენტის ჩატარება. დიახ, მხოლოდ ათი თვის შემდეგ, 1648 წლის 19 სექტემბერს პერიემ როგორც იქნა მოიცალა და პასკალის მითითებების შიხედვით განახორციელა ცდა, რომელშიც მის გარდა „კლერმონ-ფერანის რამდენიმე დარბაისელი მოქალაქეც“ მონაწილეობდა; ესენი იყვნენ: აბატი ბონიე, მისი კოლეგა, კათედრალური ტაძრის კანონიკი მონიე, სასამართლო პალატის წევრები — ლავილი და ბეგონი, ექიმი ლაპორტი. დილის

რვა საათზე ისინი შეიკრიბნენ მონასტრის ბაღში — ქალაქის ყველაზე დაბალ ადგილას.

„ჩვ ჩავასხი ჭურჭელში“ — სწერდა პერიე პასკალს, — წინა სამი დღის განმავლობაში ჩემს მიერ საგულდაგულოდ გაწმენდილი ვერცხლისწყალი, ავიღე თანაბარი დიამეტრის მქონე და 4 ფუტის სიგრძის ორი მინის მილი, რომელთა თითო ბოლო დარჩილული იყო, თითო კი — ღია, და ჩავატარე ჩვეულებრივი „სიცარიელის ექსპერიმენტი“. თვითეულ მილში დარჩენილი ვერცხლისწყალი ერთსა და იმავე დონეზე დადგა, სახელდობრ, 26 დუიმისა და $3^1/_2$ ხაზის სიმაღლეზე“[104].

ცდა კიდევ ორჯერ გაიმეორეს და ზუსტად იგივე შედეგი მიიღეს, რის შემდეგაც ერთი ბარომეტრი მონასტრის ბაღში დატოვეს და მეოვალყურედ მამა შასტენი მიუჩინეს, მეორე კი ფლორენ პერიემ, თავის თანმხლებ პირებთან ერთად, პიუი-დე-დომის მწვერვალზე, დაახლოებით 1500 მ. სიმაღლეზე აიტანა. აქ ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლე 23 დუიმისა და 2 ხაზის ტოლი აღმოჩნდა. განსხვავებამ შეადგინა 3 დუიმი და $1^1/_2$ ხაზი, ე. ი. თითქმის 84,4 მმ., რამაც ცდის მონაწილენი „განგვაცვიფრა და აღგვაფრთოვანაო“ — სწერდა პერიე ცოლისძმას... დაბლა დაშვებისას მან კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა ექსპერიმენტი. „იმ ადგილას, რომელსაც ლა-ფონ-დე-ლარმი ეწოდება და რომელიც მონასტრის ბაღზე გაცილებით მაღალი, ხოლო პიუი-დე-დომის მწვერვალზე გაცილებით დაბალია, მილში ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლემ 25 დუიმი შეადგინა“... ბაღში დაბრუნებულებს მამა შასტენმა დაუდასტურათ, რომ ხელსაწყოს ჩვენება მთელი ამ ხნის განმავლობაში უცვლელი იყო. მთიდან ჩამოტანილმა ბარომეტრმა აქ კვლავინდებურად 26 დუიმი და $3^1/_2$ ხაზი აჩვენა, რამაც ცდის მონაწილენი საბოლოოდ დაარწმუნა მათ მიერ განხორციელებული ექსპერიმენტის სიზუსტეში.

სიძისგან ცდის დაწვრილებით, დეტალური აღწერა და საფუძვლიანი ანგარიში რომ მიიღო, პასკალმა, თავის მხრივ, კიდევ რამდენიმეჯერ გაიმეორა ექსპერიმენტი: პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ძირას და მის წვერზე, სენ-ჟაკის კოშკზე, კერძო სახლში — მაღალი, ოთხმოცდაათ საფეხურიანი კიბის თავზე. ბარომეტრულმა სხვაობამ შეადგინა დაახლოებით ორი ხაზი. ექსპე-

რიმენტულმა კელევამ მთლიანად დაადასტურა პასკალის თეორიული დასკვნის სისწორე. „ასე დაასრულა თავისი მიწიერი არსებობა ძველთუძველესმა horror vacui-მ“.[105]. ასე დაიწერა პასკალის სახელგანთქმული თხზულება, რომელიც 1648 წლის ღამლევს დაიბეჭდა შარლ სავროს ტიპოგრაფიაში: „ამბავი სითხეთა წონასწორობის დიდი ექსპერიმენტისა, რომელიც ჩაფიქრებულ იქნა ბ-ნ ბ. პასკალის მიერ, იმ მიზნით, რომ შეექმნა სიცარიელის შესახებ გამოქვეყნებულ მოკლე ანგარიშში მკითხველისათვის აღთქმული ტრაქტატი, და რომელიც განახორციელა ბ-ნმა ფ. პერიემ ოვერნის ქედის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ, ხალხში პიუი-დე-დომად წოდებულ მწვერვალზე“ („Récit de la grande expérience de l'équilibre des liqueurs, projetée par le Sieur B. Pascal, pour l'accomplissement du Traité qu'il a promis dans son abregé toutchant le vuide, et fait par le Sieur F. P. en un des plus hautes Montagnes d'Auvergne, appelée vulgairement le Puy-de-Dôme“).

პიუი-დე-დომის ექსპერიმენტმა „დაამტკიცა, — წერდა პასკალი, — რომ წყალი ტუმბოში სხვადასხვა დონეს აღწევს სიმაღლის, ადგილმდებარეობისა თუ ამინდის მიხედვით; რომ ის ყოველთვის ჰაერის სიმძიმის პროპორციულია და, ამრიგად, დაასრულა ამ მოვლენის შეცნობა. მან გვიჩვენა წყლის დონის ცვალებადობის ჭეშმარიტი მიზეზი და ბოლო მოუღო ყოველგვარ ეჭვს; მან ცხადყო, რომ არ არსებობს სიცარიელის შიში და სრული სინათლე მოჰფინა ამ საკითხს. დაე, დაამტკიცონ ახლა, თუ შეუძლიათ, — ჰაერის სიმძიმის გარეშე — რატომაა, რომ შემწოვი ტუმბოები წყალს ერთი მეოთხედით დაბლა ქაჩავენ პიუი-დე-დომზე, ვიდრე დიეპში, ან რატომაა, რომ ერთი და იგივე სიფონი წყალს მაღლა სწევს დიეპში, მაგრამ ვერ „ახერხებს“ ამას პარიზში?.. განა ბუნებას მთის მწვერვალზე უფრო მეტად ეშინია სიცარიელის, ვიდრე ხეობაში, ან უფრო მეტად უფრთხის მას ავდარში, ვიდრე დარში? ან, იქნებ, ეს შიში სხვადასხვანაირია სამრეკლოზე, სხვენში, ეზოში?

დაე, არისტოტელეს მიმდევრებმა შეკრიბონ ყველაფერი, რაც მათ მოძღვარს ან მის კომენტატორებს დაუწერიათ და, თუ შეუძლიათ, ახსნან ყოველივე ეს სიცარიელის შიშით. წინააღმდეგ

შემთხვევაში დე აღიარონ, რომ ექსპერიმენტებია ის მოძღვარი, რომელსაც უნდა მივსდიოთ ფიზიკაში; რომ პიუი-დე-დომის ექსპრიმენტმა საფუძველი გამოაცალა სიცარიელის შიშის საყოველთაო რწმენას და ერთხელ და სამუდამოდ დაადგინა წარუვალი ჭეშმარიტება; რომ ბუნებას სულაც არ ეშინია სიცარიელის და არ გაურბის მას; და რომ, ბოლოს, ჰაერის მასის სიმძიმეა ყველა ამ მოვლენის ჭეშმარიტი მიზეზი, რასაც აქამდე ამ მოჩვენებითს მიზეზს მიაწერდნენ"[106]...

ჰიპოთეზა, რომელსაც ამართლებს და ადასტურებს ექსპერიმენტი, — ეს უკვე მეცნიერული კონცეფციაა, სადაც ცდისეული ფაქტების გარკვეული სიმრავლე ლოგიკური მსჯელობითა და დასკვნებითაა გაერთიანებული. ყველაზე უკეთესია ის მეცნიერული კონცეფცია, რომელიც ყველაზე უფრო ნაყოფიერია, სადა, მარტივი, ხელსაყრელი და რომლის მეშვეობითაც ყველაზე ზუსტად ვხსნით გრძნობად-კონკრეტული სინამდვილის ამა თუ იმ ასპექტს, მოვლენათა ამა თუ იმ ჯგუფის თვისებებს. ამნაირი კონცეფციის შექმნა მკვლევარის სიამაყეა და სიხარული. მაგრამ პასკალი არ სჯერდება მიღწეულს. არაფერი ისე უცხო არ არის მისთვის, როგორც სიმშვიდისა თუ შესვენების მოთხოვნილება, სულისმოთქმის სურვილი, საკუთარ წარმატებით ტკბობა თუ თრობა. მისი მაძიებელი აზრი უფრო მეტი დაჟინებითა და შეუპოვრობით იჭრება საკვლევი საგნის იდუმალ სიღრმეში, ცდილობს ჩასწვდეს მთელს მის სირთულეს, მრავალფეროვნებას, სისავსეს. „მე არ გამომაქვს დასკვნები ერთადერთი ექსპერიმენტის საფუძველზე, და ჩემს მიერ ჩატარებულ ცდებში მოვლენათა არა ერთ, არამედ რამდენიმე მხარეს ვიკვლევ. მე არასოდეს არ ვთამაშობ შედეგებით, რათა ისინი ამა თუ იმ წინასწარ ჩამოყალიბებულ წარმოდგენას მივუსადაგო. პირიქით, მე ვცდილობ ღირსეულად წარვმართო ყოველგვარი ექსპერიმენტული სამუშაო და ჩემთვის ყოველი ცდა, ასე ვთქვათ, ერთგვარი სასინჯი ქვაა, რომლის მეშვეობითაც ჩემს ადრინდელ წარმოდგენებს ვამოწმებ", — ამბობს რობერტ ჰუკი[107]. ასეთია პასკალის, როგორც მკვლევარის, ბუნების მცდელისა და დახვეწილი ექსპერიმენტატორის მეცნიერული მრწამსიც...

მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დაამტკიცა ატმოსფერული წნე-

ვის არსებობა, რომელიც აშკარა ზემოქმედებას ახდენს სითხეებსა თუ მყარ სხეულებზე, პასკალი უშუალოდ დაინტერესდა პრობლემით: როგორ, რა გზით, რანაირად ხდება ამ წნევის გადაცემა თვით ატმოსფეროს შიგნით? არქიმედესა და გალილეის ჰიდროსტატიკურ გამოკვლევებზე დაყრდნობით[108], პასკალმა წამოაყენა გენიალურად მარტივი ჰიპოთეზა: ჰაერის წნევა სითხეებს შიგნით არსებული წნევის მსგავსი უნდა იყოსო, ხოლო შემდეგ მისთვის ჩვეული ზუსტი და მახვილგონივრული ცდების სერიით დაადასტურა ამ ჰიპოთეზის სისწორე. მან ცხადყო, რომ მყარი სხეულებისაგან განსხვავებით, როგორც სითხის, ისე გაზის ცალკეული ფენებისა თუ მცირე ნაწილაკებისათვის ნიშნეულია დიდი მობილურობა, რაც მათ საშუალებას აძლევს თავისუფლად გადაადგილდნენ ერთურთის მიმართ ყოველი მიმართულებით.

სწორედ სითხისა და გაზის ნაწილაკების თავისუფალი ძვრადობით აიხსნება ის, რომ გარეშე ძალით მათზე წარმოებული წნევა არა მარტო ძალის მოქმედების, არამედ ყოველი მიმართულებით გადაიცემა. თავის პატარა, მაგრამ ღრმაშინაარსიან თხზულებაში „ტრაქტატი ჰაერის მასის სიმძიმის შესახებ" („Traité de la pesanteur de la masse de l'air"), რომელიც 1651 წელს დაიწერა, თუმცა ის მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ — 1663 წელს გამოაქვეყნა ფლორენ პერიემ, პასკალმა ეჭვმიუტანელი სიცხადით დაამტკიცა, რომ სითხესა ან გაზზე წარმოებული წნევა უცვლელად გადაეცემა სითხის ან გაზის თვითეულ წერტილს (XIX საუკუნეში პასკალის, რობერტ ბოილის, დანიელ ბერნულისა და სხვათა შრომების გათვალისწინებით, ჯოული შექმნის „გაზების კინეტიკურ თეორიას", რომელსაც შემდეგი დებულება უდევს საფუძვლად: „გაზი შედგება სწრაფად მოძრავი, უმცირესი დრეკადი ნაწილაკებისაგან, ხოლო გაზის წნევა ჭურჭლის კედლებზე სხვა არა არის რა, თუ არა ამ ნაწილაკის მიერ მათი ბომბარდირების შედეგი"[109]). ამ სხარტ ფორმულას, რომელშიაც ზღვრული ლაკონიურობით ირეკლება სინამდვილის გარკვეული მოვლენის სპეციფიკური კანონზომიერება, მისი შინაგანი არსი, — ჩვენი პლანეტის მილიარდობით მცხოვრები, ყველა ის, ვისაც სკოლაში გაუვლია ელემენტარული ფიზიკის კურ-

სი, მთელი ორი საუკუნის მანძილზე იცნობდა და იცნობს პასკალის კანონის სახელწოდებით...

რაც უფრო ფრთხილი, წინდახედული, დაკვირვებული და მოთმინებით აღვსილია პასკალი ცდების ჩატარების დროს, მით უფრო თამამი, გაბედული და მიზანსწრაფული ხდება მისი აზრი ცდით დადგენილი ფაქტების ახსნისა და მათი მეცნიერული დაფუძნებისას. „ეს მეტისმეტი სიფრთხილე ფაქტების დადგენისას და ეს კოლოსალური სითამამე დასკვნების გამოტანისას, პასკალის გენიის დამახასიათებელი ნიშანია, რომელიც ყველა სხვა მკვლევარის შემოქმედებისაგან განასხვავებს მის ნააზრევს", — წერს თანამედროვე ფრანგი პასკალოლოგი ჟაკ შევალიე[110].

ცალკე აღნიშვნის ღირსია იშვიათი მახვილგონიერება და გამჭრიახობა, რომლითაც პასკალი-ექსპერიმენტატორი ,,თეორეტიკოსი" პასკალის მიზანდასახულობას ახორციელებს. საკმარისია დავუკვირდეთ უჩვეულო კონტრასტს, ერთის მხრივ, ჩანაფიქრის უკიდურეს სირთულესა, ხოლო მეორეს მხრივ, მისი ხორცშესხმის ვირტუოზულ სიმსუბუქეს შორის, რაც ესოდენ მკაფიოდ ვლინდება ე. წ. „ჰიდროსტატიკური პარადოქსის" პასკალისეული ინტერპრეტაციისას.

ჩვენამდე მოაღწია ამ ორიგინალური ექსპერიმენტის ავტორისეულმა ჩანახატებმა: კედელზე მიმაგრებულია ხუთი სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი, რომლებსაც ფსკერზე საცობით თავდაცობილი თანაბარი დიამეტრის ნახვრეტები აქვთ. ცდა გვიჩვენებს, რომ, ჭურჭელში ჩასხმული წყლის სხვადასხვა რაოდენობის მიუხედავად, თვითეულ საცობზე ერთი და იგივე ძალა მოქმედებს „ყველა ჭურჭელში — წერს პასკალი, — წყლის სიმაღლე თანაბარია, და ზემოაღნიშნული ძალის ზომად გვევლინება წყლის იმ მასის წონა, რომელიც პირველ, ერთგვაროვანი ფორმის მქონე ჭურჭელშია ჩასხმული. და თუ წყლის ეს რაოდენობა ას ფუნტს იწონის, მაშინ საჭიროა ამავე სიდიდის ძალა თვითეული საცობის შესაკავებლად, თვით მეხუთე ჭურჭელშიაც კი, | თუმცაღა მასში ჩასხმული წყლის წონა ერთ უნციასაც არ უდრის"[111]... ერთის შეხედვით, ; ეს დასკვნა მართლაც დაუჯერებელია და წარმოუდგენელი: მეხუთე ჭურჭელში წყალი ფსკერს აწ-

ვება ძალით, რომელიც მეტია მასზე მოქმედი სიმძიმის ძალაზე, მაგრამ არაფერი პარადოქსული ამ ცდაში არ არის. ყველაფერი მარტივად წყდება პასკალის კანონის საფუძველზე, და ჩვენ ვიღებთ „ჰიდროსტატიკური პარადოქსის“ ამხსნელ ფორმულას: ჭურჭლის ფსკერზე სითხის წნევის ძალა დამოკიდებულია ჭურჭლის ფორმისაგან და უდრის სითხის. იმ ვერტიკალური სვეტის წონას, რომლის ფუძეც ფსკერის ფართობის, ხოლო სიმაღლე — სითხის დონის სიმაღლის ტოლია.

და კიდევ ერთი ცდა, რომელიც „ჰიდროსტატიკური პარადოქსის“ საილუსტრაციოდ 1648 წელს ჩაატარა პასკალმა და რომელმაც ასე განაცვიფრა მისი თანამედროვენი: წყლით სავსე, ყოველმხრივ დახშულსა და მტკიცედ შეკრულ კასრში პასკალმა ზემოდან ჩასვა წვრილი გრძელი მილი, რომელშიც სულ ერთი ლიტრი წყალი ჩავიდა; როდესაც მილი აივსო, წნევა კასრში იმდენად გაიზარდა, რომ გვერდებიდან წყალმა გამოჟონა. ეს იყო პატარა „სასწაული“ ურწმუნოთა დასარწმუნებლად...

რაც შეეხება „მორწმუნეთ“, მათ იციან, რომ, მართალია, მეცნიერული კანონი მარადიული კითხვის „რატომ?“ საბოლოო და ამომწურავი პასუხი არ არის, მაგრამ არც მარტოოდენ ლიტონი სიტყვათანაერთია, ტექნიკური ტერმინების მეშვეობით რომ აგვიწერს საკვლევ მოვლენას. მასში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ექსპერიმენტების, ცდების, დაკვირვებების ზუსტი ანალიზისა და მწყობრი ლოგიკური მსჯელობით მათი განზოგადების შედეგად საკვლევი ობიექტის შესახებ დაგროვილი მთელი ცოდნა, რაც, თავის მხრივ, უკვე ნაცნობის, მიკვლეულის, აღმოჩენილის მეშვეობით მატერიალური სინამდვილის ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ასპექტის წვდომის, მისი ახსნისა და შემეცნების ყველაზე ქმედით საშუალებად გვევლინება. არ არსებობს მეცნიერულ კანონზე უფრო მძლავრი იარაღი „ჭეშმარიტებაზე მონადირეთა“[112] ხელში. პასკალმა თვითონ გამოჭედა ეს იარაღი და, შესაძლოა, სწორედ ამიტომ უებრო სიმარჯვით იყენებს მას. აი, ის კვლავ განაგრძობს ჰიდროსტატიკური ცდების სერიას: სწავლობს ზიარი ჭურჭლის თვისებებს, იკვლევს ზოგიერთ „პარადოქსს“ და, ბოლოს, ატარებს თავის კლასიკურ ექსპერიმენტს,

რომელიც შემდგომ ჰიდროსტატიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა:

„...თუ წყლით სავსე და ყოველმხრივ დახშულ ჭურჭელს აქვს ორი ნახვრეტი, რომელთაგან ერთი ასჯერ მეტია მეორეზე და, თანაც, ორივე მჭიდროდ დახურულია დგუშით, მაშინ ერთი კაცი, რომელიც პატარა დგუშს აწვება, გააწონასწორებს ასი კაცის ძალას, რომლებიც დიდ დგუშს აწვებიან და დასძლევს ოთხმოცდაცხრამეტი კაცის ძალას. და როგორიც უნდა იყოს ამ ნახვრეტთა თანაფარდობა, ყოველთვის, როცა თვითეულ დგუშზე მოდებული ძალები ისე შეეფარდებიან ერთიმეორეს, როგორც ნახვრეტები, ორივე ეს ძალა გაწონასწორებული იქნება... აქედან გამომდინარეობს, რომ წყლით სავსე ჭურჭელი მექანიკის ახალ პრინციპად და ახალ მანქანად გვევლინება, ვინაიდან მისი მეშვეობით კაცს შეუძლია ნებისმიერი სიმძიმის აწევა... უნდა ითქვას, რომ ამ მანქანაში ვლინდება იგივე მუდმივი კანონი, რაც ჩვენთვის უკვე ცნობილ მექანიზმებში, სახელდობრ, ბერკეტში, ჭოჭონაქში, უსასრულო ხრახნში და ა. შ. ხოლო ამ კანონის მოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ გზა იგივე პროპორციით იზრდება, როგორითაც იზრდება ძალა. რადგან ცხადია, რომ თუ ერთი ამ ნახვრეტთაგანი ასჯერ დიდია მეორეზე, მაშინ კაცი, რომელიც პატარა დგუშს აწვება და ერთი დუიმით დაბლა სწევს მას, იმავდროულად, ერთ მეასედი დუიმით მაღლა ასწევს მეორე დგუშს... ეს შეიძლება მიჩნეულ იქნეს ზემოაღნიშნული მოვლენის ჭეშმარიტ მიზეზად, რადგან აშკარაა, რომ აბსოლუტურად სულერთია, ჩვენი ძალისხმევით ეს გირვანქა წყალს გადავაადგილებთ ერთი დუიმით თუ ერთ გირვანქა წყალს — ასი დუიმით“[11].

პასკალის მიერ აღმოჩენილი სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად თანამედროვე ჰიდრავლიკური მანქანებისა და, კერძოდ, ჰიდრავლიკური წნეხის მოქმედებას. ჩვენ ვიცით, რომ ჰიდრავლიკური მანქანა გვაძლევს ძალაში მოგებას იმდენჯერ, რამდენჯერაც მისი დიდი დგუშის ფართობი მეტია პატარა დგუშის ფართობზე (აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პასკალის კანონით მიკვლეული სპეციფიკური ფენომენი — გაზებისა და სითხეების მიერ წნევის გადაცემის თვისება ფართოდაა დანერგილი და გამოყენებული თანამედროვე ტექნიკაში, კერძოდ, ავტომანქანების ჰიდრავლიკურ მუხრუჭში, სხვადასხვა სახის პნევმატურ ავტომატსა

თუ ხელსაწყოში, როგორც მაგალითად, სამოქლონო თუ ქვანახშირის სანგრეე ჩაქუჩში, სილაჭავლურ აპარატში, რომლითაც შენობის კედლებს ღებავენ, სპეციალურ მექანიზმებში, რომლებიც ავტომატურად აღებენ და კეტავენ მეტროს მატარებლის ვაგონებისა თუ ტროლეიბუსის კარებს, რკინიგზის ვაგონის პნევმატურ მუხრუჭში და ა. შ.).

როგორც სამართლიანად შენიშნავს ლეონ ბრუნშვიგი, პასკალის ამ აღმოჩენის წყალობით, ჰიდროსტატიკა ზოგადი მექანიკის კერძო შემთხვევად (un cas particulier) გვევლინება"... ამიტომ, ფრანგი მეცნიერის აზრით, პასკალს რომ დასცლოდა, „თავის ფიზიკურ გამოკვლევებს, ალბათ, წაუმძღვარებდა „მექანიკის პატარა ტრაქტატს", რომელსაც გაკვრით იხსენიებს თავის თხზულებაში „სითხეთა წონასწორობის შეასხებ"[114].

მაშ, ასე, ჩვენ მიმოვიხილეთ ერთი მეცნიერული კონცეფციის ჩასახვის, ხორცშესხმისა და დამკვიდრების დრამატული ისტორია, თვალი გადავავლეთ მისი ავტორის უშრეტი შემოქმედებითი აქტივობით აღბეჭდილი სამეცნიერო სარბიელის ერთ საეტაპო საფეხურს. რა ვუყოთ, რომ ეს კონცეფცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გრანდიოზული სისტემის მხოლოდ ერთი პატარა მომენტია, ან, ფიგურული გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, მხოლოდ წვეთია ზღვაში? ისიც ხომ მართალია, რომ ზღვა წვეთებისაგან შედგება? სწორედ ამნაირ მომენტთა სიმდიდრე, სიუხვე, ნაყოფიერება ქმნის მსოფლიო მეცნიერების დიად საგანძურს, სადაც ყველაფერი ღრმად პიროვნულია თავისი გენეზისით და, იმავდროულად, ზოგადსაკაცობრიოც თავისი არსით, მნიშვნელობითა და დანიშნულებით. „რა განასხვავებს სამეცნიერო ენას საყოველდღიურო ენისაგან, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით? რამ განაპირობა ის, რომ სამეცნიერო ენა ინტერნაციონალური ენა გახდა? მეცნიერული ცნებების, სამეცნიერო ენის ერთიანობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მათ ქმნიდნენ ყველა დროისა და ყველა ხალხის უკეთესი მოაზროვნენი. ცალ-ცალკე თუ ერთობლივი ძალისხმევით, თუკი გავითვალისწინებთ საბოლოო შედეგებს, ისინი ქმნიდნენ იმ ტექნიკური რევოლუციების სულიერ იარაღს, რომლებმაც უკანასკნელ ასწლეულებში ძირეულად შეცვალეს კაცობრიობის ცხოვრება. მათ მიერ მიკვლეული ცნე-

ბები ცარგვალზე მოციმციმე ვარსკვლავებივით გვინათებენ გზას ადამიანთა გამაოგნებელ ქაოსში და გვასწავლიან, როგორ გამოვიტანოთ ზოგადი ჭეშმარიტება ცალკეული დაკვირვებიდან“ (ალბერტ აინშტაინი[115])...

ესოდენ მძიმე, დაძაბულ და ქანცგამწყვეტ შრომას, დაუცხრომელ კვლევა-ძიებას შეუძლებელია თავისი დაღი არ დაესვა პასკალის ისედაც სუსტი და ნაადრევად შერყეული ჯანმრთელობისათვის. ამიტომ იყო, რომ ექიმებმა გადაჭრით მოსთხოვეს ცხოვრების რეჟიმის შეცვლა და სასტიკად აუკრძალეს ყოველგვარი გონებრივი მუშაობა. 1649 წლის აპრილში ეტიენ პასკალი რუანიდან სასწრაფოდ ჩავიდა პარიზში, სადაც ჯერ კიდევ გუჟუნებდა ის-ის იყო მიმცხრალი „პარლამენტარული ფრონდის“ ექო, მაისში კი ბლეზსა და ჟაკლინთან ერთად გაემგზავრა კლერმონ-ფერანს. შვილების ბედით შეშფოთებულ მამას სურდა ამ გზით მაინც ჩამოეშორებინა ბლეზის ყურადღება სამეცნიერო ინტერესებისათვის და, გარდა ამისა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ძონაზვნად აღკვეცის სურვილი ჩაეხშო თავისი „საბრალო ვოგონას“ გულში. კლერმონში, ჟილბერტასა და ფლორენ პერიეს ოჯახში, ისინი თითქმის წელიწადნახევარი დარჩნენ. მშობლიური ქალაქის ჰავამ, მოსიყვარულე და მზრუნველი ადამიანების გარემოცვაში ცხოვრებამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ბლეზის ჯანმრთელობაზე: ის გაერთო, გახალისდა და კიდეც მოიკეთა. სამაგიეროდ, ჟაკლინი კვლავინდებურად კარჩაკეტილი და გულჩათხრობილი დარჩა.

ჩვენამდე მოღწეული ცნობები პასკალის ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ ძალზე ძუნწია. ვიცით მხოლოდ, რომ 1650 წლის ნოემბერში მამა-შვილები პარიზს დაბრუნდნენ, ხოლო 1651 წლის 24 სექტემბერს ეტიენ პასკალი გარდაიცვალა. ხუთი წლის წინათ საყვარელი მამის ავადმყოფობა ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა ბლეზს, ახლა კი ის — მრავლისმომსწრე და მრავლისმნახველი, ცხოვრების ორომტრიალში, შრომისა და ბრძოლის ქარცეცხლში გამობრძმედილი და დაბრძენებული, — უფრო მტკიცედ, სტოიკური ქედუხრელობით შეეგება იმ კაცის სიკვდილს, რომელიც მისთვის მარტო მამა კი არ იყო, არამედ უახლოესი მეგობარიც, თანამოაზრეც და თანამზრახველიც. „ხუთი წლის

წინათ მე, ალბათ, ვერ გადავიტანდი მის დაკარგვას, — სწერდა პასკალი 1651 წლის 17 ოქტომბერს თავის დას და სიძეს კლერმონში, — და თუმცა ახლა მისი სიცოცხლე ჩემთვის ისევე აბსოლუტურად აუცილებელი აღარ მეჩვენება, როგორც მაშინ, მაგრამ, იცით, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ერთ ათ წელს რომ მაინც არ მომკლებოდა მისი მზუნველობა და სიყვარული? თუმცა რის ათ წელს, ჩემთვის ის საჭირო იქნებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში"[116].

ბედისწერის წინაშე მოწიწებით ქედმოდრეკილი, თვინიერი და მორჩილი სულის ჩუმი წუხილი, სასოება, სინაზე, სევდა სულის მოსახსენებლად დანთებული სანთელივით თავს დაჰკანკალებს უძვირფასესი მიცვალებულის ხსოვნას. „ერთი წმინდა კაცისაგან გამიგონია, — განაგრძობს პასკალი, — რომ მიცვალებულთა მიმართ სიყვარულის უკეთესი გამოხატულება არის იმგვარად ქცევა, როგორც ისინი გვიბრძანებდნენ მოვქცეულიყავით, კელავინდებურად რომ ყოფილიყვნენ ამ ქვეყნად, მათი წმიდა ანდერძის აღსრულება და ჩვენივე თავის სრულყოფა, რასაც ამჟამად გვისურვებენ ისინი თავიანთი საუკუნო სამყოფელიდან. ამნაირი ქცევით ჩვენ თითქოს ჩვენსავ სულში ვაცოცხლებთ მათ (nous les faisons revivre en nous en quelque sorte), რაკიღა მათი რჩევა-დარიგება ჯერ კიდევ ცოცხლობს და მოქმედებს ჩვენში"[117].

მამის სიკვდილმა სულის სიღრმემდე შესძრა არა მარტო ბლეზი, არამედ მისი უმცროსი დაც. 1651 წლის 25 დეკემბერს დაძმა ბობურის ქუჩაზე, ახალ, უფრო ღარიბულ ბინაში გადავიდა. მაგრამ აქ დიდხანს აღარ უცხოვრიათ. მამის სიცოცხლე თითქოს უკანასკნელი საბელი იყო, რომელიც ჟაკლინს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან აკავშირებდა, და ახლა, როცა ეს საბელიც გაწყდა, ყველაფერი ფუჭი და ამაო აღმოჩნდა, აღარაფერმა აღარ გაჭრა, არც ჟილბერტასა და ბლეზის ცრემლიანმა თხოვნა-ვედრებამ და არც იმის მუქარამ, რომ მამისეული მემკვიდრეობის წილს წაართმევდნენ: 1652 წლის 4 იანვარს ჟაკლინი დილაუთენია გაიპარა სახლიდან, ვინაიდან, როგორც შემდეგ გამოტყდა, „ეშინოდა, რომ ძმის შეხედვას ვერ გაუძლებდა", და პორ-როიალის დედათა მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა. ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე მომხიბლავი ქალი, ოჯახის თვალის ჩინი და

პარიზელ ყმაწვილკაცთა ფარული ტრფობის საგანი ამიერიდან ძალით მოსილ მგლოვიარე და ეფემიად (Sainte-Euphemie) იქცა. ამრიგად, პასკალმა თითქმის ერთდროულად დაკარგა ორი ყველაზე ახლობელი ადამიანი და მისთვის ფაქტიურად უცხო და უსულგული ქალაქში მარტოდმარტო დარჩა.

მგრძნობიარე და თავისიანების უსაზღვროდ მოყვარული კაცისთვის ეს იყო მძიმე ფსიქიკური ტრავმა, რომელსაც შეეძლო შეერყია და წონასწორობიდან გამოეყვანა უფრო მტკიცე და ძლიერი სულიც. მაგრამ სწორედ აქ აშკარა გახდა, რომ პასკალი ტყუილად როდი სწავლობდა ასე გატაცებით დიდ სტოიკოსებს — ეპიქტეტეს, სენეკას, მარკუს ავრელიუსს... „კაცი, რომელიც დრტვინავს ან უკმაყოფილებას გამოსთქვამს ქმნადის გამო, შენს წარმოდგენაში უნდა ჰგავდეს სამსხვერპლო ბურვაკს, რომელიც ხელიდან გასხლტომას ლაჰობს და გულისწამღებად ჰყვირის მსხვერპლშეწირვის წინ. იგივე ითქმის იმ კაცის მიმართ რომელიც, სარეცელზე გაშოტილი, თავის სიმარტოვესა და სიჩუმეში გულამოხვინჩვით დასტირის ჩვენს უბედობას. იფიქრე იმისაკენ, რომ მხოლოდ გონიერ არსს ხელეწიფება ნებაყოფლობით ჰმორჩილებდეს ქმნადს და მოწევნადს. ლიტონი მორჩილება კი თანაბრად გარდუვალია ყველა არსთათვის“[115].

ვინ იცის, იქნებ სწორედ ამნაირი განწყობილებით აიხსნება ერთის შეხედვით ის პარადოქსული ფაქტი, რომ ცხოვრების ამ კრიტიკულ მომენტში, მისი მონათესავე და ბევრი სხვა მარტოსულისაგან განსხვავებით, პასკალი ხსნას და გამოსავალს რელიგიაში, ქრისტიანულ თვითგანდგომასა თუ მისტიურ ექსტაზში კი არ ეძებს, არამედ ჰედონიზმში, განცხრომაში, დროსტარებაში, სოფლიური სიამით ტკბობაში. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და მისი სულის მთელი ძალა, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარული და შემოქმედის ყოვლისმძლე წყურვილი უტეხი სიკერპით ეურჩება იმას, რომ საბოლოოდ დანებდეს ტანჯვას, ტკივილს, უსასოებას, სიკვდილის დამთრგუნველ განცდას. „არის მასში რაღაც ისეთი, რაც თავგამოდებით ეწინააღმდეგება იმას, რომ ამქვეყნიური ცხოვრებისთვის მოკვდეს (à mourir au monde); ამიტომ, თავის ნების გადამწყვეტ და საბოლოო ტრიუმფამდე, მისი გული ვნებიანად ეწაფება სიცოცხლის სიტკბოს, სოფლის სიამეს,

ყვავილობას სიხარულისას"[119]. ასე იწყება პასკალის ცხოვრების ახალი, ე. წ. „საერო პერიოდი" („Période mondaine"), რომელიც დაახლოებით ორ წელს მოიცავს (1652 — 1654 წწ.).

1652 წლის ნოემბერში პასკალი ჟილბერტასა და ფლორენ პერიეს ეწვია მათ მიერ ახლად შეძენილ დიდებულ ციხე-კოშკში ბიენ-ასიში (Bien-assis), კლერმონის მახლობლად, სადაც 1653 წლის მაისამდე დარჩა. ცნობილია მისი რომანი ერთ ადგილობრივ კურტიზან ქალთან; ეს იყო მომხიბლავი, ამაყი და ჟინიანი არსება, რომელსაც ჭირის დღესავით სძულდა სიყალბე, სიმდაბლე, პირმოთნეობა. ესაა და ეს, მის შესახებ მეტი არა ვიცით რა, თუ არ ჩავთვლით მეტსახელს—„კლერმონელ საფოს" (Sapho du pays)[120]....

პარიზში დაბრუნების შემდეგ პასკალის ბედი მჭიდროდ უკავშირდება ბრწყინვალე არისტოკრატის, პუატუს პროვინციის ახალგაზრდა გუბერნატორის, ჰერცოგ არტიუს გუფიე დე როანეს (Roannez) ოჯახს. ინტერესთა ერთობამ, სულიერმა ნათესაობამ და ზუსტ მეცნიერებათა მიმართ საერთო სიყვარულმა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ დააახლოვა ისინი, რაც კიდევ უფრო განამტკიცა მათმა მეზობლობამ და სულ მალე დე როანე და პასკალი განუყრელი მეგობრები გახდნენ. თუმცა თავისი ახლად შეძენილი მეგობრის სტუმართმოყვარე ოჯახში პასკალს ყველაზე მეტად იზიდავდა ჰერცოგის უმცროსი და შარლოტა დე როანე, რომელსაც ის იყო შეუსრულდა ცხრამეტი წელი. მათი მეგობრული ურთიერთობა თანდათანობით წმინდა და ეგზალტირებულ სიყვარულში გადაიზარდა. მაგრამ პასკალმა ვერ იქნა და ვერ გაბედა წოდებრივად მასზე გაცილებით მაღლა მდგომი, ნებიერი და ფუფუნებაში გაზრდილი ყმაწვილი ქალისთვის თავისი სიყვარულის გამჟღავნება.

შესაძლოა, სწორედ აქ დაუშვა მან თავის სიცოცხლეში ყველაზე დიდი და საბედისწერო შეცდომა, ვინაიდან, როგორც ირკვევა, თურმე ქალსაც უყვარდა იგი... ეს იყო ჩუმი და უთქმელი სიყვარული, სევდიანი, როგორც ყველა გაუმხელელი, გულში უხმოდ ჩაკლული გრძნობა, და მაინც სიცოცხლის სიხარულად მოვლენილი, საოცნებო, ზეაღმტაცი, ამამაღლებელი: „გაუმხელელი სიყვარული სატანჯველია, მაგრამ მას თან ახლავს თა-

ვისი ნეტარებაც. რას არ იღონებს კაცი იმის გულისთვის, რომ თავი მოაწონოს მას, ვისაც აღმერთებს... ასე გგონია, რომ, როდესაც გიყვარს, სულ სხვანაირი სული გაქვს, ვიდრე მაშინ, როცა არ გიყვარს (Il semble que l'on ait une autre amo quand on aime que quand on n'aime pas). ყველაფერი დიადი ხდება: ჭეშმარიტი ვნება ყველაფერს წმენდს და ამაღლებს"[121].

ეს საბედისწერო შეცდომა მთელი სიცოცხლის მანძილზე შავი აჩრდილივით თან სდევდა მათ, როგორც წყევლა, როგორც შეჩვენება. შარლოტას ცხოვრების გზა მწუხარეა და უსიხარულო. 1657 წლის ივნისში ის, ჟაკლინის მსგავსად, გაიპარა სახლიდან და პორ-როიალში მონაზვნად აღიკვეცა. მაგრამ ახლობლებმა საგანგებო განკარგულება გამოსთხოვეს მეფეს და ოჯახის ურჩი შვილი შინ დააბრუნეს. აქ ის წლების განმავლობაში კარჩაკეტილად ცხოვრობდა და მხოლოდ დროდადრო წერილებით უზიარებდა თავის მწუხარებას სენგლენს, პასკალს და მის დებს. სანამ პასკალი ცოცხალი იყო, შარლოტა ცივი უარით ისტუმრებდა მისი ხელის ყველა მთხოვნელს. ასე მაგალითად, ნათესავების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, მან ცოლობაზე ორჯერ უთხრა უარი მარკიზ ღ'ალიუეს. და მხოლოდ 1667 წელს, პასკალის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ, შარლოტა ცოლად გაჰყვა დე ლაფეიადს, ხოლო მისმა ძმამ ჰერცოგის ტიტული მოიხსნა და სიძეს გადასცა, რათა ისევე უბრალოდ და უპრეტენზიოდ ეცხოვრა, როგორც ცხოვრობდა მისი განსვენებული მეგობარი. საბრალო ქალს არც დედობის სიხარული ეღირსა; პირველი შვილი ორიოდე დღისა მოუკვდა, ხოლო მეორე „მონსტრი" დაებადა. შარლოტა გარდაიცვალა 1683 წელს, როგორც ჩანს, ფილტვის კიბოთი. სიცოცხლეში მისი ერთადერთი ნუგეში იყო პასკალის წერილები, რომლებსაც ძვირფას რელიქვიასავით სათუთად ინახავდა, სანამ ქმარმა გადაჭრით არ მოითხოვა მათი დაწვა. ავადმყოფმა ქალმა ვეღარ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა და მხოლოდ მისი ძმის წყალობით გადარჩა ცხრა წერილის ნაწყვეტები, რომლებსაც პასკალის თხზულებათა სრულ კრებულში სულ რამდენიმე გვერდი უჭირავს[122].

1843 წელს სენ-ჟერმენ-დე-პრეს საბატოს არქივში ვიქტორ კუზენმა აღმოაჩინა პასკალის მანამდე უცნობი თხზულება „სიყვა-

რულის ვნებანი“ („Discours sur les passions de l'amour“)[123]. ეს პატარა ტრაქტატი, რომელსაც მკვლევარნი 1653 წლით ათარიღებენ, ერთი ფრანგი კრიტიკოსის თქმით, „ნამდვილი პოეტური რაფსოდიაა, სადაც თითქოს ერთმანეთს ერწყმის პეტრარკას ნატიფი სისადაკე და რაფაელის ნათელი სტილი“. მ. ფოკერი დაბეჯითებით და, ჩემის აზრით, არცთუ უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ „ვნებანი“ შარლოტა დე როანესადმი პასკალის თავდავიწყებული სიყვარულითაა შთაგონებული. საკმარისია დაეუკვირდეთ ტრაქტატის ზოგიერთ პასაჟს: „როდესაც კაცს უყვარს წოდებრივად მასზე გაცილებით მაღლა მდგომი ქალი, პატიმოყვარეობა შეიძლება თან ახლდეს სიყვარულის დასაწყისს (l'ambition peut accompagner le commencement de l'amour). მაგრამ სულ მალე სიყვარული ერთპიროვნული მბრძანებელი ხდება. ესაა ტირანი, რომელიც ვერ იტანს მეტოქეს, მას სურს ერთადერთი იყოს: ამიტომ ყველა სხვა ვნება მორჩილად ქედს იხრის მისი ძალმოსილების წინაშე“[124]... „სიყვარულში ჩვენ იმიტომ ვერ ვბედავთ ხოლმე ჩვენივე სანუკვარი გრძნობის გამხელას, რომ გვეშინია, ვაითუ ყველაფერი დავკარგოთ“[125]... ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც აშკარაა: აზრის სიღრმე, გრძნობის სიწმინდე, სტილის სინატიფე და ბრწყინვალება — ყველაფერი ეს ტრაქტატს პასკალის მომავალ ფილოსოფიურსა თუ ლიტერატურულ შედევრებს უახლოებს და უნათესავებს. სიყვარულის — სულის ამ უმაღლესი და უმძაფრესი ვნების აპოლოგია ტრაქტატის დასასრულს თავის აპოთეოზს აღწევს და მდუმარე ლოცვის უნაზეს მოდულაციებში გადადის: „სიყვარულში დუმილი მეტს ნიშნავს, ვიდრე მეტყველება... ჩვენ ვგრძნობთ, რომ არსებობს დუმილის მშვენიერ მეტყველება (une éloquence de sincice), რომელიც უფრო ღრმად სწვდება და განწონის გულს, ვიდრე ამას ახერხებს სიტყვა“[126]. „დიად სულში ყველაფერი დიადია“ (Dans une grande âme tout est grand)... სულის სინათლე ვნების სიწმინდეს იწვევს, — ამბობს პასკალი[127], და ჩვენ თითქოს ინტუიცია გვკარნახობს, რომ ეს თვითონ პასკალის სულია, რომ ეს თვითონ პასკალის ვნებაა, მისი უებროდ წმინდა და უიღბლო სიყვარული...

ჰერცოგ დე როანეს მეშვეობით უახლოვდება პასკალი პარიზის უმაღლესი არისტოკრატიის წრეებს. დიდგვაროვანსა და გავლე-

ნიან მეგობარს შეჰყავს იგი მარკიზა დე საბლესა და კარდინალ რიშელიეს ძმისწულის ჰერცოგინია დ'ეგიიონის სალონებში, რომლებიც წარმატებით ეტოქებიან და ტოლს არ უდებენ უსაქმობით გულმოყირჭებული, გართობასა და დროსტარებას დახარბებული, ლიტერატურულსა თუ ყველა სხვა სახის სიახლეს ენებიანად დაწაფებული პარიზელი დიდებულების საყოველთაოდ აღიარებულ საკრებულოს, მათი თავშეყრის საანუკვარ ადგილს, ცისფერ „ოტელ რამბუიეს" — მარკიზა კატრინ დე ვივონ რამბუიეს (1588 — 1665) ლიტერატურულ სალონს... რას აკეთებს, ცოტა არ იყოს, მიამიტი და გულუბრყვილო, ზომაზე მეტად მოკრძალებული, მაგრამ ფიცხი, ადვილად აგ'ხნებადი, პირში მთქმელი, ცხოვრებისეულ დიპლომატიაში სრულიად გაუწაფავი, და. სწორედ ამიტომ, მაღალი საზოგადოების თვალში — სასაცილო, გაუთლელი და გაურანდავი ახალგაზრდა კაცი გემოვნების, მოდის, კეთილზნეობის ამ გოროზ „კანონმდებელთა" ავტორიტეტულ საკრებულოში, ირონიული ღიმილის, მიბნედილი თვალების, მომხიბლავი მხრების, დახვეწილი ჟესტებისა და მანერების, ოსტატურად მორგებული ნიღბების ამ გამოფენაზე, მითქმა-მოთქმის, ჭორების, ბანალური აზრების, მახვილგონივრული კალამბურების ამ საჯარო ბაზრობაზე, სადაც მით უფრო იაფია და უფასური ყოველგვარი ბუნებრიობა, რაც უფრო ძვირად ფასობს ყოველივე ხელოვნური?,

რას აკეთებს? — ერთის შეხედვით, არაფერს განსაკუთრებულს: იშვიათი გამონაკლისის გარდა, როცა ფისი შინაგანი სიწრფელე და პირდაპირობა დაგუბებული ბდინარესავით გამოანგრევს და წალეკავს ხოლმე ხელოვნური პირობითობის ჯებირს, მოთმინებით იოკებს თავს და ცდილობს არავინ შენიშნოს მისი გულვრცელობა, მეტიც, აშკარა ზიზღი მთელი ამ მანჭვა-გრეხის, ხარ-ზეიმის, მიეთ-მოეთის, ამაოების ამ კარნავალის მიმართ, რომლის გარეგნული ბრწყინვალება ვერ ჩრდილავს მის სიმწირეს, სიცარიელეს და უბადრუკობას, ამიტომ იძულებულია სხვებთან ერთად იცინოს, იმასხროს იხარხაროს, ქათინაურებით გაუმასპინძლდეს ბანოვანთ და ფუქსავატურ საუბარში გაატაროს დრო, ვინაიდან, მისი უმცროსი თანამედროვის ჟან დე ლაბრიუიერისა არ იყოს, მშვენივრად იცის, რომ მოკვეთის, განაპირებისა და

გარიყვის საფრთხე ემუქრება ყველას, ვინც დაარღვევს მაღალ საზოგადოებაში მიღებულ „ოქროს წესს“:

„ჩვენ რომ ყურადღებას ვაქცევდით ყველა იმ ბრიყვულ, უახრო და უსაგნო ლაქლაქს, რომლის მოწმენიც ვხდებით, აღარც ლაპარაკი მოგვინდებოდა და აღარც მოსმენა და უთუოდ მდუმარების აღთქმას დავდებდით; მაგრამ მდუმარე მაღალ საზოგადოებაში კიდევ უფრო აუტანელია, ვიდრე ყბედი. ამიტომ, მოდი, შემწყნარენი ვიყოთ და მივიღოთ როგორც გარდუვალი ბოროტება მთელი ეს ფუჭი მითქმა-მოთქმა, ბუნდოვანი და ორაზროვანი მსჯელობა აწინდელი ხელმწიფობის, მეფეთა იდუმალი ზრახვების შესახებ, ან მაღალფარდოვანი და ერთფეროვანი ყბედობა სენტიმენტალური თემების ირგვლივ; დაე, არუნციუსმა ერთმანეთზე დაახვავოს ანდაზები, ხოლო მელინდამ გაუთავებლად იტიკტიკოს თავის თავზე, თავის ისტერიებზე, შაკიკსა თუ უძილობაზე“.[128]

მხოლოდ ეგაა, პასკალს არასოდეს უძებნია მარტოოდენ შვება, განცხრომა, დროსტარება, თავდავიწყება. „ამ სულს, ესოდენ ცოცხალს და ქმედითს (Cet esprit si vif et si agissant) უქმად ყოფნა არ შეეძლო“, — წერს პასკალის დისწული მარგარიტა პერიე[129]. ფიზიკური კვლევა-ძიებით დაღლილი და დაქანცული მისი გონება მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგიითა და ანალიტიკური ძალმოსილებით მიიქცევა მისთვის მანამდე უცხო ფენომენის — საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა ურთიერთობის, კაცთა ცნობიერი თუ არაცნობიერი ქცევის განმსაზღვრელი მოტივების წვდომად. მართალია, თავისი სახელოვანი თანამედროვეების — ფრანსუა დე ლაროშფუკოსა და ჟან დე ლაბრიუერისაგან განსხვავებით, პასკალს ნაკლებად აინტერესებს ადამიანი, როგორც სოციალური არსება, საზოგადოებრივი მორალის არსი, — მისი ყურადღება უწინარეს ყოვლისა, სამყაროსთან, ღმერთთან, რწმენასთან ჩვენი მიმართების ირგვლივაა კონცენტრირებული, — მაგრამ თუ ის, როგორც ადამიანის გულის მესაიდუმლე, თუ ის, როგორც გულთამხილავი ტოლს არ უდებს დიდ ფრანგ მორალისტებს, ამას ყველაზე მეტად თავის პირად სულიერ ცდას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას უნდა უმადლოდეს, რაც განუმეორებელი ხიბლით მოსავს და

უჩვეულო სიღრმისეულ განზომილებას ანიჭებს მისი დიადი ქმნილების არა ერთსა და ორ პასაჟს. დიახ, ამ გამოცდილების გარეშე, ალბათ, არასოდეს დაიწერებოდა არა მარტო ისეთი შედევრები, როგორიცაა, „წარმოსახვა“, „თავმოყვარეობა“, „გართობა“[130], არამედ „აზრების“ ბევრი სხვა, დიდი თუ მცირე ფრაგმენტიც[131].

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ პასკალის ცხოვრებისეული დაკვირვება არ შემოიფარგლება მარტოოდენ პარიზელ ბანოვანთა სალონების ვიწრო კამერული წრით. ჰერცოგ რე როანესა

და ისინიც ცდილობენ ფუჭად არ დაკარგონ არცერთი წამი, ხელიდან არ გაუშვან განცხრომის არცერთი შესაძლებლობა: ღრეობები, აზარტული თამაშები, მრუშობა, მემთვრალეობა. პასკალი პროზელიტის გულმოდგინებით ებმება მათი შლეგური ცხოვრების ფერხულში: ხარბად სვამს და გატაცებით თამაშობს ბანქოს, რაც სულ მალე ვაგლახად ათხელებს მის ისედაც მჭლე ქისას.

„პროზელიტის გულმოდგინება"! ნუ გავიგებთ პირდაპირი მნიშვნელობით ამ გამოთქმის აზრს. ლიბერტინებისათვის ცხოვრება თამაშია; პასკალიც თამაშობს, მაგრამ სხვანაირად: ის ლიბერტინის როლს ასრულებს, მთელი არსებით კი არასოდეს ითქვიფება თავის დამთხვეულ „ძმებში". არა მარტო „აზრები", ცხოვრების წვრილმანი დეტალებიც კი მთელი სიგრძე-სიგანით ავლენენ სულიერ სხვაობას, შინაგანი დისტანციის დაურღვევ ზღვარს პასკალსა და ლიბერტინებს შორის: „მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ახალგაზრდა იყო, — წერს ჟილბერტა პასკალი, — ჩემს ძმას ისინი (ლიბერტინები, — ბ. ბ.) მიაჩნდა გზააბნეულ ხალხად, რომელიც ხელმძღვანელობს მცდარი პრინციპით, თითქოს ადამიანის გონება ყველაფერზე მაღლა დგას, და რომლისთვისაც უცნობია რწმენის ბუნება"[134]...

რაც უფრო მკვეთრად უპირისპირდებიან ლიბერტინები ტრადიციული მსოფლმხედველობის მიმდევრებს, მით უფრო მძაფრია მათი იდეური მოწინააღმდეგეების, უწინარეს ყოვლისა, XVII ს. ფრანგი მორალისტების რეაქცია ლიბერტინაჟის წინააღმდეგ. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ორი მტრული მსოფლმხედველობის ამ დაუნდობელ ურთიერთჭიდილში როგორც ერთი, ისე მეორე მხარე საკმაოდ შორს დგას მეცნიერული ობიექტურობისა და ანალიტიკური სიზუსტისაგან, არც შეიძლება სხვაგვარად იყოს. მეცნიერების ერთი რუსი ისტორიკოსის მახვილგონივრული, თუმცაღა პირწმინდად გარეგნული ანალოგია მთლიანად ესადაგება პასკალისდროინდელი ფრანგული აზროვნების ზოგად პანორამას, საერთო სურათს: „XVI-XVII ს. კულტურაში ორი ტენდენციის ურთიერთმოქმედება შეიძლება შევადაროთ ორი ნაწილაკის შეჯახებას, როგორც ამას გვიხატავს თანადროული ქვანტურ-რელატივისტური კონცეფცია. შეჯახებამდე და შეჯახების შემდეგ ნაწილაკების ურთიერთქმედება დის-

ტანციურია და ისინი თვითიდენტურნი რჩებიან. მაგრამ უშუალოდ შეჯახების მომენტში, რომელიც ცვლის ნაწილაკთა ურთიერთგადამკვეთ გზებს, თავს იჩენს ბევრი ძალზე რთული და კლასიკური ცნებების მეშვეობით აუხსნელი პროცესი, სადაც ნაწილაკები უკვე აღარ არიან თვითიდენტურნი, იცვლებიან, ქრებიან და ხელახლა გვევლინებიან"[135].

ორი ურთიერთსაპირისპირო მსოფლმხედველობის სწორედ ამ უშუალო შეჯახებით აიხსნება ჟან დე ლაბრიუიერის სუბიექტივისტური სულისკვეთება მისი უჩვეულო სიფიცხე, გულისწყრომა და რისხვა ლიბერტინების მიმართ: „თავისუფალი მოაზროვნე" ფრანგულ ენაში „სულით ძლიერის" ტოლფასია, მაგრამ თუ იციან თავისუფლად მოაზროვნეებმა, რანაირ ირონიას იმარხავს ეს ტოლფასოვნება? განა მოიძებნება ამ ქვეყნად იმაზე სუსტი და უმწეო კაცი, ვისაც ეჭვი ეპარება თავისი ბუნების, არსებობის, გრძნობებისა და ცნობიერების პირველსაწყისში და ვერ წარმოუდგენია რა ბედი ელის მიწიერი არსებობის დასრულების შემდეგ? რა საშინელი უნდა იყოს იმისი სასოწარკვეთა, ვისაც ჰგონია, რომ მისი სული ისევ ნივთიერია და ხრწნადი, როგორც ქვა, ქვეწარმავალი, მწერი თუ მატლი! განა უფრო მეტ სიდიადეს და სიმაღლეს არ აღწევს ჩვენი გონება, როცა აღიარებს ყველა სხვა არსზე მაღლა მდგომი, მათი შემქმნელი, მათი მომცველი, ყოვლად სრულქმნილი, უხრწნელი, დაუსაბამო და უსასრულო არსის იდეას, არსისა რომლის ხატად და, შეიძლება ითქვას, რომლის ნაწილადაც გვევლინება ჩვენი უსხეულმყოფელი და უკვდავი სული?"[136].

ლიბერტინების შეფასებისას პასკალი თავისი დიდი თანამზრახველების — ლაროშფუკოსა და ლაბრიუიერის მხარდამხარ დგას. „აზრების" ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაგმენტის („...დაე, თავდაპირველად შეიცნონ, რა არის რელიგია"[137]...) შინაგანი პათოსი უშუალოდ ლიბერტინების წინააღმდეგაა მიმართული: „...არაფერი ისე ცხადად არ გვიმეღავნებს სულის სისუსტეს, ვიდრე იმის არცოდნა, თუ რა საშინელებაა ადამიანის ყოფნა უღმერთოდ. არაფერი ისე აშკარად არ გვიმოწმებს გულის ბიწიერებას, ვიდრე იმის არნდომა, რომ ჭეშმარიტი იყოს აღქმული ნეტარების მარადისობა. არაფერი

არ გვევლინება სიმხდალის უფრო უტყუარ ნიშნად, ვიდრე ღვერთის წინაშე ყოყოჩობა და ყოყლოჩინობა"...

პასკალის ახალ ნაცნობებს შორის ყველაზე კოლორიტული ფიგურა იყო კავალერი ანტუან გომბო დე მერე: „სალონის ლომი", „ბონვივანი" და „ჟუირი", ლუი XIV სასახლის კარზე მიღებული და უმაღლესი არისტოკრატიის წრეში დიდად გავლენიანი პირი, დახვეწილი მანერებისა და არანაკლებ დახვეწილი პრეციოზული სტილის აღიარებული მეტრი; დიახ, კავალერი, რომელსაც ყოვლისშემძლე ეგონა თავი, მწერლობაშიც ცდიდა ბედს, თუმცაღა მისთვის, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, რომ არ ეცადა, „ეს იყო უდავოდ ნიჭიერი კაცი, მაგრამ დაწერა ისეთი წიგნები, რომლებიც დიდებით ვერ შემოსავენ მის სახელსაო", უთქვამს დე მერეს მისამართით საფრანგეთის აკადემიის წევრს ლუი დანჟოს[138]. თუ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა სახარების ერთი მუხლის პერიფრაზა, ვიტყვი: „ნეტარ არიან თვითკმაყოფილნი"! კავალერს არა მარტო დიდ მწერლად, დიდ მათემატიკოსად მოჰქონდა თავი, თუმცა მისი მათემატიკური განათლება და განსწავლულობა არ გასცილებია დილეტანტური ერუდიციის ფარგლებს: „როგორც მოგეხსენებათ, „სწერდა იგი პასკალს, — მათემატიკურ მეცნიერებათა დარგში მე აღმოვაჩინე ბევრი ისეთი იშვიათი სიახლე, რაზედაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ ძველი დროის მეცნიერებს და რამაც განაცვიფრა ევროპის საუკეთესო მათემატიკოსებიო"[139].

კავალერი დე მერე ყოველთვის ქედმაღლური ზიზღით უყურებდა პასკალს, როგორც „აღზევებულ მდაბიორს", რომელიც მხოლოდ გავლენიანი მეგობრის ჰერცოგ დე როანეს მფარველობის წყალობით გახდა მისი ნაცნობობის ღირსი. ეს ქედმაღლობა, იმ დროის კვალობაზე და თანაც თავისი თავის მაღმერთებელი კაცის მხრივ, სავსებით ბუნებრივი გვეჩვენება, მაგრამ როცა წოდებრივი პრიორიტეტის შეგნება აღარაფერს აღარ უწევს ანგარიშს და პროფესიული უპირატესობის გრძნობაში გადაიზრდება, ეს უკვე აღარ არის მთლად ბუნებრივი:

„..თუ გახსოვთ, — მიმართავდა იმავე წერილში დე მერე პასკალს, — სწორედ მე აგიხილეთ თვალი ცხოვრების ბევრ ისეთ მხარეზე, რომელსაც უჩემოდ ვერასდიდებით ვერ შეიცნობდით

(que vous n'eussiez jamais vues, si vous ne m'eussiez connu). თქვენ ჯერ კიდევ შემოგრჩათ ძველი, მათემატიკის შესწავლის შედეგად შეძენილი ჩვეულება, რის გამოც ყველაფერს თქვენი მტკიცების მიხედვით სჯით და აფასებთ; ეგ თქვენი მტკიცებები კი მეტწილად ყალბია (le plus souvent sont fausses). ყველა ეს გაჟიანურებული და გულისგამაწვრილებელი მსჯელობა ხშირად ხელს გიშლით იმაში, რომ უფრო მაღალი რანგის ცოდნა შეიძინოთ, დიახ, ისეთი ცოდნა, რომელიც არასოდეს არ მოგატყუებთ. მერწმუნეთ, ამის გამო ბევრ რასმე ჰკარგავთ მაღალი საზოგადოების თვალში"[140]."

პასკალი მშვიდად ითმენდა დე მერეს თავგასულობას. თვინიერება, სიავის მიტევების უნარი, შემწყნარებლობა მისი ნათელი სულის ერთი ყველაზე მომხიბლავ თვისებათაგანია: „...ის იყო საოცრად შემწყნარებელი შეურაცხმყოფელთა მიმართ, ისე რომ, არასოდეს განუსხვავებია ეს უკანასკნელნი დანარჩენ მოყვასთაგან. მთლიანად ივიწყებდა ყოველგვარ პირად წყენასა თუ შეურაცხყოფას; ამიტომ ძალზე უჭირდათ მისთვის გაეხსენებინათ ყოველივე ეს და ხშირად იძულებულნი იყვნენ დაწვრილებით აღედგინათ საქმის ვითარება; აი, ასე და ასე იყოო. როცა ამის გაშო გაკვირვებას გამოთქვამდნენ, პასუხად იტყოდა ხოლმე: ნუ გიკვირთ, ეს კაი კაცობით კი არ მომდის, არამედ მართლა დამავიწყდაო. მაგრამ არა, თუ სიმართლე გნებავთ, შეურაცხყოფა მის სულში მართლაც არ ტოვებდა საგრძნობ კვალს, რაკიღა ასე ადვილად ივიწყებდა წყენას. თორემ ისეთი დიდებული მეხსიერება ჰქონდა, რომ იტყოდა ხოლმე: არასოდეს დამვიწყნია ის, რისი დამახსოვრებაც მსურდაო"[141].

სამაგიეროდ, შთამომავლობა, რომელიც პასკალზე გაცილებით ნაკლებ იყო დაინტერესებული ქრისტიანული ზნეობრივი იდეალისკენ სწრაფვით, მისი ხორცშესხმით და დამკვიდრებით, კავალერ დე მერეს მიმართ შეუდარებლად უფრო დაუნდობელი აღმოჩნდა. ზემოთ ციტირებული წერილის ნაწყვეტს რომ აანალიზებს, სენტ-ბევი დაასკვნის: „ამნაირი წერილი საკმარისია, რათა მის დამწერს სამუდამოდ მოსპრას თავი შთამომავლობის თვალში. კავალერი თვითონვე ახდენს თავისი თავის კომპრომეტირებას,

რაკი პასკალს მოსწავლის ადგილას აყენებს, ხოლო თავის თავს მასწავლებლად სახავს, რომელმაც იგი თავისი მოწყალე საუბრის ღირსი ჰყო"[142].

იქნებ, არც ღირდა დე მერეს პიროვნებაზე ყურაღღების გამახვილება, იქნებ ზედმეტიც იყო ამ თვითკმაყოფილი და საკუთარ თავზე ნარცისივით შეყვარებული დიდებულის სრული თუ არა, მეტ-ნაკლებად ზუსტი პორტრეტის მოსახვა, მაგრამ საქმე ისაა, რომ თავისი დიდი თანამემამულეების — პასკალისა და პიერ ფერმას, ისევე როგორც სახელგანთქმული ჰოლანდიელი მათემატიკოსისა და ფიზიკოსის ქრისტიან ჰიუიგენსის (1629—1695) მეოხებით, მისი სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა მათემატიკური მეცნიერების ისტორიას... ჩვენ არ ვიცით, სინამდვილეა თუ ლეგენდა, — მართლა, ხიდან მწიფე ვაშლის ჩამოვარდნა გახდა თუ არა საბაბი მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენისა, მაგრამ რაც შეეხება მათემატიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგს — ალბათობის თეორიას, აქ უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი აღმოჩენა სრულიად „შემთხვევითი" მოვლენისგან იღებს დასაბამს, რომელსაც, ერთის შეხედვით, თითქოს საერთო არაფერი უნდა ჰქონოდა მათემატიკასთან.

დე მერე აზარტული თამაშების ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ის იყო. მთელი სიცოცხლის განმავლობაში გატაცებით თამაშობდა ბანქოს (დავაზუსტოთ — არა მარტო ბანქოს) და უთუოდ ნიშანდობლივი ფაქტია, რომ სიკვდილმაც ბანქოს თამაშის ღროს უწია 74 წლის ბერიკაცს. თამაშობდა ხარბად, თამამად, ეინიანად, თუმცა მისთვის უცხო არ გახლდათ სიფრთხილის გრძნობა. დიახ, ეს იყო ჭკვიანი, წინდახედული გულცივი და აუმღვრეველი მოთამაშე, რომელიც უწინარეს ყოვლისა, ზუსტი გათვლის, ვარიანტების წინასწარი გარჩევისა და გაანგარიშების წყალობით აღწევდა ხოლმე ძნელ, მაგრამ სავსებით დამსახურებულ გამარჯვებას. და მაინც, რამდენჯერ მოსცარვია ხელი, რამდენჯერ შელახულა ამ კაცის თავმოყვარეობა, როცა მის „მძლავრ ინტელექტს" (გავიხსენოთ დე მერეს თვითრწმენა!) ძალაუნებურად დაუყრია ფარ-ხმალი ბრმა ბედისწერას, უაზრო შემთხვევითობის გონებამიუწვდომელ კაპრიზსა თუ ეინთან ბი-

დილში. ამიტომ სიმწრით ძილგამფრთხალი და მოსვენებადაკარგული გაფაციცებით დაეძებდა შემთხვევითობისაგან თავის დაზღვევის ყოველგვარ შანსს, გულდასმით აანალიზებდა საკუთარ შეცდომებს, ყურადღებით სწავლობდა სხვების თამაშს, აკვირდებოდა, ჩხრეკდა, იკვლევდა შემთხვევის გამაოგნებელ „ქცევას“ დასტიდან ქაღალდის ამოღების დროს თუ კამათლის გაგორებისას. ეროის სიტყვით, ცდილობდა გარკვეული წესრიგი და კანონზომიერება აღმოეჩინა იმაში, რაც თითქოს არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარებოდა. სწორედ ამნაირი დაკვირვების შედეგად დაიბადა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული რამდენიმე პარადოქსული კითხვა, რომელთა დამაკმაყოფილებელი ინტერპრეტირება თავად რომ ვერ შესძლო, დე მერემ დახმარებისათვის წერილობით თუ პირადად მიმართა თავის ნაცნობ მათემატიკოსებს — პასკალს, ფერმას, ჰიუიგენსს, კარკავის და სხვებს.

და, აი, დე მერეს კითხვებზე, უწინარეს ყოვლისა, პასკალის, ხოლო შემდეგ — ფერმასა და ჰიუიგენსის პასუხებით საფუძველი ეყრება უმაღლესი მათემატიკის სრულიად ახალ დარგს — ალბათობის თეორიას. მაგრამ ვიდრე დე მერეს კითხვებისა და პასკალის პასუხების განხილვაზე გადავიდოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია მოკლედ მაინც გავაცნოთ მკითხველს ალბათობის ე. წ. „კლასიკური დეფინიცია“ ვინაიდან უამისოდ მეტისმეტად გაგიძნელდება ჩვენთვის საინტერესო კითხვა-პასუხთა ზუსტი და მეტ-ნაკლებად ამომწურავი ანალიზი. მართალია, არც პასკალს, არც ფერმასა და ჰიუიგენსს არ მოუციათ ალბათობის კლასიკური დეფინიცია, რომელსაც მათ შრომებზე დაყრდნობით პირველად აყალიბებს შვეიცარიელი მათემატიკოსი იაკობ ბერნული (1654 — 1705) თავის სახელგანოქმულ ნაშრომში „ვარაუდის ხელოვნება“ („Ars conjectandi“)[143] და რომელიც თავის საბოლოო სახეს იღებს დიდი ფრანგი მათემატიკოსისა და ასტრონომის პიერ-სიმონ ლაპლასის (1749 — 1827) ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ალბათობის ანალიტიკური თეორია“ („Théorie analitique de la probabilités“), — მაგრამ, როგორც სავსებით სამართლიანად შენიშნავს ცნობილი უნგრელი მათემატიკოსი ალფრედ რენი, პასკალი პრაქტიკულად იყენებდა მას კავალერ დე მერეს

ამოცანების გადაწყვეტისას[144]. აი, ეს დეფინიციაც: „...მოვლენის ალბათობა არის კეთილსასურველ შედეგთა რიცხვისა და ყველა შესაძლო შედეგის საერთო რიცხვის თანაფარდობა, თანაც ყველა ეს შედეგი თანაბარშესაძლო შედეგად გვევლინება“.

არამათემატიკოსი მკითხველისათვის ეს განსაზღვრება, ალბათ, ისევე გაუგებარია, როგორც მისი შესატყვისი ფორმულა

$P_{(A)} = \frac{m}{n}$ ამიტომ ჩვენ ძალაუნებურად ვდგებით კიდევ ერთი

ოუცილებლობის წინაშე: იძულებულნი ვართ ზოგადად და ტრადიციულად მაინც მიმოვიხილოთ მოვლენათა სამი ტიპი, რომლებსაც სწავლობს ალბათობის თეორია, ერთის სიტყვით, გავარკვიოთ ე. წ. უეჭველი (უთუო, უცილობელი), შეუძლებელი და შემთხვევითი მოვლენების ცნება: 1) უეჭველი ეწოდება ისეთ მოვლენას, რომლის ხდომილობაც უეჭველია განმსაზღვრელ პირობათა გარკვეული S კომპლექსის შესრულებისას; 2) შეუძლებელი ეწოდება ისეთ მოვლენას, რომელიც არასდიდებით არ მოხდება პირობათა გარკვეული S კომპლექსის შესრულებისას; 3) შემთხვევითი ეწოდება ისეთ მოვლენას, რომლის ხდომილობაც საწყის პირობათა გარკვეული S კომპლექსის შესრულებისას ან უეჭველია, ანდა საეჭვო.

გარდა ამისა, ალბათობის კლასიკური დეფინიცია წარმოუდგენელია მოვლენათა სამი სპეციფიკური თვისების გარეშე. მოკლედ განვიხილოთ ეს თვისებებიც: ა). მონეტის მაღლა აგდებისას ის შეიძლება მიწაზე დავარდეს ან ეროი, ან მეორე პირით. ამასთან, ერთი ამ ვარიანტთაგანი, ერთჯერადი ცდისას, გამორიცხავს მეორე ვარიანტის შესაძლებლობას იმავე ცდაში. თვითეულ ამნაირ შედეგს შეუთავსებელი შედეგი ეწოდება; ბ) არსებითია ისიც. რომ მოვლენათა გარკვეული რიგის ხდომილობისას შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთი ამ მოვლენათაგანი; ყველა სხვა რიგის, რომელიც გნებავთ მოვლენის ხდომილობა ამ შემთხვევაში გამორიცხულია. ასე მაგალითად, კამათლის გაგორებისას შეიძლება დაჯდეს მხოლოდ—იაქე, დუ, სე, ჩარი, ბეში ან შაში, ამით ამოიწურება ყველა შესაძლო ვარიანტი, ვინაიდან კამათელს მხოლოდ ექვსი წახნაგი აქვს: ამიტომაც ამ რიგის ყველა შედეგს ერთადერთ შესაძლო შედეგად თვლიან; გ) თუ ზემოთ მოტანილ

მაგალითს სხვა კუთხითაც განვიხილავთ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას შემდეგი: არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვივარაუდოთ, რომ, მაგალითად, შაშის მოსვლა უფრო მეტად შესაძლოა, ვიდრე იაქესი თუ დუსი, სესი თუ ჩარის, გინდაც, ბეშიხა. ყველა ამნაირი შედეგი თანაბარშესაძლო შედეგად იწოდება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ალბათობის კლასიკური დეფინიცია, უფრო კონკრეტულად, ამნაირი სახით წარმოგვიდგება: „A მოვლენის კლასიკური ალბათობა არის კეთილსასურველ შედეგთა[145] რიცხვისა და შეუთავსებელი, ერთადერთი შესაძლო და თანაბარშესაძლო შედეგების საერთო რიცხვის თანაფარდობა". მათემატიკური სიმბოლოების გამოყენებით, წინამდებარე განსაზღვრება შემდეგნაირად ჩაიწერება: $P_{(A)}=\frac{m}{n}$, სადაც $P_{(A)}$ არის განსახილველი A მოვლენის კლასიკური ალბათობა; m — ამ მოვლენისათვის კეთილსასურველ შედეგთა რიცხვი; n — შეუთავსებელ, ერთადერთ შესაძლო და თანაბარშესაძლო შედეგთა საერთო რიცხვი. ამავე დეფინიციიდან ადვილად გამოიყვანება კლასიკური ალბათობის ძირითადი თვისებები: 1). უეჭველი მოვლენის ალბათობა უდრის 1-ს; 2). შეუძლებელი მოვლენის ალბათობა უდრის 0-ს; 3). შემთხვევითი მოვლენის ალბათობა მოქცეულია 0-სა და 1-ს შორის.

მართლაცდა, თუ მოვლენა უეჭველია, მაშინ ყველა შედეგი კეთილსასურველი იქნება მისთვის, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კეთილსასურველ შედეგთა რიცხვი შეუთავსებელ, ერთადერთ შესაძლო და თანაბარშესაძლო შედეგთა საერთო რიცხვის ტოლი იქნება და, ცხადია, მათი შეფარდება მოგვცემს 1-ს. და პირიქით, თუ მოვლენა შეუძლებელია, არც ერთი შედეგი კეთილსასურველი არ იქნება მისთვის, ე. ი. ამ შედეგთა რიცხვი 0-ის ტოლია, და მაშასადამე, შეუძლებელი მოვლენის ალბათობაც უდრის 0-ს. შემთხვევითი მოვლენისათვის კეთილსასურველ შედეგთა რიცხვი 0-სა და n-ს შორის მერყეობს, ამიტომ მისი ალბათობაც მოქცეულია 0-სა და 1-ს შორის.

ახლა კი უშუალოდ გადავიდეთ დე მერეს კითხვებზე. აი, მისი ერთ-ერთი პარადოქსი: როგორია 11 და 12 ქულის დაგროვების ალბათობა სამი კამათლის გაგორებისას? კავალერი დაახლოებით

ასე მსჯელობდა: 11 ქულის დაგროვება შეიძლება ექვსი სხვადასხვა შედეგით (6+4+1, 6+3+2, 5+5+1, 5+4+2, 5+3+3, 4+4+3), და ამდენივე სხვადასხვა შედეგი გვაძლევს 12 ქულასაც (6+5+1, 6+4+2, 6+3+3, 5+5+2, 5+4+3, 4+4+4). მაშასადამე, რაკი იმ შედეგთა რიცხვი, რომლებიც ჯამში 11-სა და 12 ქულას გვაძლევენ, ერთმანეთის ტოლია, ამიტომ 11 და 12 ქულის დაგროვების ალბათობაც თითქოს ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს. მაგრამ ხანგრძლივი დაკვირვებისა და ყველა შესაძლო შედეგის გულდასმით გათვლა-გაანგარიშების შედეგად, კავალერი, ცოტა არ იყოს, უცნაურ დასკვნამდე მივიდა: თავისდა გასაოცრად, მან აღმოაჩინა, რომ ის, ვინც 11 ქულაზე ჩამოდის ნაძლევს, უფრო ხშირად იგებს ვიდრე ის, ვინც 12 ქულაზე დებს სანაძლეოს. დე მერემ ვერასდიდებით ვერ ახსნა ეს. შეუსაბამობა, ერთის მხრივ, ზუსტ გამოთვლასა და, მეორეს მხრივ, მოგების რეალურ შანსს შორის.

წინააღმდეგობა მოჩვენებითი აღმოჩნდა: პასკალმა გაარკვია, რომ დე მერეს მიერ განხილული ყველა შედეგი სულაც არ არის თანაბარშესაძლო. კავალერი ანგარიშს არ უწევდა იმ გარემოებას, რომ, მაგალითად, კომბინაცია (6+4+1) ექვსი სხვადასხვა გზით მიიღება: (6, 4, 1), (6, 1, 4), (4, 6, 1), (4, 1, 6), (1, 6, 4), (1, 4, 6). მაშინ როდესაც სხვა კომბინაციებისათვის კეთილსასურველია შედეგთა გაცილებით ნაკლები რაოდენობა; ასე მაგალითად, კომბინაცია (4+4+4) ერთადერთი შედეგის დროს ხორციელდება (4, 4, 4). თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, კავალერმა ზუსტად ვერ განსაზღვრა ელემენტარულ მოვლენათა, ანუ ელემენტარულ შედეგთა ველი. სამი კამათლის გაგორებისას შეუთავსებელ, ერთადერთ შესაძლო და თანაბარშესაძლო შედეგთა საერთო რიცხვი უდრის 216 (6×6×6). 11 ქულის დასაგროვებლად კეთილსასურველია 27 შედეგი, ხოლო 12 ქულისათვის — მხოლოდ 25 შედეგი. კლასიკური ალბათობის ფორმულით: $(P(_{11})=\frac{27}{216}$, $P(_{12})=\frac{25}{216}$ საიდანაც აშკარაა, რომ $P(_{11})>P(_{12})$[148].

დე მერეს მეორე კითხვაც, ერთის შეხედვით, გარკვეული პარადოქსის შემცველი იყო. კავალერს აინტერესებდა პირწმინდად

უტილიტარული საკითხი: რამდენჯერ უნდა გავაგორო წყვილი კამათელი, რათა დუშაშის ერთხელ დაჯდომის შანსმა გადააჭარბოს იმის შანსს, რომ დუშაში არცერთჯერ არ მოვა? თანამედროვე ტერმინოლოგიის მოშველიებით, ჩვენ შეგვიძლია მიახლოებით მაინც აღვადგინოთ დე მერეს მსჯელობა, რომელსაც საფუძვლად ალბათობის თეორიის ცოდნა კი არა, უშუალოდ დაკვირვება და პრაქტიკული გამოცდილება ედო, და, იმავდროულად, თვალი გავადევნოთ პასკალის აზრის ლოგიკური განვითარების რთულსა და ზიგზაგოვან გზას:

ერთი კამათლის გაგორებისას ექვსივე რიცხვის — 1, 2, 3, 4, 5, 6 მოსვლის შანსი თანაბარია და, მაშასადამე, შაშის დაჯდომის ალბათობა გამოიხატება წილადით $\frac{1}{6}$, ხოლო მისი საპირისპირო მოვლენისა (შაში არ მოვა) — წილადით $\frac{5}{6}$, ვინაიდან კეთილსასურველ შედეგთა რიცხვი პირველ შემთხვევაში 1-ის ტოლია, ხოლო მეორეში—5-ის. როგორც ვიცით, შემთხვევითი მოვლენის ალბათობა მოქცეულია 0-სა და 1-ს შორის, ამიტომ, მისი ხდომილობა უფრო უეჭველია რომ იყოს, ვიდრე საეჭვო, კეთილსასურველ შედეგთა რიცხვმა უნდა გადააჭარბოს ყველა შესაძლო, ე. ი. შეუთავსებელ, ერთადერთ შესაძლო და თანაბარშესაძლო შედეგთა საერთო რიცხვის ნახევარს მაინც, ამ შემთხვევაში — 6:2=3. მაშასადამე, იმან, ვინც შაშის მოსვლაზე დებს ნაძლევს და არ სურს ზედმეტი რისკი გასწიოს, უნდა მოითხოვოს კამათლის, სულ მცირე, 4-ჯერ გაგორების უფლება, ვინაიდან 4>3. პასკალი აქ პირველად აღმოაჩენს ე. წ. „ალბათობათა შეკრების" კლასიკურ თეორემას, რომლის მიხედვითაც, რამდენიმე ურთიერთგამომრიცხველი მოვლენისაგან შემდგარი რთული მოვლენის ალბათობა უდრის მისი შემადგენელი მოვლენების ალბათობათა საერთო ჯამს (ისევე როგორც რამდენიმე ცალკეულ ჭურჭელში დანაწილებული სითხის მოცულობათა ჯამი ტოლია მთელი სითხის საერთო მოცულობისა[47]).

წყვილი კამათლის გაგორებისას სურათი საგრძნობლად რთულდება, ვინაიდან ერთი კამათლის თვითეული ციფრი შეიძლება თანაბრად შეერწყას მეორე კამათლის ექვსსავე სხვადასხვა ციფრს

და, ამრიგად, ყველა შესაძლო შედეგის საერთო რიცხვი 6 კი ადარ იქნება, არამედ 36 (6×6). ამისდა კვალად, უნდა შეიცვალოს კეთილსასურველ შედეგთა საერთო რაოდენობაც: თუკი ცალი კამათლის გაგორებისას ამ შედეგთა რიცხვი უდრის 4-ს, წყვილი კამათლის გაგორებისას მათი რიცხვი 6-ჯერ მეტი უნდა იყოს, ე. ი. 24 (6×4). მაგრამ კავალერმა ხანგრძლივი და თანმიმდევრული ცდების სერიით გამოავლინა, რომ დუშაშის დაჯდომისათვის კეთილსასურველ შედეგთა რიცხვი 24 კი არ არის, არამედ 25, დიახ, 25!

(უნდა კუთვნილი მივაგოთ დე მერეს სიკერპეს, ცნობისწადილს, მოთმინებას და შეუპოვრობას: ემპირიული გზით რომ დაედგინა ეს „მარტივი" პენმარიტება, თანამედროვე მათემატიკური სტატისტიკის მონაცემებით, მას უნდა განეხორციელებინა კამათლის 24 და 25-ჯერადი გაგორების, სულ მცირე, ას-ასი სერია მაინც, ხოლო შემდეგ გულდასმით უნდა გაეანალიზებინა, დაეხარისხებინა, და დაეჯგუფებინა ყველა შედეგი. ეს ძალიან ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი, როგორც ზოგიერთ თანამედროვე მკვლევარს ჰგონია[148]. ასე მაგალითად, დიდმა ფრანგმა ნატურალისტმა ჟორჟ-ლუი ლეკლერკ დე ბიუფონმა (1707 — 1788), იმის გასარკვევად, თუ რას უდრიდა ძაღლა ასროლილი მონეტის მიწაზე ერთი ან მეორე პირით დავარდნის ალბათობა, 4040-ჯერ გაიმეორა ეს გულისგამაწვრილებლად ერთფეროვანი ცდა და დაადგინა, რომ 2048 შემთხვევაში „გერბი" დაჯდა, ხოლო ცნობილმა ინგლისელმა მათემატიკოსმა და ბიომეტრიკოსმა პირსონმა (1857 — 1936) 24 ათასჯერ გაიმეორა იგივე ცდა; აქედან 12012 შემთხვევაში მონეტა „გერბით" დაეცა[149]...).

ამ ახალმა პარადოქსმა ისეთნაირად გააოგნა დე მერე, რომ, პასკალის მოწმობით, მან თურმე საჯაროდ განაცხადა: თეორემები არასარწმუნოა და არითმეტიკა თავის თავს უარყოფსო. და მაინც, პასკალმა შესძლო, ერთის შეხედვით, ამ ირრაციონალური მოვლენის ახსნა: რაკი წყვილი კამათლის გაგორებისას ყველა შესაძლო შედეგის რიცხვი 36-ის ტოლია, ამიტომ, ცხადია, დუშაშის მოსვლის ალბათობა $\frac{1}{36}$ უდრის, ხოლო მისი საპირისპირო

მოვლენისა (დუშაში არ მოვა) $\frac{35}{36}$-ს. ამ ალბათობათა ჯამი, როგორც ყველა მსგავს შემთხვევაში, 1-ის ტოლია, ხოლო 1, როგორც ალბათობის ხარისხი, უეჭველობას აღნიშნავს და შეესაბამება იმ ფენომენად გარემოებას, რომ წყვილი კამათლის გაგორებისას 36 შესაძლო შედეგიდან ერთ-ერთი უთუოდ განხორციელდება. აქედან გამომდინარე, რომელიც P ალბათობის ნაცვლად, ჩვენ შეგვიძლია თავდაპირველად გამოვიანგარიშოთ მისი საპირისპირო Q ალბათობის მნიშვნელობა, ხოლო შემდეგ ვიპოვოთ P-ს მნიშვნელობაც ამ მარტივი ფორმულის მიხედვით: $P=1-Q$.

მაშ, ასე, მოვლენის ალბათობა, რომ დუშაში არ მოვა, წყვილი კამათლის ერთჯერადი გაგორებისას უდრის $\frac{35}{36}$, ორჯერ გაგორებისას ამ კეთილსასურველ შედეგთა რიცხვი 35×35-ის ტოლია, ხოლო ყველა შესაძლო, ე. ი. შეუთავსებელ, ერთადერთ შესაძლო და თანაბარშესაძლო შედეგთა საერთო რიცხვი უდრის 36×36. ასე რომ, დუშაშის არმოსვლის ალბათობა შემდეგი წილადით გამოიხატება: $\frac{35}{36}\times\frac{35}{36}=\left(\frac{35}{36}\right)^2$ ეს პასკალის კიდევ ერთი აღმოჩენაა: ე. წ. ალბათობათა გამრავლების თეორემა, რომლის მიხედვითაც, თუ კაცი ორჯერ ითამაშებს ერთი და იგივე თამაშის ორ ხელს, მაშინ ალბათობა იმისა, რომ ერთი რომელიმე გარკვეული მოვლენა მოხდება პირველ ხელზე, ხოლო მეორე გარკვეული მოვლენა, რომელიც შეიძლება პირველის იდენტური, ან მისგან განსხვავებული იყოს, — მეორე ხელზე, ტოლი იქნება თვითეულ ხელზე ამ ალბათობათა ნამრავლისა[150].

ეს თეორემა მართებულია მოვლენათა ნებისმიერი რიცხვისათვის. მაშასადამე, ალბათობა იმისა, რომ წყვილი კამათლის n-ჯერ გაგორებისას დუშაში არც ერთხელ არ მოვა, გამოიხატება წილადით $\left(\frac{35}{36}\right)^n$ ხოლო მისი საპირისპირო მოვლენის (წყვილი კამათლის გაგორებისას ერთი დუშაში მაინც მოვა) ალბათობა შემ-

ღეგი ფორმულით გამოითვლება $Pn = 1 - \left(\frac{35}{36}\right)^n$ თუ კაცი ამ უკანასკნელ ალბათობაზე დებს სანაძლეოს, მაშინ, მოგების უფრო მეტი შანსი რომ ჰქონდეს, ვიდრე მის მოწინააღმდეგეს, საჭიროა, რომ Pn 0,5-ზე მეტი იყოს. გამოთვლა 0,0001 სიზუსტით გვიჩვენებს, რომ $P_{24} = 0{,}4914$, ხოლო $P_{25} = 0{,}5055$[151].

აღარ გამოვუდგებით დე მერეს ჩვენთვის ცნობილი კიდევ ერთი კითხვის, ე. წ. „სანაძლეოს სამართლიანი განაწილების" პასკალისეული ინტერპრეტაციის განხილვას, ვინაიდან პრობლემა კიდევ უფრო რთულია და, ამდენად, არასპეციალისტი მკითხველისათვის მოსაწყენი და მოსაბეზრებელიც. ვიტყვით მხოლოდ, რომ პასკალმა სწორად გადაწყვიტა დე მერეს ეს ამოცანაც და რაოდენ დიდი იყო მისი სიხარული, როცა შეიტყო, რომ ტულუზაში საფრანგეთისა და, საერთოდ, მთელი მაშინდელი ევროპის ერთ-ერთმა საუკეთესო მათემატიკოსმა პიერ ფერმამაც ანალოგიური შედეგი მიიღო[152]:

„ძვირფასო ბატონო ფერმა! — სწერდა პასკალი თავის სახელოვან კოლეგას 1654 წლის 29 ივლისს, — წუხელი ბატონმა კარკავიმ გადმომცა თქვენი წერილი, რომელმაც მე საოცრად შემძრა და ამაფრთოვანა. არ გავაჭიანურებ შესავალს და პირდაპირ გეტყვით: თქვენ საესებით სწორად ვადაწყვიტეთ როგორც კამათლების პრობლემა, ისე სანაძლეოს სამართლიანი განაწილების ამოცანაც. ჩემთვის ეს დიდად სასიხარულოა, ვინაიდან ახლა, როცა ესოდენ განსაცვიფრებლად თანმხვდომი შედეგი მივიღეთ, ეჭვი აღარ მეპარება საკუთარ სიმართლეში...

თქვენი მეთოდი საესებით მართებულია; თავის დროზე, როცა ზემოაღნიშნულ ამოცანას პირველად მოვკიდე ხელი, მეც თქვენნაირი გზით მივდიოდი; მაგრამ ყველა შესაძლო კომბინაციის გამოანგარიშება მეტისმეტად დამღლელია და თავმომაბეზრებელი. ამიტომ მოგვიანებით მე შევძელი მიმეკვლია უფრო მარტივი და მოხდენილი მეთოდისათვის, რომელიც ძალიან მინდა გაგაცნოთ. მომავალშიც ვისურვებდი თქვენთან მიმოწერას და აზრთა გაცვლა-გამოცვლას[153]. დიახ, ამიერიდან ეჭვი აღარ მეპარება ჩემს მიერ მიღებული შედეგის სიზუსტეში, ვინაიდან ის

საოცრად ემთხვევა თქვენს პასუხს. როგორც ჩანს, ჰეშმარიტება ერთია — ტულუზაშიც და პარიზშიც"[154].

თავის მხრივ, პიერ ფერმაც არანაკლებ აღფრთოვანებული იყო პასკალის ნიჭიერებით. უკვე ხანში შესული დიდი მათემატიკოსი სწერდა თავის კოლეგას პიერ დე კარკავის, რომ უსაზღვროდ ამაყობს ახალგაზრდა პასკალის გენიით და თვლის, რომ მას შეუძლია მიაღწიოს ყველაფერს, რასაც მოისურვებს[155]...

ასე იბადებოდა ალბათობის თეორია, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის მრავალი პირველხარისხოვანი მეცნიერისა და მოაზროვნის უწყვეტი რუდუნების, ნაყოფიერი კვლევა-ძიების, მცდელობის და ძალისხმევის წყალობით, მათემატიკური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან დარგად უნდა ქცეულიყო. დღეს, საკუთრივ მათემატიკის გარდა, მისი თეორიული ადაპტაციისა თუ პრაქტიკული გამოყენების არეალი ჰეშმარიტად უსაზღვროა: ფიზიკა და ქიმია, ასტრონომია და ბიოლოგია, ფილოსოფია და სოციოლოგია, მრეწველობა და ეკონომია, ან, თუ გნებავთ, საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების ურიცხვი სხვადასხვა მხარე. მართალია, მისი აწინდელი სახე ისევე ჰგავს თავის პირველსაწყისს, როგორც — თუ უხერხული არ იქნება ამნაირი პირწმინდად გარეგნული ანალოგია, — დიდი მდინარის შესართავი — მისსავე სათავეს. მაგრამ ამ ქვეყნად ყველაფერი სადღაც და როდესღაც, ვიღაცით ან რაღაცით იწყება და, ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც ალბათობის თეორიაა გამონაკლისი. რაც არ შობილა, ვერ გაიზრდება. ქმნილება ჯერ კიდევ პატარაა, დიდია — შემოქმედი.

დიახ, დიდია შემოქმედი, და მას დიდი გეგმებიც აქვს. 1651 წლის დამდეგს პასკალი წერილს უგზავნის „პარიზის დიდად საბელგანთქმულ მეცნიერებათა აკადემიას" (A la très célèbre Académie parisienne des sciences), ანუ მარენ მერსენის მიერ გაერთიანებულ ფრანგ მეცნიერთა ასოციაციას, რომელთანაც მას, ოფიციურად, არასოდეს გაუწყვეტია მეგობრული ურთიერთობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა. ამ წერილში პასკალი აყალიბებს თავისი მათემატიკური კვლევა-ძიების ვრცელ პროგრამას, ბოკლედ ახასიათებს თავის როგორც გამოქვეყნებულ, ისე დასაბეჭდად გამზადებულ შრომებს და, იმავდროულად, უღრმეს პა-

ტივისცემასა და მადლიერებას უდასტურებს უფროს კოლეგებს, მეგობრებს და მასწავლებლებს, რაც ერთხელ კიდევ გვიმოწმებს მის თავმდაბლობას და კეთილშობილებას:

„თქვენ მოგიძღვნით ამ შრომებს, ძვირფასო სწავლულნო, ან უკეთ რომ ვთქვათ, უკანვე გიბრუნებთ მათ: მართლაც, მე თქვენს კმნილებებად მიმაჩნია ზოგი მათგანი, ვინაიდან ისინი ჩემი არ იქნებოდნენ, თქვენ შორის რომ არ აღვზრდილიყავი"[151].

ალბათობის თეორიის პრობლემებზე მუშაობამ პასკალი მიიყვანა ბრწყინვალე მათემატიკურ აღმოჩენამდე კომბინატორიკის დარგში. ამ აღმოჩენის შედეგები პასკალისეული სიზუსტით ჩამოყალიბებული და გაანალიზებულია მცირე მოცულობის ნაშრომში „ტრაქტატი არითმეტიკული სამკუთხედის შესახებ" („Traité du triangle arithmétique"), რომელიც იმავე 1654 წელს გამოქვეყნდა. თავს ავარიდებთ ტრაქტატის დაწვრილებით განხილვას, რაც, ალბათ, ძალზე შორს წაგვიყვანდა; საკმარისია აღინიშნოს, რომ პასკალის სამკუთხედი საშუალებას იძლევა ბევრი რთული ალგებრული გამოთვლა ეცვლილ იქნეს უმარტივესი არითმეტიკული მოქმედებით.



პასკალის სამკუთხედი შემდეგი პრინციპის მიხედვითაა აგებული: პირველ ჰორიზონტალურ მწკრივსა და ვერტიკალურ სვეტში ჩაწერილია ერთიანების ნებისმიერი რაოდენობა — 1, 1, 1, 1 და ა. შ. სამკუთხედია ყოველი შემდეგი მწკრივისა თუ სვეტის რომელიც გნებავთ რიცხვი ასეთნაირად მიიღება: თვითეული რიცხვი უდრის უშუალოდ მის ზემოთ და მისგან ასევე უშუალოდ მარცხნივ მდებარე რიცხვების ჯამს. ამისდა კვალად, მეორე მწკრივი და მეორე სვეტი

შედგება თანმიმდევრული ნატურალური რიცხვებისაგან: 1, 2, 3, 4, 5 და ა. შ.; მესამე მწკრივი (და სვეტი) — ე. წ. „სამკუთხა" (პასკალის ტერმინია) რიცხვებისაგან: 1, 3, 6, 10 და ა. შ.; მეორე მწკრივი (და სვეტი)—ე. წ. „პირამიდული" (აგრეთვე პასკალის ტერმინია) რიცხვებისაგან: 1, 4, 10 და ა. შ.

1869 წელს ფრანგმა მეცნიერმა მ. დელეგმა დაამტკიცა, რომ „ტრაქტატი არითმეტიკული სამკუთხედის შესახებ" შეიცავს ნიუტონის ბინომის ფორმულის ამომწურავი და ძალზე ელეგანტური დასაბუთების ყველა ელემენტს[157]. გამოდის, რომ პასკალმა ისააკ ნიუტონზე და თვით აკობ ბერნულიზეც გაცილებით ადრე იცოდა ორწევრის ნებისმიერ n დადებით ხარისხში აყვანის წესი[158]. საკუთარეროდ, ჩვენთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა დელეგის გამოკვლევა. მაგრამ დილეტანტიც კი ადვილად შეამჩნევს, - რომ არითმეტიკულ სამკუთხედში რომაული ციფრების შემაერთებელ დიაგონალებზე განლაგებული რიცხვები ბინომინალური კოეფიციენტებია: ასე მაგალითად, 1+2+1 შეესაბამება $(a+b)^2=a^2+2ab+b^2$; $1+3+3+1-(a+b)^3=a^3+3a^2b+3ab^2+b^3$; $1+4+6+4+1-(a+b)^4=a^4+4a^3b+6a^2b^2+4ab^3+b^4$ და ა. შ. და ა. შ.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია: იმავე 1654 წელს პასკალი წერს თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მათემატიკურ გამოკვლევას „ტრაქტატი რიცხვთა ხარისხების ჯამის შესახებ" („Traité de la sommation des puissances numériques")[159], სადაც პირდაპირ აცხადებს, რომ ყველასათვის, ვისაც ცოტა რამ მაინც გაეგება დაუყოფადთა პრობლემისა, აშკარა უნდა იყოს დამოკიდებულება, ერთის მხრივ, რიცხვთა ხარისხებსა, ხოლო მეორეს მხრივ, მრუდხაზოვან ფართობთა გაზომვასა თუ გამოანგარიშებას შორის, და, ამრიგად, ყველა თავის თანამედროვეზე უფრო ახლოს მიდის დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის საწყისებამდე[160]. აი, ამ ტრაქტატის ერთი პასაჟი, რომელიც XVII ს. მსოფლიო მათემატიკური აზროვნების ისტორიაში სამართლიანადაა მიჩნეული ჭეშმარიტ შედევრად:

„ის ვისაც ოდნავ მაინც გაეგება მოძღვრება დაუყოფადთა შესახებ, უცილობლად შენიშნავს, რისი გამოტანა შეიძლება მრუდხაზოვან ფართობთა განსაზღვრისათვის ადრე მიღებული შედეგე-

ბიდან, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მომენტალურად მოვახდინოთ ყველა სახის პარაბოლისა და ბევრი სხვა მრუდის კვადრირება.

თუ ჩვენ უწყვეტ სიდიდეებზე განვავრცობთ ზემოთ აღწერილი მეთოდის მიხედვით რიცხვებისათვის მიკვლეულ შედეგებს, შეიძლება გამოვთქვათ რამდენიმე ძირითადი წესი.

ერთით დაწყებულ ნატურალურ რიცხვთა პროგრესიის შესატყვისი წესები:

ხაზების ამა თუ იმ რიცხვის ჯამი ისე შეეფარდება უდიდესი ხაზის კვადრატს, როგორც 1 — 2-ს.

იმავე ხაზების კვადრატთა ჯამი ისე შეეფარდება უდიდესი ხაზის კუბს, როგორც 1 — 3-ს.

მათი კუბების ჯამი ისე შეეფარდება უდიდესის მეოთხე ხარისხს, როგორ 1 — 4-ს.

ერთით დაწყებულ ნატურალურ რიცხვთა პროგრესის შესატყვისი ზოგადი წესი:

ხაზების ამა თუ იმ რიცხვის ერთნაირ ხარისხთა ჯამი ისე შეეფარდება უდიდესი ხაზის უშუალოდ მომდევნო ხარისხს, როგორც ერთი — ამ ხარისხის მაჩვენებელს.

აღარ შევჩერდებით სხვა შემთხვევებზე, ვინაიდან აქ მათი შესწავლის ადგილი არ არის. საკმარისია ისიც, რომ ჩემს მიერ ჩამოყალიბებულია ზემოთ მითითებული წესები. არც სხვა წესების მიკვლევა გაგვიჭირდება, თუ დავეყრდნობით იმ პრინციპს, რომ უწყვეტი სიდიდე არ იზრდება დაბალი რიგის სიდიდეთა ნებისმიერი რიცხვის დამატებით.

ასე, წერტილი არაფერს არ ჰმატებს ხაზს, ხაზი — სიბრტყეს, სიბრტყე კი — სხეულს. ანუ, რიცხვებზე რომ გადაკიდეთ, რაც ესოდენ მართებულია არითმეტიკული ტრაქტატისათვის, პირველი ხარისხები არაფერია კვადრატებთან შედარებით, კვადრატები — კუბებთან, ხოლო კუბები — კვადრატთა კვადრატებთან შედარებით. ამრიგად, დაბალი რიგის სიდიდეები ისევე უნდა უგულებელვყოთ, როგორც ნული.

მე მინდოდა დამემატებინა ეს რამდენიმე შენიშვნა..., რათა გამომეკლინა განსაცვიფრებელი და ყოველთვის აღტაცების მომგვრელი კავშირი, რომელსაც კიდით-კიდემდე ერთიანობით განწრ-

ნილი ბუნება ამყარებს გარეგნულად ერთმანეთისაგან ესოდენ დაშორებულ საგნებს შორის. ამნაირი კავშირი აშკარად ცნაურდება წინამდებარე მაგალითშიაც, რომელიც გვიჩვენებს, რომ უწყვეტ სიდიდეთა ფართობის გამოთვლა უშუალოდ რიცხვთა ხარისხების ჯამთანაა დაკავშირებული"[161].

ამ პასაჟს რომ აანალიზებს, მეცნიერების ერთი თანამედროვე ისტორიკოსი წერს: „აქ მოტანილი წესები შეესაბამებიან ხარისხობრივი ფუნქციის ინტეგრირების ფორმულას $\int_0^a x^n dx = \frac{a^{n+1}}{n+1}$ n ნატურალურ რიცხვთათვის. ეს არ ყოფილა ახალი აღმოჩენა: პასკალზე ადრე ამ შედეგს იცნობდა კავალიერი[162], ხოლო ფერმამ გამოიყვანა უფრო ზოგადი ფორმულა წილადურ n-თა შემთხვევისათვის. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ პასკალი ფლობს ინტეგრალური ჯამის ცნებას და მკაფიოდ აყალიბებს შესაკრებთა სასრული რაოდენობის ჯამიდან მათი უსასრულოდ მზარდი რაოდენობის ჯამზე გადასვლის ფორმულას, რომლის მისედვითაც უმაღლესი რიგის უმცირესი სიდიდენი შეიძლება უგულებელყოფილ იქნენ ძირითად სიდიდეებთან შედარებით. ეს უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ პასკალი მართლაც ახლოს იდგა ინტეგრალური აღრიცხვის საფუძვლებთან"[163].

მათემატიკური პრობლემატიკით გატაცებულს თითქოს ველარ უნდა მოეცალა სხვა სახის კვლევა-ძიებისათვის, მაგრამ არა, მათემატიკა, გინდაც ფიზიკა, პასკალს კი არ აშორებს, პირიქით, აახლოვებს ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან. ჩვენ გვანცვიფრებს ამ მძლავრი და ნათელი სულის მრავალმხრივობა, ინტერესების უჩვეულო სიფართოვე და ინტენსიური შინაგანი ცხოვრება: ბერძნული ფილოსოფიური აზროვნების ორი გიგანტი — პლატონი და არისტოტელე (პასკალი ააღორძინებს ქრისტიანიზმის პირველი აპოლოგეტისტების — ფილონ ალექსანდრიელის, იუსტინეს, კლემენტი ალექსანდრიელის, ისევე როგორც ნეტარი ავგუსტინესგან მომდინარე ტრადიციას და პლატონის მოძღვრებას ქრისტიანული მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ქვაკუთხედად გამოაცხადებს[164]), დიდი რომაელი სტოიცისტები, ანტიკური მწერლობის კლასიკოსები, მონტენის სკეპტიკური სიბრძნე, დეკარტის რაციონალისტური ფილოსოფია, კარტეზიანული გონების კულტი,

რასაც შემდგომ ესოდენ მკვეთრად დაუპირისპირდება თავის „აზრებში“, — აი, ძალზე ზოგადი და არასრული სია მისი რჩეული ავტორებისა, რომლებსაც გატაცებით კითხულობს და სწავლობს თავისი ცხოვრების ამ მონაკვეთში.

აჯამებს რა ცხოვრების ე. წ. „საერთო პერიოდში“ პასკალის სულიერი ევოლუციის შედეგებს, ემილ ბუტრუ საკუთარი სიტყვებით საგულდაგულოდ დასკვნის: „პასკალი ამეამად ძალზე შორსაა იმ ორეროფობისა თუ სულიერი რყევისაგან, რაც უშუალოდ მოპყვა, იანსენისტური იდეების ზეგავლენით, მის პირველ მოქცევას. მან კვლავ ჰპოვა სულის სიმშვიდე, მიაღწია წონასწორობას და თანხმობას საკუთარ თავთან... ბუნებრივი კაცი, როგორც ის უშუალოდ ევლინება დამკვირვებლის მზერას, მისი აზრი, მისი გული, მისი სიცოცხლე, პასკალის თვალში ახლა ისეთ ღირსებას, სიმდიდრეს და სილამაზეს იძენს, რასაც ადრე, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა. ადამიანი მისთვის უკვე დასაბამია და დასასრული. აღასრულოს ყოველივე ის, რაც სრულყოფს კაცის ბუნებას, უსასრულოდ ამაღლდეს ამ გზით ჩვენს გარემომცველ მატერიალურ სინამდვილეზე, ადამიანური ვნებების სიდიადითა და ცოდნის სიღრმით შექმნას საკუთარ სულში ჩვენთვის სავალალოდ მიუღწეველი და მიუწვდომელი წმინდა აზრისა თუ აბსოლუტური ცოდნის ხატება, — აი, რას ისახავს ამიერიდან თავის ერთადერთ მიზნად მისი თავმოყვარეობა, აი, რა არის მისი სურვილი ლტოლვის ერთადერთი საგანი, რომლისგანაც ასე ხარბად მოითხოვს მისთვის სასურველ სიხარულს, ესოდენ ნათელს და წმინდას, ეგზომ მძაფრსა და ამამაღლებელს“[165]...

ვაი რომ ამ სურვილს განხორციელება არ ეწერა. დიადი მიზანი მიუღწეველი დარჩა. არასოდეს სულიერი წონასწორობა არ დამყარებია უფრო მერყეე საფუძველს, არსად შინაგანი ჰარმონია არ ყოფილა უფრო უმტკიცო. პასკალის ყველა ბიოგრაფი კარგად იცნობს მისი სულიერი ცხოვრების ბიპოლარიზმს, მისი ვნების და განცდების პერიოდულ მონაცვლეობას — აღმაფრენიდან სასოწარკვეთამდე, ზეაღმტაცი სიხარულიდან გულისგამყინავ ძრწოლამდე. ხოლო ამ პერიოდთა ურთიერთმონაცვლეობის მკაცრად განსაზღვრული რიტმი, უპირატესად, ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: დაღლილობასა და ავადმყოფობაზე, ისევე რო-

გორც ზღვის მიქცევ-მოქცევა — მთვარის ფაზებზე, მის ავსებასა თუ ცხრომაზე.

დიახ, პასკალი დაიღალა, ან, უფრო ზუსტად, — გადაიღალა. უკიდურესად დაძაბული, ქანცგამწყვეტი და გამომფიტველი გონებრივი შრომა, განყენებული მეტაფიზიკური მედიტაციები, მარტოსულის უსიხარულო ყოფა, უიღბლო სიყვარული, მისთვის სოლელად უცხო და არაბუნებრივ გარემოცვაში — არისტოკრატიულ სალონებსა თუ ლიბერტინების წრეში ტრიალი, — ყოველივე ამან თითქმის მთლიანად დაწრიტა პასკალის სულიერი თუ ფიზიკური ძალები და საგრძნობლად გააუარესა მისი ჯანმრთელობა. კვლავ დაიწყო თავის საშინელი ტკივილი, რაც მოკლე ხანში სულიერი დეპრესიის მიზეზად იქცა. ამ მხრივ, 1654 წლის ნოემბრის თვე მართლაც რომ საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

4 ნოემბერს გარდაიცვალა პასკალების ოჯახის ძველი მეგობარი, მათემატიკოსი ლე პაიერი. მამაკაცურ მზრუნველი კაცის დაკარგვამ დიდად დაამწუხრა ბლეზი... ათიოდე დღის შემდეგ, როგორც ჩანს, კვირას, 15 ნოემბერს, პასკალმა, გულის გადასაყოლებლად, მეგობრებთან ერთად ეტლით გაისეირნა. სოფელ ნეიისთან, პარიზის მახლობლად, სენაზე გადებულ მაღალ ხიდზე ცხენები მოულოდნელად დაფრთხნენ. მოძველებულ ხიდს არემონტებდნენ: შუაში მოაჯირი უკვე მოეხსნათ. ცხენები სწორედ ამ ადგილს მიაწყდნენ: დაღუპვა გარდაუვალი ჩანდა: ცხენების ჭეწინავე წყვილი თავდაყირა გადაეშვა წყალში, თვალის დახამხამებაში მას მეორე წყვილიც მიჰყვა, მაგრამ მგზავრების ბედად ხელნა გატყდა და ეტლი ზედ ხიდის კიდეზე შეჩერდა. პასკალი სწორედ აქეთა მსარეს იჯდა და ყველაფერი დაინახა. შოაბეჭდილება ისეთი საზარელი იყო, რომ მან გონება დაჰკარგა.

ამ შემთხვევამ თხემით ტერფამდე შეარყია პასკალის უკიდურესად მგრძნობიარე და ნერვიული ბუნება. თვეების მანძილზე უძილობა და უცნაური ჰალუცინაციები დასჩემდა. მართალია, უძილობამ, ბოლოს და ბოლოს, გაუარა, მაგრამ ჰალუცინაციები სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. „ამ დიად სულს — ამბობს აბატი ბუალო, ერთთავად ასე ეგონა, მბარმარცხნივ პირაშკმულ უფსკრულს ვხედავო. ამიტომ, თავის დასამშვიდებლად, ხელმარცხ-

ნივ სკამს მოიდგამდა ხოლმე. მეგობრები და სულიერი მოძღვარი შეაგონებდნენ: ნუ გეშინია, ეს მხოლოდ განყენებული მეტაფიზიკური მედიტაციებით დაღლილი წარმოსახვის პირქუში აჩრდილია, მოჩვენება და მოლანდებაო. უსიტყვოდ ეთანხმებოდა, მაგრამ მეოთხედი საათის შემდეგ კვლავ პირაშკმულ უფსკრულს ხედავდა, რომელიც თავზარს სცემდა მას"[166] („...ჩვენ ხარბად მიველტვით მკვიდრ სამყოფელს, გვსურს ფეხქვეშ ვგრძნობდეთ მყარ ნიადაგს, რათა ცადაზიდული გოდოლი აღვმართოთ ზედ, მაგრამ ჩვენი საძირკველი ირღვევა და ხახადაფჩენილი ნაპრალიდან უფსკრულის ავბედითი თვალი გვიცქერის"[167]...).

21 ნოემბერს პასკალი თავის დასთან, ეფემია-ჟაკლინთან ერთად დაესწრო სენგლენის ქადაგებას, რამაც უჩვეულოდ ააღელვა და სულის სიღრმემდე შესძრა იგი. ეს იყო ასკეტურად მკაცრი და სასტიკი, ყოველგვარი განცხრომის, ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობის წინააღმდეგ მიმართული ისევე როგორც ადამიანური სისუსტის, ცუდმედიდობის, პატივმოყვარეობის, ქვენა გრძნობებისა თუ ხორციელ გულისთქმათა სიბილწის მიმართ შეუწყნარებელი და დაუნდობელი იანსენისტური ქადაგება, რომელიც ამტკიცებდა, რომ კაცმა ყველაფერი უნდა დასთმოს, უნდა გასწიროს საუკუნო ცხოვრებისათვის, ყველაფერი უნდა ანაცვალოს სულის ხსნას, ადამიანის ამქვეყნიური არსებობის ერთადერთ ჭეშმარიტ მიზანს. სენგლენის სიტყვებში თითქოს ერთხელ კიდევ გაცოცხლდა „ქრისტეს მიბაძვის" — შუა საუკუნეების დამლევს შეთხზული დიადი წიგნის მკაცრი მორალი: „Claude super te ostium tuum..."[168]. მოიხურე შენს უკან კარი შენი და მოუხმე მიჯნურს შენსას იესო ქრისტეს. განმარტოვდი მასთან ერთად შენსავ სენაკში, რამეთუ თვინიერ მისა ვერსად ჰპოვებ სრულსა და შეუმღვრეველ სიმშვიდეს"[169].

პასკალში კვლავ იფეთქა აქამდე თითქოს მინავლულმა რელიგიურმა გზნებამ. მისი შინაგანი ფერისცვალება და ახალი სულისკვეთება იმ დღესვე ცნობილი გახდა ეფემია-ჟაკლინისათვის, რომელმაც, თავის მხრივ, ყველაფერი იღონა, რათა ეს „ღვთიური განცდა" აღარასოდეს ჩამქრალიყო ძმისა ძმის სულში. „დეიდას მცდელობა არ დაუკლია, რათა შეძლებისდაგვარად გაეღვივებინა ეს ახალი ალი, და რამდენიმე დღის შემდეგ ბიძაჩემმა

გადაწყვიტა საბოლოოდ ექცია ზურგი ამ სოფლისათვის“, — იგონებს პასკალის დისწული მარგარიტა პერიე[170]... მაშ, ასე, ქვეყნისგან განდგომა, თვითგანდგომა, თავდავიწყება, მარტოსულის ნეტარება, ტკბილი და სრული; O beata solitudo, o sola beatitudo! (ო, ნეტარო მარტოობავ, ო, მარტო ნეტარებავ!) ...მას თითქოს, კვლავ ჩაესმის იდუმალი ბრძანებლური ხმა, რომელმაც ოთხნახევარი საუკუნის წინათ შეარყია წმინდა ფრანჩესკო ასიზელის სული: „...ყველაფერი, რასაც აქამდე ეტრფოდი და რაც სასურველად გიჩნდა ამ ქვეყნად, დიახ, ყველაფერი ეს უნდა შეიზიზღო და დაუტევო!“[171].

დაღლილობა, ავადმყოფობა, დის (და არა მარტო დის) იანსენისტური გულმოდგინება, გარემოებათა უცნაური დამთხვევა, — ყველაფერი ეს ჯიუტი თანმიმდევრობით თუ თანხვდომით ამზადებდა გარდატეხის მომენტს პასკალის სულიერ ცხოვრებაში, და ამ მომენტმაც არ დაახანა. სენგლენის ქადაგების მოსმენიდან გავიდა მხოლოდ ორი დღე, და, აი, 23 ნოემბერს, საღამო ჟამს, პასკალი მისტიურ ექსტაზში ჩაეარდა; ეს იყო ერთგვარი ტრანსი, ბნედის მსგავსი მდგომარეობა, სადაც თითქოს ერთმანეთს შეერწყა რეალობა და ირრეალობა; ცხროიანი გონების, ციებ-ცხელებით შეპყრობილი სულის ზმანება; „უხილავის ხილვა, სამყაროული იდუმალების უშუალო წვდომა, დაფარულის გამოცხადება“... იმავე ღამეს, კოშმარული ზმანებიდან გამორკვევისთანავე დაწერა მან თავისი სახელგანთქმული „მემორიალი“, რომელიც შემდეგ პერგამენტზე გადაიტანა, კამზოლის სარჩულში ჩაიკერა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თან ატარებდა, როგორც ავგაროზს:

„ღმერთის გულმოწყალების წელი 1654, ორშაბათი, 23 ნოემბერი, წმ. კლემენტეს, პაპისა და სხვა მოწამეთა დღე... დაახლოებით საღამოს თერთმეტის ნახევრიდან დაახლოებით ღამის პირველის ნახევრამდე“.

„ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისააკისა, ღმერთი იაკობისა“, არა ფილოსოფოსთა და სწავლულთა ღმერთი... რწმენა. რწმენა. გრძნობა. სიხარული. მშვიდობა... იესო ქრისტეს ღმერთი ... Deum meum et Deum vestrum[172]... „შენი ღმერთი იქნება ჩემი ღმერთი“... დავიწყება ქვეყნის, დავიწყება ყველაფრის, გარდა ღმერთისა... მას ეზიარები მხოლოდ სახარებაში ნაჩვენები გზით... სიდიადე ადამიანის სულისა... „მამაო წრფელო, ქვეყანამ ვერ გიცნო, მე კი გიცანი შენ“... სიხარული, სიხარული, სიხარული, ცრემლი სიხარულისა... მას განვეშორე: Derelinquerunt me fontem aquae vivae[173]... „ღმერთო ჩემო, ნუთუ დამიტევებ მე?“.. დაე, აღარასოდეს განვეშორო, აწ და მარადის... „ესაა ცხოვრება საუკუნო, დაე, შეგიცნონ ჭეშმარიტი ღმერთი. დაე, შეიცნონ ისიც, ვინც შენ წარმოგზავნე, იესო ქრისტე“... იესო ქრისტე. იესო ქრისტე... მას განვეშორე; გავექეცი, უარვყავ, ჯვარს ვაცვი... დაე, აღარასოდეს განვეშორო, უკუნისამდე... მხოლოდ სახარებაში ნაჩვენები გზით შეიძლება შეინარჩუნო იგი... ქვეყნისაგან განდგომა, სრული და ტკბილი... სრული მორჩილება იესო ქრისტესა და ჩემი სულიერი მოძღვრის მიმართ... საუკუნო სიხარული ამქვეყნად ერთი დღის ღვაწლის სანაცვლოდ... Non obliviscar sermones tuos. Amen“[174].

23 ნოემბრის სწორედ ეს საბედისწერო ღამე ითვლება პასკალის მეორე, ე. წ. „საბოლოო მოქცევის“ (conversion définitive) თარიღად. ამ შინაგანი წინააღმდეგობებით გათიშული და გაპარტახებული კაცის სულიერი მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ მოჰყვა მის საბოლოო მოქცევას, შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ როგორც კოშმარი, ქაოსი, სასოწარკვეთა. ამიერიდან ის სულ სხვაგვარი თვალთახედვით აღიქვამს სამყაროს, თავისი სურვიელი ლტოლვის ყველა საგანს, ნივთიერს ხრწნადსა და მსწრაფლმავალ სინამდვილეს, სადაც ყველაფერი ასერიგად უხანოა უფასური და უბადრუკი. „აგერ უკვე ერთი წელია, მან (ბლეზმა — ბ. ბ.) მოიძულა ეს ქვეყანა, შეიზიზღა ყოველივე ამქვეყნიური... ახლა მისი მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე ოდესმე“, — სწერდა იმ ხანად ჟაკლინი თავის უფროს

დას კლერმონ-ფერანში[175]... პასკალს ეჩვენება, რომ საქმე, რომელსაც აქამდე ასე გატაცებით, მთელის არსებით ემსახურებოდა, საერთოდ არ არის ადამიანის სულის ღირსი. ის მწარედ განიცდის შეუსაბამობას თავის მდგომარეობასა და დანიშნულებას შორის.

როგორც პირველ, ისე მეორე მოქცევასაც თან ახლავს განვლილი გზის კრიტიკული შეფასება, ფასეულობათა ხელახალი გადაფასება. მეცნიერება პასკალის თვალში, ახლა იმდენად სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის მძლავრი იარაღი როდია, რამდენადაც საუკუნოვანი ილუზიების განქარებისა და, ამ გზით, ადამიანის დაკნინების თუ დათრგუნვის საშუალება. რა საჭირო იყო მეცნიერების პროგრესი, ანდა თვითონ მეცნიერება, თუკი ის შვების ნაცვლად მხოლოდ ტანჯვას, ურვასა და უსასოობას მოუტანდა კაცობრიობას? როგორც ახალი ადამი, ის გულამოსკვნით მისტირის საუდამოდ დაკარგული „სულიერი სამოთხის“ პირველქმნილ სიმშვიდეს და სიწმინდეს, სულის დასაბამიერ ნეტარებას:

„ამქვეყნად ყველაფერი ან სიბილწეა ხორცის, ან სიბილწეა თვალის, ან სიამაყეა არსებობისა: libido sentiendi, libido sciendi, libido dominandi[176]. უბედურია წყეული მიწა, რომელსაც ცეცხლის ეს სამი მდინარე კი არა რწყავს, არამედ წალეკვითა და გადაბუგვით ემუქრება! ბედნიერია, ვინც არ ჩაიძირა ამ შმაგ ნაკადში და თავი არ მისცა მძვინვარე ტალღებს, არამედ მტკიცედ გამაგრდა მყუდრო ადგილას, გულმშვიდად მოიკალათა დაბალსა და მკვიდრ საკარცხულზე, და ზის ასე გარინდებული, სანამ არ იფეთქებს წმინდა ნათელი, სანამ არ გადმოიფრქვევა ზეცით მარადიული განთიადის უხრწნელი შუქი; და მაშინ, განწმენდილი და განახლებული, ხელებს აღაპყრობს მის მიმართ, ვინც უნდა აღადგინოს, აღამაღლოს და სამარადისოდ დაამკვიდროს წმიდა იერუსალიმის კარიბჭესთან, სადაც სიამაყე ვეღარ შეძლებს რისხვად დაატყდეს თავს, შემუსროს და დაამხოს იგი; მანამ კი ის ზის, ზის და ტირის, არა იმიტომ, რომ ხედავს, როგორ მიაქანებენ შმაგი ტალღები ხრწნად საგნებს, წამიერ არსებებს, მწუხრისფერ ლანდებს, არამედ იმიტომ, რომ საუკუნო წამებად გაჭიმულ, მაგრამ არსებითად, წამიერ

ტყეებაში გამუდმებით იგონებს თავის ძვირფასსა და დაუვიწყარ სამშობლოს ზეციურ იერუსალიმს!"[177]...

განა ასეთი იყო ძველი ადამიანის მსოფლშეგრძნება თუ მსოფლგანცდა? მთელი ღვთაებრივი კოსმოსი, მყუდრო ბინასავით მომხიბლავი და მოალერსე, სალუქად მორთულ-მოკაზმული, კოხტა, კოპწია, — მხოლოდ ადამიანისთვის იყო შექმნილი. სამყაროს უძრავი ცენტრის — დედამიწის გარშემო სხვადასხვა სიჩქარით ბრუნავდა ცხრა კონცენტრული ბოლის სკნელი — მთვარის, მერკურის, ვენერას, მზის, მარსის, იუპიტერის, სატურნის, უძრავ ვარსკვლავთა და, ბოლოს, მეცხრე — კრისტალური ცა, რომელიც თავისი ბრუნვით ამოძრავებდა მთელს სამყაროს, ხოლო თვითონ სამყაროს მიღმური ტრანსცენდენტური საწყისის, თვით უძრავი „პირველი მძვრელისაგან" იღებდა მოძრაობას. ღამით ცარგვალზე ბოლის ჭაღებივით ინთებოდნენ მნათობები, თავიანთ გრძნეულ ღიმილს აფრქვევდნენ ცოდვის სავანეს — დედამიწას და ადამიანი მონუსხული უგდებდა ყურს „ვარსკვლავების სიმღერას", სამყაროს სივრცეში უფლის სადიდებლად მოგუგუნე კოსმიურ კონცერტს.

მაგრამ დრონი იცვალნენ. ახალი ასტრონომიის ტრიუმფმა საფუძველი გამოაცალა ძველი ადამიანის თვითრწმენას, მის გულუბრყვილო გეოცენტრიზმსა თუ ანთროპოცენტრიზმს, ღვთაებრივი სამყაროს, კოსმიური ჰარმონიის მომხიბლავ კონცეფციას. „მოვიდნენ კოპერნიკი და კეპლერი: მოვიდა გალილეი. დედამიწა ცათა სივრცეში დაკარგულ უჩინო ნამცეცად იქცა. ადამიანი აღარ არის სამყაროს ცენტრი. უკვე იწყება იმაზე ფიქრი, თუ რაოდენ ძნელია იწამო, თითქოს სამყარო ადამიანისთვის არის შექმნილი და თითქოს ადამიანი ყოვლად-ძლიერის განსაკუთრებული ყურადღების საგანია. ჭოგრიტებით დანახულსა და ახალი ასტრონომიით კორექტირებულ ცაში პასკალი, თავის მხრივ, ძრწოლის ახალ საბაბს აღმოაჩენს"[178]...

შეირყა ძველი წარმოდგენების ეთელი სისტემა, გაუღმერთოვდა ძველი ადამიანის მიერ განღმრთობილი მთელი სამყარო. ახალმა ფიზიკამ კიდევ უფრო დააჩქარა ძველთუძველესი ილუზიების მსხვრევა. მან სამყაროდან განდევნა სული და მთელი კოსმოსი მატერიალური ძალების უაზრო და თვითმიზნურ თამაშამდე,

დაიყვანა. ამ მხრივ, თითქოს არ შეუცოდავს მათემატიკას, მაგრამ მათემატიკა წმინდა გონების კონსტრუქციაა, რომლის შექმნასა და დაფუძნებაში იოტის ოდენა წვლილიც არ მიუძღვის გულს. აქ ერთპიროვნულად მბრძანებლობს და ყველაფერს განაგებს ადამიანის თვითმპყრობელი აზრი, მაშინ როდესაც გრძნობას მონის როლიც წართმეული აქვს...

იქნებ, ფილოსოფია მაინც წამოეშველა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების პროგრესის შედეგად ღვთაებრივი ილუზიებისაგან განძარცულ, საყრდენმოშლილ, კალაპოტიდან ამოვარდნილსა და სამყაროს თავზარდამცემი სიდიადისა თუ გრანდიოზული კოსმიური ძალების პირისპირ დგომით შეძრწუნებულსა და დათრგუნვილ ცნობიერებას? ვაი რომ არა! ფილოსოფიამ სამყაროს დასაბამის და დასასრულის, ყოფიერების მიზნისა და მიზეზის კი არა, კაცობრიობის ცხოვრების აზრის, მეტიც, ადამიანის დანიშნულებისა და თვით ჩვენი საკუთარი ბუნების შეცნობაც ვერ შესძლო. არაფერია უფრო ქაოტური, შინაგანი წინააღმდეგობებით კიდით-კიდემდე განწონილი, უფრო სევდიანი, უფრო პირქუში, ვიდრე ფილოსოფიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია თავისი ჰეტეროგენული სისტემებით, ურთიერთგამომრიცხველი ონტოლოგიური თუ ნოოლოგიური კონცეფციებით, ერთურთის მიმართ დიამეტრალურად საპირისპირო ზნეობრივი მოძღვრებებით. მარტო უზენაესი სიკეთის ცნების სხვადასხვაგვარმა ინტერპრეტაციამ ჯერ კიდევ წმიდა ავგუსტინეს ეპოქამდე დასაბამი მისცა 288 ფილოსოფიურ სექტას, ანუ, თანადროული ტერმინოლოგიით,—სკოლას, მიმდინარეობასა თუ მიმართულებას[179]... ფუჭია სტოიციზმი თავის მაქსიმალისტური მისწრაფებებით; სტოიციზმი, რომელიც ადამიანს ლამის ღმერთთან აიგივებს; ფუჭია ეპიკურეიზმი, რომელიც კაცს ცხოველს ადარებს:

„ო, რა ამაოდ დაეძებთ, ადამიანებო, თქვენსავე თავში თქვენი უბედობის საშველს. მოუხმეთ მწედ თქვენი სულის ბუნებრივ ნათელს, მაგრამ მხოლოდ იმას დაინახავთ, იმას შეიცნობთ, რომ თქვენსავე თავში ვერასოდეს ჰპოვებთ ჭეშმარიტებას და სიკეთეს. ფილოსოფოსები აღგითქვამდნენ, ჩვენ გაპოვნინებთო, მაგრამ

აღთქმა აღთქმადვე დარჩა. მათთვის თანაბრად დაფარულია რო-გორც თქვენი ჭეშმარიტი სიკეთე, ისე თქვენი ჭეშმარიტი მდგომარეობა. როგორღა გაპოვნინებენ თქვენი უბედობის საშველს, თუკი თავიანთი უმეცრებისთვისაც ვერ უშველიათ? ორი რამ გღუპავთ თქვენ: ქედმაღლობა, რომელიც ღმერთს გაშორებთ, და სიბილწე, რომელიც მიწას გაჯაჭვავთ. ფილოსოფოსები კი არათუ გკურნავენ, არამედ თქვენი დამღუპველი ამ ორი სნეულებიდან, სულ ცოტა, ერთ-ერთს მაინც ამძაფრებენ. თუ ცდილობენ ღმერთის მიმართ მიგაქციონ, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მეტად წააქეზონ თქვენი ქედმაღლობა: ისინი შთაგაგონებენ, რომ, თქვენი ბუნებით, ღვთისდარნი ხართ და ღვთისნიერნი. ხოლო ამ ფუჭი ქედმაღლობის მგმობნი, პირიქით, მეორე უკიდურესობისკენ გიბიძგებენ: ისინი დაჟინებით გინერგავენ იმ აზრს. რომ თქვენი ბუნება არაფრით არ განსხვავდება ცხოველური ბუნებისაგან და ამიტომ სიკეთეს და ბედნიერებას მხოლოდ პირუტყვული ჟინისა და პირუტყვული ვნებების დაცხრომის გზით ეზიარებით. მაგრამ განა ეს განგკურნავთ თქვენი უსამართლობისა თუ უკეთურობისაგან, რომელიც თქვენმა ბრძენმოძღვრებმა ვერც კი შეიცნეს?...“[180]

ასევე ფუჭი და ამაოა პირონიზმი; მონტენის სკეპტიკური სიბრძნე; ამაოა დეკარტის ცალმხრივი რაციონალიზმი... ყველაფერი რაც აქამდე ასე უყვარდა, ასე ხიბლავდა ასე ატკბობდა, ახლა მისთვის სინდისის ქენჯნის საბაბად, სიმწარედ და სინანულად იქცა. უცნაური სნეულება ღრღნის, ფიტავს და აწამებს ამ სულს, რომელიც სულ ახლახან ასეთი ნდობით უყურებდა სამყაროს, ესოდენ ვნებიანად მიელტვოდა სახელსა და დიდებას, ასე ხარბად ეწაფებოდა სოფლის სიამეს. პასკალის ამდროინდელი სულიერი განწყობილების გასარკვევად ერთხელ კიდევ უნდა მივმართოთ მის პატარა ტრაქტატს „ცოდვილის მოქცევისათვის“:

„...ამიერიდან ის არარაობად აღიქვამს ყოველივე იმას, რაც არარაობად უნდა იქცეს: ზესკნელს თუ ქვესკნელს, საკუთარ სულს, საკუთარ სხეულს, მშობლებს, მეგობრებს, მტრებს, სიმდიდრეს სიღატაკეს, უბედურებას, ბედნიერებას, პატივს, სახელს, უსახელობას, ზიზღს, გავლენას, ძალაუფლებას, გა-

ჭირვებას, ჯანმრთელობას, სნეულებას და თვით სიცოცხლეს. და ბოლოს, ყოველივე ის, რასაც მასზე უფრო მოკლე დღე უწერია, ვეღარ აკმაყოფილებს ამ სულის იდუმალ ზრახვებს თუ მისწრაფებებს, სულისა, რომელიც თავგანწირული ძალისხმევით ცდილობს დაიმკვიდროს ისევთვივე წარუვალი ბედნიერება, როგორც წარუვალია თავად"[181].

არარაობა, წარმავლობა, უბადრუკობა. ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო. უსასოობის ტრაგიკული განცდა, გამძაფრებული უკურნებელი სენის საზარელი ზემოქმედებით: „...ის თავს გრძნობს, ის თავს გვიხატავს, ის ბორგავს, როგორც ალყაში მომწყვდეული ნადირი[182], მეტიც, ის თვითონვე იმწყვდევს ამ ალყაში საკუთარ თავს, თვითონვე აქეზებს საკუთარი არსების ყველა უებრო უნარს, თავისი ლოგიკის მთელ ძალ-მოსილებას, თავისი ენის მთელ ჯადოქრულ ხიბლს, რათა შებღალოს ყოველივე ის, რაც ხილულია და რაც, თავისთავად, სრულიადაც არ არის დამთრგუნველი. მას სურს იყოს მყიფე, მსხვრევადი. ყოველის მხრიდან საფრთხითა და სიმარტოვით გარშემორტყმული, ძრწოლისა და სასოწარკვეთის ათასგვარი საბაბით გულგასენილი. მას ვერ აუტანია, რატომ ფართხალებს დროის, რიცხვის, განზომილების ვერაგ ბადეში, რატომ გაება სამყაროული სისტემის მახეში. ყველა საგანი, ყველა ქმნილება მას თავის შემზარავ მდგომარეობას აგონებს, ყველაფერი ჭრის, ყველაფერი სიკვდილივით მწარე ყმუილს აღმოატევებინებს"[183].

ამ უჩვეულო ნერვიულ აგზნებას, საბრალო სულში აბრიალებულ ამ ყოვლისმმუსვრელ ხანძარს შეეძლო მთლიანად დაეფერფლა და ნაცრად ექცია იგი. ვიღაცას — ან სხვას, ან თვითონ მას სასწრაფოდ უნდა ეზრუნა იმისათვის, რომ როგორმე გაენელებინა ეს სასმილი, თავიდან აეცილებინა კატასტროფა. აქ პასკალს მწედ ისევ სენგლენი მოევლინა, რომელმაც ურჩია სასწრაფოდ დაეტოვებინა პარიზი; და, აი, 1655 წლის 7 იანვარს პასკალი, თავისი მეგობრის — ჰერცოგ დე ლიუინის თანხლებით, ამ დიდგვაროვანი იანსენისტის მამულში, ვომიურიეს ციხეკოშკში მიემგზავრება სამკურნალოდ და დასასვენებლად. მაგრამ რაკი ვერც აქ ჰპოვა სულის სიმშვიდე, ითხოვა, იქნებ ცალკე სენაკი გამომიყოთო პოლ-როიალ-დე-შამპის მონასტერში, და როცა

თანხმობა მიიღო, იმავე თვის დამლევს შეეხიზნა მარტოსულთა ამ თავშესაფარს...

პოლ-როიალის მონასტერი დაარსებულ იქნა 1204 წელს, შევრეზის უდაბურ ხეობაში, ვერსალის მახლობლად, პარიზიდან რამდენიმე ლიე მანძილზე. ეს იყო ბენედიქტელთა ორდენის დედათა მონასტერი. XVII ს. დამდეგიდან პოლ-როიალის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ცნობილი პარიზელი ადვოკატისა და პუბლიცისტის, პასკალების ძველი მეგობრის ანტუან არნოს ოჯახს, „მეამბოხეთა ამ დიადსა და სახელოვან საგვარეულოს" („ონორე დე ბალზაკი)[184]. 1608 წელს პოლ-როიალის აბატესა გახდა ანტუანის 16 წლის ქალიშვილი მარი-ჟაკლინ არნო (1591 — 1661), ჟაკლინ პასკალის სულიერი მოძღვარი და მეგობარი. 1625 წელს აბატესას დედამ ეკატერინე მარიონმა პარიზში, სენ-ჟაკის გარეუბანში, ლათინური კვარტალის მახლობლად იყიდა უზარმაზარი შენობა, რომელიც პოლ-როიალის მონასტერს უძღვნა. ასე დაარსდა ე. წ. „პარიზის პორ-როიალი", ხოლო შევრეზის მონასტერი — „პორ-როიალ-დე-შამპი" იანსენისტ მამათა თავშესაფრად, ფრანგული იანსენიზმის აღიარებულ ცენტრად იქცა. პორ-როიალის მამათა მონასტრის დაარსება უშუალოდ დაკავშირებულია იანსენიზმის ფუძემდებლის, ჰოლანდიელი თეოლოგიის კორნელიუს იანსენის (1583 — 1638) მეგობრისა და მიმდევრის — ჟან დიუვერჟიე დე გორანის — სენ-სირანის (1581 — 1643), ხოლო შემდეგ — ამ უკანასკნელის მოწაფის ანტუან სენგლენის (გარდ. 1664) სახელთან.

1655 წელს, როცა პასკალი პორ-როიალ-დე-შამპში მივიდა, მონასტრის წინამძღვარი იყო ძველი აღთქმის მთარგმნელი, იანსენისტი თეოლოგი ლუი ისააკ ლე მეტრ დე სასი (1613 — 1684). ამ დროს პორ-როიალის გარშემო თავს იყრის ფრანგ თეოლოგთა, ფილოსოფოსთა და მწერალთა მძლავრი ჯგუფი: ესაა, უწინარეს ყოვლისა, იანსენისტთა იდეური ბელადი, მარი-ჟაკლინ არნოს ძმა ანტუან არნო (1612 — 1694), ღმრთისმეტყველი, ფილოსოფოსი, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, რომელმაც ნიკოლთან ერთად დაწერა სახელგანთქმული „პორ-როიალის ლოგიკა" (1662), ხოლო ლანსელოსთან ერთად — „ზოგადი სისტემატიკური გრამატიკის კურსი" (1664); ესაა ანტუანის უფროსი

ძმა რობერ არნო დ'ანდილი (1588 — 1674), იოსებ ფლავიუსისა და ქრისტიან თეოლოგთა მთარგმნელი, მწერალი-მორალისტი, თავისი დროის ერთ-ერთი უდახვეწილესი სტილისტი; ესაა კლოდ ლანსელო (1615 — 1695), მწერალი, გრამატიკოსი, „ბერძნულ ფესვთა ბაღის" ავტორი; ესაა პიერ ნიკოლი (1625—1695), ანტუან არნოს უახლოესი თანამოაზრე და თანამებრძოლი, მორალისტი, თეოლოგი, სახელგანთქმული „მორალური ცდების" ავტორი და სხვ.

როგორი იყო იმ მოძღვრების არსი, რომელიც პორ-როიალის გარშემო აერთიანებდა არა მარტო კლერიკალებს, არამედ საერო წოდების ბევრ წარჩინებულ პირსაც? (ამ უკანასკნელთა შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ პასკალებისა და არნოების ოჯახები, ჰერცოგები — დე როანე, დე ლიუინი, დე ლიანკური, დე ლონგვილი, მარკიზა და საბლე, მარკიზა დ'ომონი მადამ დე სევინიე და სხვ., რომლებიც იანსენიზმში ხედავდნენ ზნეობრივი სიმტკიცის საყრდენს, ოფიციალური კათოლიკური სარწმუნოების მიერ შერყვნილი და შებღალული რელიგიური რწმენის სიწრფელის და სიწმინდის ბურჯს.) იანსენიზმი, რომელიც ბევრი რამით უახლოვდება და ენათესავება კიდეც კალვინიზმს (ტყუილად როდი უწოდებდნენ იანსენიზმის იდეური მტრები — იეზუიტები კორნელიუს იანსენს — „გადახარშულ კალვინს", ხოლო მის მიმდევრებს — „ჟენევის ჭაობში შობილ ბაყაყებს"[185]), წარმოიშვა, როგორც კათოლიკურ-იეზუიტური მოძღვრების „მოლინიზმის" საპირისპირო მიმდინარეობა. თავის წიგნში „თავისუფალი ნებისა და ღვთიური მადლის თანხმობა" („Liberi arbitrii cum gratiae donis concordia", 2 vol. 1588 — 1589), რომელმაც დასაბამი მისცა მოლინიზმს, სახელგანთქმული კაზუისტი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი მოლინა (1535 — 1600), ნეტარი ავგუსტინეს მოძღვრების საპირისპიროდ, ამტკიცებდა, ერთის მხრივ, ღვთიური მადლის, ხოლო მეორეს მხრივ, ადამიანის თავისუფალი ნების მისტიურ ურთიერთობას და თანამშრომლობას სულის ხსნის საკითხში.

დუნს სკოტისა და ვილჰელმ ოკამის ფილოსოფიურ დოქტრინებზე დაყრდნობით, სადაც ხაზგასმით წინ იყო წამოწეული ადამიანის თავისუფალი ნება, მისი თავისთავადობა და მკვეთრად

გამოხატული ინდივიდუალისტური ბუნება, მოლინა ცდილობდა თავისუფალი ნების ავტონომიურობით შეეცვალა ღვთიური მადლის აბსოლუტივისტური კონცეფცია, რომლის თანახმადაც, მხოლოდ უფლის გულმოწყალებას, მხოლოდ მის მიერ ბოძებულ მადლს ხელეწიფება ადამიანის სიკეთისაკენ მიქცევა და, ამ გზით, მისი ხსნა. მოლონიზმის მიხედვით, ადამიანზე გადმოსული ღვთიური მადლი, თავისთავად, უკმარისია, თუკი მის კეთილისმყოფელ მოქმედებას ხელს არ უწყობს ადამიანისავე კეთილი ნება. ღვთიური მადლი თანაბრად მიეფინება უკლებლივ ყველა კაცს და ასევე ექვემდებარება მათსავე თავისუფალ ნებას, რომლის „თვითნებობაზეც" (თუ შეიძლება ასე ითქვას) მთლიანად დამოკიდებულია მადლის ქმედითობა თუ არაქმედითობა, ისე რომ, ღმერთისმიერი ყოველგვარი სხვა შეწევნა ზედმეტი ხდება...[186]

მოლინიზმის წინააღმდეგ მიმართულ თავის თხზულებაში „ავგუსტინე" („Augustinus"), რომელიც ავტორის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ (1640) გამოქვეყნდა, კორნელიუს იანსენი, ლუთერისა და კალვინის კვალდაკვალ, თითქმის მთლიანად უარყოფდა თავისუფალი ნების როლს და ყველაფერს ღვთიურ მადლსა და ღვთაებრივი პრედესტინაციის („წინა-განმზადების" — სახარებისეული ტერმინია) ურყევ რწმენაზე აფუძნებდა... თითქოს საუკუნეების შემდეგ კვლავ განახლდა ორთოდოქსალიზმის ბრძოლა პელაგიანური ერესის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც ღვთიური მადლი დამსახურებისამებრ ენიჭება ადამიანს და, ამდენად, სულაც არ არის აუცილებელი სულის ხსნისათვის. — არა, — ამტკიცებდა ნეტარი ავგუსტინე. — ცოდვით დაცემული და ღმერთს განშორებული კაცი მარტოოდენ თავისი ნებით, ღვთიური მადლის შეწევნის გარეშე ისევე ვერ მიაკვლევს სულის ხსნის გზას, ისევე ვერ მიუბრუნდება უფალს, როგორც ცარიელი კასრი თავისით ვერ აივსებაო წყლით. იეზუიტი დოქტორის მოძღვრებაში, რომელიც ძალიან სწრაფად გავრცელდა, იანსენი ხედავდა მომაკვდინებელ საფრთხეს კათოლიკური სარწმუნოებისათვის. ეს იყო, მისი აზრით, ძველი პელაგიანიზმის აღორძინება, რომელიც, თავის მხრივ, უშუალოდ წარმართული ფილოსოფიისაგან იღებდა დასაბამს. — ღმერთს ჩვენ ვუმადლით სი-

ცოცხლის ნიჭს, ფილოსოფიას კი იმას, რომ შეგვიძლია კეთილად მოვიხმაროთ ჩვენი სიცოცხლეო, — ამბობდა სენეკა. ეს ადამიანური სიამაყე, რომელიც კაცს აშკარად უპირისპირებდა ღმერთს და ქმნილებას თვითნებურად აკუთვნებდა შემოქმედის პრეროგატივას, დიახ, სწორედ ეს ადამიანური სიამაყე, ან, უფრო უკეთ, სიშლეგე იყო, იანსენის აზრით, სული და გული მოლინისტური თეოლოგიისა.

პავლე მოციქულის სახარებისეული სწავლისა და, უწინარეს ყოვლისა, ნეტარი ავგუსტინეს მოძღვრების თანასმად, რომლის შესწავლასაც მან მთელი ოცი წელი შესწირა, იანსენი ამტკიცებდა, რომ პირველმა ცოდვამ სულის სიღრმემდე შებღალა და შერყვნა ადამიანი და არა მარტო ზებუნებრივი, (არამედ თვით ბუნებრივი ნიჭიც მიჰხადა მას. ნებაგამრუდებული კაცი განეშორა შემოქმედს, რის შედეგადაც ღვთიურ მადლს მის არსებაში შეენაცვლა საკუთარი თავის სიყვარული, წყარო ყოველგვარი ბიწისა და ბოროტებისა, ისევე როგორც ცოდვითდაცემამდე ღმერთის სიყვარული იყო სათავე ყოველგვარი სიქველისა და სათნოებისა. ამიტომ ცოდვის განტევება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ბიწისაგან დაიხსნას კაცი, როგორც ამას ფიქრობს არისტოტელეს მიმდევარი სქოლასტიციზმი. ცოდვა ლაქა როდია, რომ ჩამოირეცხო; ცოდვა ხრწნილებაა სულის. ამიტომ დასაბამიერი სიწმინდის აღსადგენად აუცილებელია, რომ კაცის არსებაში ხორციელ სიყვარულს და თვითტკბობის მკრეხელურ გრძნობას უფლის გულმოწყალებამ შეუნაცვლოს ღვთიური მადლის ძლევამოსილი მოქმედება, რათა ცოდვის შედეგად უარყოფილი სიკეთის მიმართ კვლავ მიაქციოს იგი. ხოლო მადლი, იანსენიზმის გაგებით, სხვა არა არის რა, თუ არა ზებუნებრივი ნიჭი, წყალობა, რომელსაც ღმერთი მოგვაგებს მისივე წმინდა სიკეთისა და მაცხოვრის ღვაწლის გამო, რათა წარწყმედისაგან იხსნას ჩვენი სულები. მაგრამ მოლინიზმისაგან განხვავებით, რომელიც ამტკიცებს, რომ ღვთიური მადლი უშურველად მიეფინება უკლებლივ ყველა კაცს, იანსენისტები თვლიან, რომ თვითეული ჩვენგანი როდია უფლის გულმოწყალების ღირსი, და მაცხოვარმაც ჩვენმა, იესო ქრისტემ ყველა ცოდვილის გულისთვის კი არა, მხოლოდ რჩეულთა გამოსახსნელად დასთხია თა-

ვისი ღვთაებრივი სისხლი. ალბათ, ესაა იანსენიზმის ყველაზე პირქუში და მკაცრი ასპექტი, ფანატიკური დაუნდობლობით რომ თიშავს და სამარადისოდ ჰყოფს ერთმანეთისგან რჩეულთ და განწირულთ, „ცხვრებსა“ და „თხებს“ ადამიანთა ათასწლოვან ფარაში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აქ იანსენს ისევე პაელ მოციქული უმაგრებს მხარს:

„და არა ხოლო ესე, არამედ რებეკასცა ერთისაგან საწოლისა ესხნეს ორიძე ისააკისაგან, მამისა ჩუენისა. რამეთუ არღა სადა შობილ იყენეს, არცა ექმნა რაჲ კეთილი გინა ბოროტი, რაჲთა რჩევით წინა-განმზადებაჲ იგი ღმრთისა ეგოს... ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: იაკობი შევიყუარე, ხოლო ესავი მოვიძულე. რაჲ-მე უკუე ვთქუთ? ნუ სიცრუე-მი არსა ღმრთისა თანა? ნუ იყოფიან. რამეთუ მოსეს ესრეთ ეტყჳს: შევიწყალო, რომელი იგი შევიწყალო ღა შევიწყნარო, რომელი იგი შევიწყნარო... აწ უკუე რომელი ჰნებავს ღმერთსა, შეიწყალებს, და რომელი ჰნებავს, განაფიცხებს... აწ უკუე, ჲ, კაცო, შენ ვინა ხარ, რომელი სიტყუას უგებ ღმერთსა? ჰრქუას ნუ-მეა ქმნულმან შემოქმედსა: რაისათჳს ესრეთ შემქმენ მე? ანუ არა ჯელ-ეწიფებისა მეკეცესა მას თიჯისა მის მისვე შეზელილისაგან შესაქმედ, რომელიმე პატიოსნად ჭურჭლად და რომელიმე უპატიოდ?..[187]

ადამიანი კი არა, მხოლოდ ღმერთია ყოველგვარი ადამიანური სრულქმნილების, თვით სიკეთისაკენ მიდრეკილი ნების შემოქმედიც: „რამეთუ ღმერთი არს, რომელი შეიქმს თქუენდა ნებასაცა და შეწევნასაცა სათნოებისათჳს“[188]. მაშასადამე, არა ადამიანის თავისუფალი ნება, არამედ ღვთიური მადლი, ჩვენი ნების მამოძრავებელი უზენაესი და ყოვლისმძლე საწყისი, რომლის ძალმოსილებაც ჭეშმარიტად წინააღუდგომელია და რომელსაც ერთადერთს ძალუძს ჩვენი ხსნა, — ასეთია თავისუფალი ნებისა და ღვთიური მადლის თანაფარდობის იანსენისტური კონცეფცია, ღმერთთან შეპირისპირებით პირწმინდად რომ შლის, მიწასთან ასწორებს და შიშის ზარს სცემს ადამიანს: „ნუ ჰმაღლი, არამედ გეშინოდენ“[189]...

„იანსენიზმის სიდიადეს მთლიანად მისი ზნეობრივი შინაარსი განაპირობებს. რამ შეუწყო ხელი იმას, რომ ეს მკაცრი და უსიხარულო მოძღვრება, რომელიც უარყოფდა თავისუფლებას

და კაცთა უმრავლესობას სამუდამო და საბოლოო წარწყმედისათვის სწირავდა, — ქმედით საწყისად, ენერგიის მოზღვავებისა და სიქველისაკენ ლტოლვის სტიმულად იქცა? რისი წყალობით აღძრა მან კაცთა სულებში ქრისტიანული სრულქმნილებისაკენ ლტოლვის წყურვილი?.. ყველა მოძღვრება, რომელიც ადამიანის ნებას მეტისმეტად დიდ მოთხოვნებს უყენებს, ნების უმწეობის კონცეფციისაგან იღებს დასაბამს. ყოველი მათგანი უარყოფს თავისუფლებას და სამყაროს მხოლოდ და მხოლოდ ბედისწერას უქვემდებარებს. იანსენიზმი თვალნათლივ უჩვენებდა კაცს მისი ყოფის სახარებისეულ „უსახურ ხატებას". ის აიძულებდა ადამიანს დანთქმულიყო საკუთარი უბადრუკობისა და უბედურების უფსკრულში და თვალწინ უყენებდა სურვიელი ლტოლვის ერთადერთ საგანს — მიუწვდომელი სრულქმნილების ნიმუშს. იანსენიზმი ცდილობს სასო მიჰხადოს ადამიანს, პირწმინდად წაშალოს და არარაობად აქციოს იგი, აიძულებს მას ზურგი აქციოს ყველაფერს, რაც სასიამოვნო და სანუკვარია ამ ცხოვრებაში, უარყოს ყოველგვარი მეცნიერება და ხელი აიღოს თვით გონებაზე. მხოლოდ ერთი, ერთადერთი რამაა მისაღები და დასაშვები: სულის ხსნისათვის ზრუნვა: აი, რა უნდა იყოს ადამიანის ყოველდღიური საფიქრალი და საზრუნავი; აი, რა უნდა ავსებდეს მთელს მის ცხოვრებას.

სავსებით ბუნებრივია, რომ ეს მკაცრი მორალი ესოდენ ზუსტად მიესადაგა პასკალის არა მარტო იმდროინდელ სულიერ განწყობილებას, არამედ მთელს მის ასკეტურ გენიას. მიუხედავად იმისა, რომ პასკალს არავითარი რელიგიური აღთქმით არ შეუკრავს ხელ-ფეხი, არასოდეს მიუკუთვნებია თავი პორ-როიალელ ბერ-მონაზონთა ძმობისათვის, ვინაიდან ყველაფერზე მაღლა აყენებდა შინაგან დამოუკიდებლობას და სულიერ თავისუფლებას, — პორ-როიალ-დე-შამპში მისვლისთანავე მთელის არსებით ჩაება სამონასტრო ცხოვრების ფერხულში:

აი, ის დილაუთენია მიეშურება სამლოცველოსაკენ, რათა დაესწროს ცისკრის წირვას; აი, ის ხვებთან ერთად ფუსფუსებს მონასტრის ბაღში, ხლავს ვაზს, ძირს უბარავს ხეხილს, რწყავს ყვავილებს, მარგლავს ბაღჩა-ბოსტანს. სულ მოკლე ხანში ფოიკეთა, კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლის სიყვარული, სუ-

ლის სილაღე და სიხალისე; აი, ის ეპიქტეტეს სტოიციზმსა და მონტენის სკეპტიციზმზე ესაუბრება მონასტრის წინამძღვარს ლუი ისააკ ლე მეტრ დე სასის, რათა ცხადყოს, ერთის მხრივ, ადამიანის სიდიადის სტოიცისტური კონცეფციის, ხოლო მეორეს მხრივ, ადამიანისავე უმწეობისა და უბადრუკობის შესახებ სკეპტიკური მოძღვრების ცალმხრივობა, უკმარისობა, მათი ურთიერთდაპირისპირებულობა და, ამდენად, მათი მცდარობაც, ხოლო შემდეგ დაამტკიცოს, რომ ამ ორი დოქტრინის შინაგანი წინააღმდეგობის გადაჭრა მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოებისა და, კერძოდ, იანსენისტური მოძღვრების წყალობით ხდება შესაძლებელი, მოძღვრებისა, რომელიც გვასწავლის, რომ ადამიანის უბადრუკობა მის დაცემულსა და პირველი ცოდვით შებღალულ ბუნებაშია, სიდიადე კი — ღვთაებრივ მადლში, რომელსაც ერთადერთს ძალუძს დასაბამიერი სიწმინდის, შესაქმისეამინდელი ბუნების აღდგენა და აღორძინება; აი ის გულდასმით ეცნობა სასწავლო აღმზრდელობითს მუშაობას იანსენისტთა მიერ დაარსებულ ე. წ. „პატარა სკოლებში“ (petites écoles) და პედაგოგებს წერა-კითხვის სწავლების საკუთარ მეთოდს სთავაზობს, რომელიც შემდგომ გაზიარებულ იქნება არნოსა და ლანსელოს მიერ „ზოგადი, სისტემატიკური გრამატიკის კურსში“ და რომელსაც წარმატებით იყენებენ დღესაც, თანამედროვე ფრანგულ სკოლაში[193]. (ცოტა უფრო მოგვიანებით, 1658 წ. დაიწერება მისი სახელგანთქმული ტრაქტატი „გეომეტრიული სულისა და დარწმუნების ხელოვნებისათვის“ — „De l'esprit géometrique et de l'art de persuader“. ეს თხზულება, რომლითაც ის წინ უსწრებს თავის საუკუნეს აქსიომატური მეთოდის მეცნიერული გააზრებისა და მისი შეფასების თვალსაზრისით, ავტორის შთანაფიქრის თანახმად, წინ უნდა წამძღვარებოდა „პატარა სკოლებისათვის“ გამიზნულ „ელემენტარული გეომეტრიის“ კურსს[194]); აი, ის თავის ახალ მეგობრებთან ერთად სწავლობს ბიბლიას და ეკლესიის მამათა სულის მარგებელ თხზულებებს; მათთან ერთად განიხილავს ახალი აღთქმის თარგმანს, როგორც ჩანს, შესრულებულს დე სასის მიერ და თვითონვე წერს პატარა თეოლოგიურ თხზულებას „იესო ქრისტეს ცხოვრების მოკლე აღ-

წერას", შთაგონებული სენ-სირანის „ქრისტიანული და სპირიტუალური წერილების" კითხვით...

თავის მხრივ პორ-როიალი აღტაცებით ეგებება მის ჭერქვეშ თავშეფარებულ გენიალურ პროზელიტს, საფრანგეთის პირველ ფიზიკოსს და მათემატიკოსს, სახელგანთქმულ მოაზროვნეს, თეოლოგს და ფილოსოფოსს[195]. ამიერიდან პორ-როიალი პასკალს ეკუთვნის, ხოლო პასკალი — პორ-როიალს. ის მისი სიამაყეა და მისი სიმტკიცე, მისი თანამოაზრე და თანამდგომი ჭირში თუ ლხინში. ხოლო ამჟამად პორ-როიალს ჭირის დღე, ძნელბედობის ჟამი უფრო უდგა, ვიდრე ზეობის, წინსვლისა და აყვავებისა. იანსენისტებს დაუძინებელი მტრები ჰყავთ „ქრისტეს ქოფაკების" — იეზუიტების სახით, რომლებიც იანსენიზმს კათოლიკური რელიგიისათვის მიუღებელ მწვალებლობად, საშიშ და, ამდენად, ძირფესვიანად აღმოსაფხვრელ ერესად თვლიან. მაგრამ ამ მტრობის ნამდვილი მიზეზი, თუ სიმართლე გნებავთ, ისაა, რომ იეზუიტები ვერ ურიგდებიან იანსენიზმის სულ უფრო სწრაფად მზარდ გავლენას, რამაც შეიძლება ბოლო მოუღოს მათ საუკუნოვან ჰეგემონიას[196] — შეუზღუდავ ძალაუფლებას და ერთპიროვნულ მბრძანებლობას კაცთა სულებზე. იეზუიტებს ძლეამოსილი მოკავშირეები და მფარველები ჰყავთ: „მეფე-მზე" ლუი XIV, რომელიც ლოიოლას მემკვიდრეებმა თავიანთი "შემპარავი დიპლომატიით დაარწმუნეს იმაში, რომ იანსენიზმი ძირს უთხრის მონარქისტულ წყობილებას, რომის პაპი, კარდინალები — რიშელიე და მაზარინი. ეგეც არ იყოს, მათ მხარს უმაგრებს კათოლიკური რეაქციის ყველაზე საშინელი იარაღი — ინკვიზიცია; მათ ხელთაა ადამიანური სიმდაბლისა და სიბილწის მთელი არსენალი; სიცრუე, ცილისწამება, ვერაგობა, მაბეზღარობა, დაუნდობლობა... 1638 წელს, იეზუიტების დასმენის შედეგად, სენ-სირანი, კარდინალ რიშელიეს ბრძანებით, დააპატიმრეს და ვენსენის საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც მან მთელი ოთხი წელი დაჰყო, ხოლო პორ-როიალელი „განდეგილები" (solitaires) იძულებული შეიქნენ დროებით დაეტოვებინათ მონასტერი...

რა უნდა დაეპირისპირებინათ იანსენისტებს ესოდენ მრისხანე და დაუნდობელი მტრისათვის, ან რას უნდა დაყრდნობოდნენ აშკარად უთანასწორო ბრძოლაში? არაფერს, თავიანთი განსაც-

ვიფრებელი სიმტკიცის, სულიერი მხნეობის, ქედუხრელობისა და ზნეობრივი სიწმინდის გარდა. და მაინც, ფუჭი და ამაო აღმოჩნდა ყველაფერი. 50-იანი წლების დამდეგს პორ-როიალს რეპრესიის ახალი ტალღა დაატყდა თავს, რამაც კინაღამ წალეკა იგი. ცოტა უფრო ადრე, ნიკოლა კორნემ, სორბონის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სინდიკმა (syndic) ხუთ ძირითად დებულებად ჩამოაყალიბა იანსენის მოძღვრება, გადმოცემული მის მთავარ თხზულებაში „ავგუსტინე". ეს დებულებები ეხებოდნენ ადამიანის მიმართებას ღვთიური მადლისა და პრედესტინაციისადმი. მთელი თხზულებისაგან განჭოლოებულნი და მათი უშუალო აზრით გაგებულნი (prises dans leur sens immédiat), ისინი მეტ-ნაკლები სისრულით უარყოფდნენ თავისუფალ ნებას და ამტკიცებდნენ, რომ იესო ქრისტე ყველა კაცის სახსნელად როდი ეცვა ჯვარს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხუთივე დებულება ძალზე მარჯვედ იყო შერჩეული: ბოსიუე აცხადებდა, რომ „მათში მოქცეულია იანსენიზმის მთელი სული"[197].

1653 წელს, ფრანგ ეპისკოპოსთა კრების მიერ წარგზავნილი დელეგაციის დაჟინებული თხოვნით, პაპმა ინოკენტი X (1644—1655) ხელი მოაწერა ბულას, რომლითაც დაჰგმო ნიკოლა კორნეს ხუთივე დებულება და მწვალებლურ თეზისებად გამოაცხადა ისინი. მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, იანსენის მოძღვრების არსი თურმე სიტყვასიტყვით როდი თანხვდებოდა კორნეს მიერ „საკუთარი სიტყვებით" გადმოცემული დებულებების დედააზრს, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს იანსენისტებმა და, თავდაცვის მიზნით, საჯაროდ განაცხადეს, რომ პაპის შეჩვენება არ ვრცელდებოდა საკუთრივ „ავგუსტინეზე". მაშინ პაპმა 1654 წლის ბრევეთი სასტიკად დაჰგმო იანსენიზმის დასაცავად გამოქვეყნებული ყველა თხზულება. იანსენისტებმა მაინც არ მოიხარეს ქედი და დაჟინებით მოითხოვდნენ საქმის გადასინჯვას, რაც ასერიგად აღიზიანებდა არა მარტო პაპსა[198] და იეზუიტებს, არამედ საფრანგეთის სამეფო კარსაც.

მალე ყოველივე ამას ზედ დაერთო შემდეგი გარემოება, რამაც უჩვეულოდ ააღელვა მთელი პარიზი: 1655 წლის 31 იანვარს სენსულპისის სამრევლოს მღვდელმა იეზუიტმა პიკოტემ ციი

ულარით გაისტუმრა აღსარების სათქმელად მისული ჰერცოგი დე ლიანკური, იანსენისტების ერთგული მეგობარი და თანამზრახველი, მხოლოდ იმ საბაბით, რომ მან თავშესაფარი მისცა ეკლესიის მიერ ერეტიკოსად შერაცხილ აბატ ბურზეისს, იანსენისტს, საფრანგეთის აკადემიის წევრს, თუმცა იეზუიტის მრისხანებას სხვა მიზეზიც ჰქონდა: ჰერცოგმა თავისი შვილიშვილი აღსაზრდელად მიაბარა იანსენისტურ „პატარა სკოლაში" (სხვათა შორის, არა მარტო დე ლიანკური, ბევრი სხვა ფრანგი დიდებულიც „პატარა სკოლებს" ანდობდა შვილებისა თუ შვილიშვილების აღზრდას. ასეთსავე სკოლაში თავიანთი დეიდის, პორ-როიალის მონაზვნის ეფემია-ჟაკლინის უშუალო ზედამხედველობით სწავლობდნენ პასკალის დისწულებიც — მარგარიტა და ჟაკლინ პერიები. აღსანიშნავია, რომ იანსენისტური „პატარა სკოლის" აღზრდილია დიდი ფრანგი დრამატურგი ჟან რასინი, ვისი პირადი ცხოვრებაც მჭიდროდაა დაკავშირებული პორ-როიალთან. სახელგანთქმული ტრაგიკოსის შემოქმედება იანსენიზმის საგრძნობი გავლენითაა აღბეჭდილი).

„თქვენ მე გამანდეთ თქვენი ცოდვები, — უთხრა მოძღვარმა ჰერცოგს, — მაგრამ დამიმალეთ მთავარი: ჯერ ერთი, საკუთარ ჭერქვეშ შეიფარეთ მწვალებელი, მეორეც, შვილიშვილი აღსაზრდელად მიაბარეთ პორ-როიალს და, საერთოდ, მეგობრობთ იანსენისტებს. მე მოგიწოდებთ მოინანიოთ თქვენი საქციელი და, თანაც, არა ფარულად, არამედ საჯაროდ, ორივე ცოდვების მიტევებას ვერ ეღირსებით"[199]. ჰერცოგმა მშვიდად მოისმინა ყოვლად ღირსი მამის ყველრება და ასევე მშვიდად გამოვიდა საყდრიდან, მაგრამ აღარასოდეს მიბრუნებულა იქ. ეს სკანდალური ამბავი მალე მთელ პარიზს მოედო, მით უმეტეს, რომ საქმე ეხებოდა ერთ-ერთ ყველაზე წარჩინებულ გვარისშვილს, საფრანგეთის პერს.

აღშფოთებული იანსენისტები გულხელდაკრეფილნი არ დარჩენილან. მათმა ერთ-ერთმა, ბელადმა ანტუან არნომ სასწრაფოდ გამოაქვეყნა იეზუიტთა თვითნებობის წინააღმდეგ მიმართული ორი პამფლეტი. („წერილი ერთ წარჩინებულ პირს" და „მეორე წერილი საფრანგეთის ჰერცოგს და პერს"), რამაც უკიდურესად გაამწვავა მდგომარეობა და პორ-როიალის წინააღმდეგ

ერთსულოვნად აამხედრა იეზუიტები. განსაკუთრებით აქტიურობდა ლუი XIV სულიერი მოძღვარი, იანსენისტების დაუძინებელი მტერი ანა (Annat; 1590 — 1670). წლის დამლევს კამათმა ეკლესიების ამბიონებიდან სორბონის უნივერსიტეტის კათედრაზე გადაინაცვლა. მთელი ორი თვის განმავლობაში (1655 წლის 1 დეკემბრიდან 1656 წლის 31 იანვრამდე) მეცნიერების ეს ტაძარი გააფთრებული პაექრობის არენად იქცა. ლუი XIV ბრძანებით, უკლებლივ ყველა სხდომას ესწრებოდა კანცლერი სეგიე, რათა სათანადო გავლენა მოეხდინა მსაჯულთა გადაწყვეტილებაზე.

საფრანგეთის სამეფო კარისა და რომის პაპის უშუალო მხარდაჭერით გალაღებულმა იეზუიტებმა უხეშად დაარღვიეს უნივერსიტეტის წესდება და თეოლოგიის ფაკულტეტის შემადგენლობაში თვითნებურად შეიყვანეს ორმოცი მოლინისტი დომინიკელი, რამაც მათ გადამწყვეტი რიცხობრივი უპირატესობა მოუპოვა, და 14 იანვრის სხდომაზე ისე დაჰმეს და შეაჩვენეს არნო, რომ მისთვის სიტყვის თქმის უფლებაც არ მიუციათ (124 ხმით 71-ის წინააღმდეგ, 15-მა თავი შეიკავა). რასინი შემდეგ იტყვის, რომ ეს იყო ყველაზე უსამართლო სამართალი[200].

მაშინ პორ-როიალელმა „განდეგილებმა" ურჩიეს არნოს საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზე გამოეტანა საქმე, რათა სახალხოდ ემხილებინა იეზუიტების მანქანება. „ნუთუ თქვენ დაუშვებთ — ამბობდნენ ისინი, — რომ პატარა ბავშვივით გაგკიცხონ (condamner comme un enfant) და ხალხმა ვერც კი გაიგოს, რაშია საქმე?" არნომაც დაუყოვნებლივ შეთხზა მამხილებელი პამფლეტი და მეგობრების წრეში წაიკითხა, მაგრამ კითხვის დასრულებისთანავე მიხვდა, რომ მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მათზე. მაშინ ის მიუბრუნდა პასკალს და უთხრა: „აი, თქვენ ახალგაზრდა ხართ, და რაიმე უნდა იღონოთ" („Vous qui êtes jeune, vous devriez faire quelque chose")[201].

პასკალს უარი არ უთქვამს, თუმცაღა იქვე დასძინა, რომ თეოლოგიის ცოდნას ვერ დაიჩემებს და ამიტომ შესაძლებლად მიაჩნია მოხაზოს მხოლოდ პასუხის ესკიზი, შემდეგ კი, დაე, სხვამ ჩაასწოროს და გამოსაქვეყნებლად გაამზადოს იგი. მაგრამ სამი დღის თავაუღებელი მუშაობის შემდეგ უკვე მზად იყო არა

ესკიზი, არამედ ბრწყინვალე საპასუხო წერილი, რომელმაც ასეთრიგად აღაფრთოვანა ანტუან არნოცა და მისი უახლოესი თანამზრახველნიც. დიდი სიფრთხილითა და კონსპირაციის ყველა საგანგებო წესის დაცვით საიდუმლოდ დაბეჭდილი ეს წერილი, რომელიც 1656 წლის 23 იანვარს გამოქვეყნდა, სულ მალე როგორც პარიზელი, ისე პროვინციელი მკითხველის ცხოველი ინტერესის საგანი გახდა. იანსენისტები მალულად ზეიმობდნენ გამარჯვებას, მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა: გაცოფებული იეზუიტები, რომლებმაც პასკალის პასუხი თავიანთი „დიადი და ძლევამოსილი ორდენისათვის“ გაწნულ სილად აღიქვეს, გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ და მოკლე ხანში მიაღწიეს იმას, რომ დროებით მაინც გააუქმეს „პატარა სკოლები“, დაიწყო „განდეგილთა“ დევნა და შევიწროება; პორ-როიალს დახურვის საფრთხე დავმუქრა.

ჭირთათმენას შეჩვეული იანსენისტები არ შემდრკალან, ხოლო პასკალის გულმა, საერთოდ, არ იცოდა, რა იყო ღალატი. რაც უფრო მეტად მძვინვარებენ იეზუიტები, რაც უფრო მუხანათურია მათი ხრიკები და ვერაგული — მათი შურისგება, მით უფრო მძაფრი ხდება პასკალის სარკაზმი, მით უფრო დაუნდობელია მისი სიტყვა. პირველ საპასუხო წერილს ზედიზედ მოჰყვა კიდევ სამი წერილი — მეორე (29 იანვარი), მესამე (9 თებერვალი) და მეოთხე (25 თებერვალი), რომლებშიაც ლიტერატურული მისტიფიკაციით გამოგონილი პერსონაჟი, პარიზელი ერისკაცი ლუი დე მონტალტი თავის პროვინციელ მეგობარს აცნობდა სორბონში გამართული პაექრობის შედეგად არნოს უსამართლო დაგმობის ამბავს, ასე თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ და, თანაც ფარულად იბეჭდებოდა ფრანგული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქმნილება, რომელსაც შემდეგ საერთო სათაურად ეწოდა „წერილები პროვინციელისადმი“ (Les Provinciales ou lettres écrites par Luis de Montalte à un Provincial de ses amis“) ამნაირი წერილების გამოქვეყნებისათვის ავტორს, სულ მცირე, ბასტილიაში ჩასმა მაინც ელოდა და ამიტომ პასკალი მონტალტის გვარს ამოეფარა, თუმცა პორ-როიალმა მშვენივრად იცოდა, ვინ ინიღბებოდა ამ ფსევდონიმით.

და მართლაც, ერთ-ერთმა „განდეგილთაგანმა“, პუატუელ-

მა მემამულემ ანტუან დე სენ-ჟილ ბოდრი დ'ასონმა დაგვიტოვა „სენ-ჟილის დღიური", რომელიც დაწვრილებით აგვიწერს 1655 წლის აპრილიდან 1656 წლის აპრილამდე მომხდარ ამბებს. ამ დღიურში, 1656 წლის 21 იანვრით დათარიღებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „დღეს დაიწყო ბეჭდვა რვაფურცლიანი წერილისა ინ-კვარტო, რომლის ადრესატია ერთი უცნობი პროვინციელი. ამ წერილს, რომელიც ცხოველი ინტერესის საგანია, ზოგიერთი ბ-ნ არნოს მიაწერს, მაგრამ უმრავლესობის აზრით, რაც უფრო სარწმუნო ჩანს, მისი ავტორი უნდა იყოს არნოს მეგობარი ბ-ნი პასკალი, რომელიც ამ ბოლო დროს გვერდიდან არ სცილდება მას"[202].

პირველი ოთხი საპასუხო წერილი სხვა არა არის რა, თუ არა ანტუან არნოს აპოლოგია (ამ სიტყვის ძველი ბერძნული გაგებით) და, იმავდროულად, იეზუიტური დოგმატიკის გამანადგურებელი კრიტიკა. გონების იშვიათი გამჭრიახობისა და უებრო ლოგიკური ძალმოსილების წყალობით, ავტორი დილეტანტისათვის მოულოდნელი სიზუსტით სწვდება სორბონში გამართული პაექრობის ბუნდოვან არსს და თითქმის მთლიანად ამოსწურავს თეოლოგიის უკიდურესად რთულ საკითხთა იდუმალ სიღრმეს. აი, ის გამოწვლილვით განიხილავს ღვთიური მადლის იეზუიტურ, ნეო-თომისტურ (დომინიკანურ) და იანსენისტურ კონცეფციებს და თანმიმდევრულად აანალიზებს ამ კონცეფციებთან უშუალოდ დაკავშირებულსა და თავიანთი უსაშველო ზოგადობითა და რეალობისაგან განყენებული მნიშვნელობის თითქმის სრულიად უაზრო და უშინაარსო ტერმინებს — „უახლეს, ანუ უშუალო უნარს" (le pouvoir prochain), „საკმარის მადლს" (la grâce suffisante), „ქმედით მადლს" (la grâce efficace), რომლებსაც ისევე „მკვიდრად" ემყარება სქოლასტიკური დოგმატიკის მთელი სისტემა, როგორც დედამიწა, ცრუმორწმუნეთა მიამიტური წარმოდგენით, — სამი ვეება ვეშაპის ზურგს[203].. აი, ის სკრუპულოზური გულმოდგინებით აშიშვლებს და აამკარავებს იეზუიტური დიპლომატიის საზარელ ქსელს, დაუნდობლად ამხელს მოლინისტების ვერაგულ ტაქტიკას, რომელიც ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვასა და დამკვიდრებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ ანტუან არნოს, როგორც იანსენიზმის ლიდერის დისკრედიტაციას, ეკლე-

სიისაგან მის მოკვეთას და, ამ გზით, მთელი იანსენისტური ოპოზიციის განადგურებას:

—...მოლინიზმის მაქინაციები — აღნიშნავს პასკალი მესამე წერილის დასასრულს, — იმდენად გამაოგნებელ გადატრიალებას ახდენენ ეკლესიის ისტორიაში, რომ ის, რაც კათოლიკურად ითვლებოდა ეკლესიის მამათა სწავლაში, მწვალებლურად იქცევა ბ-ნი არნოს თხზულებებში; ის, რაც მწვალებლური იყო ნახევრად-პელაგიანურ მიმართულებაში, ორთოდოქსალური ხდება იეზუიტთა ქმნილებებში; წმ. ავგუსტინეს ესოდენ ძველ მოძღვრებას შეუწყნარებელ სიახლედ თვლიან, ხოლო თვითეული ახალი გამონაგონი, რომელსაც ყოველდღე თხზავენ ჩვენს თვალწინ, ეკლესიის ძველისძველ მოძღვრებად ცხადდება... აქ სულ სხვა სახის ერესთან გვაქვს საქმე. ერესი ბ-ნი არნოს აზრებში კი არაა, არამედ მისსავ პიროვნებაში. ის ერეტიკოსია არა მის მიერ წარმოთქმული სიტყვების, ანდა მისი ნაწერების გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ბ-ნი არნოა. აი ყველაფერი, რაც გმობის ღირსია მასში. ამიტომ, რასაც უნდა იქმოდეს, სანამ ცოცხალია, კეთილ კათოლიკეს სახელს ვერ ეღირსება. წმ. ავგუსტინეს მადლი არასოდეს არ იქნება ჭეშმარიტი მადლი, სანამ ბ-ნი არნო იცავს მას. სულ სხვანაირად შეტრიალდებოდა საქმე, მისი უარყოფა რომ განეზრახა: მაშინ ის დიახაც ჭეშმარიტ მადლად ჩაითვლებოდა. ღმერთმანი, ეს იქნებოდა ჭეშმარიტების დამკვიდრებისა და მოლინიზმის დამხობის ყველაზე ნაღდი საშუალება: აი, რამხელა ზიანს აყენებს ის ყველაფერს, რასაც ასე თავგამოდებით იცავს[204]...

მათემატიკური ტერმინოლოგიის მოშველიებით, შეიძლება ითქვას, რომ პასკალის კრიტიკასა და იეზუიტების რეაქციას შორის პირდაპირ პროპორციული დამოკიდებულება არსებობს: იეზუიტთა თვითნებობა უფრო მეტ სიმკვეთრესა და სიმწვავეს ანიჭებს პასკალის სიტყვას და, პირუკუ, რაც უფრო მძაფრია პასკალის კრიტიკა, მით უფრო დაუნდობელნი ხდებიან იეზუიტები. 29 იანვარს როცა თავისი მეორე წერილი დაასრულა, პასკალმა შეიტყო, რომ იეზუიტურმა ცენზურამ 130 ხმით 9-ის წინაღმდეგ თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორთა შემადგენლობიდან გარიცხა ანტუან არნო, რაც, ფაქტიურად, ეკლესიისაგან მოკ-

ეეთას ნიშნავდა, ყოველგვარ პრივილეგიას ართმევდა და persona non grata-დ[205] აცხადებდა იანსენისტთა იდეურ ბელადს. არნო უდრტვინველად შეხვდა განსაცდელს, მხოლოდ ეგ კია, ბასტილიისგან რომ დაეხსნა თავი, იძულებული შეიქნა მიმალულიყო.

იეზუიტებზე არანაკლებ გამწარებულნი იყვნენ მათი ყოვლისმძლე მფარველები, განსაკუთრებით, კანცლერი სეგიე, რომელიც პირადად აგებდა პასუხს იანსენისტთა მოქმედებისთვის. „სენჟილის დღიურში“ 2 თებერვლით დათარიღებული ჩანაწერი გვამცნობს: „...ზემოხსენებული დოკუმენტები („წერილები პროვინციელისადმი“,—ბ. ბ) საშინლად აღელვებენ და აფორიაქებენ მოწინააღმდეგეებს, განსაკუთრებით კი ბ-ნ კანცლერს, რომელსაც, როგორც გადმომცეს, ამ ბოლო ხუთი თუ ექვსი დღის მანძილზე შვიდჯერ გამოუშვეს სისხლი“[206].

ამიტომაც იყო, რომ 20 მარტს, მონტალტ-პასკალის მეხუთე წერილის გამოქვეყნებისთანავე, „განდეგილებს“ ებრძანათ სასწრაფოდ დაეტოვებინათ პორ-როიალის ფარგლები; ხალხში ხმა დაირხა, მოძღვრებს გაჰყრიან, ხოლო მონაზვნებს დაქსაქსავენ და სხვადასხვა მონასტრებში განამწესებენო. იეზუიტებისა და სასახლის კარის რისხვა დღითიდღე მატულობდა და მეექვსე წერილის გამოქვეყნების მომენტისათვის (10 აპრილი) თავის აპოგეას მიაღწია. ფეხზე დადგა სატახტო ქალაქის მთელი პოლიცია, დაიწყო „განდეგილთა“ ხელახალი დევნა, ჩხრეკა, დასმენები, დაპატიმრება. გაფაციცებით დაეძებდნენ არა მარტო წერილების ავტორს, რომელსაც „პორ-როიალის მდივნად“ და „ჯოჯოხეთის მოციქულად“ იხსენიებდნენ, არამედ ყველა იმ „მოღალატესა და შემცოდესაც“, ვისაც მცირეოდენი წვლილი მაინც ედო მათს გამოქვეყნებასა თუ გავრცელებაში. ლუი XIV ბრძანებით დაპატიმრებულ იქნენ პორ-როიალელი წიგნით მოვაჭრე და ტიპოგრაფი შარლ სავრო და მისი ცოლი, რომლებიც მთელი სისასტიკით დაჰკითხა სისხლის სამართლის გამომძიებელმა ტარდივმა, მაგრამ სამხილის უკმარისობის გამო იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებინა ეუვმიტანილნი.

ხოლო ამასობაში პარიზის ერთ-ერთ გარეუბანში საამოდ ღუღუნებდა პატარა წყლის წისქვილი (დედაქალაქთან „ახალი ხიდით“ დაკავშირებული სენის ნაპირი მოფენილი იყო ამნაირი

წისქვილებით). ახლად გამომცხვარი „მეწისქვილე“ — სამეფო წიგნით მოვაჭრე და ტიპოგრაფი პიერ ლეპეტი დიდი სიფრთხილით, მზრუნველობით და რუდუნებით თავს დასტრიალებდა ეგზომ ძვირად ღირებულსა და სანუკვარ „საფქვავს“ — პასკალის ხელნაწერ სტრიქონებს, რომლებსაც წისქვილში საიდუმლოდ გამართულ პატარა სასტამბო დაზგაზე ბეჭდავდა. ლეპეტის სიმარჯვისა და წინდახედულობის წყალობით, „წერილების“ ბეჭდვის საქმე შეუფერხებლად მიიწევდა წინ, მაგრამ არც მტერს ეძინა. გამომძიებელ ტარდივს კარგად დაგეშილი მეძებრის ალღო ჰქონდა, და ამ ცბიერი კვალმაძიებლის გულმოდგინებამ კინაღამ გააბა მბეჭდავიც, ავტორიცა და მათი თანამდგომნიც.

მსტოვართა და მოენეთა ოსტატურად დაგებული ქსელის წყალობით, ტარდივმა თითქოს მიაგნო კვალს და ერთ მშვენიერ დღეს გასაჩხრეკად თავს დაეცა ლეპეტის სახლს; საბედნიეროდ, სახლს და არა წისქვილს. შეუღლეზე არანაკლებ გამჭრიახმა და მოხერხებულმა მადამ ლეპეტიმ დრო იხელთა, შეუმჩნეველად დაუსხლტა მეთვალყურეებს, წისქვილში მივარდა და ჯერ კიდევ საღებავ-შეუშშრალი ანაბეჭდები საიმედო ადგილას გადამალა. მხოლოდ ამ დღიდან მოყოლებული, თავის უკეთ დაზღვევის მიზნით, „წერილებს“ სენაზე მდგარ ძველ ხომალდებზედაც ბეჭდავდნენ ხოლმე.

გამომცემლის სიფრთხილეს ზედ ერთვოდა ავტორის ლიტერატურული მისტიფიკაციაც: „თქვენო უწმინდესობავ, — მიმართავდა პასკალი ლუი XIV სულიერ მოძღვარს, ყოვლად ღირსეულ მამა ანას მეჩვიდმეტე წერილის ბოლოს, რომელიც პირველი წერილის დაბეჭდვიდან ზუსტად წლისთავზე, 1657 წლის 23 იანვარს გამოქვეყნდა, — უკეთუ გიჭირთ ამ წერილის წაკითხვა, ვინაიდან მაინცდამაინც ნატიფი შრიფტით ვერ არის ნაბეჭდი, ამაში ბრალი თქვენს თავს დასდეთ მხოლოდ და მხოლოდ. აბა, სად ჩემი და სად თქვენი პრივილეგიები. თქვენ უფლება გაქვთ უარყოთ თვით სასწაულები, მაშინ როდესაც მე თავდაცვის საშუალებაც არ გამაჩნია. გამუდმებით დაძრწიან ტიპოგრაფიებიდან ტიპოგრაფიებში. ალბათ, თვითონაც არ მიიჩნევდით ამ პიროებებში წერის განგრძობას. განა ადვილია წიგნის ბეჭდვა ოსნაბრიუკში?[20] (ცენზურისათვის თვალის ასახვევად, თავიანთ არალე-

გალურ გამოცემებს იანსენისტები ხშირად აწერდნენ: „დაბეჭდილია კელნში“, „დაბეჭდილია უტრეხტში“ და ა. შ., თუმცა ყველა ეს წიგნი, რა თქმა უნდა, პარიზში იყო გამოცემული. პასკალის „ოსნაბრიუკიც“ პატარა ქალაქია ჩრდ.-დას. გერმანიაში).

პოლიცია დაეძებდა არა მარტო „წერილების“ გამომცემელს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თვითონ ავტორსაც. გაცოფებული კანცლერი სეგიე დაემუქრა ტრადივს, ტყავს გაგაძრობ, თუკი მონტალტი არ გიპოვნიაო. ამიტომ „განდეგილებმა“ საჭიროდ მიიჩნიეს, რომ პასკალს დროებით დაეტოვებინა პორ-როიალი. ფსევდო-მონტალტმა რამდენჯერმე გამოიცვალა ბინა: ჯერ ინკოგნიტოდ დაბინავდა ლუქსემბურგის მახლობლად, სენ მიშელის კარიბჭის პირდაპირ მდებარე სახლში, რომელიც მას თავაზიანად დაუთმო პოეტმა პატრიკსმა, შემდეგ თავისი მეგობრის, ჰერცოგ დე ლიუინის საგვარეულო ციხე-კოშკს აფარებდა თავს, სანამ დე მონის (de Mons) ფსევდონიმს ამოფარებული[208] კარგა ხნით არ დამკვიდრდა პუარეს ქუჩაზე, პატარა სასტუმროში „მეფე დავითი“, რომელიც ზედ სორბონის უკან, იეზუიტური „კოლეჟ-დე-კლერმონის“ პირდაპირ მდებარეობდა. მეგობრები სიშლეგედ უთვლიდნენ ამ სითამამეს, მაგრამ პასკალმა არასდიდებით არ ისურვა „მეფე დავითიდან“ სხვაგან გადასვლა. „გამობრძმედილი გენერლის მსგავსად, — შენიშნავს სენტ-ბევი, — მან მტრის ციტადელის პირისპირ დაიკავა პოზიცია“[209].

პასკალს დაეძებენ, პასკალს დევნიან და ისიც იმალება, მაგრამ, ალბათ, ესაა ერთი იმ იშვიათ შემთხვევათაგანი, როცა დევნილი — გამარჯვებულია, ხოლო მდევარი — ძლეული. და მართლაც, როგორც პარიზელი, ისე პროვინციელი მკითხველიც მოუთმენლად მოელის ყოველ ახალ „წერილს“, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ხელიდან ხელში გადადის, საყოველთაო ინტერესის საგნად იქცევა და თავისი სიწრფელით და პირუთვნელობით, ჭეშმარიტი სარწმუნოების აშკარა თუ ფარული მტრების შიმართ თავისი საღმრთო რისხვით, თავისი გესლიანი სარკაზმითა თუ ირონიული სიცილით ატყვევებს და იეზუიტური ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად აღაგზნებს თავისუფლებისმოყვარე ფრანგების გულებს. მონტალტის სახელი პიროვნული რწმენისა და მართალი სიტყვის, მარად ცოცხალი და ქმედითი

ფრანგული აზრის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო ხდება.

„წერილების "ეპოდენ დიდი და თვითონ პასკალისათვის სრულიად მოულოდნელი წარმატება, ფრთას ასხამს მას, ავიწყებს დაღლილობას, ავადმყოფობას, შიშს, კარიოი-კარად ხეტიალის სიმძიმილს, მიუსაფრობის სიმწარეს, მარტოსულობას. ან კი რისი უნდა ეშინოდეს კაცს, რომელსაც ამ ქვეყნად ძალზე ცოტა რამ დარჩა დასაკარგი და დასანანი; კაცს, რომელმაც ნაადრევად დათრგუნა ყოველგვარი სურვილი, ჩაიხშო ვნება, ზურგი აქცია პატივმოყვარეობის ყველა საცთურს, სამუდამოდ აიღო ხელი სახელისა და დიდების, სიმდიდრისა თუ ძალაუფლების ძიებაზე?

„თქვენ გრძნობთ, რომ უხილავი ხელი გმუსრავთ და საქვეყნოდ ამხილებთ თქვენს შეცდომებს. — მიმართავს პასკალი იანსენისტების მრისხანე მტერს, ყოვლად ღირს მამა ანას. — ამაოდ ცდილობთ სანაცვლო მომაგოთ იმ ხალხის დასჯით, ვის მოკავშირედაც მე მიგაჩნივართ. არაფრის არ მეშინია, არც ჩემი თავის და არც სხვის გამო, ვინაიდან არც ერთ ძმობას არ ვეკუთვნი და არც ერთ კერძო პირთან, ვინც უნდა იყოს იგი, მეგობრობა არ მაკავშირებს. მთელი თქვენი გავლენა გაგიცუდდებათ, თუკი მას მომართვათ ჩემს წინააღმდეგ. ამ ქვეყნისაგან მე არაფერს არ მოველი, არაფერს არ ვუფრთხი, არაფერი არ მსურს. მადლობა უფალს, არც ვისიმე სიმდიდრე მჭირდება და არც ვისიმე ძალაუფლება. ასე რომ, მანაო ჩემო, მე მოუხელთებელი ვარ მთელი თქვენი შურისგებისთვის. რამდენსაც უნდა ეცადოთ, ვერც ერთი მხრიდან ვერ მომიდგებით. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ დაარბიოთ პორ-როიალი, მაგრამ ჩემს დარბევას ვერ შესძლებთ; შეგიძლიათ სორბონიდან განდევნოთ ხალხი, მაგრამ როგორ გამაძევებთ ჩემი საკუთარი სახლიდან? შეგიძლიათ მღვდლებისა და ღმრთისმეტყველების დოქტორთა წინააღმდეგ მიმართოთ მთელი თქვენი ძალმომრეობა, მაგრამ არა ჩემს წინააღმდეგ, ვინაიდან არც ერთი ეს წოდება არ გამაჩნია. ალბათ, არც არასდროს გქონიათ საქმე თქვენი თავდასხმებისაგან უფრო საიმედოდ დაცულსა და თქვენი ცთომილების წინააღმდეგ უფრო თანმიმდევრულად მებრძოლ კაცთან, ...რომელიც საკმაოდ კარგად იც-

ნობს თქვენს ზნეჩვევებს და რომელმაც მტკიცედ გადაწყვიტა კიდევ უფრო საფუძვლიანად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ისინი; და სანამდის ვგრძნობ, რომ თვით უფლის მიერ ვარ ბრძანებული თქვენს სამხილებლად, ვერავითარი ადამიანური ძალისხმევა ვერ შეაჩერებს, ვერც შეაფერხებს ჩემს მცდელობას და კვლევა-ძიებას"[210]...

თავდაპირველად პასკალი აპირებდა დაეწერა მხოლოდ სამი თუ ოთხი წერილი ანტუან არნოს დასაცავად, მაგრამ მუშაობის პროცესში, პირველადი გეგმა ძირფესვიანად შეიცვალა: გართულდა ავტორის შთანაფიქრი, უფრო მკვეთრად გამოიკვეთა პაექრობის საგანი, საგრძნობლად გაფართოვდა პოლემიკის სფერო, რომელმაც იეზუიტური მორალის მთელი სისტემა მოიცვა. შესაბამისად იცვლება ავტორის ხელოვნება, წერის სტილი, აზროვნების მანერა. „მან იცის, რომ, ექსპრესული ძალმოსილების გარეშე, მარტოოდენ შიშველ ჭეშმარიტებას არ შეუძლია შეარყიოს კაცთა გულგრილობა და ფრივოლურობა. ამიტომაც ცდილობს საკუთარ ქმნილებაში ჩააქსოვოს მთელი თავისი დიდოსტატური ხელოვნება. მან ისიც იცის რომ ხელოვნება მხოლოდ მაშინაა სრულქმნილი, როცა სრულიად უხილავი, უგრძნობი და შეუმჩნეველი ხდება, ვინაიდან ხელოვნება მხოლოდ ბუნებრიობაში აღწევს თავის სრულყოფილ გამოხატულებას, ბუნებრიობაში, რომელიც ესოდენ ძნელი მისაწვდომია ჩვენი შებღალული და გაყალბებული ბუნებისათვის"[211].

მაგრამ პასკალის ბიზანი მარტოოდენ მკითხველის სულებზე ზემოქმედება როდია. მან, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოდრიკოს მრისხანე მოპირისპირე, უნდა დათრგუნოს ძლიერი, ვერაგი და დაუნდობელი მტერი. ამისათვის კი სულაც არ არის საკმარისი იეზუიტების ტაქტიკის, პოლიტიკისა თუ დიპლომატიის კულისებსმიღმური, ფარული მექანიზმის ზუსტი და ამომწურავი ანალიზი; აუცილებელია მათი მსოფლმხედველობის, მათი თეორიული თუ პრაქტიკული ფილოსოფიის, მათი რელიგიური თუ ეთიკური მრწამსისა და ამ მრწამსის განმსაზღვრელ მოტივთა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. და პასკალიც, მეგობრების ხელშეწყობით, საგულდაგულოდ ჰკრებს და აგროვებს მისთვის საჭირო მასალას; კითხულობს, სწავლობს, წერს. იაზრებს, აანა-

ლიზებს. საქმეს წარმოუდგენლად ართულებს და აჭიანურებს საკვლევი საგნის გამოგნებელი, მეტიც, პირდაპირ სასოწარკვეთი სიუხვე და მრავალფეროვნება. იეზუიტები მარტოოდენ ენადაუშრომელი მქადაგებლები კი არ არიან, არამედ კალამმოუღლელი გრაფომანებიც. პასკალის დროისათვის, ე. ი. თავიანთი ორდენის დაარსებიდან სულ რაღაც ერთი საუკუნის' განმავლობაში მათ მიერ შეთხზული ნაშრომების რაოდენობამ დაახლოებით 35000-ს მიაღწია: თითო წიგნი ყოველ ერთ დღეში! რა თქმა უნდა, პასკალს ხელი არ მიუწვდება ყველა ამ წიგნზე, რომელთა მარტო წაკითხვასაც კი, ალბათ, მთელი სიცოცხლეც არ ეყოფა, „წერილების" ავტორის სიცოცხლეზე გაცილებით უფრო მშვიდი, ბედნიერი და დღეგრძელი სიცოცხლე. და მაინც, საოცარია ისიც, რაც მან შესძლო, თუნდაც, თანამზრახველთა უშუალო მხარდაჭერით და დახმარებით, თუნდაც მათთან ერთად. საკმარისია ზერელედ მაინც გადავავლოთ თვალი მის მიერ საკუთარი აზრების საილუსტრაციოდ მოხმობილი, დამოწმებული ან შეტნაკლები სისრულით განხილული ფრანგი თუ ესპანელი, იტალიელი თუ გერმანელი, პორტუგალიელი თუ ბელგიელი იეზუიტი ავტორების ძალზე ზოგადსა და არასრულ სიას:

აკვავივა (1581 — 1615), იეზუიტთა ორდენის გენერალი; ალიე (1596 — 1658), სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი; ალუა (1572 — 1656), ბელგიელი იეზუიტი, ძველი ისტორიისა და ანტიკური ენების სპეციალისტი. ანა (1590—1670), თეოლოგიის პროფესორი ტულუზაში, იეზუიტური გამოცემების ცენზორი რომში, ლუი XIV სულიერი მოძღვარი; ასორი (1542 — 1607), ალკალას, პიაჩენცასა და რომის უნივერსიტეტების თეოლოგიის პროფესორი; ბაგო (1580 — 1664), იეზუიტური გამოცემების ცენზორი რომში, პროფესორთა სახლის დირექტორი პარიზში; ბალდელი (1573 — 1655), რომის უნივერსიტეტის პროფესორი. ბარი (1585 — 1661), ავინიონის იეზუიტური კოლეგიის რექტორი; ბეკანი (1561 — 1624), ბრაბანტელი იეზუიტი, თეოლოგიის პროფესორი მაინცში, ვიურცბურგსა და ვენაში, ფერდინანდ II სულიერი მოძღვარი; ბელარმინი (1542 — 1620), სახელგანთქმული მქადაგებელი და ღმრთისმეტყველი, პროტესტანტიზმის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი; ბინე (1569 — 1639),

კლერმონის იეზუიტური კოლეგიის რექტორი; ბონი (1564 — 1649), სორბონის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი; ბრიზანსიე (1603 — 1668) ესა (Aix) და ბლუას იეზუიტური კოლეგიების რექტორი; განსი (Cans, ანუ Cands, 1591 — 1662), ღმრთისმეტყველი და მათემატიკოსი, ფერდინანდ III სულიერი მოძღვარი; გრანადოსი (1574 — 1632) გრანადის იეზუიტური კოლეგიის რექტორი; დიკასტილი (1585 — 1653), თეოლოგიის პროფესორი ტოლედოსა და მურსიაში, დილინგენის უნივერსიტეტის კანცლერი; დიუ-პერონი (1555 — 1618), ყოფილი კალვინისტი, შემდეგ — კარდინალი, ენრიკესი (1536 — 1608), ღმრთისმეტყველების პროფესორი კორდოვასა და სალამანკაში; ესკობარი (1589 — 1669), სახელგანთქმული კაზუისტი და მორალისტი; ვალენსია (1551 — 1603), თეოლოგიის პროფესორი რომში, დილიგენსა და ინგოლშტადში; ვასკესი (1551 — 1604), მადრიდის, ალკალასა და რომის უნივერსიტეტების პროფესორი, ვიტელესკი (1615 — 1645), იეზუიტთა ორდენის გენერალი; კასტრო პალაო (1581 — 1633), ღმრთისმეტყველების პროფესორი ვალიადოლიდსა და სალამანკაში, კომპოსტელასა და შედინა-სიდონიას იეზუიტური კოლეგიების რექტორი; კომიტოლი (1544 — 1626), იტალიელი იეზუიტი და კაზუისტი; კონინკი (1571 — 1633), ფლანდრიელი იეზუიტი, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი; კოსენი (1570 — 1651), ღმთრისმეტყველების პროფესორი რუანსა და პარიზში, ლუი XIII სულიერი მოძღვარი: კრასე (1618—1692), ღმრთისმეტყველი და მორალისტი; ლაიმანი (1575 — 1635), კაზუისტიკის პროფესორი ინგოლშტადში, მიუნხენსა და დილინგენში; ლამი (1578 — 1651), ღმრთისმეტყველების პროფესორი ნეაპოლში, აკვილეასა და ვენაში, გრაცის უნივერსიტეტის რექტორი; ლემუანი (1602 — 1671), ფრანგი იეზუიტი, პოლემისტი და პოეტი; ლესიუსი (1554 — 1623), ნიდერლანდელი იეზუიტი, თეოლოგი და იურისტი, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი; ლუგო (1583 — 1660), კარდინალი, თეოლოგიის პროფესორი ვალიადოლიდსა და რომში; მანდენი (1575 — 1641), ბრიუსელელი კაზუისტი; მასკარენია (1568 — 1654), ლისაბონის უნივერსიტეტის პროფე-

სორი; მეინიე (1605 — 1676) თეოლოგიის პროფესორი დიჟონში: მოლინა (1535 — 1600) სახელგანთქმული კაზუისტი, ევორის უნივერსიტეტის პროფესორი; პენალოსა (1589 — 1656), სამეფო კარის მოძღვარი მადრიდსა და ვენაში; პინტერო (1604 — 1664), კანის იეზუიტური კოლეგიის რექტორი; რეგინალდი (1543 — 1623), თეოლოგიის პროფესორი დოლში (Dôle); საა (1530 — 1596), პორტუგალიელი იეზუიტი, ღმრთისმეტყველების პროფესორი გენტში, კოიმბრსა და რომში; სანჩესი (1551 — 1610), ცნობილი კაზუისტი და მორალისტი; სელო (1588 — 1658), რუანის იეზუიტური კოლეგიის რექტორი, ორიენტალისტი; სირმონდი (1558 — 1651), პარიზის იეზუიტური კოლეგიის რექტორი, ეკლესიის ისტორიკოსი, ლუი XIII სულიერი მოძღვარი; სუარესი (1548—1617), სახელგანთქმული ესპანელი იეზუიტი, თეოლოგიის პროფესორი სეგოვიასა და ვალიადოლიდში, რომსა და ალკალაში, სალამანკასა და კოიმბრში; ტამბურინი (1591 — 1675), სიცილიელი იეზუიტი; ტანერი (1572 — 1632) თეოლოგიის პროფესორი მიუნხენსა და ინგოლშტადში, პრაღის უნივერსიტეტის კანცლერი; ტურიანი (1562—1635), ალკალას იეზუიტური კოლეგიის რექტორი; ურტადო (1575 — 1647), მურსიის, მადრიდისა და ალკალას უნივერსიტეტების თეოლოგიის პროფესორი; ურტადო დე მენდოსა (1578 — 1651), ღმრთისმეტყველების პროფესორი პამპელუნაში, ვალიადოლიდსა და სალამანკაში; ფაკუდესი (1577 — 1645), პორტუგალიელი იეზუიტი, ფერნანდესი (გარდ. 1630), პორტუგალიელი იეზუიტი; ფილიუჩი (1566 — 1622), სიენისა და რომის უნივერსიტეტების პროფესორი და სხვ...

„მეკითხებიან, — წერდა პასკალი, — რატომ დავასახელე ყველა ის ავტორი, რომელთა თხზულებებიდანაც ამოვკრიფე ჩემს მიერ დამოწმებული ამაზრზენი დებულებები? საპასუხოდ ასე მივუგებ: მე რომ ვიმყოფებოდე ქალაქში, სადაც ამოსჩქეფს თორმეტი შადრევანი და დაბეჯითებით ვიცოდე რომ ერთი მათგანი მოწამლულია, მოვალე ვიქნებოდი გამეფრთხილებინა ყველა, არამც და არამც არ დალიოთ ამ შადრევნის წყალი-მეთქი, მაგრამ რაკი შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ეს ჩემი მონაჩმახია, ვამჯობინებდი უმალ დამესახელებინა მომწამვლელის ვინაობა, ვინემ

მოსაწამლად გამეწირა მთელი ქალაქი... მეკითხებიან, — განაგრძობდა იგი, — წამიკითხავს თუ არა ყველა ის წიგნი, რომლებსაც ვიმოწმებ? პასუხად მიუგებ, არა-მეთქი; მაშინ ხომ მთელი სიცოცხლე უსაძაგლესი წიგნების კითხვაში უნდა გამეტარებინა; მაგრამ მე ორჯერ წავიკითხე დიდი ესკობარი[212], რაც შეეხება დანარჩენებს, მათ კითხულობდნენ ჩემი მეგობრები. მაგრამ მე არ მომიტანია არც ერთი ნაწყვეტი, იმავე წიგნში რომ არ ამომეკითხა, საიდანაც მას ვიმოწმებ, და, ამასთან, საგულდაგულოდ არ გავცნობოდი ყველაფერს რაც ამ ნაწყვეტს უშუალოდ უსწრებდა ან მოსდევდა, რათა არ შევმცდარიყავი, და ამრიგად, უარყოფის ნაცვლად დასტური არ დამემოწმებინა, რაც უთუოდ გმობის ღირსი უსამართლობა იქნებოდა ჩემის მხრივ"[213].

რა თქმა უნდა, პასკალი მარტოდმარტო ვერ შესძლებდა იეზუიტური ღმრთისმეტყველების ამდენი ჰეგემონის, კათოლიკური სარწმუნოების კარდინალურ საკითხთა თუ პედანტური წვრილმანების ყველა ნიუანსის ზედმიწევნით მცოდნე და რელიგიური დისპუტების ქარცეცხლში გამობრძმედილ თეოლოგთა მთელი კონგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლას. მართალია, ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში ის გატაცებით სწავლობდა საღმრთო წერილს, ეკლესიის მამათა თხზულებებს, კათოლიკური თეოლოგიის მნათობთა შრომებს, მაგრამ მას უწინარეს ყოვლისა, აინტერესებდა სულის სიცოცხლე, კაცობრიობის საკრალური აზრისა თუ რელიგიური გრძნობის ისტორიული ევოლუცია და არა მ'ძრალი, უსულო ტექსტი ან მკვდარი ასო... დიახ ეს იქნებოდა აშკარად უთანასწორო ბრძოლა, მაგრამ პასკალს მხარში უდგანან „განდეგილები", რომლებიც საჭირო ტექსტებითა და ამ ტექსტებისა და მათი ქვეტექსტების მახვილგონივრული კომენტარებით ამარაგებენ მას. იანსენიზმის ერთ-ერთი ბურჯი პიერ ნიკოლი ადგენს არა ერთი და ორი „წერილის" გეგმას, რომლებსაც შემდეგ თვითონვე უკეთებს რედაქციას.

და მაინც, აქ არსებითია არა „განდეგილთა" წვლილი, არამედ ის უჩვეულო სუბიექტური ტრანსფორმაცია, რასაც იანსენისტთა და იეზუიტთა პოლემიკის საგანი განიცდის პასკალის ნააზრევში, სადაც გენიის განსაცვიფრებელი თავისთავადობა პირწმინდად გარდაქმნის მხოლოდ თეოლოგთა შედარებით ვიწრო

წრისათვის საინტერესო საკითხს და ზოგადსაკაცობრიო ეთიკურ პრობლემად აქცევს მას: „...პასკალი, უწინარეს ყოვლისა, კაცია. მან შეიცნო, მან გაიცხადა კაცური ბუნების ყველა უღრმესი და უნივერსალური ტენდენცია, მისი მოთხოვნილებები, ვნებები, სურვილები, მისწრაფებები, ყველა მისი სიხარული თუ მწუხარება. ადამიანი გვეელინება სწორედ იმ ცენტრად, რომელსაც ის უკავშირებს ყველაფერს. თვით რელიგიასაც კი ის განიხილავს მხოლოდ კაცთან მიმართებაში. დიახ, პასკალი თეოლოგი როდია, რომელიც თეოლოგებისთვის წერს: ესაა კაცი, რომელიც ელაპარაკება კაცობრიობას. ასე იქცევა სქოლასტიკური პრობლემა უშუალო მიმართვად და მოწოდებად კეთილგონიერების, სინდისიერებისა თუ პატიოსნების, მოკლედ, ყველა იმ სიქველისადმი რომლებსაც იმარხავს თვითეული ჩვენგანის სული“[214].

იგივე ითქმის პასკალის თხზულების სტილისტური ბრწყინვალების, ენობრივი სრულყოფილების, სისადავისა და ბუნებრიობის მიმართ. ფრანგ იანსენისტ თუ იეზუიტ თეოლოგთა ორ ურთიერთმოქიშპე სკოლას, რომლებიც ათასობით ავტორს ითვლის, დიახ, ამ ორ სამწერლო სკოლას ერთად აღებულს, პასკალის მეათასედი წვლილიც არ მიუძღვის ფრანგული სალიტერატურო ენის დახვეწისა და განვითარების კეთილშობილურ საქმეში. ხასიათის შინაგანი სიწმინდე, სიწრფელე და უბრალოება, ჭეშმარიტების გულმხურვალე სიყვარული, იდეის უზენაესობა ყოველთვის ზუსტ სიტყვიერ გამოხატულებას პოულობს მის ნააზრევში. „გეომეტრია და ვნება, აი, მთელი პასკალი“ (Géometrie et passion, voilà tout Pascal), — უთქვამს ე. ავეს „წერილების“ ავტორის მისამართით[215]. ეს ფორმულა იმდენადვე მშვენიერია და სხარტი, რამდენადაც მართალი: პასკალის სიტყვა ზუსტია, როგორც მათემატიკა, ვნებიანია, როგორც მუსიკა.

მხოლოდ ეგაა, „წერილებში“ პასკალის ფრაზას თითქმის პლატონისეული პერიოდის სიგრძე და მოჩვენებითი სიმძიმე ახასიათებს, მაგრამ ფრანგული სტილისტიკის მკვლევართა დაკვირვებით, საკმარისია ხმამაღლა წაიკითხოთ იგი, რომ ყველაფერი ერთბაშად იცვლება, მარტივდება, ნათლდება, სულიერდება. ალბათ, იმიტომ, რომ პასკალის ენა, დეკარტის მწიგნობრული ენისაგან განსხვავებით, უწინარეს ყოვლისა, ცოცხალი, სალა-

პარაკო ენაა. სწორედ პასკალს ხვდა წილად პატივი, ყოფილ-ყო არა მარტო საკუთარი თხზულების უზადო ფორმის, არამედ თავისი საუკუნის მთელი ფრანგული პროზისა და არა მარტო პროზის დახვეწილი სამწერლო ენის შემოქმედი, ენისა, რომლითაც მეტყველებდნენ ბოსიუე და ბურდალუ, მოლიერი და ბუალო, რასინი და ლაბრიუიერი[216].

გონების უწყვეტი ქმედითობა და აქტიურობა ყოველთვის მკაცრად დასაზღვრული კალაპოტით წარმართავს პასკალის გემოვნებას, არტისტიზმსა და სიტყვის ფლობის ჭეშმარიტად დიდოსტატურ ხელოვნებას. არაფერი ისერიგად უცხო არ არის მისთვის, როგორც საკუთარი ინტელექტუალური თუ ემოციური ძალმოსილებით ტკბობა, სიტყვის თუ აზრის თვითმიზნური თამაში, ესთეტიზმისათვის ნიშნეული ჟონგლიორობა: „..მისი თხზულების („წერილების“ — ბ. ბ.) ყველაზე მომხიბლავი თვისება — ესაა სისადავე და ობიექტურობა. შემოქმედის პიროვნება პირწმინდად წაშლილია ქმნილებაში. მთელ თავის ძალას ის საკუთარი შთანაფიქრის ხორცშესხმას ალევს და ნებაყოფლობით გამორიცხავს თავს თხზულების ინტიმური შინაარსისგან. ყველაფერი ექვემდებარება იმას, რისი დამტკიცებაც სურს ავტორს. მთელი მისი გენიალობა მხოლოდ და მხოლოდ მოქმედების ყველაზე უკეთესი საშუალებების შერჩევას ესადაგება. ამრიგად, ყველაფერი არგუმენტი ხდება. ყველაფერი ქმედით საშუალებად იქცევა, სულ ერთია, იქნება ეს ირონიის სიმძაფრე, სულის უჩვეულო გზნება, აბსტრაქტული ლოგიკა თუ დრამატული წარმოსახვა. რაც შეეხება წესებს, ავტორს მხოლოდ საკუთარი კვლევის საგნიდან გამოჰყავს ისინი: მას ეზიზღება რიტორიკა, და, ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ მთელი სიზუსტითა და მაქსიმალური სისრულით იყენებს რიტორიკის ყველა საშუალებას, რომლებიც მის ქმნილებაში თვით საგანთა ბუნებიდან გამომდინარეობენ, და ამდენად, ექსპრესიის ერთადერთ აუცილებელ, მარტივ და ბუნებრივ ფორმებად გვევლინებიან. ასე რომ, ფრანგული მჭევრმეტყველება ერთბაშად ერთის დაკვრით აღწევს ატიკური მჭევრმეტყველების მოქნილობას, სიდიადეს და სრულყოფილებას: დემოსთენე შეიძლება შევადაროთ პასკალს, მაგრამ ვერასდიდებით ვერ დავაყენებთ მასზე მაღლა“[217].

„წერილების“ ავტორის სამწერლო ხელოვნება მისივე სტილისტური სრულქმნილების დონეზე დგას. ყველაზე უფრო ბუნდოვანსა და განყენებულ პრობლემებზე ის სულ სხვაგვარად მსჯელობს, ვიდრე პროფესიონალი ფილოსოფოსი ან თეოლოგი. „თავის ლიტერატურულ კომპოზიციებს ის ეპისტოლარული ჟანრის ფორმას ანიჭებს, ოსტატურად იყენებს დიალოგს, ქმნის პერსონაჟებს, სცენაზე გამოჰყავს ისინი, ხასიათით მოსავს და სულს უდგამს მათ, ხოლო თავისი გმირების სიტყვებში არანაკლებ ოსტატურად აქსოვს სიკისკასეს, ხიბლს, ვნებას, ირონიას, რისხვას, აღშფოთებას, სიმწარეს, ერთის სიტყვით, ხორცს ასხამს და ასულიერებს მისსავე მიერ გადმოცემულ იდეებს, რათა მათ გადალახონ გონების ზღურბლი (franchissant les intelligences) და, ამრიგად, მისწვდნენ და მიაღწიონ გულს, სიცოცხლისა და მოქმედების ამ ცხოველმყოფელ კერას“[218].

ეს არ არის ერთი ან ორი ფრანგი მკვლევარის სუბიექტური აზრი. სამასი წელი საკმაო დროა ლიტერატურული ქმნილების უბერებლობის და, თუ მაღალფარდოვნებაში არ ჩამომერთმევა ამისი თქმა, უკვდავების გამოსაცდელად. თავს ნებას მივცემ ერთხელ კიდევ დავიმოწმო გუსტავ ლანსონი: „პასკალის „წერილებში პროვინციელისადმი“, ვოლტერის თქმით, მოქცეულია მეკვრმეტყველების ყველა გვარი: აზრისა და ვნების ძალმოსილება, დახვეწილი და თანაც საშინელი ირონია. ვოლტერი იმასაც ამბობს, „წერილებისადმი“ ჩემი მოწიწება საგრძნობლად შემცირდებოდა, ისინი რომ მოლიერის კომედიების შემდეგ დაეწერაო პასკალს. ეს პარადოქსული მსჯელობა გასაგები გახდება, თუ დავუკვირდებით, როგორი ექსპრესიით, ჭეშმარიტი კომიზმითა და ცხოვრების რა იშვიათი ცოდნით ხატავს პასკალი თავის გმირებს, განსაკუთრებით ორი ცბიერი და მიამიტი იეზუიტის კოლორიტულ ფიგურებს. ერთი მათგანის ზოზროხი ფიგურა მეხუთედან მეათე წერილამდე არ ჩამოდის სცენიდან, ხოლო მეორე ცოცხლად და სხარტად დახატულია მეოთხე წერილში. პასკალი განსაცვიფრებელი ხელოვნებით ახერხებს განყენებული იდეების გარდასახვას. მათ გადატანას მოქმედებაში, მოძრაობაში, მეტყველების ტონსა თუ რიტმში; მისი წარმოსახვა მძაფრია, მძლავრი და შთამბეჭდავი“[219]...

მკითხველს თავად შეუძლია წარმოიდგინოს, რაოდენ უბადრუკად უნდა გამოიყურებოდეს იეზუიტების დოგმატური ფილოსოფია და მათი კაზუისტური მორალი ამ დიადი გონების, ამ მძლავრი და ნათელი სულის პირუთვნელი მსჯავრის წინაშე. ზემოთ უკვე ვთქვი და ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ მეოთხე წერილიდან მოყოლებული მკვეთრად იცვლება არა მარტო ავტორის ხელოვნება, წერის სტილი, აზროვნების მანერა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, პაექრობის საგნისადმი მისი დამოკიდებულება, მისი კრიტიკა, კვლევის მისეული მეთოდი. თეოლოგიური ტერმინოლოგიის წვრილმან ნიუანსთა ჩხრეკის ნაცვლად, პასკალი მთელის არსებით მიიქცევა ცოცხალი სინამდვილის, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ფართო და პრინციპულ საკითხთა მიმართ. ის გვიჩვენებს იეზუიტების მორალურ სახეს, გვიხსნის, როგორ დეგრადირდება მათ ნააზრევში ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულებისა და ზნეობრივი მოვალეობის წმიდათაწმიდა მცნება, გვიმეღავნებს მათ მიზნებსა და იმ საშუალებებსაც, რომლებსაც თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებენ ისინი (სიტყვამ მოიტანა და აქვე დავსძენ, რომ ჯაძოთქმა „ეზაჰი ამართლებს საშუალებას" „დიდი ესკობარისაგან" ღებს დასაბამს).

პასკალის „საშინელი ირონია", მისი აზრის შინაგანი პათოსი, უწინარეს ყოვლისა, იეზუიტური მორალის — კაზუისტიკის წინააღმდეგაა მიმართული. კაზუისტიკა (ტერმინი წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან casus — შემთხვევა) — ესაა მოძღვრება რელიგიური ზნეობის შესახებ, რომელიც უფლის მარადიულ, უცვლელსა თუ წარუვალ მცნებებს კაცთა ინდივიდუალურ ნებასა და მათ მიწყივ ცვლად მოთხოვნილებებს, ინტერესებს, მისწრაფებებს უსადაგებს, რეალური სინამდვილის უკიდურესად რთულსა და მრავალწახნაგოვან მთლიანობაში განიხილავს საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა თანაარსებობის ყველა ურთიერთჰარმონიულსა თუ ანტაგონისტურ ტენდენციას და, ამრიგად, სწავლობს „სინდისის ქცევას" — კერძო შემთხვევებითა თუ კონკრეტულ გარემოებათა კარნახით განპირობებულ სიტუაციებში სინიდისის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

კაზუისტიკა იეზუიტების გამონაგონ სიახლედ ვერ ჩაითვლება.

ის საჭირო იყო ყოველთვის, როცა საქმე ეხებოდა თეორიიდან პრაქტიკაზე, ზოგადი კანონიდან კერძო შემთხვევებზე გადასვლას; საჭირო იყო როგორც ზნეობრივი კონფლიქტების გადაჭრისა და რთული კოლიზიური სიტუაციებიდან გამოსავლის ძიების ერთადერთი ქმედითი საშუალება. ჯერ კიდევ ელინისტურ ეპოქაში სტოელთა მძლავრი ფილოსოფიური სკოლა, არისტოტელეს კეალდაკვალ, ყოველდღიურობასა თუ პრაქტიკულ ცხოვრებაში ცვალებადად და რელატიურად მიიჩნევდა ზნეობრივ კანონს, რომელსაც თეორიაში უცვლელად და აბსოლუტურად თვლიდა. ქრისტიანული ეკლესია, რომელმაც დასაბამითვე ინდივიდუალურ სულთა ხსნა აღიარა თავის ერთ-ერთ უწმინდეს და უმაღლეს მიზნად, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლიდა ანალოგიურ იდეებს. აღსარებისა და „სულთა მწყემსვის" საეკლესიო პრაქტიკამ დიდად შეუწყო ხელი ქრისტიანული კაზუისტიკის განვითარებას.

შუა საუკუნეები კაზუისტური სულისკვეთების გაფურჩქვნისა და აყვავების პერიოდია. დუნს სკოტისა და ვილჰელმ ოკამის ფილოსოფიურმა მოძღვრებებმა, სადაც რელიეფურად გამოიკვეთა პიროვნული ნებისა და ინდივიდუალობის როლი, თეორიული საფუძველი მოუმზადეს კაზუისტიკას და მნიშვნელოვანწილად განაპირობეს მისი ტრიუმფი[220]. მაგრამ ის, რაც მხოლოდ პრაქტიკა და ურთიერთსაპირისპირო მოვალეობათა „მორიგების" რელიგიური კოდექსი იყო, იეზუიტურ კაზუისტიკაში მთელ სისტემად, უფრო ზუსტად კი „უსისტემოდ", მოვალეობისა და ანგარების ურთიერთშეთანხმების, მათი კონკორდანსის ხელოვნებად იქცა. დიახ, იეზუიტურმა კაზუისტიკამ საუკუნეების შემდეგ განსაკუთრებული სიზუსტით და სისრულით ააღორძინა ანტიკური სოფისტიკის სული.

ასე მაგალითად, ესკობარი მიზნად ისახავს ყველასათვის შესაძლო ჰყოს ცოდვათა განტევება ამ ქვეყნად, სულის ხსნა და საუკუნო ცხონება საიქიოს. კაცთა ყოველგვარი მოქმედების, ყოველგვარი მორალური ქცევის განხილვისა თუ ზნეობრივი კრიტერიუმით მათი შეფასების დროს ის ჭეშმარიტად სოფისტური მანქანებით განასხვავებს, ერთის მხრივ, ყველა იმ „მკაცრად განსაზღვრულ" შემთხვევას, როცა ესა თუ ის მოქმედება დაუშვებელია და აკრძალული, ხოლო მეორეს მხრივ, იმ შემთხვე-

ვათა არანაკლებ „მკაცრად განსაზღვრულ“ რიცხვს, როცა იგივე მოქმედება აკრძალული არ არის, და თანაც ისე „ზებუნებრივ“, ან, თუ გნებავთ, „ზეადამიანურ“ შემწყნარებლობას და მიმტევებლობას ავლენს, რომ ყოველგვარი აკრძალვა, არსებითად, ზედმეტი, უაზრო და უსაგნო ხდება. იგივე ითქმის ზოგადეთიკური ნორმებით ყველა დასაშვები და ნებადართული მოქმედების მიმართ.

წინამდებარე მსჯელობის საილუსტრაციოდ მოვიტან მხოლოდ ერთ, მაგრამ, ჩემის აზრით, საკმარის ნიმუშს: კითხვაზე — მოვალეა თუ არა მდიდარი შეეწიოს ღარიბს, კაზუისტი ესკობარი ისეთ ორჭოფულსა და ორაზროვან პასუხს სცემს, რომ კაცს ეგონება, თითქოს თვით დელფოს ორაკული ღაღადებს მისი პირით: „ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: მოვალეა, და კიდევ უფრო ჭეშმარიტად გეტყვი: არ არის მოვალე ვინაიდან ასე ძალზე ცოტა მდიდარი თუ გახდება სულის ხსნის ღირსი“. მერედა რატომ? თურმე ნუ იტყვით, იმიტომ, რომ მოწყალების გაცემამ შეიძლება გააღატაკოს და „საკუთარი წოდებიდან ამოშალოს კაცი“, ხოლო ესკობარის აზრით, „ეს უფრო დიდი ბოროტებაა, ვიდრე გლახაკის სიკვდილი“[221].

თავად განსაჯეთ, რამდენად შეესაბამება ეს სოფისტური ცინიზმი მაცხოვრის სიტყვებს, ვის სახელსაც ესოდენ ამაყად ატარებდა იეზუიტთა ორდენი: „მაშინ ჰრქუას მეუფემან მარჯუენითთა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ: რამეთუ მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყურიოდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ. და შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ, და მოხუედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზაურეთ? ანუ წყურვილი და გასუთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ნუ შიშველი და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა? და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამინ გეტყჳ თქუენ: რავდენი უყავით ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“[222].

იეზუიტებმა, რომლებმაც პოლიტიკას ანაცვალეს ეთიკა და უფლის სამსახური კი არა, საკუთარი გავლენის გავრცელება დასახეს თავიანთ უპირველეს და უმაღლეს მიზნად, თითქმის მთლიანად დაივიწყეს სახარების ზნეობრივი მაქსიმალიზმი: „შევედით იწროჲსაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს ეზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა. ვითარ იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას“[223].

„ქრისტეს რაინდთა“ თანამდგომმა კაზუისტებმა წარსაწყმედელის ფართო ბჭესავით განავრცეს სასუფევლის კარიბჭის ვიწროება და თავიანთი ყოვლისმიმტევებელი ინდულგენციებით ვარდისფრად მოფენილ შარაგზად აქციეს სიკეთის, სიწმინდისა და სიწრფოების საჭირველად სავალი და ნარ-ეკლიანი ბილიკი: „ამჟამად ცოდვის მიტევება უფრო ადვილია, ვიდრე მისი ჩადენა. ვერც კი მოასწრებს კაცი ცოდვით შეისვაროს და შეიბილწოს სული, რომ ჩვენ უკვე ჩამოვრეცხთ ლაქას და ბილწებისაგან განწმენდთო“, — ამაყად აცხადებდნენ ისინი[224].

რამ განაპირობა ის, რომ იეზუიტთა ძმობა არა მარტო სიტყვით, საქმითაც ასე ძლიერ დაშორდა თავისი დიდი ეპონიმის მოძღვრებას? სახარების საკრალური ზნეობრივი მრწამსის სეკულარიზაცია ერთბაშად, ერთის დაკვრით არ მომხდარა. ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ქრისტიანობა, რომელიც პავლე მოციქულისაგან იღებდა დასაბამს და „რწმენით გამართლების“ დოგმაზე იყო დაფუძნებული, თანდათანობით კარგავს თავის პირველად ერსს და ადგილს უთმობს უფრო ვიწროსა და შეზღუდულ სარწმუნოებას — „ადამიანურ საქმეთა“ რელიგიას[225]. ფეოდალური ჰიერარქიის სისტემაში ნებსით თუ უნებლიეთ ჩართული, მტრული ძალებით ყოველი მხრიდან გარემოცული და შინაგანი წინააღმდეგობებით გათიშული და გაწამებული კათოლიკური ეკლესია ძალიან ადრე გახდა იძულებული, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური დამოუკიდებლობისა თუ პოლიტიკური ძლიერებისათვის ზრუნვა დაესახა თავის ერთ-ერთ უპირველეს მიზნად და, ამრიგად, პირწმინდად მიწიერი საშუალებებით ებრძოლა თავისი ზეციური დანიშნულების დასამკვიდრებლად.

„საიმისოდ განწირულს, რომ გარკვეული ადგილი დაემკვიდრებინა ამქვეყნიურ ჰიერარქიაში და ემბრძანებლა მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაღუპულიყო, ეკლესია იძულებული იყო ებრძოლა მიწის თვითეული უბადრუკი ნაგლეჯისათვის. საკუთარი მიწიერი მბრძანებლობის მწედ და მეოხად მან მოუხმო თავის საუკუნოვანი რწმენით შექმნილსა და განმტკიცებულ პრესტიჟს. მას ჰყავდა ურცხვი დიპლომატები და ულმობელი კონდოტიერები, და რაც უფრო მკაფიოდ გრძნობდა თავის სისუსტეს, მით უფრო ქედმაღლურად ეპირა თავი. მან ვნებიანად შეიყვარა სიმდიდრე და საკახშო კანტორა წამოჭიმა ერთარსება ცოცხალი ღმერთის საკურთხეველის გვერდით. იმ ხანად სიმონია მართვის არანაკლებ ქნედით საშუალებად იქცა, ვიდრე მოგვიანებით — ნეპოტიზმი. ყველაფერი იყიდებოდა სამღვდელმთავრო აუქციონზე: ეპარქიალების ქუდები და მიტრები, ცოდვათა განტევება, შეჩვენებისა თუ ეკლესიისაგან მოკვეთის ახსნა, სუზერენიტეტი, ხმელსა თუ ზღვაზე მეკობრული თარეშისა და დამპყრობლური ომების უფლება, წმიდანთა ნაწილები, იმპერატორის გვირგვინი, პაპის ტიარა და, ბოლოს, თვით სამოთხეში შესასვლელი ბილეთი"[226].

ეკლესიის მდგომარეობა, არსებითად, უცვლელი დარჩა პასკალის დროსაც. ასე რომ იეზუიტთა ორდენი რაღაც უჩვეულო და განსაკუთრებულ მოვლენად ვერ ჩაითვლება, მაგრამ „ქრისტეს რაინდებმა" ლამის თვითმიზნად აქციეს ის, რასაც ეკლესია მხოლოდ და მხოლოდ მიზნის მისაღწევ საშუალებად იყენებდა, არნახული ცინიზმით ჩართეს თავიანთ საბრძოლო არსენალში სიცრუე, სიყალბე[227], ცბიერება, ცილისწამება და, ამრიგად, დაჩქარეს სახარების მკაცრი ზნეობრივი მოძღვრების პოლიტიკად გარდაქმნა და გადაგვარება.

„მათი მიზანი ზნეობის შერყვნა როდია, — წერდა პასკალი იეზუიტების მისამართით, — არა, ამნაირი განზრახვა უცხოა მათთვის. მაგრამ არც ზნეობის სრულყოფაა მათი ერთადერთი მიზანი: ეს იქნებოდა ცუდი პოლიტიკა. აი, როგორია მათი შთანაფიქრი: ისინი იმდენად მაღალი წარმოდგენისა არიან თავიანთ თავზე, რომ რელიგიის სასარგებლოდ და, ასე განსაჯეთ, აუცილებლადაც კი თვლიან იმას, რომ მათი გავლენა ყველგან გავრცელდეს, რათა, ამრიგად, თავიანთ ნებას დაუქვემდება-

რონ ყველა სინდისი. მაგრამ რაკი მკაცრი სახარებისეული მცნებებით შეიძლება მხოლოდ მცირერიცხოვან რჩეულთა მართვა, ისინი მარტოოდენ მათთვის ხელსაყრელ შემთხვევებში მიმართავენ ამ მცნებებს. ხოლო მეორე მხრივ, რაკი იგივე მცნებები არ ეთანხმება კაცთა უმრავლესობის მიზნებსა და მისწრაფებებს, ისინი არც აფასებენ ამ მცნებების მიხედვით უმრავლესობის ქცევას. რათა, ამრიგად, შესაძლებლობა ჰქონდეთ ყველას თანაბრად აამონ და ასიამოვნონ. სწორედ იმიტომ, რომ ამდენი სხვადასხვა წოდებისა და სხვადასხვა ეროვნების ხალხთან აქვთ საქმე, მათთვის აუცილებელნი არიან კაზუისტები, რომლებსაც ხელეწიფებათ მთელს ამ მრავალფეროვნებას მიესადაგონ"[228].

მაგრამ ერთია იეზუიტების რელიგიური მრწამსი და მეორე — წარუვალი ჭეშმარიტება: „ვერავის ჯელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად... ვერ ჯელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა"[229]. ორპირობა და ორგულობა ყოველთვის ყველაფერზე მეტად ბღალავდა რწმენის სიწმინდეს, — ასეთია „წერილების" დედააზრი. საკმარისია ზოგადად მაინც გავადევნოთ თვალი პასკალისეულ კრიტიკას, რათა დავრწმუნდეთ, როგორ კნინდება, იწრიტება და ბოლოს, თავისი თავის უარყოფად იქცევა იეზუიტთა ნააზრევში სახარების ყველა დიადი რელიგიური მცნება: „...ხოლო უკეთუ გნებავს ცხოვრებასა შესვლაჲ, დაიმარხენ მცნებანი. ჰრქუა მას: რომელნი? ხოლო იესო ჰრქუა მას, ვითარმედ: არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არ იმრუშო, არა ცილი სწამო"[230]

„არა კაც-ჰკლა!" — ღაღადებს კაცთა მიმართ მაცხოვრის სიტყვა, ღვთისმგმობლურად შერყვნილი და შეგინებული კაზუისტთა ზნეობრივ კოდექსში: „...ჩვენ — ეუბნება იეზუიტი მონტალტს, — მკვლელს ვუწოდებთ იმას, ვინც ფულს იღებს კაცის მუხანათურად მოკვლაში. აქედან გამომდინარე, ის, ვინც ფულის გულისთვის კი არა ჰკლავს კაცს, არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ სამსახური გაუწიოს თავის მეგობრებს, კაცისმკვლელად არ იწოდება"[231]. დიახ, იეზუიტების აზრით, მთავარია მუხანათურად არ მოჰკლა კაცი. მაგრამ, აი, „დიდ სანჩესს" თუ დავუჯერებთ, შეიძლება მუხანათურად ზურგიდან მიპარვით თუ სამალავიდან ვერაგული თავდასხმით (licet per insidias aut tergo percutiat) სიცოცხლეს გამოასალმო ცილისმწამებელი, რომელიც სასამართ-

ლოში გვიპირებს ჩიივილს. ხოლო მოლინა და რეგინალდი უფლებას აძლევენ კაცს „მოჰკლას ცილისმწამებლის მიერ მის წინააღმდეგ წაქეზებული ცრუმოწმე.“ „დიდი და სახელგანთქმული მამები“ — ტანერი და ემანუილ ხაა კი ამასაც არ სჯერდებიან და დაზარალებულს ნებას რთავენ ცილისმწამებელს მოსყიდული მოსამართლეც ზედ მიაყოლოს. მათ კვერს უკრავენ სოტიც და ლესიუსიც[232].

მრავალრიცხოვანი დუელები ეაგლახად ათხელებდნენ და აპარტახებდნენ ფრანგი თავადაუზნაურობის რიგებს. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ლუი XIII მეფობის მანძილზე დუელში დაიღუპა ოთხი ათასზე მეტი არისტოკრატი. კათოლიკური ეკლესია მიუტევებელ ცოდვად თვლიდა დუელს, ხოლო მეფის საგანგებო დადგენილება დუელიანტებს სიკვდილით სჯიდა, იეზუიტები კი, ერთის მხრივ, არისტოკრატიის საამებლად და გულმოსაგებად, ხოლო მეორეს მხრივ, თავიანთი მემტევებლობისა თუ შემწყნარებლობის გასამართლებლად და, ინდულგენციების გაყიდვის გზით, საკუთარი ჯიბის გასასქელებლად, ასეთი „არგუმენტებით“ „კანონებდნენ ამ უაზრო სისხლისღვრას, ძმათამკვლელ ორთაბრძოლებს.

„უკეთუ ცნობილია რომ დუელში გამოწვეული აზნაური მაინცდამაინც დიდი ღვთისმოსაობით არ გამოირჩევა, პირიქით, მის მიერ სინდისის ქენჯნის გარეშე ყოველდღიურად ჩადენილი ცოდვები დაბეჯითებით გვაფარაუდებინებს, რომ, თუ ის უარს იტყვის დუელზე, ამის მიზეზი იქნება არა ღვთისმოშიშება, არამედ საკუთარი სიმხდალე, რის გამოც აბუჩად აიგდებენ და ასე იტყვიან — კაცი კი არა, ქათამიაო (gallina et non vir), — თავისი ღირსების შესანარჩუნებლად, მას შეუძლია გამოცხადდეს დანიშნულ ადგილას, რასაკვირველია, არა აშკარა წინასწარგანზრახვით, რომ უთუოდ გავა დუელში, არამედ მხოლოდ თავდაცვის მიზნით, თუ მოპირისპირე მოულოდნელად დაესხმის თავს. და მის ქცევაში არაფერი იქნება დასაგმობი და დასაძრახი. ვითომ რა არის ცუდი იმაში, რომ მინდვრად გახვიდე, მეორე კაცის მოლოდინში გაისეირნ-გამოისეირნო და, ბოლოს, თავდაცვაზე გადახვიდე, თუ მტერი ანაზდად დაგესხმის თავს? არა, ეს კაცი არამც და არამც არ სცოდავს, ვინაიდან მისი ქცევა გამოწვევის მიღე-

ბად ვერ ჩაითვლება, რაკი მას სულ სხვა რამ ედო გულში. რამეთუ დუელში გასვლა აშკარა წინასწარგანზრახვით ბრძოლასა ნიშნავს, რაც სრულიად გამორიცხულია ამ შეთხვევაში", — წერდა „დიდი ურტადო დე მენდოსა"[233], რომელსაც ბანს აძლევდა სახელგანთქმული იეზუიტი იურისტი, კარლოს V და ფილიპე II სამეფო კარის მრჩეველი მარტინ ასპილკუეტა ნავარო[234].

თუმცა ერისკაცებს ვინღა ჩივის, როცა კაზუისტები „განსაცვიფრებელი გულუხვობითა და ხელგაშლილობით, მოწყალებასავით ურიგებენ კაცის კვლის უფლებას" თვით სამღვდელო პირთაც: „სასულიერო წოდების პირთ და თვით მონაზვნებსაც უფლება აქვთ მოკლან კაცი, რათა დაიცვან არა მარტო საკუთარი სიცოცხლე, არამედ თავიანთი პირადი თუ თავიანთი ძმობის ქონებაც". — წერს ტანერი, რომელსაც ერთხმად ეთანხმებიან ესკობარი, მოლინა, ბეკანი, რეგინალდი, ლაიმანი, ლესიუსი და სხვანი და სხვანი[235] (საინტერესოა, რას ფიქრობდნენ ეს ყოვლად უღირსი მამები, როცა პირველი სახარების დასაწყისშივე კითხულობდნენ მაცხოვრის სიტყვებს: „ხოლო მე გეტყვ თქუენ: არა წინააღმდგომად ბოროტისა, არამედ რომელმაც გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოცა"[236]).

აი, კაზუისტური მორალის კიდევ ერთი ნიშანდობლივი მომენტი: არა მარტო საკუთარი ქონების, არამედ საკუთარი მრწამსის დასაცავად სამღვდელო პირს არამცთუ უფლება აქვს, „ზოგჯერ ვალადაც აძევს მტრის მოკვლა" (etiam aliquando debet occidere), — ამიკო ლამის კვალდაკვალ ამტკიცებს იოანე კარამუელი[237]... მთავარია მხოლოდ ნება იყოს მუხანათობისა და ვერაგობისაგან განწმენდილი, მისი ზრახვა წრფელი მიზნისკენ წარმართული („მე არ მინდა ამ კაცის მოკვლა, მაგრამ თუ ასე ნებავს განგების, და, იყოს ნება მისი"), — ასეთია კაზუისტური იურისდიქციის მთელი „ლოგიკა", მისი გონებამიუწვდომელი საფუძველთა-საფუძველი.

„იანსენისტები პელაგიელებად იხსენიებენ იეზუიტებს; შეიძლება თუ არა ამის გამო მუსრი გაავლო მათ? არა, იმიტომ, რომ იანსენისტები უფრო მეტად ვერ ჩრდილავენ იეზუიტთა დიდებას, ვიდრე ჭოტი — მზის ბრწყინვალებას. პირიქით, თავიანთი განზრახვის საპირისპიროდ, ისინი ამაღლებენ კიდეც ჩვენს ძმობას:

occidi non possunt, quia nocere non potuerunt (არ შეიძლება მოკლულ იქნენ, იმიტომ რომ ვერა გვავნეს რა)", — ამბობს იგივე იოანე კარამუელი[238].

„როგორ, მამაო ჩემო, — ეკითხება თანამოსაუბრე იეზუიტს ამ სიტყვებით გაოგნებული მონტალტი, — ნუთუ იანსენისტების სიცოცხლე მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული ზიანს აყენებენ თუ არა ისინი თქვენს რეპუტაციას? თუ ასეა, ჩემის აზრით, ამ საცოდავებს სასიკეთო არა ელის რა, ვინაიდან თუ ერთ მშვენიერ დღეს დაასკვნით, რომ იანსენისტები სახელს გიტეხენ, თავს უფლებას მისცემთ განუსჯელად მუსრი გაავლოთ მათ. მე შენ გეტყვი, გაგიჭირდებათ თქვენი აზრის დასაბუთება: თქვენებურად შეთხზავთ ბრალდებას, თან წრფელ ზრახვასაც მოიშველიებთ და მეტი კი არაფერი გჭირდებათ იმისათვის, რომ განუკითხავად გაისტუმროთ კაცი საიქიოს... მართალი გითხრათ, ჩემის აზრით სულერთია, მამაო ჩემო, სრულიად ურწმუნო ხალხთან გაქვს საქმე თუ ღმრთისმეტყველებაში ღრმად განსწავლულ და თვით ზრახვათა მართვის ხელოვნებას ზედმიწევნით დაუფლებულ ხალხთან. რადგან, ბოლოს და ბოლოს, კეთილი ზრახვა იმისა, ვინც დანას ურტყამს კაცს, ოდნავადაც ვერ ამსუბუქებს დანადარტყმულის ხვედრს. საბრალო ვერ გრძნობს ამ ზრახვის ფარულ მიმართულებას, ის მხოლოდ მისკენ მიმართული დანის დარტყმას გრძნობს, და მე არ ვიცი, იქნება ნაკლებ სავალალოცაა ის, რომ უგუნურთა გამძვინვარებულმა ბრბომ მოგიღოს ბოლო, ვიდრე იმის შეგნება, რომ შენ კეთილსინდისიერად გღადრავს ყელს ღვთისმოსავი ხალხი"[239]...

„არა იპარო!" — კვლავ უხმობს ქვენა გრძნობების ალაგვვად უფლის უკვდავი სიტყვა სუსტსა და ლერწამივით მერყეე ადამიანს, ხოლო იეზუიტები მათ შორის, ლესიუსიც, დიახ, თვით დიდი ლესიუსიც, „ხელაღებით ანიჭებენ კაცს პარვის უფლებას არა მარტო უკიდურესი გაჭირვების დროს, არამედ მცირედი შეჭირვების შემთხვევაშიც, ყოველგვარი უკიდურესობის გარეშე"[240]. ეს საეჭვო დიდსულოვნება და შემწყნარებლობა ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ იეზუიტები თავისთვის იტოვებენ პარვის უფლებას.

ასე აგიხდეთ ყოველივე კეთილი: ჩავხედოთ „წერილების" კი-

დევ ერთ პასაჟს და დავრწმუნდებით, რომ ჩვენი ვარაუდი გამართლებულია. მონაზონს, რომელიც სამონაზვნო სამოსელს იხდის პაპის საგანგებო ბულა ეკლესიისაგან მოკვეთით ემუქრება, იეზუიტები კი ამტკიცებენ, რომ „თუკი სასულიერო პირი იხდის სამღვდელო სამოსს, როცა სამარცხვინო საქმის აღსასრულებლად მიდის, ვთქვათ, როცა ქურდულად მიძვრება საროსკიპოში ან საპარავად (დიახ, შავით თეთრზე, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ასე სწერია: si habitum dimittat ut furetur occulte, vel fornicetur, — ბ. ბ.), რათა უკან დაბრუნებისთანავე კვლავ შეიმოსოს იგი, მაშინ პაპის შეჩვენება მასზე არ ვრცელდება“[241].

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, არავის გააკვირვებს ის გარემოება, რომ ქურდი ქურდობის კანონიზირებას ცდილობს. და მაინც ძნელია გულგრილად ჩაიკითხო ზოგადი წესი, რომელიც კაზუისტთა მრავალრიცხოვან შრომებზე დაყრდნობით გამოჰყავს ესკობარს: „სამარცხვინო გზით, ასე მაგალითად, მკვლელობით, ქურდობით, უსამართლო განაჩენით, უგვანი ქცევით და ა. შ. მოხვეჭილი ქონება კანონიერად ითვლება და არავინ არ არის მოვალე უკან დაბრუნოს იგი“[242].

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, მაგრამ მე მინდა სწორედ ერთგვარი კომენტარის სახით გავაცნო მკითხველს პატარა ისტორიული ანეკდოტი: ბანკირმა იოჰან ტეტცელმა, ვის საიდუმლო სეიფებშიც იეზუიტები ინახავდნენ გერმანიაში ინდულგენციების გაყიდვით შეგროვილ უზარმაზარ თანხას, დიდძალი ფული გადაუხადა მათ და ცოდვათა განტევების სიგელი შეიძინა, ხოლო შემდეგ საბანკო მაქინაციების წყალობით, რის დიდოსტატადაც ითვლებოდა, იეზუიტების კუთვნილი მთელი თანხა მიითვისა[243]. „ქურდის ქურდი ცხონებულიაო“, — ამბობს ქართული ანდაზა, ხოლო სახარებაში ვკითხულობთ „...რომელთა აღიღონ მახვლი, მახვლითა წარწყმდნენ“[244] ჰეშმარიტად!..

„არა იმრუშო!“ — ამბობს იესო, ხოლო ფრანგი იეზუიტის ბონის აზრით, „ნებადართულია პირდაპირ და უშუალოდ (primo et per se) ეძებო ცოდვის ჩადენის ყველა ხელსაყრელი შემთხვევა ჩვენი საკუთარი ან ჩვენივე მოყვასის სულიერი თუ ხორციელი სიკეთისათვის“; და ეს „მაღალზნეობრივი“ მაქსიმა იმავე ბონის მიერ შემდეგი კონკრეტული მაგალითითაა ილუსტრი-

რებული: „თვითეულ ჩვენგანს უფლება აქვს იაროს საროსკიპოში, რათა ჭეშმარიტების გზაზე მოაქციოს სიძვის დიაცნი, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ იქ თავადაც შესცოდავ, ვინაიდან გამოცდილება გვასწავლის, რომ ამ დიაცთა ალერსს, ჩვეულებისამებრ, შეუძლია ცოდვის მორევში შეიტყუოს კაცი“[245].

და კვლავ მცდელობა იმისა, რომ კანონიერად გამოაცხადონ სიძვის გზით შეძენილი ავლა-დიდება; ლესიუსი წერს: „ქონება, რომელსაც სიძვის გზით იხვეჭს დიაცი, უკანონოდ შეძენილი ქონებაა, მაგრამ მისი ფლობა კანონიერია (quamvis mulier illicite acquirat, licita tamen retinet acquisita)“[246].

ბონის ციტატის საქვეყნოდ „გამოქვენებამ“ განსაკუთრებით გააცოფა იეზუიტები, რომლებმაც მონტალტს ბრალად დასდეს „უმეცრება, ვერაგობა და ბონის მოყივნების ცდა იმ აზრის გამო, რომელსაც არ უარყოფს სკოლა“[247]. ლოიოლას ღირსეული მემკვიდრენი არც აქ ღალატობენ თავიანთ თავს: ისინი ხან აღიარებენ, რომ ბონის აზრს „არ უარყოფს სკოლა“, ხან კი, იეზუიტ პინტეროს პირით, აღშფოთებულნი აცხადებენ: „უნდა სავსებით ხელი აიღო სინიდისზე, რათა იქადაგო ესოდენ ბილწი მოძღვრება, მაგრამ, მეორეს მხრივ, სატანაზედაც უარესი უნდა იყო, რომ ყოვლად ღირს მამა ბონის მიაწერო იგი“[248].

„რაოდენ ხელსაყრელია, მამანო ჩემნო, — წერს საპასუხოდ მონტალტი, — იმ ხალხთან გქონდეს საქმე, რომელიც ერთდროულად ამბობს „ჰოსაც“ და „არასაც“. თქვენს სამხილებლად, ღმერთმანი, თქვენვე მეყოფით. საკმარისია დავამტკიცოთ ორადორი რამ: ჯერ ერთი, ის, რომ ეს წესი ყოვლად უმსგავსია და, მეორეც ის, რომ მამა ბონია მისი ავტორი. ერთსაც და მეორესაც თქვენივე საკუთარი აღიარებით დაგიმტკიცებთ და დაგიდასტურებთ. 1644 წელს თქვენ აღიარეთ ზემოაღნიშნული წესის სიბილწე, 1656 წელს თქვენ აღიარებთ, რომ ეს წესი ბონის ეკუთვნის. ეს ორმაგი აღიარება სავსებით მამართლებს, მამანო ჩემნო; მეტსაც გეტყვით; ის ამხელს თქვენს მანქანებსაც. მართლაცდა, მითხარით, გეთაყვა, რას ისახავთ მიზნად? გულწრფელობას თუ გულახდილობას? არა, მამანო ჩემნო, იმიტომ, რომ თქვენი პასუხები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ან, იქნებ, ჭეშმარიტი რწმენის დაცვაა თქვენი მიზანი? არა და არა, იმიტომ

რომ, თქვენივე აღიარებით, ბილწ წესს იწონებთ. მაგრამ ერთი ამასაც დაუკვირდით: როცა ზემოაღნიშნული წესის სიბილწეს აღიარებდით, იმავდროულად, უარყოფდით იმასაც, რომ ის მამა ბონის ეკუთვნის და, ამრიგად, თქვენი კოლეგა უმწიკვლოდ და უბიწოდ გამოგყავდათ, ახლა კი, როცა ბონის ავტორობას აღიარებთ, იმავდროულად, მის წესსაც იწონებთ და, მაშასადამე, კვლავინდებურად უმწიკვლოდ გამოგყავთ იგი. და რაკი ამ ღირსი მამის უმწიკვლობაა თქვენი ორივე ურთიერთგამომრიცხველი პასუხის საერთო აზრი, აშკარაა, რომ მხოლოდ ერთი მიზანი გაქვთ — თქვენივე კოლეგების დაცვა. აი, რატომაა, რომ ერთსა და იმავე წესს ხან უარყოფთ, ხან აღიარებთ, ხან იწუნებთ, ხან იწონებთ და ამრიგად, მარად უცვლელ ჭეშმარიტებას კი არ ესადაგებით, არამედ თქვენსავე წამითი-წამად ცვლად ინტერესებს"[249].

აქ ყველაფერი ზუსტია, მკაცრი, მკაფიო და საქმიანი, ყოველგვარი უმნიშვნელო წვრილმანისაგან განტვირთული და მხოლოდ არსზე კონცენტრირებული; აქ ყველა სიტყვა მიზანში ხვდება და ულმობლად მუსრავს მტერს. სამაგიეროდ მით უფრო მძაფრია იეზუიტების რეაქცია რომლებიც „მწვალებელს" „ჯოჯოხეთის მოციქულ"ია" და „სატანის მიმდევარს" უწოდებენ „წვრილების" ანონიმსა და მათთვის მოუხელთებელ ავტორს:

„თქვენს ენაზე, როგორც ჩანს, სულერთია, გინდ თქვენს ძმობას დასხმიხარ თავს და გინდ მწვალებელთათვის მიგიკუთვნებია თავი. აი, უცნაური მწვალებლობა, მამანო ჩემნო, და როცა თქვენს თხზულებებში ამდენ კათოლიკეს მწვალებლებად აცხადებთ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი, თქვენის აზრით, უსამართლოდ გესხმიან თავს. მაშ, რად გიკვირთ, მამანო ჩემნო, რომ ეგ თქვენი უცნაური კილოკავი ყველასათვის გასაგებია? ამ კილოკავზე მე, რა თქმა უნდა, დიდ მწვალებლად ვიწოდები. თქვენ ეკლესიისაგან მოკვეთილად მაცხადებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი „წვრილებისა" გეშინიათ. ამრიგად, კეთილი კათოლიკეს სახელი რომ დავიბრუნო, ისღა დამრჩენია, ან გავიზიარო თქვენი მორალის ყველა უკიდურესობა, რაც ჭეშმარიტად შეუძლებელია, თუკი კეთილზნეობის ყველა გრძნობაზე არ ვიტყვი უარს, ანდა დაგარწმუნოთ იმაში, რომ თქვენ-

თვის მხოლოდ სიკეთე მსურს, მაგრამ ამისთვის აუცილებელია, რომ სამუდამოდ ზურგი აქციოთ ყველა თქვენს ცთომას. ასე რომ, მე ვაგლახად გავიხლართე მწვალებლობის ქსელში და, თავდასახსნელად ან ჩემს სინდისს უნდა ვუღალატო, ანდა რაკი ჩემი რწმენის სიწმინდე არას მარგია, მეტი რა გზა მაქვს, თქვენს სინდისს. მანამდის კი ვერასდიდებით ვერ მოვიცილებ ცილისმწამებლისა და მკრეხელის სახელს, და, რაგინდ ზუსტადაც უნდა დავიმოწმო თქვენი ციტატები, სულერთია, მაინც არ დაცხრებით, არ დამშვიდდებით და კვლავინდებურად დაიჟინებთ, რომ „მხოლოდ სატანის მიმდევარს თუ შეუძლია ისეთი რამე დაგწამოთ, რისი ნასახიც და ნიშანწყალიც არ მოიძებნება თქვენს თხზულებებში“, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცებთ თქვენს წესს, ერთხელ კიდევ უერთგულებთ თქვენს ჩვეულებებს, ისე ფართოდ ვრცელდება თქვენი პრივილეგია სიცრუის და ცილისწამების“[251].

დიახ, იეზუიტების ორდენმა ლამის დაარსების პირველი დღიდანვე თავის სამოქმედო პროგრამაში ცინიკური გულახდილობით ჩართო სიცრუე და ცილისწამება და, ამრიგად, საქმით შებღალა სახარების კიდევ ერთი წმიდათა-წმიდა მცნება: „არა ცილი სწამო!“ ...მაგრამ აქ კვლავ პასკალს მივცეთ სიტყვა. ვფიქრობ, მკითხველისათვის ეს უფრო საინტერესო უნდა იყოს, ვიდრე ჩემი ზოგადი და განყენებული მსჯელობა. მოდი, გავეცნოთ მეთხუთმეტე წერილის ზოგიერთ პასაჟს, წერილისა, რომელსაც ასე ასათაურებს ავტორი: „იმისათვის რომ იეზუიტები ცოდვათა რიცხვიდან გამორიცხავენ ცილისწამებას და სინდისის ქენჯნის გარეშე მიმართავენ მას თავიანთი მტრების მოსაყივნებლად“:

„რაკი თქვენი ცილისწამება დღითიდღე უარესი ხდება და. რაკი ყოველი ფეხის ნაბიჯზე მიმართავთ მას, რათა ესოდენ სასტიკად შეურაცხყოთ თქვენი ცთომილების წინააღმდეგ მებრძოლი კეთილმორწმუნე ხალხი, მათ სასიკეთოდ და ეკლესიის საკეთილდღეოდ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გავამჟღავნო თქვენი მოღვაწეობის ერთი საიდუმლო..., რათა თქვენივე წესების მიხედვით ცხადვყო, რა ნდობის ღირსია თვითეული თქვენი ბრალ-

ღება, ან რა ფასი აქვს თქვენს მიერ მოყენებულ შეურაცხ-ყოფას...

მე დავამტკიცებ, რომ თქვენი თხზულებები ცილისწამებია სავსე და ამასაც არ დავჯერდები. რა თქმა უნდა, შეიძლება იცრუო და სიმართლედ გაასაღო შენი სიცრუე, მაგრამ „ცრუს" ცნებას უშუალოდ უკავშირდება აზრი წინასწარგანზრახული სიცრუის შესახებ. ჰოდა, აი, მეც დავამტკიცებ, მამანო ჩემნო, რომ თქვენ განზრახ ცრუობთ და ცილს სწამებთ ხალხს; რომ თქვენ შეგნებულად მიაწერთ თქვენს მტრებს ისეთ დანაშაულს, რაშიაც, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, არავითარი ბრალი არ მიუძღვით მათ; ეს იმიტომ, რომ, თქვენის აზრით, შეიძლება ცილი დასწამო შენსავე მოყვასს და მაინც კეთილშობილი კაცის სახელი გერქვას. და თუმცა თქვენი მორალის ეს მხარე თქვენთვის უკეთაა ცნობილი, ვიდრე ჩემთვის, მიუხედავად ამისა, თავს ნებას მივცემ ერთხელ კიდევ გაგიმეოროთ ყველაფერი, რათა საბოლოოდ გაქარწყლდეს ეჭვი და ყველა თვალნათლივ დარწმუნდეს, რომ მე პირდაპირ მოგმართავთ, უშუალოდ და გულახდილად გელაპარაკებით, თქვენ კი ვერ ბედავთ უარყოთ ჩემი სიტყვები, ან, თუ გაბედავთ, ამით მხოლოდ დაამტკიცებთ და დაადასტურებთ, რომ ჩემი ყვედრება უსაფუძვლო არ არის. რადგან ეს მოძღვრება ისე ფართოდ გავრცელდა თქვენს სკოლებში, რომ არა მარტო თქვენს თხზულებებში, თვით თქვენს საჯარო გამოსვლებსა თუ თეზისებშიც თავგამოდებით იცავთ და ამართლებთ მას, რაც უკვე აშკარა, არნახული და არგაგონილი თავხედობაა. ასე მაგალითად, 1645 წელს, ლუვენის თეზისებში თქვენ შემდეგი სიტყვებით იცავდით ამ ძვირფასი მოძღვრების არსს: „ცილისწამება და ყალბი ბრალდება იმ მიზნით, რომ ჩირქი მოვცხოთ მას, ვინც ძვირს ამბობს ჩვენზე, მაინცდამაინც დიდ ცოდვად არ ჩაითვლება. Quid ni non nisi veniale sit, detrahentis auctoritaten magnam, tibi noxiam, falso crimine elidere?" დიახ, ამ მოძღვრებამ ისე ღრმად გაიდგა ფესვი თვითეული თქვენთაგანის გულში, რომ ყველას, ვინც გაბედავს მის წინააღმდეგ ხმის ამოღებას, უმეცარს და მკრეხელს უწოდებთ.

ამას წინათ ეს თავის თავზე იწვნია მამა კვიროგამ გერმა-

ნელმა კაპუცინმა რომელმაც დააპირა წინ აღსდგომოდა მას. თქვენი კოლეგა, მამა დიკასტილი დაუყოვნებლივ თავს დაესხა კაპუცინს. აი, როგორი სიტყვებით გადმოგვცემს იგი ამ პაექრობის ამბავს (De just. წ. 2, ტრაქტ. 2, 12, № 404): „ერთი მკაცრი, ფეხშიშველა და კუნკულიანი (cucullatus gymnopoda) ბერი ისე გათავხედდა, რომ გაბედა დედაკაცთა და უვიცთა წრეში აუგად მოეხსენებინა ჩვენი მოძღვრება და განაცხადა, რომ ის ბილწია, ამაზრზენი, ზნეობისათვის მავნე და საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს კეთილდღეობისა და სიმშვიდის დამრღვევი... მაგრამ მე, მის საპირისპიროდ, ვიცავდი და კვლავ ვიცავ იმ აზრს, რომ ცილისწამება, რომელსაც ცილისწამებლის წინააღმდეგ იყენებენ, მართალია, სიცრუეა, მაგრამ სულაც არ არის მომაკვდინებელი ცოდვა და, ამდენად, არც სამართლიანობას არღვევს და არც მოყვასის მიმართ სიყვარულს ბღალავს. ამის დასამტკიცებლად მე დავიმოწმე არა ერთი და ორი ჩვენი კოლეგა და თვით მთელი უნივერსიტეტები, სადაც ისინი ასწავლიან. ყველა მათგანს სათითაოდ მოვეთათბირე, და მათ შორის იყვნენ ყოვლად ღირსი მამა იოჰან განსი, იმპერატორის სულიერი მოძღვარი, ყოვლად ღირსი მამა დანიელ ბასტელი, ერცჰერცოგ ლეოპოლდის სულიერი მოძღვარი მამა ჰენრიხი, ორივე ამ მეუფის ყოფილი აღმზრდელი, ვენის უნივერსიტეტის ყველა საზოგადო თუ ორდინარული პროფესორი (ამ უნივერსიტეტის ყველა პროფესორი იეზუიტია), გრაცის უნივერსიტეტის ყველა პროფესორი (ესენიც უკლებლივ ჩვენს ძმობას ეკუთვნიან), პრაღის უნივერსიტეტის ყველა პროფესორი (იეზუიტები აქაც ერთპიროვნული ბატონ-პატრონნი არიან); უკლებლივ ყველა მათგანისგან მივიღე ჩემი აზრის დასტური, მათი საკუთარი ხელით დაწერილი და მათ მიერვე ხელმოწერილი. ეგეც არ იყოს, მე მხარს მიმაგრებს აგრეთვე მამა პენალოსა, იეზუიტი, იმპერატორისა და ესპანეთის მეფის სასახლის კარის მოძღვარი, მამა პილიჩეროლი, იეზუიტი, და სხვა მრავალი. ყველა ისინი ჩვენს პაექრობამდე გაცილებით უფრო ადრეც სამართლიანად მიიჩნევდნენ ამ აზრს“.

ხომ ხედავთ, მამანო ჩემნო, რამდენადაც ცოტაა ისეთი აზრი, რომელსაც ამნაირი თავგამოდებით დაიცავდით, იმდენად-

ვე ცოტაა ყველა ის აზრი, რომელიც ასერიგად გჭირდებათ თქვენ. ამიტომაც ისე მკაცრად დააკანონეთ იგი, რომ კაზუისტები წამდაუწუმ ეყრდნობიან მას, როგორც ეპვშეუვალ პირველსაწყისს. „დადგენილია, — ამბობს კარამუელი (№ 1151), რომ აზრი, რომლის მიხედვითაც ცილისწამება, საკუთარი ღირსების დაცვის მიზნით, მომაკვდინებელ ცოდვად არ ჩაითვლება, — ჭეშმარიტი აზრია, იმიტომ, რომ მას იზიარებს ოცზე მეტი დიდი სწავლული: იეზუიტები — გასპარ ურტადო, დიკასტილი და სხვანი და სხვანი. ასე რომ, თუ ეს მოძღვრება არასწორია, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მთელს თეოლოგიაში არ მოიძებნება არც ერთი სწორი აზრი“[251].

საბრალო თეოლოგია!.. „ოჰ, მამაო ჩემო, — წამოიძახებს იეზუიტთან საუბრით თავზარდაცემული მონტალტი, — არ არსებობს მოთმინება, რომელიც თქვენ არ ამოსწურეთ; შეუძლებელია უძრწოლველად მოისმინო ის, რასაც მე ვისმენ!“...[252] და მაინც, — პასკალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ეყო მოთმინება ბოლომდე ჩაჰყოლოდა და ჩაჰღრმავებოდა იეზუიტური სიმდაბლის, სიბილწის და უკეთურების საზარელ უფსკრულს, რათა ჭეშმარიტი რწმენისა და ზნეობრივი სიწმინდის დასაცავად, მკაცრი თანმიმდევრობითა და პრინციპულობით ემხილებინა კაზუისტური მორალის მთელი მანკიერება და უძრწოლველად აღდგომოდა წინ „ქრისტეს რაინდთა“, ძმობას, იმდენადვე ძლიერს, გავლენიანსა და თავისი ურცხვობის წყალობით უსამართლოდ აღზევებულს, რამდენადაც სულმდაბალს, ვერაგსა და დაუნდობელს. სწორედ ესაა პასკალისა და, საერთოდ, მთელი ფრანგული იანსენიზმის დიადი ისტორიული დამსახურება; „პასკალმა და იანსენისტებმა აღადგინეს ქრისტიანიზმის ჭეშმარიტი არსი ზნეობრივი სრულქმნილების პრინციპი დადეს მის ქვაკუთხედად და კვლავინდებურად ნარ-ეკლით მოფინეს სიქველისა და სათნოების „საჭირველად“ სავალი გზა. დოგმატურ მხარეს რომ არ მივაქციოთ ყურადღება, ისინი აბსოლუტურად მართალნი იყვნენ მხოლოდ მორალური თვალსაზრისითაც, თუნდაც იმით, რომ კვლავ განაახლეს მარადიული, ჯიუტი და შეუპოვარი ბრძოლა გამორჩენის ინსტინქტის, სარფის ძიების წინააღ-

მდეგ და ზნეობრიობის ერთადერთ პირობად ზნეობისთვისვე მუდმივი ზრუნვა დასახეს; თუნდაც იმით, რომ ყოვლისშემწყნარე მქადაგებლების წესებს დაუპირისპირეს თავიანთი სიმკაცრე, მტკიცე გადაწყვეტილება იმისა, რომ ყველა ორჭოფულ და საეჭვმანო შემთხვევაში ამოერჩიათ უძნელესი გზა და თავგამოდებით ებრძოლათ ეგოიზმის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ეგოიზმია"...[233]

1657 წელს იანსენისტებმა გაამთლიანეს ცალ-ცალკე გამოშვებული თვრამეტიანი წერილი და პიერ ნიკოლის წინასიტყვაობით, ერთ წიგნად გამოსცეს, ხოლო კელნში პიერ დე ლა ვალემ კიდევ ორჯერ გამოაქვეყნა პასკალის მთელს ევროპაში გახმაურებული თხზულების სრული ტექსტი. იმავე 1657 წელს „წერილები" ითარგმნა ინგლისურად (მეორე გამოცემა გამოქვეყნდა 1658 წელს). თითქმის იმავდროულად პიერ ნიკოლმა გიიონ ვენდროკის ფსევდონიმით ლათინურად თარგმნა და საფუძვლიანი კომენტარებითურთ გამოსცა იგი. 1659 წელს ნიკოლა შონტემ ერთხელ კიდევ გამოაქვეყნა კელნში „წერილების" ფრანგული ტექსტი, თუმცა ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სინამდვილეში წიგნი გამოცემული უნდა იყოს ამსტერდამში ცნობილი ტიპოგრაფიის ელზევირის მიერ. პასკალი საგულდაგულოდ ასწორებდა როგორც ყველა ფრანგული გამოცემის, ისე ლათინური თარგმნის თვითეულ გვერდს. სწორედ 1659 წლის გამოცემა ითვლება საბოლოოდ დადგენილ ავტორისეულ ტექსტად.

„წერილების" მამხილებელმა პათოსმა სულის სიღრმემდე შესძრა და რისხვით აღავსო მთელი კათოლიკური და არა მარტო კათოლიკური ევროპა. აღშფოთების ტალღა თავდაპირველად რუანიდან დაიძრა, სადაც ადგილობრივმა სამღვდელოებამ დაუყოვნებლივ გამოჰყო საგანგებო კომისია მონტალტის მიერ დამოწმებული ციტატების დედნისეულ ტექსტებთან შესაჯერებლად, და როცა კომისიამ მათ შორის სრული იდენტურობა გამოავლინა, რუანელების დაჟინებული თხოვნით, 1656 წლის შემოდგომაზე პარიზში მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომლის მონაწილეებმაც სახალხოდ განაცხადეს, რომ „იეზუიტური

წიგნების კითხვამ თავზარი დასცა მსმენელებს". „ჩვენ იძულებულნი ვიყავით, — დასძენდნენ ისინი, — ყურები დაგვეცო, როგორც მოიქცნენ ოდესღაც ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილენი, რომელთაც არ ისურვეს არიოზის ღვთისმგმობლობის მოსმენა. თვითეულ ჩვენგანს გულით ეწადა სასტიკად დაგვესაჯა ეს უბადრუკი მჯღაბნელები, ასე უტიფრად რომ ბღალავდნენ სახარებისეულ ჭეშმარიტებებს და, ამრიგად, ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ მორალი, რომელიც სირცხვილით დასწვავდა თვით პატიოსან წარმართებს და კეთილ თურქებს"[25].

რუანელებს პირველი გამოეხმაურა და აქტიურად აუბა მხარი ამიენის სამღვდელოებამ, მაგრამ არც იეზუიტები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. რაკი მონტალტი ვერასდიდებით ვერ მოიხელთეს „ქრისტეს რაინდებმა" „წერილებისა" და იანსენისტების წინააღმდეგ მიმართეს მთელი თავიანთი რისხვა. ისინი კვლავ ამოეფარნენ პაპის ავტორიტეტს, არქივიდან ამოატივტივეს 1656 წლის ბულა, ხელახლა გამოჩხრიკეს პაპის საგანგებო ფორმულიარი, რომელიც გმობდა იანსენის მოძღვრებას და გადაჭრით მოითხოვეს, რომ უკლებლივ ყველა სამღვდელო პირს და თვით მონაზონებსაც დაუყოვნებლივ მოეწერათ ხელი მასზე. 1657 წლის სექტემბერში რომმა დაჰგმო „წერილები პროვინციელისადმი", როგორც მწვალებლური თხზულება და აკრძალული წიგნების ინდექსში შეიტანა იგი.

„კაცისთვის ხმის ჩამორთმევა და დუმილის მისჯა — წერდა საპასუხოდ პასკალი, — ყველაზე, სასტიკი დევნაა: წმინდანები არ დუმდნენ. რა თქმა უნდა, საჭიროა მოწოდება, მაგრამ კონსილიუმის მსჯავრი როდი წყვეტს, მოწოდებულია თუ არა კაცი ჭეშმარიტების მქადაგებლად, — არამედ მხოლოდ აუცილებლობა. ხოლო მას შემდეგ, რაც რომმა თავისი აზრი გამოსთქვა და დაადასტურა, რომ ინკვიზიციამ დაჰგმო ჭეშმარიტება; მას შემდეგ, რაც აიკრძალა წიგნები, რომლებიც ინკვიზიციის წისქვილზე არ ასხამს წყალს, მით უფრო ხმამაღლა გვმართებს ყვირილი, რაც უფრო უსამართლოა ეს განაჩენი და რაც უფრო უკანონოდ ცდილობენ ჩაახშონ მართალი სიტყვა... იკვნიზაცია და იეზუიტთა

ორდენი — ჭეშმარიტების ორი ჯალათი... თუ ჩემი წერილები დაგმობილ იქნა რომში, მაშინ ის, რასაც მე მათში ვგმობ, დაგმობილია ცაში: Ad tuum, Domine Jesu, tribunal appello...[255] მე შემეშინდა, ცუდად ხომ არ დავწერე: მაშ, რატომ შემაჩვენეს-მეთქი? მაგრამ ამდენი მშვენიერი წიგნის აკრძალვა საპირისპირო აზრს მიდასტურებს. უკვე აღარავის მიეტევება კარგად წერა, იმდენად გახრწნილია ინკვიზიცია, ან უმეცარი!..[256]

კათოლიკური რეაქციის მძვინვარებამ ვერ შეაკრთო პასკალი. ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. 1657 წლის დეკემბერში იეზუიტებმა თავდაცვის მიზნით კამოაქვეყნეს, „კაზუისტთა აპოლოგია იანსენისტური ცილისწამების წინააღმდეგ“, რასაც პასკალმა დაუყოვნებლივ (1658 წლის იანვარში) უპასუხა პატარა წერილით „ფაქტუმი პარიზელ კიურეთათვის“ („Factum pour les curés de Paris“)[257], სადაც ჩვეული გამჭრიახობითა და ნახვილგონიერებით, ერთხელ კიდევ ამხილა იეზუიტთა ხრიკები. გაცოფებულმა „რაინდებმა“ სასწრაფოდ შეთხზეს პასუხი: „იეზუიტების წინააღმდეგ ახლახან გამოქვეყნებული ცილისწამების უარყოფა“, მაგრამ პასკალი არც აქ დარჩა ვალში და ერთ დღეში დაწერა მათი უარყოფის უარყოფა: „პარიზელ კიურეთა მეორე თხზულება“, ხოლო იმავე წლის ივლისში გამოაქვეყნა კიდევ ერთი საპასუხო წერილი: „პარიზელ კიურეთა მეხუთე თხზულება“ („Cinquième écrit des curés de Paris“)[258], რომელსაც, მარგარიტა პერიეს მოწმობით, თავის „ყველაზე სრულყოფილ ნაწარმოებად თვლიდა“[259].

სწორედ ამ ხანად პასკალი მტკიცედ გადაწყვეტს, ბოლოს და ბოლოს, ხელი მიჰყოს დიდი ხნის ნაფიქრალ ოცნების — თავისი გრანდიოზული შთანაფიქრის ხორცშესხმას: დაიწყოს და რაც შეიძლება მოკლე ხანში დაასრულოს თავისი რელიგიური მსოფლშეგრძნებისა და ზნეობრივი მრწამსის გამომხატველი საკრალური წიგნი „ქრისტიანობის აპოლოგია“ („Apologie de la religion chrétienne“), რომლის შექმნის იდეაც მას დაებადა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, ე. წ. „წმ. ეკლის სასწაულის“ („le miracle de la Sainte-Epine“) გამოაგნებელი ზემოქმედების შედეგად (პასკალის პატარა დისწულს მარგარიტა პერიეს, რომელიც პორ-როიალის „პატარა სკოლაში“ იზრდებოდა თავისი

დიდის ეფემია-ეაკლინის უშუალო ზედამხედველობით, წლების მანძილზე სტანჯავდა და აწამებდა საცრემლე ჯირკვლის ჩირქოვანი ფისტულა. გოგონა თანდათანობით ილეოდა. პარიზის ყველაზე ცნობილმა ექიმებმა ვერაფერი უშველეს მას. და ბოლოს, როცა ავადმყოფის მდგომარეობა უიმედო გახდა, ვიღაცას თავში მოუვიდა ბედნიერი აზრი: ბავშვისთვის თვალზე დაედოთ ძვირფასი რელიქვია — წმინდა ეკალი, რომელიც, გადმოცემით, მაცხოვრის ეკლიანი გვირგვინის ნეშტად ითვლებოდა და მოწიწებით ინახებოდა პორ-როიალში. დღემდე აუხსნელი სასწაულის წყალობით ავადმყოფი დაუყოვნებლივ განიკურნა. ეს მოხდა 1656 წლის 24 მარტს[260]).

პასკალს არასოდეს არაფერი დაუფარავს პორ-როიალისთვის. ამჯერადაც მან შეჰყარა „განდეგილები" და სხდომაზე, რომელიც დაახლოებით ორ თუ სამ საათს გაგრძელდა, თავისი განზრახვა გაანდო ერთმორწმუნე იანსენისტებს:"... მან რამდენიმე სიტყვით გააცნო მეგობრებს მთელი თავისი თხზულების გეგმა, — წერს პასკალის დისწული ეტიენ პერიე „აზრების"[261] პორ-როიალისეული გამოცემის (1670 წ.) წინასიტყვაობაში, — მისი სიუჟეტი და მასალა, თავისი მოსაზრებები თუ ძირითადი დებულებები და მოკლედ აუხსნა მათ ყველა იმ საკითხის მწყობრი წესრიგი და თანმიმდევრობა, რომლებსაც უნდა შეხებოდა თავის ქმნილებაში. მეგობრებმა... ერთხმად აღიარეს, რომ არასოდეს არაფერი სმენოდათ უფრო მშვენიერი, უფრო ძლიერი, უფრო გულშიჩამწვდომი და დამაჯერებელი. ისინი მოხიბლულები დარჩნენ"...[262].

დიახ, ისინი მოხიბლულები დარჩნენ და სთხოვეს პასკალს დაუყოვნებლივ შესდგომოდა თავისი გეგმის განხორციელებას. თუმცა ეს თხოვნა, კაცმა რომ თქვას, ზედმეტიც იყო. პასკალმა ისედაც იცის, რომ საქმის გადადება აღარ შეიძლება: უნდა იჩქაროს, რადგან უკვე აშკარად გრძნობს მოახლოებულ აღსასრულს, კარს მომდგარი სიკვდილის სუნთქვას. ის არ შემდრკალა მრისხანე მტერთან ჭიდილში, მაგრამ დაიღალა, უკიდურესად დაიღალა, ხოლო დაღლილობა, როგორც ვიცით, ყოველთვის საბედისწერო ზემოქმედებას ახდენს ზის ისედაც სუსტსა და დიდი ხნის წინათ შერყეულ ჯანმრთელობაზე. გახდა,

ჩამოხმა. ცოცხლად მოარულ ჩონჩხს დაემსგავსა. ჩაუქრა ბრძოლის ენინი, შრომის ხალისი, სრულიად დაჰკარგა მადა და ყველაფრის მიმართ გულგრილი და აპათიური გახდა. ამიტომ იძულებულია დროებით მაინც ხელი აიღოს თავისი დიადი შთანაფიქრის ხორცშესხმაზე... დროებით მაინც!..

გარგებამ ესეც არ აკმარა. სულის სალმობას ზედ დაერთო თავის საზარელი ტკივილი. კვლავინდებურად დასჩემდა ჰალუცინაციები, დაუსივდა ღრძილები და ერთბაშად ასტკივდა უკლებლივ ყველა კბილი. ეს იყო აუტანელი, არაადამიანური ტკივილი, რომელსაც მხოლოდ პასკალის რკინისებური ნებისყოფა და უტეხი სიკერპე თუ გაუძლებდა. „ამქვეყნიური არსებობის ოცდამეთხუთმეტე წელს და განდეგილობის მეხუთე წელს[263] — იგონებს ჟილბერტა პასკალი, — მისი სნეულება ისე გამძაფრდა, ტკივილი ისე აუტანელი გახდა, რომ სიცოცხლის ბოლო ოთხი წლის მანძილზე არაფრის გაკეთება აღარ შეეძლო, თუკი სიცოცხლე ეთქმის იმ საცოდაობას, რომელშიც მან მთელი ეს ოთხი წელი გაატარა (si on peut appeler vivre la langueur si pitoyable dans laquelle il les passa)[264].

ჟილბერტა მართალია: პასკალის ცხოვრების ბოლო პერიოდი სხვა არა არის რა, თუ არა გულისმომწყვლელი „საცოდაობა“, ოთხი წლის მანძილზე უწყვეტ ტანჯვა-ვაებად გაჭიმული და გაჭიანურებელი სულთმობრძაობა, მაგრამ როდესაც ის წერს, რომ მის ძმას, ავადმყოფობის გამო, „არაფრის გაკეთება აღარ შეეძლო“, ეს უკვე აღარ არის მართალი. არაფერს, თვით უკურნებელ სენსაც კი არ შეეძლო პასკალის მარად ცოცხალი და ქმედითი აზრის, მისი სიყვარულით მფეთქავი გულის, მისი უტეხი ნების დათრგუნვა. 1658 წლის ადრიანი გაზაფხულის ერთ ღამეს, როცა კბილების ტკივილი აუტანელი გახდა, ძილგამფრთხალმა და განაწამებმა, გადაწყვიტა რაიმე ძნელი პრობლემა შეერჩია და შეძლებისდაგვარად, გადაეჭრა, „რაცა დაეიწყებინა ან ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა ტკივილი. აქ მას გაასსენდა იმ დროისათვის ერთ-ერთი უძნელესი მათემატიკური ამოცანა, ე. წ. „ციკლოიდის“, ანუ, როგორც ფრანგები უწოდებენ „რულეტის“[265] პრობლემა, ოდესღაც მარენ მერსენმა გა-

დასაჭრელად რომ შესთავაზა თავის კოლეგებს. პასკალმა უებარ წამალს მიაგნო.

ეს იყო სიმწრის ღამე, წამების ღამე, მაგრამ, იმავდროულად, მისი ნათელი შუბლის ტრიუმფის ღამეც. სულიერ ძალთა ამოუწყავი საცავიდან ერთბაშად მოზღვავებულმა მენტალურმა ენერგიამ თითქოს მზის სხივებივით გაადნო სულისშემხუთავი ყინულის რიდე, გაფანტა გონისმიმხდელი ტკივილის ჯანღი და პასკალის მძლავრი გონება ჩვეული რიტმით ამუშავდა. ის განცვიფრებით მიჰყვებოდა თავისი ბობოქარი აზრის დინებას, აშინებდა საკუთარი წარმოსახვის სიმძაფრე, შთაგონების ინტენსივობა... გაქრა სიძნელე, დაიკარგა დროის შეგრძნება, დავიწყებას მიეცა ტკივილი. ყოველ ახალ კითხვას განსაცვიფრებელი სისწრაფით მოსდევდა პასუხი: გონების თვალწინ ერთ დამტკიცებულ თეორემას მწყობრი თანმიმდევრობით ცვლიდა მეორე,—მეორეს—მესამე და ა. შ. ის შეჰხაროდა მათ ელეგანტურობას, სიზუსტეს, სინატიფეს, დახვეწილობას. პასკალი წყვეტდა ციკლოიდურ მრუდებთან[266] დაკავშირებულ ერთ-ერთ სპეციფიკურ პრობლემას; იმ მრუდებთან, რომელთა მათემატიკური კანონზომიერების ამოხსნა ანდამატური ძალით იზიდავდა XVIII საუკუნის უთვალსაჩინოეს გეომეტრებს — გალილეის და დეკარტს, ტორიჩელის და ვივიანის, ფერმასა და რობერვალს და ა. შ. და ა. შ.

ასე მიილია უძილო ღამე, ამოიწურა თითქმის მთელი პრობლემაც და დილით პასკალის სანახავად მისულ ჰერცოგ დე როანეს, რომელმაც წინა საღამოს ესოდენ სავალალო მდგომარეობაში დატოვა იგი, მეგობარი სავსებით განკურნებული, ლაღი, ხალისიანი და ენერგიით აღსავსე დახვდა, — იგონებს პასკალის დისწული მარგარიტა პერიე[267]. ჰერცოგი ორმაგად განცვიფრებული დარჩა: ერთის მხრივ, ამ სასწაულებრივი ფერისცვალებით, ხოლო მეორეს მხრივ, მეგობრის არაჩვეულებრივი მეცნიერული მიღწევით და ურჩია მას არამც და არამც არ შეეწყვიტა ესოდენ საინტერესო პრობლემის კვლევა. თავდაპირველად პასკალი ცივ უარზე იდგა: ციკლოიდამ წამლის მაგივრობა გამიწია და მეტს აღარაფერს მოვითხოვ მისგანო — ამბობდა იგი. მაგრამ ჰერცოგმა დაიჟინა, ამ დიად აღმოჩენაში უთუოდ „განგების ხელი

ურევიაო“ და დაბეჯითებით მოსთხოვა პასკალს აუცილებლად ჩაეწერა მის მიერ ზეპირად დამტკიცებული თეორემები, ხოლო შემდეგ გამოეყო რამდენიმე ამოცანა, საკონკურსოდ შეერჩია და ინტელექტუალურ პაექრობაში გამოეწვია ევროპის საუკეთესო მათემატიკოსები. მან საგანგებო პრემიაც კი დაწესა გამარჯვებულისათვის: 60 პისტოლი[628]. ჰერცოგს ერთხმად აუბეს მხარი „განდეგილებმაც“ და პასკალი, ბოლოს და ბოლოს, იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო.

მთელი რვა დღის განმავლობაში ის თავაუღებლივ მეშაობდა, სრულყოფდა, ხვეწდა, აზუსტებდა თავის ღამინდელ აღმოჩენებს. „გამუდმებით წერდა და წერდა, — იგონებს ჟილბერტა, — წერდა მანამ, სანამ მის ხელს შეეძლო წერა...“[269] 1658 წლის ივნისში პასკალმა, ამოს დეტონვილის ფსეუდონიმით, ცირკულარული წერილი გაუგზავნა ევროპელ მათემატიკოსებს და მოუწოდებდა მათ მონაწილეობა მიეღოთ კონკურსში, რომლის პირობაც გულისხმობდა ექვსი ციკლოიდური პრობლემის გადაწყვეტას. პრემია, პასკალის პასუხებითურთ, გადაეცა ჟიურის, რომელსაც სათავეში უდგნენ ცნობილი ფრანგი მათემატიკოსები — პიერ კარკავი და რობერვალი. პასუხების გამოგზავნის საბოლოო ვადად დაწესებულ იქნა იმავე წლის 1 ოქტომბერი.

კონკურსმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა. მასში მონაწილეობა მიიღო ევროპის ბევრმა თვალსაჩინო გეომეტრმა. მხოლოდ ინგლისელმა მათემატიკოსმა ჯონ ვალისმა (1616 — 1693) მოახერხა ექვსივე ამოცანის ამოხსნა, მაგრამ თავიდან ვერ აიცილა ცალკეული შეცდომები და უზუსტობანი. ნიჰიერმა ლიეველმა მათემატიკოსმა რენე დე სლიუზმა (1622 — 1685) მხოლოდ ერთი პრობლების გადაჭრა შესძლო, ხოლო ქრისტიან ჰიუგენსმა (1629 — 1695) — ოთხის... სწორედ ამ დროიდან ეყრება საფუძველი ორი დიდი მოაზროვნის — პასკალისა და ჰიუგენსის ურღვევ მეგობრობას, თუმცა ჰოლანდიელი მეცნიერი ადრეც იცნობდა პასკალის არა მარტო მათემატიკურსა და ფიზიკურ გამოკვლევებს, არამედ მის გამომთვლელ მანქანასაც, ხოლო პასკალი, თავის მხრივ, დიდად აფასებდა ჰიუგენსის შრომებს ალბათობის თეორიის დარგში. ამიტომაც იყო, რომ მან გამოსვლისანავე გაუგზავნა ჰოლანდიელ კოლეგას თავისი „წერილები“ და მისგან

საპასუხოდ მიიღო მთელს ევროპაში გახმაურებული მეცნიერული ნაშრომი „საათი" („Horologium"), რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა იგი. 1659 წლის 9 იანვარს პასკალი სწერდა ჰიუიგენსს: „იმედია, თქვენი მეგობრობის ღირსს გამხდით. რადგან, თუკი შეიძლება მეგობრობის დამსახურება თქვენდამი სიყვარულითა და პატივისცემით, მე უთუოდ ვიმსახურებ მას, ვინაიდან თქვენი პიროვნება და თქვენი ბოლო ქმნილების მიმართ აღვსილი ვარ მოკრძალებით და აღტაცებით"[270]... ქვემოთ ჩვენ გზადაგზა გავეცნობით ამ დიადი მეგობრობის ზოგიერთ საგულისხმო ეპიზოდს, ახლა კი კვლავ მივუბრუნდეთ შეწყვეტილ სიტყვას.

აღსანიშნავია, რომ კონკურსის ზოგიერთმა მონაწილემ, საკუთრივ საკონკურსო ამოცანების პარალელურად, რამდენიმე დიდი თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე პრობლემაც გადაწყვიტა. ასე მაგალითად, ინგლისელმა ასტრონომმა და არქიტექტორმა რენმა შესძლო გაესწორებინა ციკლოიდა, ე. ი. გამოეთვალა მისი სიგრძე, ხოლო ქრისტიან ჰიუიგენსმა გამოიგონა ციკლოიდური ქანქარა, რომელიც შემდეგ წარმატებით გამოიყენა მის მიერ კონსტრუირებული საათის მაკორექტირებელ მექანიზმში და ამის წყალობით კაცობრიობის ისტორიაში პირველმა შესძლო დიდი სიზუსტით გაეზომა დრო... უფრო გვიან ციკლოიდურმა ქანქარამ ფართო გამოყენება ჰპოვა ასტრონომიაში (პლანეტათა ორბიტების გამოსათვლელად) და მექანიზმთა თეორიაში (მათი მიხედვით მოხაზულია კბილანების პროფილი კბილანა გადაბმულობებში).

მალე ევროპის სამეცნიერო წრეებში ცნობილი გახდა, რომ კონკურსში გაიმარჯვა ბლეზ პასკალმა, რომელმაც ყველაზე უკეთ, ყველაზე ზუსტად და სრულყოფილად ამოხსნა ანონიმის ექვსივე ამოცანა. 1659 წლის 5 თებერვალს ჰიუიგენსი სწერდა პასკალს: მე ვისურვებდი თქვენი მოწაფე ვყოფილიყავ მეცნიერების იმ დარგში, რომელშიაც ბადალი არ მოგეძებნებათო. „ნაშრომი ისე ბრწყინვალედაა შესრულებული და იმდენად ამომწურავია, რომ მას ვეღარაფერს დაუმატებ, — იმავე წლის ივნისში ჰიუიგენსი ამ სიტყვებით უზიარებდა თავის აღტაცებას პასკალის საკონკურსო ნაშრომის გამო სახელგანთქმულ ფრანგ კოლეგა რენე დე სლიუზს[271].

პასკალის მიღწევას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მათემატიკური მეცნიერების მთელი შემდგომი პროგრესისათვის: „მან განსაზღვრა ციკლოიდის ფართობი, ციკლოიდის სეგმენტის სიმძიმის ცენტრი, ციკლოიდის სეგმენტის ბრუნვით მიღებული სხეულის მოცულობა და სიმძიმის ცენტრი, რითაც გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის შექმნის გზაზე და თუმცა შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რომ ციკლოიდასთან დაკავშირებული გარკვეული ინტეგრალების გამოსათვლელად გამოიყენა თავისი აღმოჩენა, მაგრამ თვით ამ კერძო შემთხვევაშიც უკვე მოცემული იყო ზოგადი მეთოდის, კონტურები, რომელიც შემდგომ განავითარა ლაიბნიცმა“, — წერს ცნობილი უნგრელი მათემატიკოსი ალფრედ რენი[272].

ამ თვალსაზრისს მთლიანად იზიარებს რუსი სწავლული ა. პ. იუშკევიჩიც (არ შეიძლება სხვაგვარად იყოს, ვინაიდან საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული სინამდვილის, რეალური ფაქტის მეცნიერულ კონსტატაციას): „პასკალი მართლაც არ ჩაღრმავებია უწყვეტისა და დისკრეტულის პრობლემას, რომელიც დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული თვით ჩვენს დროშიაც. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ინტეგრირების პასკალისეულ ინტერპრეტაციას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა საკუთრივ ინტეგრალური აღრიცხვისა და ზღვართა თეორიის შემდგომი განვითარებისათვის. არსებითად, პასკალის ნააზრევში უკვე მოცემული და გამოყენებული იყო იდეა დიფერენციალის, როგორც მიზრდის მთავარი ხაზობრივი ნაწილისა და თვით მიზრდის ტოლძალოვნების შესახებ, ხოლო უფრო ზოგადად, — იდეა ტოლძალოვან უსასრულოდ მცირე სიდიდეთა თვისებების შესახებ. სწორედ ამ იდეებითაა განპირობებული უსასრულოდ მცირე სიდიდეთა აღრიცხვის ფართო გამოყენება, მისი ეფექტურობა და დამტკიცებადობა“[273]...

ამრიგად, თავისი დიადი სიცოცხლის მიმწუხრს, პასკალის სულში ერთხელ კიდევ განხორციელდა უზენაესი სინთეზი: კვლავ შეერწყა ერთმანეთს მეცნიერიც და მორწმუნე, კვლავ ერთარსად შენივთდა თეოლოგი და გეომეტრი. სპირიტუალური და რაციონალური მომენტების ეს შინაგანი ერთიანობა ხაზგასმით გამოკეთილია პასკალის თეოლოგიური და მათემატიკური ფსევდო-

ნიმების იგივეობაში: „ამოს დეტონვილი“ (Amos Dettonville) სხვა არა არის რა, თუ არა „წერილების“ ანონიმი ავტორის — „ლუი დე მონტალტის“ (Louis de Montalte), ანაგრამა[274]. პასკალის ამ-დროინდელ სულიერ განწყობილებას ალბათ ყველაზე უკეთ მიესადაგებოდა მისი დიდი თანამედროვის რენე დეკარტის „დუ-ალისტური მონიზმი“: არსებობს ორი ურთიერთგათიშული და განმხოლოებული სინამდვილე, ერთმანეთის პარალელურად არ-სებული და ერთნაირად რეალური ორი სამყარო — სამყარო მატე-რიის და სამყარო სულის: და მაინც ისინი ერთნი არიან: მსგავ-სად იმისა, როგორც გვერდი-გვერდ დადგმული ორი სხვადასხვა საათი ერთსა და იმავე დროს უჩვენებს ეს ორი სხვადასხვა სამ-ყაროც ზედმიწევნით ეთანხმება და ჰარმონიული კავშირით ერწყ-�ის ერთმანეთს, ვინაიდან „ღვერთმა ამნაირად შეჰქმნა ისინი“. ამიტომ მეცნიერი ხელს არ უშლის მორწმუნეს და მორწმუნე — მეცნიერს. პირიქით, ისინი თითქოს ავსებენ, აზუსტებენ და სრულყოფენ ერთმანეთს (გავიხსენოთ, თუნდაც, აინშტაინის მო-წიწება დოსტოევსკის მიმართ)...

1658 წლის დამლევს პარიზში კვლავ ამოს დეტონვილის ფსევ-დონიმით გამოქვეყნდა პასკალის უახლესი მათემატიკური გამოკვ-ლევები. წიგნი, რომლის საერთო სათაური იყო „ა. დეტონვი-ლის წერილი ბატონ დე კარკავისადმი“ („Lettre de A. Dettonville à monsieur de Carcavy“), ექვს სხვადასხვა ნაშრომს აერთია-ნებდა: ზოგადი მეთოდი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ყო-ველგვარი სიდიდის სიმძიმის ცენტრის პოვნა“ („Une Méthode générale pour trouver les centres de gravité de toutes sortes de grandeurs“), „ტრაქტატი სამხაზებისა და მათი „ონგლე-ების“[275] შესახებ“ („Un traité des Trilignes et de leurs onglets“) ტრაქტატი წრის მეოთხედის სინუსების შესახებ“ („Un traité des sinus du quart de cercle“), „ტრაქტატი წრის რკალთა შესახებ“ (Un traite des arcs de cercle“) „ტრაქტატი წრიულ მყარ სხეულთა შესახებ“. (Un traite des solides circulaires“) და ბოლოს, „ზოგადი ტრაქტატი რულეტის შესახებ“ („Un traité général de la Roulette“), რომელსაც დალამბერი „გამჭრიახო-ბისა და პრობლემის არსში წვდომის სასწაულად“ თვლიდა[276].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პასკალის თხზულების

„ტრაქტატი წრის მეოთხედის სინუსების შესახებ“ ღრმა და ამომწურავი ანალიზის შედეგად ლაიბნიცმა აღმოაჩინა დიფერენციალური აღრიცხვის ზოგადი მეთოდი, რომლის დაფუძნების პატივიც პასკალს უნდა ხვდომოდა წილად, მას რომ მეტი გულისხმიერება გამოეჩინა და სათანადოდ განეზოგადებინა თავისი მათემატიკური აღმოჩენის ყველა შედეგი. ლაიბნიცს თვითონვე უკვირდა, როგორ ვერ შენიშნა პასკალმა საკუთარი მეცნიერული მიღწევის საერთო კანონზომიერება, მისი ზოგადი არსი, „თითქოს თვალები სახვევით ჰქონდაო აკრული“[277]. ამ „თვითნებური სიბეცის“ ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მკვლევარნი უწინარეს ყოვლისა, ასახელებენ პასკალის კონსერვატიზმს, მის ანტიალგებრიზტულ განწყობილებას. დიდი გეომეტრი „ვერასდიდებით ვერ მიეჩვია“ (თვით დეკარტის შემდეგ!) ალგებრული სიმბოლიკის უაღრესად მოქნილ, სხარტსა და ლაკონურ ენას, ურომლისოდაც დღეს, საერთოდ, წარმოუდგენელია მათემატიკური კვლევაძიება. ეს კი საგრძნობლად ურთულებდა საქმეს და ძალიან უძნელებდა უკვე დასრულებული და ჩამოყალიბებული მათემატიკური იდეის მწყობრი ლოგიკური თანმიმდევრობით გაღმოცემას და განვითარებას.

მეცნიერების თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი ფ. რიუსო მარგებულად შენიშნავს პასკალის მათემატიკური გამოკვლევების გამო: „პასკალის შემოქმედება უსასრულოდ მცირე სიდიდეთა ანალიზის დარგში... ჩვენზე ახდენს შთაბეჭდილებას, სადაც ერთმანეთს ერწყმის აღტაცება და თავშეკავება. ჩვენს აღტაცებას იწვევს სიცხადე, თვითრწმენა, გამჭრიახობა, რაც საშუალებას აძლევს პასკალის ერთბაშად ჩასწვდეს არა ერთი და ორი პრობლემის არსს; ჩვენ აღგვაფრთოვანებს პასკალის ცნობისმოყვარეობა, რომელიც აიძულებს მას მეცნიერების წინაშე დასვას ამდენი საინტერესო და ნაყოფიერი კითხვა; ჩვენ გვხიბლავს მისი უნარი სხვა მეცნიერთა შრომებში ყოველივე არსებითის და ფასეულის მყისიერი აღქმისა და აღმოჩენისა. მაგრამ ჩვენს იმედგაცრუებას იწვევს ის გარემოება, რომ პასკალი, ამდენი ღირსების მიუხედავად, თავს ვერ აღწევს მოძველებულ შეხედულებათა ტყვეობას... და ძალზე ცოტა ყურადღებას უთმობს იმას, რომ თავის შესანიშნავ შედეგებს მიანიჭოს მთელი ის ზოგადობა, რაც ასეთივად ნიშნეულია მათთვის“[278].

კეთილი და პატიოსანი. მართალია ლაიბნიცი, მართალია რიუსო და პასკალის მეცნიერული მემკვიდრეობის თითქმის სხვა ობიექტური შემფასებელიც, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ მართალი, ვინაიდან ისინი თვითნებურად წყვეტენ და თიშავენ ერთმანეთისგან პასკალს — მეცნიერს და პასკალს — ადამიანს, უკურნებელი სენით შეპყრობილ მრავალტანჯულ ადამიანს. საოცარია არა ის, რაც ვერ დაინახა პასკალმა, არამედ ის, რისი აღმოჩენაც მან შესძლო. მოდით, ერთხელ კიდევ მოვუსმინოთ ჟილბერტა პასკალს: „...შეიძლება ითქვას, რომ ჩემმა ძმამ მხოლოდ ოცდათხუთმეტი წელი იცოცხლა, ვინაიდან ბოლო ოთხი წელი, რომლითაც მისი ამქვეყნიური არსებობის ყავლი გააგრძელა უფლის გულმოწყალებამ, სხვა არა იყო რა, თუ არა გაჭიანურებული აგონია“[279].

აქ ჩვენ ძალაუნებურად უნდა დავარღვიოთ თხრობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ოთხიოდე წლით წინ გავუსწროთ მოვლენებს და მკითხველს გავაცნოთ პასკალის უცნაური და უკურნებელი სნეულების დიაგნოზი, ვაჩვენოთ ის საზარელი სურათი, რომელიც, მისი გარდაცვალების შემდეგ, გვამის ანატომირებისას თვალწინ გადაეშალათ ექიმებს: „გაკვეთისას — გვაუწყებს პასკალის დისწული მარგარიტა პერიე,—ღვიძლი და კუჭი ერთიანად მიმჭკნარ-მილეული დახვდათ, ხოლო ნაწლავებს განგრენა მოსდებოდა, თუმცა ზუსტად ვერ დაადგინეს, ეს იყო ტკივილის და გვრემის მიზეზი თუ პირიქით, მათი შედეგი“. თავის ქალას აღარ ეტყობოდა არც ერთი ნაკერი, „ისრისებრის“ გარდა. თხემზე ძვლოვანი წანაზარდი წარმოქმნილიყო. ტვინი უჩვეულოდ დიდი იყო და ძალიან მკვრივი. „მაგრამ რამაც ყველაზე მეტად განაცვიფრა ექიმები და რასაც, საკუთრივ, მიაწერეს მდგომარეობის გაუარესებაც და, თვით სიკვდილი, — ეს გახლდათ ის, რომ თავის ქალის შიგნითა მხარეს, ტვინის პარკუჭების პირდაპირ, ორი უცნაური ჩაღრმავება აღმოაჩინეს, რაც ლუქზე თითის ანაბეჭდებს ჰგავდა; ორივე ღრმული შედედებული სისხლითა და ჩირქით იყო სავსე, რამაც გამოიწვია ტვინის გარსის განგრენული ანთება“[280].

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ავადმყოფობის კულმინაციური მომენტის საერთო სურათია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმას, რომ

პასკალის სხეულში ჩაბუდებული სენი ორი ათეული წლის მანძილზე, როგორც მატლი — ხილს, თანდათანობით ღრღნიდა და ფიტავდა მის ორგანიზმს, გავიხსენოთ ზემოთ უკვე დამოწმებული მისი სიტყვები: „მას შემდეგ, რაც თვრამეტისა გავხდი, ერთი დღეც არ მახსოვსო ტკივილისა და ტანჯვის გარეშე", გავიხსენოთ ისიც, რომ ეს ტანჯვა სიცოცხლის ბოლო ოთხი წლის მანძილზე თითქმის უწყვეტ კოშმარად ექცა, და, თუ ჩვენს სულში საბოლოოდ არ წაშლილა თანალმობის ყოველგვარი ნიშანწყალი, იძულებულნი ვიქნებით ცოტა მეტი რამ ზივუტევოთ ამ ტანჯულ კაცს. თვით მათემატიკაზე ყველასათვის მოულოდნელი გულის აყრა, საბოლოო გულაცრუება, გამოწვეული ისევ და ისევ ავადმყოფობის გართულებითა და ჯანმრთელობის გაუარესებით.

1659 წლის დამდეგს პასკალი კვლავ უჩივის თავის ტკივილს, უმადობას, უძილობას, სისუსტეს. მიუხედავად ამისა ჯიუტად განაგრძობს მეცნიერულ კვლევა-ძიებას და ჩქარობს დაასრულოს ციკლოიდასთან დაკავშირებული შრომების ციკლი; გაცხოველებული მიმოწერა აქვს ფრანგ თუ უცხოელ კოლეგებთან. მარტო რენე დე სლიუზს ამ ხანად უგზავნის 12 წერილს და მისგან საპასუხოდ იღებს 19-ს. მაგრამ შემოდგომაზე ტკივილი ისე აუტანელი ხდება რომ პასკალის მთელი სულიერი ძალა მხოლოდ მის უდრტვინველად მოთმენას ხმარდება. 22 სექტემბერს პორროიალელი „განდეგილი" შარლ ბელერი ქრისტიან ჰიუგენსს წერილით აუწყებს ჰააგაში, რომ პასკალს „აღარ შეუძლია მუშაობა ყოველივე იმაზე, რაც გონების დაძაბვას მოითხოვს"[281].

1660 წლის მაისის დამდეგს მძიმედ ავადმყოფი პასკალი რის ვაივაგლახით ჩაიყვანეს კლერმონ-ფერანში. მან უკანასკნელად მოინახულა მშობლიური ქალაქი. რამდენიმე თვე დარჩა უფროს დასა და სიძესთან, მათ დიდებულ ციხე-კოშკში ბიენ-ასიში, საიდანაც კვლავ აგრძელებს მიმოწერას პიერ ფერმასთან, რომელსაც ევროპის „ყველაზე დიდ გეომეტრად" თვლის. მაგრამ 10 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში უკვე აშკარად იგრძნობა მისი სკეპტიკური დამოკიდებულება მათემატიკის მიმართ: „...ჩემის აზრით, ეს ყველაზე ამაღლებული საგანია გონებისათვის, მაგრამ, იმავდროულად, იმდენად უსარგებლო, რომ, მართალი გითხრათ,

მე ვერ ვხედავ თითქმის ვერავითარ განსხვავებას კარგ გეომეტრსა და კარგ ხელოსანს შორის. ამიტომ მე მას ვუწოდებ ყველაზე მშვენიერ ხელობას ამ ქვეყნად, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს მაინც ხელოსნობაა. და მე ხშირად მითქვამს, რომ ის მშვენიერია საკუთარი ძალის გამოსაცდელად, მაგრამ არა ამ ძალის დასაბანდებლად"[283].

და თითქოს საკუთარმა სკეპსისმა შეაკრთოო, ამ „უნებური რენეგატობის" გასამართლებლად იქვე იმოწმებს თავის შეჭირვებულ მდგომარეობას: „მე ისე ცუდად ვარ, რომ არც უჯოხოდ სიარული შემიძლია და არც ცხენზე ჯდომა. ის კი არა, და, ორი-სამი ლიეს მანძილზე ეტლით მგზავრობასაც ვერ ვიტან. ასე რომ, პარიზიდან აქამდე [284] 22 დღეში ძლივს მოვაღწიე"[285]... ამაოდ ელიან მეგობრები მის განკურნებას. ჰიუიგენსი შემდეგ წერდა: „მე ყოველთვის ვიმედოვნებდი, რომ ის თავს დააღწევდა ამ სისუსტეს და კვლავ მიუბრუნდებოდა მისთვის ძვირფას მეცნიერებას, სადაც ესოდენ დიდი მიღწევები ჰქონდა"[286]. ფუჩი აღმოჩნდა ეს იმედი და მოლოდინი. „ა. დეტონვილის წერილი ბატონ დე კარკავისადმი" მეცნიერებაში პასკალის გედის სიმღერად იქცა.

ამიერიდან ის სამუდამოდ გამორიცხავს თავისი ინტერესების სფეროდან ზუსტ მეცნიერებებს, სამუდამოდ განდგება მათგან, მაგრამ ეს განდგომა, იმავდროულად, თვითგანდგომაცაა, თვითუარყოფაც... „უნდა დაიწეროს მათ წინააღმდეგ, ვინც მეტისმეტად აღრმავებს მეცნიერებას. დეკარტი"[287]. მას ნაკლებად აცბუნებს ის გარემოება რომ ამ სიტყვებით არა მარტო დეკარტს, არამედ თავის თავსაც უპირისპირდება... „ჩემის აზრით, უმჯობესია გაღრმავონ არა კოპერნიკის აზრი, არამედ ეს!.. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ მხოლოდ ერთი რამ: უკვდავია სული თუ მოკვდავი?"[288] ამიერიდან მხოლოდ რწმენას ეკუთვნის მთელი მისი გული და გონებაც, მისი ენებაც და ნებაც, — ჭეშმარიტ რწმენასა და მისი სიწმინდისათვის მებრძოლ ხალხს. ამიერიდან ის მთელის არსებით, კვლავ პორ-როიალის გვერდითაა.

პორ-როიალს კი უჭირს. ძალიან უჭირს. 60-იანი წლების დამდეგიდან მონასტერს პაპის რეპრესიების ახალი ტალღა დაატყდა თავს, რასაც ზედ დაერთო საფრანგეთის სამეფო კარის რისხ-

ვაც. თუ გავითალისწინებთ რომ „შეფე-მზე“ ყოველთვის აქტიურად უჭერდა მხარს თავის აღმზრდელ იეზუიტებს, ჩვენთვის სავსებით გასაგები გახდება მისი პოლიტიკა იანსენისტების მიმართ. „პირმოთნეობა და შეუწყნარებლობა მბრძანებლობდა ლუი XIV-ის კარზე: — წერდა კონდორსე, — აქ იანსენიზმის მოსპობას უფრო ცდილობდნენ, ვიდრე ხალხის ტანჯვის შემსუბუქებას“[289]... დიახ, ამ დროისათვის საქმე უკვე იანსენიზმის ძირფესვიანად ამოძირკვაზე მიდგა. 1661 წლის აპრილში დახურულ იქნა „პატარა სკოლები“, რომლებმაც თითქმის ოც წელიწადს იარსება. მონასტერიდან დაითხოვეს ყველა აღმზრდელი, ბევრი მორჩილი თუ მოწესე. პორ-როიალის ყოფნა-არყოფნის საკითხი უშუალოდ იმაზე გახდა დამოკიდებული, მოაწერდნენ თუ არა ხელს „განდეგილები“ პაპის საგანგებო ფორმულიარს, რომელიც გმობდა იანსენის მოძღვრებას. და, აი, ამ კრიტიკულ მომენტში პორ-როიალი პირველად შედრკა.

ანტუან არნომ, პიერ ნიკოლმა, ლუი ისააკ ლე მეტრ დე სასიმ და იანსენიზმის ბევრმა სხვა ბურჯმა კომპრომისის გზა აირჩიეს, ე. ი. ხელი მოაწერეს ფორმულიარს და, რასაკვირველია დანარჩენი „განდეგილებიც“ აიყოლიეს. ყველასათვის ბოულოდნელად, დედა მონასტრის მონაზვნები უფრო შეუპოვარნი აღმოჩნდნენ. აბატესა მარი ჟაკლინ არნო (მონაზვნობაში — ანჯელიკა) ისე აღესრულა (1661 წლის აგვისტო), რომ არასდიდებით არ დათანხმდა თავისი ძმის დაჟინებულ თხოვნას — ხელი მოეწერა ფორმულიარზე, ხოლო პასკალის დამ ეფემია-ჟაკლინმა ამაყად განაცხადა: „მე მესმის, რომ ჭეშმარიტების დაცვა ქალების საქმე არ არის, მაგრამ რაკი ეპოსკოპოსებს ქალებზე მეტი სიმამაცე არ აღმოაჩნდათ, ქალებმა უნდა გამოიჩინონ ეპისკოპოსებისა სიმამაცე. და თუ ჭეშმარიტების დაცვას ვერ შევძლებთ, ის ხომ მაინც შეგვიძლია, რომ ჭეშმარიტებისათვის მოვკვდეთ“[290]. ეს არ ყოფილა მარტოოდენ ლამაზი ფრაზა. ცხოვრებამ დაადასტურა მისი წინასწარმეტყველური სიმართლე. ჟაკლინმა მართლაც ვერ შესძლო თავისი მრწამსის დაცვა: „განდეგილებმა“, რომლებმაც თავდაპირველად გადაიბირეს მთელი დედათა მონასტერი, ბოლოს და ბოლოს, ისიც აიძულეს ხელი მოეწერა ფორმულიარზე, მაგრამ ეს იძულება საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის: საბრალო

ქალმა ვეღარ გაუძლო სინანულით გამოწვეულ სინდისის ქენჯნას და ორიოდე თვის შემდეგ გარდაიცვალა სულიერი მღელვარებით გამოფიტული და განაწამები. მაშინ ის მხოლოდ ოცდათექვსმეტი წლისა იყო. როდესაც დის სიკვდილი გაიგო, ფრიმედ ავადმყოფმა პასკალმა, რომელსაც ამ ქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა იგი, მხოლოდ ესღა თქვა: „ღმერთმა მოგვცეს იმისი ძალა, რომ ჩვენც ასე კარგად მოვკვდეთ" (Dieu nous fasse la grâce d'aussi bien mourir)[291].

მარტო მას, მარტო პასკალს არ მოუხრია ქედი დესპოტური ძალის წინაშე: „მე არაფრის არ მეშინია, მე არაფრის იმედი არა მაქვს. ეპისკოპოსები — სხვა საქმეა. პორ-როიალს ეშინია, და ეს ცუდი პოლიტიკაა — გათიშო ისინი, ვინაიდან ნაცვლად იმისა, რომ თვითონ ეშინოდეთ, პირიქით, სხვებს დასცემენ შიშის ზარს. მე თვით თქვენი საგანგებო ცენზურისაც არ მეშინია, თუკი ის ტრადიციულ წესებს არ ემყარება. ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ყველაფერს ამიკრძალავთ? როგორ?! თვით პატივისცემასაც იმის მიმართ, რასაც პატივს ვცემ? ვერა! მაშ. კეთილ ინებეთ და გაგვაგებინეთ, მაინც რას კრძალავთ, თორემ ვერაფერს ვერ მიაღწევთ, თუკი არ გვეტყვით, რა არის, თქვენის აზრით, ცუდი და რატომ არის ცუდი. მაგრამ სწორედ ამის თქმა გიჭირთ ყველაზე მეტად...

რა მოიგეთ იმით რომ ბრალი დამდეთ, თითქოს ყველაფერ „წმინდას დავცინი? ვერც იმით მოიგებთ რამეს, თუ ცილისმწამებლად გამომაცხადებთ... მე ჯერ კიდევ არ მითქვამს ყველაფერი, მალე თავად დარწმუნდებით ამაში... თქვენ ამბობთ, რომ მე წწვალებელი ვარ? ენას ძვალი არა აქვს, ჭეშმარიტად! თუ კაცთა სამართლისა არ გეშინიათ, ღმერთის სამართლის მაინც გეშინოდეთ, თქვენ იგრძნობთ ჭეშმარიტების ძალას და ქედს მოიხრით მის წინაშე...

მე მარტო ვარ ოცდაათი ათასის წინააღმდეგ? ფრთხილად! თქვენია მსჯავრი, თქვენს ხელთაა ცილისწამება ჩემს ხელთ — მხოლოდ ჭეშმარიტება და სიმართლე: ესაა მთელი ჩემი ძალა. თუ მას დავკარგავ, ვეღარაფერი ვეღარ მიშველის. მე არც მდევნელი დამელევა და არც ბრალმდებელი მაგრამ სიმართლე ჩემს მხარესაა და ვნახოთ, ვის მიანიჭებს ძლევას ღმერთი"[292]...

კიდევ ერთი პროფეტული სიმართლე: მართალია სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ძლევა მაინც პასკალს მიანიჭა განგებამ თუ ისტორიული პროცესის მთელმა შემდგომდროინდელმა განვითარებამ. იეზუიტების საუკუნოვანი მცდელობა, ბოლოს და ბოლოს, წარმატებით დაგვირგვინდა: მათ შესძლეს იანსენისტების განადგურება, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში თან გადაჰყვნენ თავიანთ მტრებს, ხოლო „ქრისტეს რაინდთა" ძლევამოსილი ორდენის დამხობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა პასკალის „წერილებმა"... საკმარისია ძალზე ზოგადად მაინც გავადევნოთ თვალი ამ ასწლიანი ბრძოლის პერიპეტიებს: პასკალის წიგნის აკრძალვიდან ერთ წელსაც არ გაევლო რომ რომმა აკრძალა იეზუიტ პიროს „კაზუისტთა აპოლოგია"; რვა წლის შემდეგ (1665 წ.) პაპი ალექსანდრე VII (1655 — 1667) იძულებული შეიქნა დაეგმო იეზუიტური მორალის 45 დებულება, ხოლო 1679 წელს პაპმა ინოკენტი XI (1676 — 1689), თავის მხრივ, დაჰგმო ამ მორალის კიდევ 65 პუნქტი.

გამძვინვარებული იეზუიტები საპასუხო შეტევაზე გადავიდნენ: 1666 წელს, მათი დასმენის შედეგად, ხელისუფლებმა დაპატიმრეს დე სასი; 1679 წელს ანტუან არნო იძულებული გახდა ჰოლანდიას გადახვეწილიყო; 1705 და 1713 წ. პაპმა კლემენტე XI (1700—1721) საგანგებო ბულით ორგზის კვლავ დაჰგმო იანსენის მოძღვრება და შეაჩვენა მისი მიმდევრები; 1708 წელს მისივე ბრძანებით გაუქმებულ იქნა პორ-როიალის დედათა მონასტერი, ხოლო 1709 წელს მონაზვნები ძალით გარეკა პოლიციამ; და, ბოლოს, 1710 წელს იგივე ბედი ეწია პორ-როიალ-დე-შამპსაც; სამრეკლო დაანგრიეს სენ-სირანის, სენგლენის, დე სასის, არნოსა და ბევრი სხვა იანსენისტის საფლავი ჯერ წაბილწეს, ხოლო შემდეგ პირწმინდად აღგავეს მიწის პირისაგან.

„ეკლესიამ და მონარქიამ — წერდა ონორე დე ბალკაზი — არ უღალატეს თავიანთ ვალს; მათ მოაშთეს პორ-როიალი"[293]. დიახ, მათ მოაშთეს პორ-როიალი, დასცეს, დაამხეს და ფრანგული რელიგიური სულის ეს უზენაესი გამოვლინება პირქუშ, უსახურ და უნაყოფო სექტად აქციეს. მაგრამ, მინავლულ კერაზე კვლავ თვლემდა ცეცხლი. ბუდემოშლილმა იანსენიზმმა უნივერსიტეტებისა თუ პარლამენტის კათედრებზე გადაინაცვლა. პასკალის სა-

ხელი იყო მისი სიწმინდისა და სიმტკიცის დროშა. ამ დროშის ქვეშ საყოველთაო შურისგებად მწიფდებოდა იეზუიტური სიბილწისა და უკეთურების წინააღმდეგ საუკუნეების მანძილზე დაგუბებული რისხვა, და როდესაც ყრუ პროტესტი თანდათანობით მთელს ევროპას მოედო და აღშფოთების ყოვლისწამლეკ გრიგალად იქცა, პაპმა კლემენტე XIV (1769—1774) საგანგებო ბულით გააუქმა იეზუიტთა ორდენი (1773.)[295].

ეს იყო პასკალის „საღმრთო საქმის" ჭეშმარიტი ტრიუმფი, თუმცა აქვე უნდა ითქვას რომ ამ ტრიუმფმა მთელი 111 წლით დაიგვიანა[295]. რას იზამ, ისტორია გულქვაა და სასტიკი ფისიეე შემოქმედთა მიმართ. მაგრამ ნუ დავგმობთ მას ამის გამო. პირიქით. მადლობა შევწიროთ, თუნდაც იმიტომ, რომ ხანდახან მაინც ის სამართლიანია... ჯერჯერობით კი მომავალი ტრიუმფატორი უფრო მრავალტანჯული და წამებული მარტვილის როლში გვევლინება. პორ-როიალთან განხეთქილების შემდეგ პასკალი თავის ბინაში — ფრანს-ბურჟუა-სენ-მიშელის ქუჩაზე გადავიდა საცხოვრებლად, სადაც 1654 წლის 1 ოქტომბერს გადასახლდა ბობურის ქუჩიდან. ეს იყო მისი უკანასკნელი ბინა, საბოლოო თავშესაფარი პარიზში. თუმცა საკუთარ სახლშიც ისევე სადად, უბრალოდ და ღარიბულად ცხოვრობდა, როგორც მონასტერში და მისი ოთახიც თითქმის არაფრით განსხვავდებოდა „განდეგილის" სენაკისაგან: მაგიდა, საწოლი, ორი სკამი, — აი, ამ ოთახის მთელი მორთულობა... ჭამდა იშვიათად და ძალზე ცოტას... თავად ღარიბს მთელის არსებით უყვარდა გლახაკნი, დავრდომილნი და უპოვარნი. ამიერიდან ქველმოქმედება, მოწყალების გაცემა, გლახაკთა გაკითხვაა მისი საარსებო მოთხოვნილება, ცხოვრების მიზანი და მთავარი საზრუნავი:

„სოლტაკისადმი ამ სიყვარულის გამო — წერს ჟილბერტა, — ისე უნაზესი გრძნობით უყვარდა გლახაკნი და უპოვარნი, რომ არასოდეს დაუშურებია მოწყალების გაცემა, თუმცაღა აშკარად იკლებდა საარსებო სახსარს, რადგან საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა და. თანაც, ავადმყოფობის გამო იძულებული იყო უფრო მეტი ეხარჯა, ვიდრე შემოსავალი ჰქონდა. მაგრამ ყოველთვის, როცა ცდილობდნენ შეეხსენებინათ ეს და უსაყვედურებ-

დნენ, რა ამბავია ამდენი მოწყალების გაცემაო[293], განრისხებული ამბობდა: მე შევნიშნე, რომ რაგინდ ღარიბიც უნდა იყოს კაცი, სიკვდილის შემდეგ მაინც რაღაცა რჩება ამ ქვეყნად... და ის ხშირად იძულებული ხდებოდა მეეახშისაგან ესესხა გლახაკთა გასაკითხი ფული, რადგან არ უნდოდა მეგობრები შეეწუხებინა"[294].

„მისი გულმოწყალება უპოვართა მიმართ ყოველთვის უსაზღვრო იყო, — განაგრძობს ჟილბერტა, — მაგრამ ის აშკარად გაორკეცდა სიცოცხლის დამლევს... მთელი ოთხი წლის მანძილზე გამუდმებით შემაგონებდა — უპოვართა სამსახურისთვის მიმეძღვნა თავი (à me consacrer au service des pauvres) და ამ საქმეში თანამდგომებად აღმეზარდა ჩემი შვილებიც. როცა ვეტყოდი, ვაითუ ამან ოჯახს ჩემი ხელი დააკლოს-მეთქი, პასუხად მეტყოდა, რომ ეს სხვა არა არის რა, თუ არა კეთილი ნების ნაკლებობა (que ce n'est ait que manque de bonne volonté), და რაკი არსებობს ამ სიტყვების სხვადასხვა ხარისხი, შეიძლება ისე მოიქცე, რომ ამით არაფერი დააკლდეს ოჯახსო. ის ამბობდა, რომ ეს იყო „ქრისტიანთა საერთო მოწოდება..., და რომ განკითხვის დღეს იესო ქრისტე ამ ნიშნის მიხედვით განიკითხავსო სამყაროს... იმასაც ვვეუბნებოდა, ხშირად ვწვეოდით ღარიბ-ღატაკებს, რადგან, მისი, აზრით, ეს დიდად სასარგებლო იყო ყველასათვის: როდესაც ხედავ მათ უკიდურეს სიღარიბეს, როდესაც ხედავ, რომ ამ უბედურთ, რომელნიც შიმშილითა და ავადმყოფობით იხოცებიან, ერთი გროშიც არ გააჩნიათ საჭმელისა თუ წამლის საყიდლად, ჭეშმარიტად ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს. ფუჭ ფუფუნებაზე რომ არ თქვას უარი და მისთვის სრულიად ზედმეტი რამ მაინც არ გაიღოსო მათ გასაკითხად"[295].

ჟაკლინის სიკვდილმა, პორ-როიალის დრამამ, წლების მანძილზე ინკოგნიტოდ ცხოვრების სიმძიმემ, დაღლილობამ, სიმარტოვემ, მიუსაფრობამ საბოლოოდ გამოფიტა და დაწრიტა პასკალის სულიერი თუ ფიზიკური ძალები, რამაც, თავის მხრივ, უკიდურესად გაამწვავა სნეულება და, იმავდროულად, სულიერი დეპრესიის მიზეზი გახდა. მაგრამ ის კვლავ უდრტვინველად იტანს ტკივილს, სტოიკური სიმტკიცით ითმენს ტანჯვასა და უბედურებას: „...ამასობაში მისი სენი ძლიერდებოდა, ისე რომ, წამითაც არ აძლევდა სულის მოთქმის საშუალებას, და, როგორც

უკვე ითქვა, სრულებით აღარ შეეძლო მუშაობა... მაგრამ თუ ავადმყოფობა უშლიდა სამსახურს საზოგადო საქმისა თუ მოყვასთა მიმართ, ის უსარგებლო არ ყოფილა. პირადად მისთვის, ვინაიდან ისე მშვიდად და უდრტვინველად ითმენდა ტკივილს, რომ კაცს შეიძლებოდა ეფიქრა: ღმერთს სურს ამ ქვეყნადვე ისეთი იხილოს იგი, როგორიც უნდა იყოსო, მის წინაშე წარდგომისას, სასუფველის ღირსი სული: რადგან ამ ხანგრძლივი ავადმყოფობის მანძილზე ერთხელაც არ შეუცვლია თვალსაზრისი (il ne s'est jamais detourné de ses vues) და ყოველთვის მტკიცედ იმარხავდა ორ დიად მცნებას: უარი ეთქვა ყოველგვარ განცხრომასა და ყოველგვარ ზედმეტობაზე"[299].

დაე, მოგვიტევოს დის ტანჯულმა და მოსიყვარულე გულმა, თუ ერთხელ კიდევ დავაზუსტებთ ესოდენი ტკივილითა და სიმწარით წარმოთქმულ მის სიტყვებს: ავადმყოფობის გართულების გამო ჩემს ძმას „სრულებით აღარ შეეძლო მუშაობაო". არა, პასკალი კვლავინდებურად განაგრძობს მუშაობას: უძილო ღამეებსა თუ არაადამიანური ტანჯვით აღსავსე კოშმარულ დღეებში, ტკივილის უსასტიკეს შემოტევებს შორის სულისმოთქმის ხანმოკლე შუალედებში, ის კვლავ ჯიუტი მოთმინებითა და განუხრელი თანმიმდევრობით ახორციელებს თავის გრანდიოზულ შთანაფიქრს, ცდილობს პირნათლად მოიხადოს თავისი ინტელექტუალური და იმავდროულად, ზნეობრივი ვალი: დაასრულოს „ქრისტიანობის აპოლოგია", წიგნი, რომელშიაც უნდა ჩააქსოვოს მთელი თავისი სული და გული, აზრი და ვნება, პირადი სპირიტუალური ცდა თუ ცხოვრებისეული გამოცდილება... და მაინც, თავგანწირული ძალისხმევის მიუხედავად, ის მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელებს შთანაფიქრს. სიკვდილი უდროოდ დაუსვამს წერტილს ამ დიად ღვაწლს. პასკალის ხელნაწერებში დარჩება მხოლოდ დაუმთავრებელი მედიტაციების, ცალკეული ფრაგმენტების, შუა გზაზე გაწყვეტილი აზრების, ზნეობრივი მაქსიმების, ფილოსოფიური სენტენციების შინაგან მთლიანობასა და მწყობრ ლოგიკურ თანმიმდევრობას მოკლებული, უკავშირო და ეფემერული გროვა.

„როგორა ჰგავს ძველ ნანგრევებს რომელიღაც დიდებული შენობის ასაგებად მოზიდული და ჯერხნობით მიწაზე უთავბო-

ლოდ მიმოფანტული მასალა! თვალი ერთნაირი სევდით ჭვრეტს იმასაც, რაც ვერ დაასრულა ადამიანმა და იმასაც, რაც შემუსრა დრომ. ქრისტიანული რელიგიის დიადი აპოლოგია, როგორც ის ჩაიფიქრა და როგორც მისი წერა დაიწყო პასკალმა, ამ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ ზუსტ გამოცემებში ჩვენ გვაგონებს რომელიღაც ძველისძველ ხელნაწერს, ნახევრად დახეულს და დაფლეთილს, ნახევრად გაცრეცილ-გახუნებულს, რომელიც რამდენიმე ძუნწ ფრაგმენტსღა უტოვებს საზრდოდ ჩვენს ცნობისმოყვარეობას. ეს შავად დაწერილი თავები, ეს მჭრქალად მოხაზული სენტენციის მსგავსი დეტალები, რომელთა აზრში წვდომა ზოგჯერ თითქმის შეუძლებელია, ჩვენ გვაგონებენ მომხიბლავ ბუნებს, რომლებსაც არსად არ შეეყავართ, ანდა ამაყად ალმართულ საფეხურებს, რომლებიც არსაითკენ არ მიგვიძღვიან, ერთის შეხედვით, კაცმა შეიძლება იფიქროს, თითქოს ისინი მაინც გადაურჩნენ ნგრევას, რამაც სამუდამოდ წარგვტაცა ამ დიადი ბრომის მეტი ნაწილი. მაგრამ სხვადასხვა სიტყვებით გამოხატული ერთი და იგივე აზრების დაუსრულებელი განმეორება, ჭრაკალიცხოვანი სწორების კვალი, ერთი და იგივე თემის ვარიაციები გვაფიქრებინებს, რომ ავტორმა არა მარტო ვერ შესძლო მთლიანობა მიენიჭებინა მასალისათვის, არამედ დროც არ ეყო მის შესარჩევად. მაინც რას ისახავდა მიზნად? უნდოდა მეთოდური თანმიმდევრობით გადმოეცა თავისი შეხედულებები თუ მხოლოდ ცხარე და სახელდახელო პოლემიკის სხარტი ფორმით? ცდილობდა დიალოგები მოეშველიებინა თუ ეპისტოლარული ჟანრისთვის მიენიჭებინა უპირატესობა? პასკალს საბოლოოდ არაფერი გადაუწყვეტია ამ მხრივ და ალბათ, ამიტომ ნართაულ შენიშვნებში არაერთხელ უბრუნდება იმ საკითხის გარჩევას, თუ რომელი ფორმა უკეთ მიესადაგება მის აზრს"[800].

ცხადია, ესოდენ აწეწილდაწეწილი ლიტერატურული თუ ფილოსოფიური მემკვიდრეობის მოელ-პატრონობა, ბუნდოვანი პასაჟების გაშიფვრა ერთმანეთში უთავბოლოდ ალუფხული ფრაგმენტების დალაგება, მათ შორის აშკარა თუ ფარული შინაგანი კავშირისა და მეტ-ნაკლებად მწყობრი აზრობრივი თანმიმდევრობის გამოვლენა, გამომცემელთა, მკვლევართა თუ კომენტატორთა მხრივ, ძალზე რთულ, ხანგრძლივსა და დაძაბულ

შრომას მოითხოვდა. „ქრისტიანობის აპოლოგიის“ პირველი გამოცემა ჰერცოგ დე როანეს, პერიების ოჯახისა და, რასაკვირველია, პორ-როიალის, უწინარეს ყოვლისა კი, ანტუან არნოს თაოსნობით განხორციელდა. წიგნი 1670 წლის იანვარში გამოვიდა საერთო სათაურით: „ბ-ნ პასკალის აზრები რელიგიასა და ზოგიერთ სხვა სიუჟეტზე. რომლებიც ავტორის სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა მის ხელნაწერებში“. „Pensees de M. Pascal sur la religion et sur quelques, autres sujets qui ont esté trouvées après sa mort parmy ses papiers“). მან უდიდესი როლი შეასრულა პასკალის სახელის უკვდავყოფისა და მისი დიადი ღვაწლის პოპულარიზაციის საქმეში, რასაც აშკარად მოწმობს პორ-როიალის მიერ გამოქვეყნებული „ქრისტიანობის აპოლოგიის“, ანუ „აზრების“ შემდგომდროინდელ გამოცემათა სიმრავლე: მეორე გამოცემა იმავე 1670 წელს გამოქვეყნდა; მესამე — 1671 წ.; მეოთხე (შევსებული გამოცემა) — 1678 წ. „აზრების“ ხელახლა შევსებული და შესწორებული ტექსტი ერთხელ კიდევ დაიბეჭდა 1683 წ. 1684 წელს ამსტერდამში, ხოლო 1687 წელს პარიზსა და ლიონში ზედიზედ გამოდის „აზრების“ სამი გამოცემა, რომლებსაც თან ერთვის მადამ პერიეს (ჟილბერტა პასკალის) „ბლეზ პასკალის ცხოვრება“ (იგივე გამოცემები უცვლელად განმეორდება 1700, 1714, 1715 და მომდევნო წლებში).

დაახლოებით ამავე დროს იწყება „აზრების“ ევროპულ ენებზე თარგმნა, და ეს დიდი კულტურული ტრადიცია აღარასოდეს დარღვეულა შემდეგ: ეს თითქმის უწყვეტ ხაზად გასდევს დასავლეთ ევროპის მთელს მენტალურ ისტორიას. 1686 წელს პასკალის ქმნილება ითარგმნა ჰოლანდიურად, 1688 წელს — ინგლისურად, 1701 წელს — გერმანულად, 1741 წელს — ლათინურად, 1767 წელს — იტალიურად, 1805 წელს — ესპანურად. რაც შეეხება შედარებით ახალსა თუ უახლეს თარგმანებს, მათი მშრალი ჩამოთვლაც კი ჭეშმარიტად შეუძლებელია...

მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ საკუთრივ დედნისეული ტექსტის გამოცემებს. საკმაოდ მალე გაირკვა, რომ პორ-როიალი ერთის მხრივ, შიშისა და სიფრთხილის, ხოლო მეორეს მხრივ, დოგმატური ცალმხრივობისა და სწორხაზოვნების გამო (პასკალის ყოვლისმომცველი აზრი, რა თქმა უნდა, ვერ, თავსდებოდა

იანსენიზმის ვიწრო ჩარჩოში), ძალზე დაუდევრად მოექცა დედანს: „განდეგილებმა“ თვითნებურად შეასწორეს, ზოგან გაანავრცეს, ბევრი რომ ამოიღეს, უარყვეს, შეცვალეს და, ამრიგად, აშკარად არასრული, შერყვნილი და შებღალული სახით, წარუდგინეს მკითხველს თავიანთი დიდი თანამზრახველის ნააზრევი. ამიტომ უკვე XVIII ს. მეორე ნახევრიდან იწყება პასკალის პორ-როიალისეული გამოცემების კრიტიკული გადასინჯვა და გადაფასება. 1776 წელს ცნობილმა ფრანგმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა მეცნიერებათა აკადემიის უცვლელმა მდივანმა ანტუან-ნიკოლა კონდორსემ (1743 — 1794) ახალი რედაქციითა და ახლებური ინტერპრეტაციით გამოაქვეყნა „აზრების“ ტექსტი, რომელსაც თან დაურთო საკმაოდ უფერული კომენტარები და პასკალის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ნარკვევი „პასკალის ხოტბა“ („Eloge de Pascal“). მაგრამ კონდორსე, უწინარეს ყოვლისა, რაციონალისტი იყო, გონებისა და ზუსტ მეცნიერებათა კულტის გულმხურვალე აღმსარებელი („მეცნიერება იყო მისი სიყველე, — წერდა ლამარტინი, — ადამიანის გონება — მისი კერპი“[31]), და მას პორ-როიალის პასკალისაგან რადიკალურად განსხვავებული, „თავისი“ პასკალი ჰყავდა: გენიალური მოაზროვნე და მეცნიერი, ახალი ფიზიკისა და ახალი მათემატიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი; რაც შეეხება პასკალის რელიგიურ მრწამსს, კონდორსესათვის ეს იყო ნამდვილი terra incognita, მისი ინტერესების სისტემიდან თითქმის მთლიანად გამორიცხული სულიერი ქმედითობის უცნობი სფერო. ამან კი ძალზე ცუდი სამსახური გაუწია გამოცემასაც და გამომცემლის რეპუტაციასაც.

„ადამიანი ყოველთვის ცდილობს უარყოს ის, რისი დამტკიცებაც (გამოხატვაც) არ შეუძლია“, — ამბობს პოლ ვალერი[32]. ამ აქსიომატური ჭეშმარიტებიდან არც კონდორსე აღმოჩნდა გამონაკლისი: მან თითქმის პირწმინდად უკუაგდო ყოველივე ის, რაც „აზრების“ საკრალურ ბირთვად გვევლინება, ხოლო პასკალის რელიგიური მრწამსი, ჯერ იყო და, ლამის „ფარულ ათეიზმად“, ხოლო შემდეგ „შეშლილის ბოდვად“ გამოაცხადა, რითაც იმდენადვე აღაშფოთა იანსენისტთა მემკვიდრენი, რამდენადაც აღაფრთოვანა რაციონალისტები. ტყუილად როდი უწოდა

ამ გამოცემას ვოლტერმა „ანტიპასკალიანა“. 1676 წლის 22 ოქტომბერს იგივე ვოლტერი სწერდა დალამბერს, რომ „აზრების“ კონდორსესეულ გამოცემას „შეუძლია შეცვალოს მთელი ბიბლიოთეკა“ და რომ ის „ანათლებს მას ვისაც ფიქრი სურს, აბრძანებს მას, ვინც ფიქრობს და ამტკიცებს მას, ვინც მერყეობს..“[233]...

ერთის სიტყვით, თუ „აზრების“ ავტორის სიცოცხლეში მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს ებრძოდნენ პასკალისათვის, მისი სიკვდილის შემდეგ კვლავ გრძელდება ეს უკომპრომისო ბრძოლა, მხოლოდ ამჯერად უკვე — პასკალის უკვდავი სულისათვის. ორივე მხარე თაყვანს სცემს მხოლოდ საკუთარ კერპს, ორივე მხარეს მხოლოდ თავისი საკუთარი პასკალი სურს. მაგრამ პასკალი ერთია, მთლიანი და განუყოფელი. ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის. სანამ მისი მემკვიდრენი აღიარებენ ამ „მარტივ“ ჭეშმარიტებას და, ყოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც, როცა პასკალს ეხება საქმე, კეთილ ინებებენ და მას უფრო მეტ ანგარიშს გაუწევენ, ვიდრე თავიანთ თავს.

ჯერჯერობით კი ყველაფერი კვლავ ძველი გზით და კალაპოტით მიემართება: 1678 წელს ვოლტერის გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ხელმეორედ გამოდის „აზრების“ კონდორსესეული გამოცემა რომელსაც ამჯერად თან ერთვის არა გამომცემლის, არამედ მისი სულიერი მოძღვრის ვოლტერის ვრცელი კომენტარები („მე დიდიხანია მინდა შეევერკინო ამ გიგანტს“. ე. ი. პასკალს, — სწერდა ვოლტერი ფორმონს 1733 წლის ზაფხულში და უკვე მომდევნო წელს განახორციელა თავისი ღიდი ხნის სურვილი: გამოაქვეყნა 547 კრიტიკული შენიშვნა პასკალის „აზრებთან“ დაკავშირებით; 1742 წელს 16 ახალი შენიშვნით განავრცო ისინი, ხოლო 1776 წელს, საგანგებოდ კონდორსეს გამოცემისათვის, დაწერა კიდევ 94 შენიშვნა, რომელთა ერთადერთი მიზანი იყო თავდაყირა დაეყენებინა მთელი პასკალი); ამრიგად, პასკალის სახელით ქვეყნდება ორი „ანტიპასკალიანა“: ასე უწოდებდა ვოლტერი არა მარტო კონდორსეს გამოცემას, არამედ საკუთარ კომენტარებსაც.

„ამ ვამოცემის მიზანია უღმერთობის დამამკვიდრებელ წიგ-

ნად აქციის პასკალის „აზრები“. ასე შერყევნა და შებღალო წიგნი, რომელსაც ეს წელზე მეტ ხანს კითხულობენ და თაყვანს სცემენ, — განა ეს საგიჟეთის ღირსი სიშლეგე არ არის?“ — აღშფოთებით კითხულობდა ერთი რეცენზენტი; „კონდორსე იქამდე მივიდა, რომ პასკალის „აზრებს“ ურწმუნოთა პატრიარქის ვოლტერის კრიტიკული შენიშვნები დაურთო“, — არანაკლები აღშფოთებით წერდა მეორე, ხოლო მესამის აზრით, „პასკალის „აზრები“, კომენტატორის მცდელობის წყალობით, ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე სატანურ წიგნად იქცა“[36]...

1779 წელს გამოდის „აზრების“ ბოსიუსეული (Bossut), შედარებით სრული გამოცემა, რომელიც ცვლის პორ-როიალის გამოცემებში მიღებულ დაყოფებს და აზრების კლასიფიკაციის საფუძვლად მათ „ფილოსოფიურსა“ თუ „რელიგიურ“ შინაარსს იღებს. 1783 წელს პასკალის წიგნს აქვეყნებს აბატი ანდრე: ესაა კრიტიკული გამოცემის პირველი ცდა, ერთგვარი შუალედური რგოლი პორ-როიალისა და ბოსიუს გამოცემებს შორის. „აზრების“ აბატ დიუკრესეული (Ducreux) გამოცემა (პარიზი, 1785), თავის მხრივ, პასკალის შთანაფიქრის აღდგენისა და მისი ზუსტი რეპროდუქციერების პირველ ცდად გვევლინება. იმავე მიზანს ისახავს ფრანტენის გამოცემაც, (დიჟონი, 1835; პარიზი, 1863, 1870).

1841 წელს ცნობილმა ფრანგმა მოაზროვნემ და სახელმწიფო მოღვაწემ ვიქტორ კუზენმა (1792 — 1867) პირველად შეუდარა ერთმანეთს პასკალის ხელნაწერები და „აზრების“ ბეჭდვითი გამოცემები, მათ შორის გამაოგნებელი სხვაობა გამოაცალინა და მალე (1842 წ.) მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინა საფუძვლიანად დასაბუთებული მოხსენება — „პასკალის „აზრების“ ახალი გამოცემის აუცილებლობის შესახებ“, ხოლო შემდეგ თვითონვე გამოაქვეყნა „აზრების“ კრიტიკული ტექსტი, რითაც დასაბამი დაუდო პასკალის ქმნილების ავთენტიკურ, ზუსტ ტექსტოლოგიურ ძიებებზე დაფუძნებულ გამოცემათა სრულიად ახალ ეტაპს... 1844 წელს გამოქვეყნდა „აზრების“ ორტომიანი ფოჟერისეული გამოცემა, გარკვეული აზრით, თანადროული კრიტიკული გამოცემების ერთგვარი პროტოტიპი. მაგრამ თავისი სიზუსტით,

სისრულითა და მეტ-ნაკლებად ამომწურავი აპარატურით (წინასიტყვაობა, წინათქმები, კომენტარები) ჭეშმარიტად უბადლო იყო აკადემიკოს ერნესტ ავეს (Havet; 1813 — 1899) მიერ 1852 წელს გამოქვეყნებული ტექსტი, რომელიც მან მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მოამზადა და რომელსაც შემდგომ დიდხანს ოვლიდნენ „აზრების" ერთადერთ კლასიკურ გამოცემად[305]... მომდევნო პერიოდის გამოცემებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მოლინიეს (1876 — 1880), მიშოს (1896)[306] და, უწინარეს ყოვლისა, ბრუნშვიგის (1897, 1904) პუბლიკაციები; ეს უკანასკნელი, ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, ერთხმად აღიარებულია „აზრების" მეორე კლასიკურ გამოცემად[307]... დაბოლოს, უახლესი გამოცემებიდან აღსანიშნავია ვ. ჟიროს (1928), ფ. სტროვსკის (1930), დედიეს (1937), ტურნერის (1942), შევალიეს (1949) გამოცემები. „აზრების" საუკეთესო თანადროული გამოცემა 1951 წელს 3 ტომად გამოაქვეყნა ლ. ლაფუმამ...

ახლა კი მკითხველმა თავად განსაჯოს: თუ „აზრების" ქაოტურად ჭრელი და უთავბოლოდ მიმოფანტული ფრაგმენტების მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი წესრიგით დალაგებასა და მათთვის გარკვეული მთლიანობის მინიჭებას თაობათა მძიმე და ხანგრძლივი შრომა დასჭირდა, რამდენად უფრო რთულია მის წინაშე მდგარი პრობლემა, ვინც პასკალის ქმნილების სავარაუდო შინაარსის, მისი ფარული მიზანდასახულობის და დედააზრის, მისი საერთო გეგმისა თუ ზოგადი მეთოდის არსში წვდომასა და ინტერპრეტაციას ცდილობს. რა გზას უნდა დაადგეს კაცი, ან რა უნდა იღონოს ამ თითქმის დაუძლეველი სიძნელის გადასაჭრელად? როგორ გინდა აღმოაჩინო მთლიანი მსოფლმხედველობრივი სისტემა იქ, სადაც, ერთის შეხედვით არ არსებობს არავითარი მთლიანობა, არავითარი მწყობრი წესრიგი თუ ლოგიკური თანმიმდევრობა? მაგრამ ერთია სიძნელე და მეორე — ამ სიძნელის დაძლევის ცდა, აუცილებელი ცდა, ვინაიდან სხვაგვარად ჩვენ ვერასოდეს ვერ ჩავწვდებით პასკალის ინტიმურ შთანაფიქრს, ვერც მისი აზრის შინაგანი განვითარების საერთო კანონზომიერებასა თუ საბოლოო მიზანს. მეთოდი შეიძლება დაფარული იყოს, მაგრამ ამის გამო ის ნაკლებ რეალური როდია, და თუ ჩვენ არა გვაქვს სისტემა, ამ სიტყვის უშუალო და პირდაპირი მნიშვ-

ნელობით, ყოველ შემთხვევაში, „აზრების“ მთელი ფრაგმენტულობის მიუხედავად, გარკვეული სისტემატიზაცია ხომ მაინც უთუოდ საგულვებელია. მაგრამ ამ ფარული სისტემისა თუ სისტემატიზაციის მისაკვლევად და აღმოსაჩენად აუცილებელია პასკალის ზოგადი მეთოდოლოგიური პრინციპის გაცხადება, რომელზე დაყრდნობითაც „მან — გულწრფელმა და ვნებიანმა ქრისტიანმა — შექმნა რელიგიის საკუთარი აპოლოგია, შექმნა იმ მეთოდისა და არგუმენტების მომარჯვებით, რომლებიც მანამდე აზრადაც არ მოსვლია ვინმეს და რომლებსაც მთლიანად უნდა შეეძრათ და განეწონათ ურწმუნოს გული“[308].

რწმენის საკითხში პასკალი ისე იქცევა, როგორც ჩვეულებისამებრ, ექცეოდა სოკრატე ფილოსოფიას: მას თითქოს სურს მიწაზე ჩამოიყვანოს თეოლოგია და მკვიდრ საძირკველზე დააფუძნოს ადამიანის ბუნებაში მიკვლეული ყოველი ფაქტი. „მეთოდი, რომელსაც თავის „აზრებში“ იყენებს პასკალი, რათა დაარწმუნოს ურწმუნონი, უწინარეს ყოვლისა კი იმ მიზნით, რომ სულის სიღრმემდე შესძრას გულგრილნი, ორიგინალობითა და მოულოდნელობით გამოირჩევა... ის იღებს ადამიანს ბუნების გარემოცვაში. სამყაროს სივრცეთა უსასრულობით გარშემორტყმულს, და ხან ზეცათა თავზარდამცემ სიდიადესა და ხანაც - უმცირეს ატომთან მისი შეპირისპირების გზით, თანმიმდევრული მონაცვლეობით გვიჩვენებს მის სიდიადეს და უბადრუკობას, თანაბრად დანთქმულს და დაკარგულს ორ უფსკრულს, ორ უსასრულობას შორის. მთელს ფრანგულ ლიტერატურაში არ მოიძებნება უფრო მშვენიერი ფურცლები, ვიდრე ამ უებრო სურათის სადა და მკაცრი სტრიქონებია“[309]:

„დაე, ადამიანი მიიქცეს ბუნების მთელი სავსებისა და სიდიადის ჭვრეტად; დაე, აარიდოს თვალი მის გარემომცველ უბადრუკ საგნებს; დაე, უმზიროს თვალისმომჭრელ ნათელს, უშრეტი ჩირაღდანივით რომ ანათებს სამყაროს; დაე, შეიგნოს, რომ დედამიწა მხოლოდ და მხოლოდ წერტილია იმ უზარმაზარ წრესთან შედარებით, რომელსაც შემოსწერს შუქმოიეფე მზე; დაე, შეძრწუნდეს იმ აზრის გამო, რომ ეს უზარმაზარი წრეც თავის მხრივ მხოლოდ უჩინო წერტილია ცის თაღზე მსრბოლი სხვა ვარსკვლავების ორბიტებთან შედარებით.

მაგრამ, რაკი ჩვენი თვალსაწიერი შეზღუდულია, დაე, წარმოსახვა მაინც გასცდეს ხილულის ფარგლებს; ის დაიღლება, მაგრამ ვერ ამოსწურავს ბუნებას. მთელი ხილული სამყარო სხვა არა არის რა, თუ არა ქართლის მარცვალი ბუნების ვეება წიაღში. ვერავითარი იდეა ვერ მოიცავს მას. ჩვენ სულ ამაოდ ვქაბავთ გონებას, რათა გავაფართოვოთ წარმოსახვისმიერი სივრცის საზღვრები: სინამდვილესთან შედარებით ხელთ გვრჩება მხოლოდ ატომები. სამყარო უსაზღვრო და უსასრულო სფეროა, რომლის ცენტრი ყველგანაა, პერიფერია კი — არსად. უფლის ყოვლისმძლეობის ყველაზე აშკარად საგრძნობი და თვალსაჩინო გამოვლენაც სწორედ ისაა, რომ ჩვენი წარმოსახვა დაბნეული ჩერდება ამ თავზარდამცემი სიდიადის წინაშე და უკვალოდ იკარგება ღვთაებრივ აზრში.

ახლა კი, დაე, ადამიანი კვლავ მიუბრუნდეს საკუთარ თავს და შეადაროს თავისი არსება ყოველივე არსებულს; დაე, შეიცნოს, რარიგ დაკარგულია სამყაროს ამ მივიწყებულსა და მიყრუებულ კუთხეში: დაე, საცხოვრებლად მიჩენილი თავისი ბნელი დილეგიდან (მე ვგულისხმობ ხილულ სამყაროს) თავისი ნამდვილი ფასი დასდოს დედამიწას, სახელმწიფოებს, ქალაქებს და საკუთარ თავსაც"[310]...

თუმცა ეს მხოლოდ ადამიანის არათანაფარდი და არათანაზომადი უსასრულობის — ე. წ. დიადი უსასრულობის ცოცხალი ხატებაა, ავტორის ჯადოქრული სიტყვით ხორცშესხმული და გაბაგნებული. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. ადამიანის თვალწინ ცოცხლდება მეორე — მცირე უსასრულობა, პირველზე არანაკლებ გონმიუწვდომელი, თავისი შინაგანი სირთულითა და ამოუწურავი მრავალფეროვნებით არანაკლებ დამთრგუნველი და გამაოგნებელი:

„რა არის ადამიანი უსასრულობაში?" (მაგრამ არანაკლებ განსაცვიფრებელი სასწაულის წარმოსადგენად, დაე, დაუკვირდეს ერთ-ერთ ყველაზე უმცირეს არსს მისთვის ცნობილ ყველა სხვა არსთა შორის. დაე, დაუკვირდეს ტკიპის ნამცეცა სხეულს და ამ სხეულის კიდევ უფრო ნამცეცა ასოებს, დაე, წარმოიდგინოს მისი ფეხები თავისი სახსრებით, ძარღვებით, ამ ძარღვებში მიმოქცევადი სისხლით, ამ სისხლის შემადგენელი სხვადასხვა

წვენით, ამ წვენის წვეთებითა და ამ წვეთებში წინწკლებად მიმოფანტული გაზის პაწაწკინტელა ბუშტულებითურთ: დაე, კვლავ დაშალოს შემადგენელ ნაწილებად ეს უმცირესი ნაწილაკები, ვიდრე მთლიანად არ ამოსწურავს საკუთარ წარმოსახვას; ახლა კი მოდით, განვიხილოთ ზღვარი, რომელზედაც წაიფორხილა. მან შეიძლება იფიქროს, რომ ესაა ბუნების უკიდურესი სიმცირე, მე კი მსურს ახალი უფსკრულის სიღრმეში ჩავახედო იგი. მინდა დავუხატო მას არა მარტო ხილული სამყარო, არამედ ბუნების წარმოსახვისმიერი უსასრულობაც, მოქცეული ატომის ზღვრულად შეკუმშულ ფარგლებში. დაე, ადამიანმა წარმოიდგინოს ურიცხვი სამყარო ამ ატომში, სადაც თვითეულს თავისი ცარგვალი, თავისი მნათობები, თავისი მიწა აქვს და სადაც ისეთივე თანაფარდობა არსებობს, როგორც ხილულ სამყაროში, ხოლო ამ ახალ მიწაზე — თავისი ცხოველები და, ბოლოს თავის ტკიპები, რომლებიც შეიძლება თავის მხრივ დაჰყო — დაუსრულებლივ და დაუსვენებლივ, სანამ თავბრუს არ დაგახვევს ეს მეორე სასწაული, ისევე გამაოგნებელი თავისი სიმცირით, როგორც პირველი — თავისი სიდიადით. რადგან ვის არ გააოგნებს ის გარემოება, რომ ჩვენი სხეული — ესოდენ უჩინო სამყაროში — ამავე დროს, ყოველივე არსებულის წიაღში თავისი უჩინოების მიუხედავად ნამდვილი კოლოსია, მთელი სამყაროა, ან, თუ გნებავთ, ყოვლადი არსია იმ არარაობასთან შედარებით, რომლის წვდომაც წარმოსახვის ყოველგვარ უნარს აღემატება"[311]...

ორ უფსკრულს, ორ უსასრულობას შორის ზომწყვდეული საბრალო ადამიანი, თავისი სიდიადით განცვიფრებული გოლიათი და, იმავდროულად, თავისივე უმწეობითა და უბადრუკობით შეძრწუნებული ქონდრისკაცი, მარადიული გულივერივით გაოგნებული, ერთის მხრივ, მაკროკოსმოსის გრანდიოზული განზომილებებისა და, მეორეს მხრივ, მიკროკოსმოსის წარმოუდგენელი სიმცირის ჭვრეტით:

„ამაზე ფიქრი თავზარდამცემია. ვინც წარმოიდგენს, რომ ნივთიერი გარსი, რომელშიაც ის მოაქცია ბუნებამ, ორ უფსკრულს შორის ქანაობს — უსასრულობის უფსკრულსა და არარაობის უფსკრულს შორის — უთუოდ ძრწოლით აღივ-

სება ამ სასწაულის წინაშე. და მე მგონია, მისი ცნობისწადილი განცვიფრებით შეიცვლება, ხოლო ბუნების ქედმაღალი მკვლევარი მდუმარე მჭვრეტელად იქცევა.

და მართლაც, რა არის ადამიანის სამყაროში? არარაობა უსასრულობასთან შედარებით, ყველაფერი არარაობასთან, შედარებით, ანუ რაღაც საშუალო ყველაფერსა და არაფერს შორის. მას არ შეუძლია არცერთი უკიდურესობის შეცნობა: საგანთა დასაბამი და დასასრული მისთვის სამუდამოდ დაფარულია იდუმალების განუჭვრეტელი უკუნით. ის ერთნაირად უმწეოა შეიცნოს როგორც არარაობა, რომლისგანაც იშვა, ისე უსასრულობა, რომელშიაც არის დანთქმული"[312]..

არაფერია უფრო მყიფე უფრო უმტკიცო და უბადრუკი, ვიდრე ორი უსასრულობით გარშემორტყმული სასრული არსის ყოფა; არაფერია უფრო უხანო, უდღეური და ეფემერული, ვიდრე ადამიანის მსწრაფლწარმავალი სიცოცხლე, ვიდრე ჩვენი წუთისოფელი, მოქცეული ორ ტოლფარდ მარადისობას — ნამყოსა და მყოფადს შორის, რომელთაგან ერთი გარდუვალად წინ უსწრებს მის დასაბამს, ხოლო მეორე ასევე გარდუვალად მოსდევს მის დასასრულს... გალაქტიკათა უსასრულობაში დანთქმული და დაკარგული უჩინო ატომი, ორი მარადიული უკუნეთის ზღვარზე მოცახცახე უმწეო სხივი, რომელსაც განგების ურყევმა ნებამ თუ შემთხვევითობის უაზრო თამაშმა მისსავე სასიკეთოდ თუ სავალალოდ ჩაუნერგა საკუთარი უმწეობის უხანობის, მსწრაფლწარმავლობის შეგნება; შეგნება, რომელსაც თანადროული ეკზისტენციალიზმის ერთ-ერთი ბურჯი კ. იასპერსი „ერთადერთ არაღვთაებრივ გამოცხადებას" უწოდებს, მაშინ როდესაც ამავე ფილოსოფიური სკოლის ლიდერი მარტინ ჰაიდეგერი ადამიანის ამქვეყნიურ არსებობას „სასიკვდილოდ მიდრეკილ ყოფად" სახავს[313]; დიახ, პასკალი ამ ასპექტში ეკზისტენციალიზმის შორეულ, მაგრამ მაინც უშუალო წინაპრად თუ წინამორბედად გვეელინება:

„...მე ვხედავ სამყაროს საშინელ სივრცეს, რომელშიაც ვარ ჩაკეტილი; მე ვგრძნობ, რომ მიჯაჭვული ვარ ამ უვრცესი სამყაროს მხოლოდ ერთ კუნჭულს, მაგრამ არ ვიცი, რად მხედა წილად სწორედ ეს კუთხე და არა რომელიმე სხვა ადგილი, ან

რად მებოძა სასიცოცხლოდ ერთი მსწრაფლწარმავალი წამი მარადისობის სწორედ ამ და არა რომელიმე სხვა წერტილში, მარადისობისა, რომელიც წინ უსწრებს ჩემს დასაბამს და რომელიც მოსდევს ჩემს დასასრულს.

მე ვერაფერს ვხედავ ჩემს ირგვლივ, უსასრულობის გარდა, რომელშიაც ატომივით ვარ ჩაკარგული. ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ჩრდილია, რომელიც წამით ევლინება უსასრულობას, რათა ამ წამის წარხდომისთანავე უკვალოდ გაქრეს.

მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მალე მოვკვდები, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ვიცნობ სწორედ ამ სიკვდილს რომელსაც ვერ გავექცევი, ვერ ავიცილებ"[314]...

პასკალი, შოპენჰაუერი, კიერკეგორი, — აი, სამი „ეკზისტენციალიზმამდელი ეკზისტენციალისტი", რომლებმაც ყველაზე უფრო სრულად ყველაზე ღრმად და ამომწურავად გამოხატეს ბრმა კოსმიური ძალების წინაშე პირისპირ დგომით შეძრწუნებული ადამიანის გულისგამყინავი შიში, მისი უმწეობა და უსასოება, „მიგდებულობა" და მიუსაფრობა, ცხოვრების მისეული ტრაგიკული განცდის მთელი სიმწარე: „უსასრულო სივრცესა და უსასრულო დროში — წერდა შოპენჰაუერი, — ადამიანი თავის თავს აღიქვამს როგორც სასრულსა და, მაშასადამე, ამ ორ უსასრულობასთან შედარებით, მათშივე დანთქმულ-დაკარგულ, მსწრაფლწარმავალ მოვლენას; და სწორედ მათი უსაზღვროების გამო ადამიანს გააჩნია თავის ამქვეყნიური არსებობის (Dasein) დროისა და ადგილის მხოლოდ ფარდობითი, მხოლოდ რელატიური და არასოდეს — აბსოლუტური შეგრძნება... საკუთარი არსებობა მისთვის მოცემულია მხოლოდ აწმყოში, დაუოკებლად რომ ერთვის წარსულს, — მხოლოდ სიკვდილში გადასვლასა და უწყვეტ კვდომაში"[315].

სიკვდილისა და ყოველწამიერი კვდომის ასეთი განცდა როგორც შოპენჰაუერს, ისე პასკალსაც უშუალოდ ანათესავებს ეკზისტენციალისტებთან, რომლებიც ადამიანური ბუნების ყველაზე ადექვატურ და ამომწურავ ცოდნად საკუთარი არასრულქმნილებისა და მოკვდავობის შეგნებას თვლიან. სიკვდილის, როგორც ყოველგვარი ადამიანური ძალისხმევის თვითცხადი და აბსოლუტური საზღვრის წარმოდგენას ეკზისტენციალიზმში ისევეე

ადგილი უჭირავს, როგორც რელიგიაში, თუმცაღა ამ ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელნი ადამიანს არ აღუთქვამენ არავითარ იმქვეყნიურ პერსპექტივას. „ეკზისტენციალისტური ფილოსოფია — წერს ა. ჰიუბშერი, — რადიკალური სასრულობის ფილოსოფიაა"[316]. რელიგიის მსგავსად, ეკზისტენციალიზმი თვლის, რომ ადამიანი არ უნდა გაურბოდეს საკუთარი მოკვდავობის შეგნებას და ამიტომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყველაფერს, რაც გამუდმებით მოგვაგონებს მთელი ჩვენი პრაქტიკული მოღვაწეობის ამაოებას. ეს მოტივი მკვეთრად გამოხატულია ეკზისტენციალისტურ მოძღვრებაში „მომიჯნავე სიტუაციების" — გამოუვალი, ზღვრული სასიცოცხლო გარემოებების შესახებ. იასპერსის მიხედვით, ამნაირი სიტუაციები — ესაა ადამიანის ამქვეყნიური არსებობის, მისი მდგომარეობის „შიფრი", სიმბოლო. საბოლოო მარცხი, კვერს უკრავს იასპერსს სარტრი, — აი, ცხოვრების ყველაზე ზოგადი, ყველაზე დიდი სიმართლე[317]. და როცა ჩვენ ამ თვალსაზრისით ვკითხულობთ პასკალის ზოგიერთ ფრაგმენტს, გვგონია, თითქოს თანამედროვე ეკზისტენციალისტი მეტყველებს მისი პირით, ისე სრული და ღრმაა მსგავსება:

„კომედია მომხიბლავია მაგრამ სისხლიანი სცენით მთავრდება: ორი მუჭა მიწა გულზე და — მორჩა, მოგვამა ჭირი. ფარდა[318].

„წარმოიდგინეთ ბორკილდადებულ ბრალდებულთა ურიცხვი სიმრავლე, ყველას სასიკვდილო განაჩენი აქვს გამოტანილი; ვიღაცას ყოველდღე კლავენ დანარჩენთა თვალწინ. ამ დანარჩენებმაც იციან, რომ იგივე ბედი ელით, სხედან იმედგაწყვეტილნი და მწუხარედ მისჩერებიან ერთმანეთს შიშჩამდგარი თვალებით; სხედან და ელიან თავიანთ რიგს. აი, ჩვენი არსებობის ზუსტი ასლი და ხატი"[319].

უსასოება, უილაჯობა, უპერსპექტივობა, პანიკური შიში ცხოვრების წინაშე — აი, ეკზისტენციალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი. ასწლეულთა ჯაჭვში, XVII საუკუნიდან XX საუკუნემდე, ალბერ კამიუს თანახმად, მსოფლიო ისტორიის კულმინაციურ მომენტად გვევლინება სწორედ შიში, სიცოცხლისა და სამყაროს აზრის ყოველგვარი კერძო ინტერპრეტაციისაგან განუყრელი შიში გონების ძალმოსილებით თრობს

ხანას, მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის საუკუნეებს ენაცვლება საუკუნე შიშის და ძრწოლის[320]... მაგრამ თავისი მკაცრი თანმიმდევრობის მიუხედავად სახელგანთქმული ფრანგი ეკზისტენციალისტის ეს კონცეფცია მაინც სცოდავს ისტორიული სიზუსტის მხრივ. ახალი მეცნიერების ტრიუმფმა XVII საუკუნეშივე შეარყია ადამიანის ფსიქიკა და შეიძლება ითქვას, რომ ვარსკვლავიანი ცისაკენ მიმართული პირველი ტელესკოპი, ადამიანურ ცნობიერებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, დიდად როდი განსხვავდებოდა პირველი ატომური რეაქტორისგან.

ამ მოსაზრების დასტურად, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, მარტოოდენ კამიუს დიდი თანამემამულის „მსოფლშეგრძნებისა თუ მსოფლგანცდის დრამატული პათოსიც კმარა: „..სივრცეთა უსასრულობაში — წერს პოლ ვალერი, — პასკალი ვერ აღიქვამს ვერაფერს, დუმილის გარდა. და ის გვიმეღავნებს თავის „ძრწოლას“. ის მწარედ მოსთქვამს. სამყაროში თავის „მიგდებულობას“ და მიუსაფრობას. ის ვერ ხედავს მას, ვინც ღაღადა იერემიას პირით: „Coelum et terram ego impleo“[321]. და ეს უცნაური ქრისტიანი ვეღარ პოულობს მამაზეციერს ცათა შინა... პირიქით, ის ამბობს: „როდესაც ვხედავ კაცთა სიბრმავეს და სისაწყლეს. როდესაც ვუმზერ მუნჯ სამყაროს და ნათლისაგან განძარცულ თავისი თავის ამარა შთენილ სამყაროს ამ უბადრუკ კუთხეში ჩაკარგულ მოყვასს, რომელმაც არ იცის, ვინ მოიყვანა აქ, რისთვის მოვიდა, ან რა ელის სიკვდილის შემდეგ, — თავზარდაცემული ვძრწი, როგორც კაცი, რომელიც მძინარე ასწიეს და უკაცურსა და უდაბურ კუნძულზე გადაიყვანეს“[322]...

„ძრწოლა“, „შეძრწუნებული“, „შემაძრწუნებელი“; „მარადიული დუმილი“, „მუნჯი სამყარო“, — აი, როგორ ლაპარაკობს ყოველივე ამის შესახებ, რაც გარს არტყია, ჩვენი პლანეტა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი გონება“[323]...

ადამიანი, ოდესღაც შესაქმის გვირგვინად და სამყაროს ცენტრად დასახული ადამიანი, თანდათანობით უცხო ხდება სამყაროსათვის. წვეთი — ზღვაში, ხე — უღრან ტყეში ათასწილ უფრო „ბედნიერია“, ათასწილ უფრო თავის საკუთარ სტიქიაშია, ვიდრე ადამიანი — სამყაროში. დაირღვა ათასწლოვანი რწმენით შეკრული და შედუღებული ერთობა, ჩატყდა ხიდი, რომელიც

ესოდენ მყარი ჩანდა, მგრძნობიარე და მოაზროვნე სუბიექტსა და უგრძნობელსა და უაზრო ობიექტს შორის თითქოს სამუდამოდ გაიკლაკნა საზარელი, უნაპირო და უძირო ნაპრალი. „რეალური“ სიცარიელე, სიმწირე, სიდუხჭირე, — „ილუზორული“ სისავსის, სიუხვის, სიმდიდრის ნაცვლად („გალილეი — წერს ბერტრან რასელი, — ეჭვის თვალით უყურებდა არისტოტელეს შოძღვრებასაც და საღმრთო წერილსაც და, ამრიგად, ანგრევდა შუა საუკუნეების მეცნიერების მთელ სისტემას. მის წინამორბედებს ეგონათ, თითქოს იცოდნენ, როგორ შეიქმნა სამყარო, რაში მდგომარეობს ადამიანის დანიშნულება, როგორია მეტაფიზიკის ყველა უღრმესი საიდუმლოებისა თუ სხეულთა მოძრაობის განმსაზღვრელ საწყისთა ბუნება. ისინი ფიქრობდნენ, რომ არაფერი მთელს სამყაროში, — არც სულიერი და არც ნივთიერი, — დაფარული არ იყო მათთვის; არ არსებობდა არავითარი საიდუმლოება, არც რამ ისეთი, რის გადმოცემასაც ვერ შესძლებდნენ ხილოგიზმების საშუალებით. მერედა, რას უტოვებდა გალილეი თავის მიმდევრებს მთელს ამ სიმდიდრესთან შედარებით? სხეულთა ვარდნის კანონს, ქანქარის რხევის თეორიას, კეპლერის ელიპსებს? რა გასაკვირია, რომ საუკუნეებით დაგროვილი სიმდიდრის ნგრევამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია?“[324])... თითქოს სამყაროს მთელ სტრუქტურაზე გავრცელდა პასკალის მიერ აღმოჩენილი ფიზიკური სინამდვილის კერძო კანონზომიერება — ბუნებას არ ეშინია სიცარიელის. მაგრამ, აი ცნობიერებას კი ეშინია; ეშინია თავისი ერთადერთობის, განსაკუთრებულობის, განკერძოების; ეშინია უაზრობის, უგონობის, უთვისტომობის; ეშინია სამყაროული სიმუნჯის, სიბრმავის, სიყრუის; ეშინია უპერსპექტივობის, დიახ, უწინარეს და უმეტეს ყოვლისა, უპერსპექტივობის, ვინაიდან თუ სამყარო აზრისაგან განძარცულია, მაშინ ცნობიერების უწყვეტი რუდუნებისა და თავგანწირული ძალისხმევის საბოლოო შედეგად გვეელინება მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო იმედგაცრუება, აბსურდი, სასოწარკვეთა, — კოშმარული განცდა, რომელიც კლასიკური სიზუსტით გამოხატა პოლ ვალერიმ: „სამყაროსა და სულის სიცოცხლე გრძელდება მხოლოდ იმ წინააღმდეგობის წყალობით, რასაც ძნელად საცნაური საგნები გვიწევენ. საკმარისია

ყველაფერი შევიცნოთ, რომ ყოველივე გაქრეს, განქარდეს. ცნობიერების მიერ კიდით-კიდემდე განწრონილი სამყაროს არსებობა იმდენადვე იქნება შესაძლებელი, რამდენადაც მხილებული გაიძვერობა ან გაქნილი თვალთმაქცის ოინი, რომლის საიდუმლო აღარავისთვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას"[325].

ამიერიდან, ეკზისტენციალიზმის თანახმად, უკვე შეუძლებელია ყოფიერების აზრსა თუ დანიშნულებაზე სერიოზული მსჯელობა. ციურიხელი ფსიქიატრისა და ფილოსოფოსის ეუგენ ბლოილერის მიხედვით, ცხოვრების აზრის ძიება არანაკლებ ყალბია, ვიდრე კვლევა იმისა, თუ რამდენ პროცენტ წყალს შეიცავს „სამართლიანობის" ცნება[326]... ფუჭია ყველა მარადიული კითხვა: ვინა ვარ მე, რა ადგილი მიჭირავს სამყაროში, რისთვის ვარსებობ, ან რა მელის სიკვდილის შემდეგ? ფუჭია, რადგან მარადიული დიალოგი კაცსა და სამყაროს შორის ამიერიდან ყრუ-მუნჯის დიალოგს უფრო მოგვაგონებს.

„მე არ ვიცი, ვინ წარმომგზავნა ამქვეყნად, არ ვიცი, რაა სამყარო, არ ვიცი, ვინა ვარ მე. ო, საშინელი და სრული უმეცრება ჩემი . მე არ ვიცი, რა არის ჩემი სხეული, ჩემი გრძნობა, ჩემი სული და ჩემი არსების ის ნაწილი, რომელიც ფიქრობს იმას, რასაც მე ვამბობ: რომელიც ცდილობს აზრით მისწვდეს და შეიცნოს ყველაფერი, შეიცნოს თავისი თავიც, მაგრამ უკვე როდი იცნობს საკუთარ თავს, ვიდრე სხვა დანარჩენს... არ ვიცი, საიდან მოვედი; არ ვიცი, სად უნდა წავიდე. ვიცი მხოლოდ, რომ გარდასვლის შემდეგ ან არარაობად ვიქცევი, ან უფლის რისხვის საბრალო მსხვერპლად, მაგრამ არ ვიცი, ამ ორი შესაძლო ხვედრიდან რომელი მელის, რომელს მარგუნებს ბედისწერა. აი, ჩემი მდგომარეობა: უბადრუკობა, უმწეობა და უკუნეთი"[327].

მაშასადამე, ფუჭია ჩვენი გონებაც, უმწეოა ჩვენი ტანჯული აზრიც? ყოვლისმომცველი ცოდნა ისევე შეუძლებელია, როგორც სრული არცოდნა, რაც ისევ და ისევ ჩვენი არათანაზომადობით (disproportion), ორ უსასრულობასა და ორ მარადისობას შორის მოქცეული ადამიანის შუალედური მდგომარეობითაა განპირობებული ჭეშმარიტი ცოდნის წყურვილი და მისი დაცხრომის შ უძლებლობა, საბედისწერო გათიშულობა საოცნებო იდეალსა და მკაცრ სი-

ნამდვილეს შორის, — აი, თანდაყოლილი სიმწირე ჩვენი სულისა, უცნაური წამება ჩვენი:

„...აი, ჩვენი ხვედრი. ჩვენთვის თანაბრად მიუწვდომელია როგორც ყოვლისმომცველი ცოდნა, ისე სრული უმეცრებაც, ჩვენ მივცურავთ უსაზღვროების ზედაპირზე, არ ვიცით საით, რაღაც გვერეკება, კიდიდან კიდეს გვახეთქებს. აი, მივაღწიეთ მყუდრო ნავსაყუდელს, გვსურს გადმოვხდეთ, სული მოვითქვათ, მაგრამ ის ირყევა, ტორტმანებს, ფეხქვეშ გვეცლება, გვტოვებს. ჩვენ მივდევთ, ეგებ დავეწიოთ, ჩავებღაუჭოთ, მაგრამ ის კვლავ გვისხლტება, კვლავინდებურად გვტოვებს; და ამ დევნას არ უჩანს ბოლო. ირგვლივ არაფერია ურყევი. ასეთია ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობა, და მაინც ის სრულიად არაბუნებრივად ეჩვენება ჩვენს გრძნობებს. ჩვენ ხარბად მიველტვით მკვიდრ სამყოფელს, გვსურს ფეხქვეშ ვგრძნობდეთ მყარ ნიადაგს, რათა ცადაზიდული გოდოლი აღვმართოთ ზედ, მაგრამ ჩვენი საძირკველი ირღვევა და ხახადაფჩენილი ნაპრალიდან უფსკრულის ავბედითი თვალი გვიცქერის.

მაშ, ნუღარ ვეძებთ სიმყარეს და სიმკვიდრეს. ჩვენი გონება ყოველთვის მოტყუვდება ხილული სინამდვილის არამდგრადობით: სასრული ვერასოდეს ვერა ჰპოვებს საიმედო საყრდენს ორ უსასრულობას შორის, რომლებიც მას გარს ერტყმიან და გაურბიან.

ვინც ეს შეიცნო, ჩემის აზრით, სამუდამოდ დაცხრება და აღარასოდეს შეეცდება ბუნების მიერ დადგენილი ზღვარის დარღვევას. შუალედური მდგომარეობა, რომელიც ბედისწერამ გვარგუნა წილად, თანაბრად დაშორებულია ორივე უკიდურესობისაგან. მაშ, რა შნიშვნელობა აქვს, ცოტა მეტი იცის კაცმა თუ ცოტა ნაკლები? თუ მეტი იცის, მისი თვალსაწიერი რამდენადმე უფრო ფართოა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, განა უსასრულოდ დაშორიბული არ არის მიზანს, ხოლო მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა — მარადისობას? ამიტომ განა სულერთი არ არის, ათი წლით ადრე მოკვდება თუ გვიან?

ამ ორ უსასრულობასთან შედარებით ყველა სასრული სიდიდე ერთმანეთის ტოლფარდი ხდება და მე არ ვიცი, რატომ უნდა ამჯობინოს ჩვენმა წარმოსახვამ ერთი მეორეს? მარტო ჩვენი თავის შედარება ამა თუ იმ სასრულთან დამთრგუნველად მოქმედებს ჩვენზე“[328]...

ხომ ესოდენ უმწეოა უსასრულობის პირისპირ მდგომი სასრული არსის გონება, — ერთთავად გარეთ მიმართული, გარემომცველ სინამდვილეზე მირიადი უხილავი ძაფით მიბმული; გონება, რომელიც ყოველთვის ხსნის, განმარტავს, იკვლევს, ამტკიცებს, თუმცა ყოველგვარი ახსნა, ყოველგვარი მტკიცება, რაციონალური შემეცნების ყოველგვარი კონსტრუქცია მუდამ ერთგვარი „დაუმთავრებლობის“ ნიშნითაა აღბეჭდილი: ტაძარი, რომელსაც აკლია გუმბათი... სამყაროს უსასრულობით გარემოცული გონება უძლურია აზრით მისწვდეს, აზრით მოიცავს ამ უსასრულობის მთელი თვისებრივი მრავალფეროვნება: საბრალო მეთევზე, ამაოდ რომ ცდილობს ანკესით დაიჭიროს ვეშაპი, რომლის სახელია ჭეშმარიტება... მაგრამ ადამიანის უბადრუკობა მარტოოდენ გონების მკაცრად დასაზღვრული სიმწირითა და სივიწროვით[329] როდია განპირობებული: ორ უსასრულობას და ორ მარადისობას შორის მოქცეული წარმავალი და სასრული არსის გრძნობაც ისევე არასრულქმნილია, მოუქნელი, მოუხეშავი, ისევე უმწეო და უსუსური, როგორც მისი გონება.

„...ჩვენ ყოველმხრივ შეზღუდულნი ვართ. ამ გარემოებამ განაპირობა ჩვენი შუალედური მდგომარეობა ორ უკიდურესობას შორის. აი, მთელი ჩვენი ძალმოსილება. ჩვენი გრძნობები ვერ აღიქვამენ ვერავითარ უკიდურესობას: მეტისმეტი ხმაური გვაყრუებს; მეტისმეტად ძლიერი შუქი გვაბრმავებს; მეტისმეტი სიშორე ან სიახლოვე მზერას გვიჩლუნგებს; მეტისმეტად გრძელი ან მეტისმეტად მოკლე მსჯელობა მისი გაგების უნარს გვიხშობს; მეტისმეტად ნათელი ჭეშმარიტება გვაცვიფრებს... პირველსაწყისი მეტისმეტად ცხადი გვეჩვენება; მეტისმეტი განცხრომა გვვნებს; მეტისმეტად ტკბილ თანხმიერებას უსიამოვნებად აღვიქვამთ... ჩვენ ვერც მეტისმეტ სიცხესა ვგრძნობთ და ვერც სიცივეს; ჩვენ საერთოდ ვერ აღვიქვამთ ვერავითარ უკიდურესობას, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც გვვნებს ჩვენ... მოკლედ, კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ არც ერთი უკიდურესობა არ არსებობს ჩვენთვის, ხოლო ჩვენ — მათთვის: ან ისინი გვისხლტებიან ხელიდან, ან, პირიქით, ჩვენ ვუსხლტებით მათ“[330]...

აქედან — ჩვენი შემეცნების უკმარისობა, ადამიანური ცოდნის უსრულობა, ზედაპირულობა, ფრაგმენტულობა. რა ფასი აქვს სიცრუით მიკვლეულ სიმართლეს, არაჭეშმარიტით მოპოვებულ ჭეშ-

მარიტებას, ან სიმრუდით გაზომილსა და შეფასებულ სიწრფელეს? თუ ეტალონი არაზუსტია, მაშინ ყოველგვარი გაზომვის, თვით ყველაზე ზუსტი და გულმოდგინე გაზომვის შედეგიც არაზუსტია. მრუდე სარკეში ყველაფერი მრუდედ ირეკლება:

„...ადამიანი ცთომითაა სავსე, და მისი ცთომა ბუნებრივია და წარუვალი ღვთაებრივი მადლის გარეშე. არაფერი არ უმეღავნებს ჭეშმარიტებას, ყველაფერი ატყუებს მას. გონებასა და გრძნობას, ჭეშმარიტების წვდომის ამ ორ ძირითად წყაროს, ჯერ ერთი, გულწრფელობა აკლიათ და, ეგეც არ იყოს, ისინი გამუდმებით ატყუებენ ერთიმეორეს. გრძნობები ყალბი მოჩვენებებით აცთუნებენ გონებას; სამაგიეროდ, გონებაც არ რჩება ვალში, და, თავის მხრივ, აცთუნებს მათ. სულის ვნებები ამღვრევენ გრძნობებს და ყალბ შთაბეჭდილებებს ახვევენ თავზე. ისინი საოცრად ტყუიან და თავსაც იტყუებენ“[331]...

მერედა, რამდენი სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს ამ „ყალბი მოჩვენებების“ მძლეთამძლეობას. ადამიანის სულიერი წყობის, მისი ბუნების საერთო სტრუქტურისა და ცნობიერების მექანიზმის არასრულქმნილება, — აი, პასკალის აზრით, შემეცნების მცდარობისა და ცთომილების, გარე სამყაროს არაადექვატური რეპროდუცირების, სინამდვილის გაყალბებისა და დამახინჯების, ათასგვარი ცრურწმენის წყარო. ამ მხრივ, „აზრების“ ავტორი უშუალოდ აგრძელებს თავისი დიდი წინამორბედის — ფრენსის ბეკონისა (1561 — 1626) და რენე დეკარტის (1596 — 1650) ფსიქოლოგიზმს. თვით პასკალისეული „მოჩვენებები“ ბეკონის ტერმინის ზუსტ ასლს გვაგონებს: ადამიანის გრძნობებისა თუ გონების ყველა უხეშ შეცდომას, მის ყველა თვითცთუნებას თუ თვითგაცრუებას, ინგლისელი ფილოსოფოსი „იდოლებს“ (idola), ე. ი. „მოჩვენებებს“, „ლანდებს“, „აჩრდილებს“ უწოდებს და ერთმანეთისაგან განასხვავებს მათ ოთხ ძირითად ტიპს:

„ტომის აჩრდილები“ (idola tribus), რომლებიც ნიშნეულია კაცთა მთელი მოდგმისათვის, ვინაიდან ყოველი ჩვენგანი შესამეცნებელ საგანთა ბუნებას საკუთარი სულის ბუნებას უზავებს[332]. „აჩრდილთა“ ამავე რიგს ეკუთვნის მეცნიერულ თეორიათა უსაფუძვლო ექსტრაპოლაციები, სამყაროს თავსმოხვეული ტელეოლოგიური ილუზიები, აზროვნების ინერცია[333], მისი სულსწრაფობა და სულწასულობა, რაც შეიძლება საჩქაროდ, სახელდახელოდ „ახსნას“

ყველაფერი (თუნდაც ზერელე და ზედაპირული ანალოგიების გზით)[334], ბუნების ყოვლად გაუმართლებელი ანთროპომორფიზაცია და ა. შ... „მღვიმის აჩრდილები“ (idola specus)[335], რომელთაგან ზოგი ბუნებით თანდაყოლილია, ზოგი კი „აღზრდისა“ და სხვებთან ურთიერთობისაგან იღებს დასაბამს[336]. კაცთა სხვადასხვაგვარი მიზნები, მისწრაფებები, ინტერესები. ინტელექტუალური ძალისხმევის სხვადასხვაობა და შეფასების სხვადასხვანაირი კრიტერიუმი, რომლებიც ხშირად განაპირობებენ მეცნიერული კვლევის ერთ სფეროში ცოდნის სულ სხვა დარგის სპეციფიკის მექანიკურ გადანერგვას, აგრეთვე დასაბამს აძლევენ ამ „აჩრდილებს“. შემდეგ მოდის „ბაზრის აჩრდილები“ (idola fori) — სოციალური ცხოვრების უკეთმართობით განპირობებულ ცთომილებათა ერთობლიობა. მონური ქედმოდრეკილობა საზოგადოებრივი აზრის, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებების, ცრურწმენათა დამთრგუნველი ძალის წინაშე, — აი, წყარო და სათავე „ბაზრის აჩრდილებისა“[337]. და ბოლოს, „თეატრის აჩრდილები“ (idola theatri) — სინამდვილის გამყალბებელი ფსევდო-მეცნიერული თეორიებისა და ფილოსოფიური სისტემების ზეგავლენით გამოწვეული ყოველგვარი ცთომა სულისა...

რა ბედნიერება იქნებოდა, რომ ამით ამოიწურებოდეს ცნობიერების მთელი მანკიერება, გონებისა და გრძნობის ყველა ნაკლი. ვაი რომ არა! „აჩრდილებს“ თან ერთვის სულის „მაცთუნებელ უნართა“ (les puissances troumpeuses) მრავალრიცხოვანი წყება: აი, თუნდაც, წარმოსახვა[338] — „ცთუნების სათავე, შეცდომებისა და სიცრუის წყარო, მით უფრო ცბიერი, რომ ყოველთვის როდი ცბიერობს... ეს ამაყი და მძლავრი ძალა, გონების მტერი, გონებისა, რომელიც ამაოდ ცდილობს მის მართვას, მის მოთოკვას და დაურვებას, — თავისი ძალმოსილების დასამტკიცებლად თითქოს მეორე ბუნებას ქმნის ადამიანში... ის აიძულებს გონებას იწამოს, დაეჭვდეს, უარყოს; ის აჩლუნგებს და ამძაფრებს გრძნობებს; აბრძენებს და ალენჩებს ხალხს... მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩვენს ქცევას წარმოსახვის თავქარიანობა განაპირობებს. ვინაიდან ყველაზე ნათელი და მტკიცე გონებაც, ბოლოს და ბოლოს, ქედს იხრის და მონურად ემორჩილება მისთვის უცხო და უცნაურ წესებს, რომლებსაც ყველგან თვითნებურად ნერგავს წარმოსახვა...

ის თავის ნებაზე ატრიალებს ყველაფერს, რაც კი რამედ ფასობს ამქვეყნად. — მშვენიერებას, სამართლიანობას, ბედნიერებას... აი, დაახლოებით ამ ცრუ უნარის ყველა შედეგი, უნარისა, რომელიც თითქოს იმიტომ გვებოძა, რომ შეუმცდარად შეგვაცდინოს და შეუცდომლად გვაცთუნოს, თუმცა, იცოცხლე, ცთომის სხვა წყაროებითაც ყელამდე ვართ სავსენი"[339]...

ხოლო ცთომის ამ წყაროთა შორის, პასკალის მიხედვით, უთუოდ ყველაზე მავნეა „თავმოყვრეობა" (amour-propre), რომლის ცნებაში „აზრების" ავტორი გულისხმობს არა ადამიანის მიერ საკუთარი ღირსების გრძნობას, არა თავისი ერთადერთობის, განუმეორებელი თავისთავადობისა და ინდივიდუალური თვითღირებულების შეგნებით აღძრულ კანონიერ სიამაყეს, არამედ ცუდმედიდობას, სუბიექტური ნების სიმრუდეს, სულის ეგოისტურ განწყობილებას[340]. ეს ეგოიზმი თუ ეგოცენტრიზმი კი, უწინარეს ყოვლისა, ეწინააღმდეგება მორალურ კანონს, ეწინააღმდეგება სიკეთეს, ვინაიდან „კეთილია მხოლოდ ნება, მხოლოდ მოვალეობის შესატყვისი ნება; ის შეესატყვისება მოვალეობას მხოლოდ მაშინ, როცა ასრულებს მოვალეობას მოვალეობის გულისთვის, როცა ასრულებს კანონს კანონისადმი პატივისცემის გულისთვის. კეთილია მხოლოდ ის ნება, რომლის ქცევა და აზრისმიერი განწყობილება შეესატყვისება კანონს, ნება, რომლის კანონს და მაქსიმასაც[341] არ გააჩნია სხვა შინაარსი, მოვალეობის გარდა"[342].

მაგრამ თავმოყვარეობა მიუღებელი და მიუტევებელია არა მარტო ეთიკური თვალსაზრისით: ეს მღვრიე გრძნობა, რომელიც მრუდე გეზით წარმართავს ჩვენს ნებას, ლიბრივით ეკვრის გონების თვალს, ჩრდილავს აზრის სიცხადეს და, ამრიგად, გვიჩლუნგებს შემეცნებისა და, კერძოდ, თვითშემეცნების უნარს, რაკიღა არასდიდებით არ აღიარებს თავმოთნეობით შეუფერავსა და შეულამაზებელ სიმართლეს:

„თავმოყვარეობისა და, საერთოდ. ადამიანური „მე"-ს ნამდვილი არსი თავისი თავის სიყვარულია და მხოლოდ საკუთარი თავისთვის ზრუნვა. ესაა და ეს. მას არ ძალუძს ათასგვარი ნაკლისა და მანკიერებისაგან განკურნოს თავისი სიყვარულის საგანი. „მე"-ს სურს იყოს დიადი, მაგრამ გრძნობს, რომ უბადრუკია; მას სურს იყოს ბედნიერი, მაგრამ ხედავს, რომ უბედურია; მას სურს იყოს სრულ-

ქმნილი, მაგრამ იცის, რომ არასრულქმნილებით სავსეა; მას სურს ყველა ადიდებდეს და თაყვანს სცემდეს, მაგრამ ხვდება, რომ მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს იწვევს სხვებში. ეს წინააღმდეგობა ყველაზე უსამართლო და ყველაზე ბრალეულ გრძნობას ბადებს ადამიანში: მძაფრ სიძულვილს სიმართლის მიმართ, სიმართლისა, რომელიც თვალს არ ხუჭავს და დაუნდობლად ამხილებს მის მანკიერებას. მას სურს მოსპოს სიმართლე, მაგრამ რაკი საკუთრივ სიმართლის მოსპობა არ შეუძლია, ცდილობს საკუთარ შეგნებაში მაინც ჩაკლას, ან სხვის სულში ჩაახშოს იგი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველნაირად ცდილობს დაუმალოს თავისი ნაკლი როგორც სხვას, ისე საკუთარ თავსაც, და ვერ იტანს, როცა ვინმე ხედავს ამ ნაკლს, ან ცდილობს თვით მას დაანახოს იგი"[343]...

„მაცთუნებელ უნართა" რიცხვს პასკალი აკუთვნებს აგრეთვე „ამაოებას" (vanité), რომლის წყალობითაც ამქვეყნიური არსებობის უბადრუკობას ადამიანები ყველაზე დიდ ფასეულობად თვლიან და სწორედ ამიტომ სახელისა და დიდების მოხვეჭას სახავენ ცხოვრების უმაღლეს მიზნად, „სიამაყეს" (orgueil), რომელიც, გარკვეული აზრით, „ამაოების" კერძო სახედ გვევლინება, „პატივმოყვარეობას" (recherche de la gloire), ჩვენი ბუნების „უმტკიცობას", მის ყოველწამიერ „ცვალებადობას" (inconstance)[344] და ა. შ. („პასკალისათვის ყოველთვის თავზარდამცემი რეალობა იყო ყოველივე ადამიანურის ეს უმტკიცობა. ყველაზე კეთილშობილური და თვით ყველაზე მომხიბვლელი მიდრეკილების ეს უფლმივი ცვალებადობა, ჩვენი სინამდვილის და თვით ჩვენი მსწრაფლწარმავლობა"[345]).

მერედა, როგორ იქცევა „ცოფმის ამდენი წყაროთი ყალამდე სავსე" კაცი? ცდილობს ზუსტი და გულმოდგინე თვითანალიზის გზით შეიცნოს საკუთარი გულისა და გონების ყველა ნაკლი, ცნობიერების მთელი მანკიერება, რათა დასძლიოს „მაცდუნებელ უნართა" მოქმედების ყველა შედეგი და, ამრიგად, ეზიაროს ჭეშმარიტ ცოდნას, ნათელსა და შეუმღვრეველ ბედნიერებას? პირიქით, თვითანალიზის ნაცვლად ის მიელტვის თავდავიწყებას, თითქოს სურს ბუნებით თანდაყოლილ ამდენ პირქუშ „აჩრდილს" ხელოვნური „აჩრდილებიც" ზედ მიუსართოს:

„კაცი უთუოდ ფიქრისათვის არის შექმნილი; ესაა მთელი სიცი ღირსება და უმთავრესი დანიშნულება; უპირველესი მოვალეობა კი

ისაა, რომ კეთლგონივრულად იფიქროს. რაც შეეხება დასაწყისს, რასაკვირველია, თავის თავზე, თავის შემოქმედსა და თავის აღსასრულზე ფიქრით უნდა დაიწყოს.

მაგრამ რაზე ფიქრობენ კაცნი? ამაზე? არა, მათი საფიქრალი სულ სხვა რამეა: ტაშ-ფანდური. ცეკვა, სიმღერა, ლექსების თხზვა, დროსტარება, ომი, სამეფოს ხელში ჩაგდება და ა. შ. და ა. შ., ისე რომ ერთხელაც არ დაფიქრდებიან, ერთხელაც არ ჰკითხავენ თავიანთ თავს: რას ნიშნავს იყო მეფე? რას ნიშნავს გერქვას ადამიანი?"[346].

აი. რატომაა, რომ ადამიანისათვის თანდათანობით უცხო ხდება დიადი ზნეობრივი თუ გნოსეოლოგიური იმპერატივი, რომელიც სოკრატემ უანდერძა კაცობრიობას: „შეიცან თავი შენი!"... და რაკი რამდენიმე მარადიული კითხვის პასუხი არ მოეძებნება, რაკი ორიოდე მარადიული პრობლემის გადაჭრა არ შეუძლია, ის ცდილობს საერთოდ არ იფიქროს ამ პრომლემებზე:

„ადამიანებს არ შეუძლიათ თავიდან აიცილონ სიკვდილი, უმეცრება, უბედურება, მაგრამ ისინი ცდილობენ არ იფიქრონ ყოველივე ამის შესახებ და ამ გზით მაინც ეზიარონ ბედნიერებას"[347].

„...ათასგვარი უბედურების მიუხედავად, კაცს სურს ბედნიერი იყოს, დიახ, მას სურს ბედნიერი იყოს და არ შეუძლია არ სურდეს ეს. მაგრამ როგორ ეზიარონ ბედნიერებას? სიმართლე თუ გნებავთ, ერთადერთი გზით: უკვდავი უნდა გახდეს, მაგრამ რაკი ეს შეუძლებელია, ის ცდილობს საერთოდ არ იფიქროს ამაზე"[348].

პასკალის მიზანი ნათელია: განგვაცვიფროს და თხემით ტერფამდე შეგვძრას ჩვენივე ზერელობითა და ზედაპირულობით, ზნეობის, მრწამსის, შემეცნებისა და, საერთოდ, ცხოვრების კარდინალურ საკითხთა მიმართ ჩვენი თავქარიანი დამოკიდებულებით, ჩვენი გულგრილობითა და ინდიფერენტულობით. ადამიანის სულიერმა სიმწირემ და სიღატაკემ განაპირობა ჩვენი ამნაირი განწყობილება, მაგრამ ამნაირმა განწყობილებამ ვერ განკურნა სულის სიმწირე. რატომ უნდა ავიტკიოთ აუტკივარი თავი, რატომ ვევნოთ, რატომ ვეწამოთ, თუკი ბევრი მარადიული კითხვა უპასუხო კითხვადვე რჩება, თუკი ბევრი ზოგადსაკაცობრიო პრობლემის გადაჭრა ჩვენს ძალღონეს აღემატება? მაგრამ თუ ჭეშმარიტი ცოდნა მიუღწეველია, სოლო ჭეშმარიტი ბედნიერება — მიუწვდომელი და მოუხელთებელი, რაღა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ილუზორული ბედნიერებით

მოვიტყუოთ და გავიბრუოთ თავი? ბედნიერების ამ ილუზიას კი არაფერი გვიქმნის უფრო სრულად და ამომწურავად, ვიდრე გართობა დროსტარება, თავდავიწყება, თუმცაღა ცთუნების ლიბრით დაუბინდავი სულისათვის ყოველივე ეს უბედურება უფროა, ვიდრე საოცნებო ბედნიერება:

„გართობა ჩვენი ერთადერთი ნუგეშია უბედობაში და, იმავდროულად, უდიდეაი უბედურება: ჩვენსავე თავზე ფიქრის ნებას რომ არა გვრთავს, ის შეუჩნეველად მიგვიძღვის აღსასრულისკენ. გართობა რომ არა, ისეთივე აუტანელი სევდა დაგვეუფლებოდა, რომ უთუოდ დავიწყებდით გამოსავლის ძიებას, მხოლოდ უფრო უკეთესი გამოსავლისას. გართობა კი თავს გვავიწყებინებს, და ჩვენ უგრძნობლად ვუახლოვდებით სიკვდილს“[349].

ამ თვალსაზრისით, არა მარტო ბანქოს თამაში, დროსტარება, ღრეობა, ბალ-მასკარადი, ნადირობა, სიყვარული, სტუმარ-მასპინძლობა, არამედ მთელი პოლიტიკა, დიპლომატია, ომი, სახელისა თუ სიმდიდრის მოხვეჭისათვის ზრუნვა, მამულისა თუ სანელმწიფოს მართვა და ა. შ. და ა. შ., მოკლედ, კაცთა ყოველგვარი საქმიანობა სხვა არა არის რა, თუ არა გართობის, თავდავიწყებისა და, ამ გზით, ილუზორულ ბედნიერებასთან ზიარების საშუალება:

კაცისთვის ყველაზე უფრო აუტანელია სიმშვიდე, რომელსაც არც ვნება ამღვრევს, არც საქმე, არც გართობა და არც ფუსფუსი: მაშინ ის ყველაზე აშკარად გრძნობს თავის არარაობას, მიუსაფრობას, უბადრუკობას, დამოკიდებულებას, უმწეობას, სიცარიელეს. სულის სიღრმიდან მეყვსეულად ამოითხევა პირქუში სევდა, მწუხარება, სიმწარე, ზიზღი, სიძულვილი, სასოწარკვეთა“[350].

დიახ, ადამიანი ესოდენ მძაფრად სწორედ იმიტომ მიელტვის გართობას, განცხრომას, თავდავიწყებას, რომ ის თავისი შეჭირვებული მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავლად ესახება: „...აი, რატომაა, რომ კაცს ყველაფერს ურჩევნია თამაში და ქალებთან ლაყბობა, რატომაა, რომ ასე გულდაგულ მიიწევს ომში, ან რად ცდილობს საგმირო საქმეებით თავგამოჩენას. არა, ბედნიერების იმედი როდი აქვს; არც ის სწამს, თითქოს ბანქოში მოგებული ფული ან მონადირებული კურდღელი ჭეშმარიტ ბედნიერებას მიანიჭებს: ჯანდაბას მოგება, ჭირსაც წაუღია კურდღელი. ჩვენ ვეძებთ არა იმ უშფოთველი და მცონარე არსებობის შესაძლებლობას, რომელიც საკმაო მოცალეობას გვიტოვებს, რათა ჩვენს უბედურ ხვედ-

რზე ვიფიქროთ, ჩვენ მიველტვით არა ომის საშინელებასა თუ გმირულ ჭირთათმენას, არამედ მხოლოდ შეხლა-შემოხლას, მხოლოდ და მხოლოდ ორომტრიალს, რომელიც გვართობს და, ამრიგად, მტანჯველი ფიქრის საშუალებას არ გვაძლევს.

აი, რატომაა, რომ კაცს ასერიგად უყვარს განუწყვეტელი ყიჟინი და მოძრაობა: რატომ აღიქვამს ციხეში ჩასმას ესოდენ საზარელ სასჯელად რატომ ასე გონებამიუწვდომელი ეჩვენება მარტოობის მომხიბვლელობა. მეფის კეთილდღეობის ყველაზე დიდი უპირატესობა სწორედ ის არის, რომ მას განუწყვეტლივ ართობენ და არავითარ განცხორამასა და სიამოვნებას არ აკლებენ.

კარისკაცებს მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვთ: როგორმე გაართონ მეფე და თავის თავზე ფიქრის საშუალება არ მისცენ, რადგან მეფე, მართალია, მეფეა, მაგრამ მაინც უბედურია, როცა საკუთარ თავზე ფიქრობს.

ადამიანებს ჰგონიათ, რომ ამა თუ იმ თანამდებობის ხელში ჩაგდება სიმშვიდესა და ბედნიერებას მიანიჭებთ. ისინი ვერ გრძნობენ, რა უძღებია მათი სიხარბე და გულუბრყვილოდ ჰგონიათ, მართლაც სიმშვიდეს დავეძებთო, თუმცა სინამდვილეში მხოლოდ შფოთს, აყალ-მაყალსა და შეხლა-შემოხლას დაეძებენ.

იდუმალი ინსტინქტი აიძულებს მათ გამუდმებით ეძებონ გართობა, ხელი მიჰყონ ათასგვარ საქმეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეცნობიერად გრძნობენ თავიანთი არსებობის სიმწარეს და უბედურებას"[351].

ამრიგად, ჩვენ უბედურნი ვართ, მაგრამ გვინდა ბედნიერნი ვიყოთ, და არ არსებობს ჩვენში უფრო მძლე საწყისი, ვიდრე ბედნიერების — უსასრულო, უსაზღვრო, თავბრუდამხვევი ბედნიერების ეს შმაგი წყურვილი: „ყველა კაცი მიელტვის ბედნიერებას; უკლებლივ ყველა კაცი. მათი საშუალებები სხვადასხვაა, მიზანი — ერთი. ყველა თავისებურად მიელტვის მას. ბედნიერების საძებნად ერთი თუ ომში მიდის, მეორე შინ ჯდომას არჩევს: ერთი და იგივე სურვილი, ორი სხვადასხვა თვალსაზრისი. ადამიანის ნება მხოლოდ ამ მიზნისკენ სწრაფვითაა განსაზღვრული. ესაა ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერი ქცევის მოტივი, იმისაც კი, ვინც თავის ჩამოხრჩობას აპირებს"[352]...

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვინ მოგვაშავა ეს ნანატრი ბედნიერება? ვინ არის ამქვეყნად ბედნიერი, თავისი ხვედრით კმაყოფი-

ლი, უშფოთველი, უდრტვინველი, აუმღვრეველი? არავინ! არავინ! („ყველა თავის ხვედრს უჩივის — ბატონი თუ ყმა, დიდებული თუ მდაბიო, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ძლიერი თუ უძლური, მეცნიერი თუ უმეცარი, ჯანმრთელი თუ სნეული, — ყველა უკლებლივ. მიუხედავად იმისა, თუ სად, როდის, როგორ ან რამდენ ხანს ცხოვრობს ამ ქვეყნად"[353]). მაშ, რა ვქნათ, რა ვიღონოთ, რა გზას დავადგეთ? სადაა საშველი ან გამოსავალი? ისევ და ისევ გართობაში, განცხრომაში უბედურების თუნდაც დროებით დავიწყებაში?

და, აი, ჩვენ ვთამაშობთ, ვპირფერობთ, ვატყუებთ სხვებს, ვატყუებთ ერთმანეთს, ვატყუებთ საკუთარ თავს. ჩვენ დავხელოვნდით, დავოსტატდით, დავსპეციალდით: სიცრუე, სიყალბე, არსის მიჩქმალვა, თვითშენიღბვა, ჩვეულების ძალით, ჩვენს მეორე ბუნებად იქცა. მაგრამ ჩვენ ვჩქმალავთ არა მარტო უბედურებას, არამედ საკუთარი ბუნების არასრულქმნილებასაც: ქედმაღლობას, ცუდმედიდობას, პატივმოყვარეობას, მოშურნეობას, უსამართლობას, სისუსტეს, სიბილწეს, ანგარებას, ბიწიერებას. „ვინც ვერ გრძნობს, რომ სიამაყით, პატივმოყვარეობით, უსამართლობით, სიმწრით, სისუსტით, სიბილწით და, საერთოდ ათასგვარი ბიწით არის სავსე, ჭეშმარიტად ბრმაა. ხოლო თუ გრძნობს, მაგრამ არ ცდილობს თავი დააღწიოს ბიწიერებას, რა გვეთქმის მის მიმართ"[354]... მართლაცდა, რა გვეთქმის? ბევრი არაფერი. მით უმეტეს, რომ ეს სიტყვები თვითგვემის კი არა, მხოლოდ ჭეშმარიტების აღდგენის მიზნითაა თქმული. მაგრამ, დაე, თვითმაღმერთებელი კაცი ნუ დაივიწყებს პასკალის დიდი მემკვიდრისა და გარკვეული აზრით, მისი ანტაგონისტის — პოლ ვალერის საზარელ პარადოქსსაც, პასკალისავე ნააზრევიდან გამომდინარე მის ექსტრემიზმს: „თუ ჩემი მე ზიზღის ღირსია, მაშინ პრინციპი — გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი — სასტიკ ირონიად იქცევა"[355]...

თვითშენიღბვისა თუ თვითგაღმერთების ამ მაცთური გრძნობითაა განპირობებული ისიც, რომ თვითეული ჩვენგანი ცხოვრების არენაზე თავის საკუთარ როლს კი არ ასრულებს, არამედ „ვიღაც სხვისას": „ყოველი კაცი, ვინც უნდა იყოს იგი, ცდილობს ისეთი სახე მიიღოს და ისეთი ნიღაბი გაიკეთოს, რომ ხალხმა აღიაროს იმად, რადაც სურს ჩანდეს; ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მთელი საზოგადოება მხოლოდ ნიღბებისაგან შედგება", — წერს პასკალის

უფროსი თანამედროვე ფრანსუა დე ლაროშფუკო[356], ხოლო პასკალი ამბობს:

„ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ჩვენი ჭეშმარიტი ცხოვრება და ჩვენი ჭეშმარიტი არსი: ჩვენ გვსურს შეექმნათ მოყვასთა შეგნებაში ერთგვარი წარმოსახვითი სახე და ამიტომ ვცდილობთ თავი მოვაწონოთ, თავი მოვაჩვენოთ მათ. ძალ-ღონის დაუზოგავად ვამკობთ და ზიზილ-პიპილებით ვრთავთ ამ წარმოსახვით სახეს ჩვენი ნამდვილი სახის საზიანოდ. თუ მშვიდნი ვართ, ერთგულნი და დიდსულოვანნი, ერთი სული გვაქვს, როდის მოვფენთ ჩვენი კეთილშობილების ამბავს მთელს ქვეყანას, და, თუ საქმე საქმეზე მიდგა, უყოყმანოდ განვიძარცვავთ თავს ყველა ამ სიქველისაგან, ოღონდ კი ჩვენს მოჩვენებით „მგ"-ს მივაწეროთ ისინი. ღმერთმანი, სილაჩრეზეც არ ვიტყვით უარს, რათა მამაცთა სხელი მოვიხვეჭოთ მოყვასთა თვალში. ჩვენი „მე"-ს უბადრუკობის უტყუარი ნიშანი მაინც ისაა, რომ მას ხშირად არც თავისი თავი მოსწონს, არც თავისი მოჩვენებითი ორეული და თვითკმაყოფილების მისაღწევად იძულებულია ერთმანეთს შეუნაცვლოს ისინი!"[357]

თვითეული ჩვენგანის სულში ერთპიროვნულად ბრძანებლობს მხოლოდ სიცრუე, თვითმპყრობელი მონარქი თუ დიქტატორი. სიყალბე, სიმრუდე, სიმხდალე, სიბილწე, ანგარება, ქედმაღლობა, უსამართლობა მისი ერთგული ვეზირებია; სიმართლე, სიწრფელე, სიმამაცე, სიწმინდე, უანგარობა, თავმდაბლობა, სამართლიანობა — მისი მონები: „...ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ შენილბული სიყალბეა, სიცრუე და პირმოთნეობა, არა მარტო სხვების, არამედ თავისივე თავის წინაშეც. მას არ სურს სიმართლე მოისმინოს საკუთარ თავზე, ცდილობს არც სხვას უთხრას მართალი. გონებისა და სამართლიანობის სპირისპირო ყველა ამ მიდრეკილებას ღრმად გაუდგამს ფესვი მის გულში"[358].

მხოლოდ ამით რომ ამოიწურებოდეს სიცრუის მთელი ძალმოსილება, ნილბების მთელი საუფლო?!. არა, პასკალი, დაუნდობლად თანმიმდევრულია და თანმიმდევრულად დაუნდობელი. ჩვენს ირგვლივ ყველაფერი მეტ-ნაკლები სისრულით შენილბული სიცრუეა, მოჩვენებითობის, სიყალბის, ხელოვნურ პირობითობათა საბრძანებელი. სიცრუეზეა დაფუძნებული მთელი სოციალური ცხოვრება, სახელმწიფო წესწყობილება, პოლიტიკა, დიპლომატია, კანონმდებ-

ლობა, მართლმსაჯულება. პასკალისდროინდელი ფრანგული ისტორიული სინამდვილე საკმარისზე მეტ საბაბს იძლეოდა აზრის ამნაირი მიმართულების, სულის ამნაირი განწყობილების განამტკიცებლად. სახელმწიფოს საფუძვლების, საზოგადოებრივი ცხოვრების, სოციალური მორალის მანკიერებას რომ ამხილებს, „აზრების“ ავტორი, უწინარეს ყოვლისა, გმობს აბსოლუტურ მონარქიას, სადაც მთელი ძალაუფლება — კანონმდებლობითი, აღმასრულებელი, სასამართლო, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური და ა. შ. და ა. შ. მხოლოდ მონარქის პრეროგატივად ითვლება. პასკალის თანამედროვე ინგლისელი ფილოსოფოსის, მონარქიზმის აპოლოგეტის თომას ჰობსის (1588 — 1679) „ტრიადაში“ — სამად განწილულ სოციალურ ჰიერარქიაში — „საზოგადოება“ (cives), „სახელმწიფო“ (civitas), „სახელმწიფოს მეთაური“ (persona civilis) ყველა სუვერენული უფლება, ცინიკური გულახდილობით, მხოლოდ მესამე წევრს მიეწერება, მაშინ როდესაც პირველი წევრი მთლიანად განძარცულია ამ უფლებებისგან. რა თანასწორუფლებიანობაზე, ან რა სამართლიანობაზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც ყველაფერს წყვეტს მხოლოდ ტლანქი, უხეში ძალა, მხოლოდ დესპოტური თვითნებობა, ძალადობა, უკანონობა?

„მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, უძლურია; ძალა, რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა, ტირანულია. უძლურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ, იმიტომ რომ ამ ქვეყნად არ დაილევიან უკეთურნი; უსამართლო ძალა კი ყოველთვის აღაშფოთებს კეთილთ. მაშასადამე, საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა; ამიტომ ან სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი, ანდა ძალა — სამართლიანი.

სამართლიანობა ხშირად სადავოა და საკამათო, ძალა კი უდავო და უცილობელი. ამიტომაც სამართლიანობა ვერ იქნა და ვერ გახდა ძლიერი: ძალა არ სცნობდა მას და ამბობდა, რომ სამართლიანობა — უსამართლოა, და რომ მხოლოდ თვითონაა სამართლიანი. და რაკი სამართლიანობა ვერასდიდებით ვერ იქცა ძალად, ხალხმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ძალაა სამართლიანი“[359].

კანტი იტყოდა, რომ ესაა საზოგადოება, ესაა სახელმწიფო, სადაც მორალი მთლიანად ექვემდებარება პოლიტიკას; სადაც უკეთესართად გაგებული „პოზიტიური, ანუ სამოქალაქო სამართალი“

(jus civile) ფეხქვეშ თელავს, თრგუნავს და სრესს ე. წ. „ბუნებრივ სამართალს“ (jus naturale), ყველა პოზიტიური სამართლის ამ უშუალო და საერთო წყაროს; სადაც უკანონობა კანონის უფლებამოსილებას იძენს, ხოლო უსამართლობა სამართლიანობად გვევლინება და სადაც სახელმწიფოებრივი სიბრძნე დაინტერესებულია მხოლოდ იმით, რომ არ გამჟღავნდეს, საგულდაგულოდ შეინიღბოს უსამართლობა, ვინაიდან რაც უფრო დახვეწილად ინიღბება უსამართლობა, მით უფრო უკეთესი და დახვეწილია პოლიტიკა[260].

კვლავ მოჩვენებითობა, სიცრუე, სიყალბე, კვლავ ნიღბების ხაბრძანებელი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების, სოციალურ ურთიერთობათა წიაღში სიცრუე ყოვლისმომცველი ხდება და ერთი მუჭა უმცირესობის მიერ უმრავლესობის მართვის ყველაზე ქმედით იარაღად თუ საშუალებად გვევლინება. და რაც უფრო მეტად შორდება საზოგადოების ისტორიული ევოლუცია თავის საწყის სტადიას, მით უფრო ტოტალური ხდება ფაქტიურ ძალთა ქმედითობა. პოლ ვალერის მიხედვით, ფიქცია დაახლოებით ისეთსავე როლს ასრულებს თანამედროვე ცივილიზაციაში, როგორსაც ტლანქი და უხეში ძალა ასრულებდა პრიმიტიული საზოგადოების ცხოვრებაში, ასე რომ, ისტორიული ევოლუციის მთელი პროცესი, გარკვეული თვალსაზრისით, სხვა არა არის რა, თუ არა გზა პირველყოფილი ბარბაროსობიდან ცივილიზებულ ბარბაროსობამდე.

„ყოველი საზოგადოება ველურობიდან წესრიგამდე მაღლდება. რამდენადაც ბარბაროსობა ფ ა ქ ტ ი ს ერაა, ამიტომ წესრიგის ერა აუცილებლად ფ ი ქ ც ი ი ს საუფლო უნდა იყოს, ვინაიდან არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია წესრიგის დამკვიდრება საზოგადოების ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის იძულების, მხოლოდ და მხოლოდ იძულების გზით.

მაშასადამე, წესრიგი მოითხოვს ფიქტიურ ძალთა რეალურ ქმედითობას; ის განპირობებულია ინსტინქტებისა და იდეების წონასწორობით.

ყალიბდება ერთგვარი მოჩვენებითი თუ პირობითი სისტემა, რომელიც ადამიანებს აერთებს ანდა თიშავს წარმოსახვისეული ურთიერთობებითა თუ წინააღმდეგობებით, რომელთა ყველა ეფექტი სავსებით რეალურია. ისინი არსებითნი და აუცილებელნი არიან საზოგადოებისათვის.

წმინდა, მართალი, კანონიერი, ღირსეული, საქებარი და მათი საპირისპირონი თანდათანობით იკვეთებიან და კრისტალდებიან კაცთა სულებში. ტაძარი, ტახტი, სამსჯავრო, კათედრა, თეატრი, — თანხმობის ეს ძეგლები და წესრიგის ერთგვარი გეოდეზიური სიგნალიზატორები ერთიმეორის მიყოლებით იღებენ დასაბამს. თვით დროც ირთვება და იკაზმება: მსხვერპლშეწირვები, სხდომები, სანახაობები ადგენენ და აკანონებენ საზოგადოებრივ საათებსა თუ თარიღებს. რიტუალები, წესები, ზნე-ჩვეულებები ასრულებენ ადამიანურ ცხოველთა დრესირებას (dressage), აოკებენ ანდა ათვინიერებენ მათ სტიქიურ მისწრაფებებს. მათი მძვინვარე და აღვირახსნილი ინსტინქტების ფეთქებადი ძალა სულ უფრო იშვიათი და უმნიშვნელო ხდება. მაგრამ მთლიანობა მხოლოდ ხატებისა და სიტყვების მეშვეობით არსებობს. წესრიგისათვის აუცილებელია, რომ კაცი, რომელიც გრძნობს სახრჩობელას ღირსი ვარო, იმავდროულად იმასაც გრძნობდეს, როგორ ქანაობს სახრჩობელაზე. ხოლო თუ ის მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევს ამ მომხიბლავ ხატს, მალე ყველაფერი ნაცრად იქცევა.

წესრიგის, ანუ სიმბოლოებისა და ნიშნების საუფლო თითქმის ყოველთვის საყოველთაო განიარაღებამდე მიდის, რაც ხილულ იარაღზე (des armes visibles) უარის თქმით იწყება და თანდათანობით მოიცავს კაცთა ნებასაც. ხმლები მოკლდება და უხმარი ხდება, ხასიათები რბილდება. შეუმჩნეველად მიიპარება ერა, სადაც მბრძანებლობს ფაქტი. წინასწარ ხედვითა და ტრადიციით გამოხატული მომავალი და წარსული, ეს ორი წარმოსახვისმიერი პერსპექტივა, თანდათანობით თრგუნავს და ავიწროებს აწმყოს.

საზოგადოებრივი სამყარო ახლა ჩვენ ისევე ბუნებრივი გვეჩვენება, როგორც თვით ბუნება, თუმცაღა პირველი მხოლოდ და მხოლოდ მაგიაზეა დამყარებული. და მართლაც, ხომ არ გვევლინება ერთგვარ მოჯადოებულ ცინე-კოშკად მთელი ეს სისტემა, — ასო-ნიშნებზე, სიტყვათა ძალმოსილებაზე, აღსრულებულ აღთქმებზე, ქმედით ხატებზე, მტკიცედ დაცულ ჩვეულებებსა თუ პირობითობებზე დაფუძნებული?

კავშირურთიერთობათა ეს სამყარო, ჩვეულების ძალით, ისევე მყარი, ისევე თვითმკმარი და თავისთავადი გვგონია, როგორც ფიზიკური სამყარო; და თუმცა ჩვენი ქმნილებაა, როგორც დაუნაწევრე-

ბელი და ძველთუძველესი ქმნილება, ის ფიზიკურ სამყაროზე არანაკლებ რთული და არანაკლებ იდუმალებით მოცული გვეჩვენება. მე ვიხდი ქუდს, მე ვდებ აღთქმას, მე ჩავდივარ ათას უცნაურობას, რომელთა დასაბამი ისეთივე ბუნდოვანია, როგორც მატერიის დასაბამი. დაბადება, სიკვდილი, სიყვარული, — ყოველივე ეს ურიცხვი განყენებული თუ გონებამიუწვდომელი ენიგმის გარსშია გახვეული.

ასე და ამრიგად, საზოგადოების მექანიზმი იმდენად არაუშუალო მიზეზების, ისე ბუნდოვანი მოგონებებისა და იმდენად მრავალრიცხოვანი კვანძების ქსელით იხლართება, რომ ჩვენ საბოლოოდ ვიკარგებით განაწესებისა და ურთიერთობების ბნელ ლაბირინთში. ყოველი ორგანიზებული ხალხის ცხოვრება უთვალავი ძაფითაა ნაქსოვი, რომელთა უმრავლესობა ისტორიის მთელ სიღრმეს განწონის და ერთმანეთს ერწყმის მხოლოდ გარდასულ დროთა წყვდიადში, ერწყმის იმ გარემოების წყალობით, რომლებიც აღარასოდეს განმეორდებიან. აღარავინ იცის მათი ასავალ-დასავალი; ვეღარავინ აყოლებს თვალს მათ უწყვეტობას"[361]...

დიახ, ჩვენ არ ვიცით ჩვენივე ისტორიის ასავალ-დასავალი, ჩვენი დანიშნულება, ჩვენი მიზანი. გონება, უმალ, საუკუნოვანი ილუზიების განქარების იარაღად გვეევლინება, ვიდრე სამყაროს ახსნის საშუალებად. სიცხადის, სინათლის, გარკვეულობის ნაცვლად ის თითქოს განზრახ გვირთულებს და გვიბუნდოვანებს საკითხს, განზრახ გვიბნევს თავგზას ყოველთვის, როცა ჩვენივე არსებობის პირველსაწყისთა წვდომას ვცდილობთ („...ჩვენმა მშვენიერმა განრწნილმა ტვინმა, თავის მხრივ, ყველაფერი გაბრწნა"[362]). ამ თვალსაზრისით, გონებას ტოლს არ უდებს გული — მდაბალი ვნებების, ქვენა გრძნობების, უკეთურ ზრახვათა წყარო („რა ცარიელია ადამიანის გული და რამდენი სიბილწეა ამ სიცარიელეში"[363]) როგორღა შევიმეცნებთ სამყაროს, როცა ჩვენი წარსულიც, ჩვენი აწმყოც, ჩვენი თავიც ვერ შეგვიცვნია? ან, იქნებ, სულაც ყალბ მიზანს მივსდევთ? იქნებ, მეტაფიზიკის ყველა უღრმესი საიდუმლო მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გონების საბედისწერო ცთომილებაა? თუ ცალმხრივად და სწორხაზოვნად გავიგებთ პასკალის სკეპსისს, კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ერთი ნაბიჯიღა დაგვრჩენია ნიცშეს თავზარდამცემ პესიმიზმამდე:

„ურიცხვ მზის სისტემად განფენილსა და უთვალავ ფვრად

მოელვარე სამყაროს ერთ მივარდნილ კუნჭულში ოდესღაც არსებობდა ვარსკვლავი, რომელზედაც გონიერმა ცხოველებმა გამოიგონეს შემეცნება. ეს იყო „სამყაროს ისტორიის“ ყველაზე ქედმაღალი და ყველაზე ყალბი წამი, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთი მსწრაფლწარმავალი წამი[364]. ბუნებამ რამდენიმეჯერ ამოისუნთქა, ვარსკვლავი ჩაქრა და გონიერი ცხოველები გადაშენდნენ. კაცს შეეძლო მოეგონებინა ამნაირი იგავი, და მაინც ის დამაკმაყოფილებლად ვერ აგვიხსნიდა, რაოდენ მოჩვენებითსა და ეფემერულ მოვლენად, რაოდენ უაზრო და თვითნებურ გამონაკლისად გვეელინება ადამიანის ინტელექტი. მის მოვლინებას წინ უსწრებდა მთელი მარადისობა, და როცა მისი აღსასრულის ჟამი მოაღწევს, ნატამალიც არსად დარჩება მისი. რადგან ჩვენს ინტელექტს არ გააჩნია მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი მისია, რომელიც სცდება ადამიანური ცხოვრების ფარგლებს“[365].

მაგრამ ამ ორი მსოფლგანცდის მოჩვენებითი მსგავსების მიუხედავად, აშკარა შეცდომა იქნებოდა პასკალის სკეპტიკური განწყობილების გაღრმავება და გაზვიადება, როგორც იქცევა. ვთქვათ, ტურგენევი: „...პასკალის „აზრები“ ყველაზე საშინელი, ყველაზე აუტანელი წიგნია იმ წიგნთა შორის, რომლებიც ოდესმე წამიკითხავს. ის ფეხქვეშ თელავს ყველაფერს, რაც ძვირფასია ადამიანისათვის, მიწაზე განარცხებთ და ტალახში გსვრით... არავის არასოდეს აღუნიშნავს, ის. რასაც ხაზგასმით აღნიშნავს პასკალი: მისი წუხილი, მისი წყევლა — საზარელია და თავზარდამცემი. მასთან შედარებით ბაირონი — ვარდის წყალია (розовая водица). მაგრამ როგორი სიღრმეა, როგორი სიცხადე — რა სიდიადე!.. რა თავისუფალი, მძლავრი, თამამი და ლაღი ენა!.. მე შემაძრწუნა ამ წიგნის კითხვამ“[366].

არა, პასკალის სკეპსისი ადამიანის დამცირებას, მისი ყველაზე ნათელი და წმიდათა-წმიდა იდეალების ფეხქვეშ გათელვას როდი ცდილობს. „აზრების“ სკეპტიციზმი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის გულისა და გონების, მისი გამრუდებული ნების მთელი მანკიერების შედეგად ისტორიულ სინამდვილეში ღრმად ფესვგადგმული საყოველთაო სიცრუითა და სიყალბითაა განპირობებული. რაც საბედნიეროდ, ავტორი დაბრკოლებად გვეღობება ჭეშმარიტების წვდომის გზაზე: „ჩვენს წყეულ დროში ჭეშმარიტება ისე დაფარულია და მიჩქმალული, ხოლო სიცრუე და სიყალბე ისე ღრმად ფესვგადგმული და გა-

ლაღებული, რომ ჭეშმარიტების მიკვლევა მხოლოდ მის გულმხურვალე ტრფიალს თუ ძალუძს"[367].

პირქუში სკეპსისი კი არა, ჭეშმარიტების მიმართ სწორედ ეს გულმხურვალე სიყვარულია „აზრების" ძირითადი მოტივი. ამ „საშინელი" წიგნის თითქმის ყველა გვერდზე, ყველა ფურცელზე ჩვენ ვხედავთ კაცს, თავგანწირული ძალისხმევით რომ დაეძებს ჭეშმარიტებას, იკვლევს, იცხადებს საწუკვარ საგანს, ვერასოდეს ვერ აღწევს მიზანს, უკუიქცევა ხელმოცარული, უნუგეშო, სასომიხდილი, მაგრამ არასდროს არ ნებდება სასოწარკვეთის დამთრგუნველ გრძნობას და კვლავ ებმება უთანასწორო ორთაბრძოლაში, კვლავინდებურად განაგრძობს კვლევაძიებას: „მე თანაბრად ვგმობ იმასაც, ვინც მხოლოდ აქებს და ადიდებს ადამიანს, იმასაც, ვინც აგინებს მას და იმასაც, ვისაც სასაცილოდ არ ჰყოფნის იგი. მე მის მხარეს ვარ, ვინც მწარე გმინვით დაეძებს ჭეშმარიტებას"[368]... მართებულად შენიშნავს სენტ-ბევი: „...თავის ძიებებში პასკალი მოგვაგონებს თავშესაფრის მონატრულსა და უსიერ ტევრში მეგზურის გარეშე მხარეცეულ მგზავრს, წარამარა რომ ებნევა კვალი და ხან გაშმაგებით მიილტვის წინ, ხანაც უკუიქცევა და სასომიხდილი ხელებს იმტვრევს გზაგასაყარზე. მერე კი სიმწრის ყვირილით, რომელსაც არვინ ეპასუხება, და ტანჯვით შეშლილი ხელახლა ადგება გზას, ხელახლა ექცევა მხარი და, სიკვდილის მხმობი, პირქვე ემხობა ცივ მიწაზე: — და მხოლოდ მაშინ, მხოლოდ ჯოჯოხეთგამოვლილი და სისხლნარევ ოფლად გაღვრილი, ის აღწევს მიზანს"[369].

მარად უკვდავი იმედი, უნუგეშოთა და მარტოსულთა მფარველი „ღმერთი. — აი. ამ კაცის ერთადერთი თანამდგომი, მწე და შეონი: „ჩვენი არსებობის მთელი სიმწრის, მთელი ჩვენი უბედობის მიუხედავად, რომელიც წალეკვასა და განადგურებას გვიქადის, მაინც ვინარჩუნებთ ერთგვარ მხსნელ ინსტინქტს, წარუხოცელსა და ამამაღლებელს"[370].

მერედა, რას ჩასჩურჩულებს ამ ინსტინქტის იდუმალი ხმა ადამიანს? — ნუ გეშინის: უწმინდურია შენი გული, უმწეოა შენი აზრი, უკუღმართია შენი ნება, მაგრამ წმინდაა შენი ტანჯვა, ყოვლისშემძლეა შენი უშრეტი წყურვილი ჭეშმარიტების შემეცნებისა, წრფელია შენი მარადიული ლტოლვა სიკეთისა და სიმართლისაკენ! რა ეუყოთ, რომ ვერასოდეს ვერ აღწევ მიზანს? მთავარი მაინც ისაა, რომ

არასოდეს ღალატობ მას! და არ არსებობს სამყაროში ისეთი ძალა, რომელიც დაგაეჭვებს შენი საბოლოო მიზნის სისწორეში, მიუწვდომლობის გამო ფუჭ ქიმერად წარმოგიჩენს მის წმიდათა-წმი- და ხატებას და, ამრიგად, სამუდამოდ ჩაახშობს შენს არსებაში მის მიმართ დაუოკებელი ლტოლვის მძლეთამძლე სურვილს. შენ გინდა იყო გამარჯვებული? სულსწრაფობაა და სულმოკლეობა ეგეთი ნდომა. კმაყოფილი იყავ იმითაც, რომ მიზნის ერთგულება უკვე შენი გამარჯვებაა. გწამდეს, სანამ მან არ ღალატებ, არ დაგერქმევა დათრგუნვილი, დამარცხებული. იცოდე. ასე თუ იაზროვნებ, თვით შენი უმწეობა და უბადრუკობაც კი შენივე ძალმოსილებისა და სიდიადის წყაროდ იქცევა:

„ადამიანის სიდიადე ისაა, რომ თავის უბადრუკობას გრძნობს. ხე არ გრძნობს თავის უბადრუკობას.

მაშასადამე, მხოლოდ უბადრუკი გრძნობს საკუთარ უბადრუკობას, მაგრამ მისი სიდიადეც ესაა სწორედ“[371].

„ადამიანი მხოლოდ ლერწამია, უმწეო ლერწამი, მაგრამ ეს ლერწამი აზროვნებს. მის გასასრესად სულაც არაა საჭირო სამყაროს რისხვა: საკმარისია ქარის შემობერვა ან წვიმის წვეთი. მაგრამ ადამიანი, თუნდაც სამყაროს მიერ გასრესილი, მაინც უფრო ღირსეულია და კეთილშობილი, ვიდრე მისი გამსრესი ძალა, ვინაიდან გრძნობს თავის აღსასრულსაც და საკუთარ უმწეობასაც სამყაროსთან შედარებით, სამყარო კი არაფერს არა გრძნობს.

მაშასადამე, მთელი ჩვენი ღირსება — აზროვნებაა. სწორედ აზრი გვამაღლებს ჩვენ და არა დრო და სივრცე, რომლებშიაც ჩაკარგულნი ვართ, როგორც ქრთილის მარცვლები. მაშ, ვეცადოთ ვიაზროვნოთ ღირსეულად. აი, ზნეობის საფუძველთა საფუძველი“[372].

ასე რომ, ადამიანის აზრი უმწეოა, უსუსური და, იმავდროულად, ძლევამოსილიც? მაგრამ ეს ხომ ურთიერთშეუთავსებადი დასკვნებია? ნუ განცვიფრდებით. შინაგანი წინააღმდეგობა კიდევ უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი ხდება ადამიანის სულიერი სამყაროს გამოწვლილვით განხილვისას. თურმე კაცის სიბილწეც, ანგარებაც, პატივმოყვარეობაც, არსებითად, განუყოფელია მისი სიწმინდის, უანგარობისა თუ თავმდაბლობისავან[373], ანუ, როგორც პასკალის დიდი თანამედროვე ფრანსუა დე ლაროშფუკო იტყოდა, „ბიწი ისევე შედის სიქველეში, როგორც საწამლავი — წამლის შემადგენლობაში.

კეთილგონიერება აზავებს მათ, არბილებს მათ მოქმედებას და შემდეგ მოხერხებულად იყენებს ამ ნაზავს გაჭირვებასა თუ უბედობაში"[374].

რას მოასწავებს ურთიერთსაპირისპირო საწყისთა (სიწმინდე — სიბილწე, სიმაღლე — სიმდაბლე, სიკეთე — ბოროტება, სიდიადე — უბადრუკობა, სიწრფელე — სიყალბე — და ა. შ. და ა. შ.) ეს გამაოგნებელი თანაარსებობა ადამიანის სულში? აი, ენიგმა, რომლის გონებამიუწვდომელი იდუმალების წინაშე ვანცვიფრებით ჩერდება არა მარტო „აზრების" ავტორი. პასკალის თანამედროვე ფრანგი მწერალი გეზ დე ბალზაკი თავის „ქრისტიან სოკრატეში" წერს: „...ადამიანი სხვა არა არის რა, თუ არა ერთად შერწყმული ღმერთი და მხეცი"[375]. აქვე უნდა დავიმოწმოთ პასკალის კიდევ ერთი თანამედროვე, სახელგანთქმული ფრანგი. მეკერმეტყველი ჟაკ-ბენინ ბოსიუე: „აი, რატომაა, რომ ბრძენკაცნი ამა სოფლისანი, ხედავენ რა, ერთის მხრივ, ადამიანის სიდიადეს, ხოლო მეორეს მხრივ, მის სიბილწეს, გაოგნებულნი რჩებიან და არ იციან, რა იფიქრონ ან რა თქვან ესოდენ უცნაური ნაერთის შესახებ. ჰკითხეთ წარმართ ფილოსოფოსებს, რა არის ადამიანი: ერთნი მას ღმერთად დასახავენ, მეორენი — არარაობად. ერთნი გეტყვიან, რომ ბუნება დედასავით შეჰხარის ადამიანს, დედასავით ევლება თავს; მეორენი დაგიმტკიცებენ, რომ ბუნება დედინაცვალივით ეპყრობა და თავის უბადრუკ ნარჩენად მიიჩნევს მას, მესამენი კი, რომლებმაც არ იციან, რით ახსნან ამ უცნაური ნაზავის მიზეზი, გიპასუხებენ, რომ ბუნება თამაშობდა და თავშესაქცევად შეაერთა ორი სხვადასხვა ფენომენი, რომლებსაც თავისთავად არაფერი აკავშირებს ერთმანეთთან; აი, ასე, მხოლოდ საკუთარი ჟინის გამო ბუნებამ შექმნა ეს სასწაული, რომელსაც ადამიანი ჰქვია სახელად"[376].

მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მხოლოდ ორიოდე ფრაგმენტის მოხმობით დავამაყოფილდებით: „...ადამიანში გაერთიანებულია ბნელი საწყისის მთელი ძალა და ნათლის მთელი ძალმოსილება. მასშია შერწყმული ორივე უკიდურესობა: უფსკრულის ნაზარელი სიღრმე და ზესკნელის უზენაესი ზღვარი", — ამტკიცებს ნელინგი[377], ხოლო დოსტოევსკის გმირი ამბობს: „...იმიტომ, რომ კარამაზოვი ვარ. იმიტომ, რომ თუკი უფსკრულში გადავეშვები, პირდაპირ, თავდაყირა გადავეშვები და კმა-

ყოფილიც ვიქნები, რომ ასე სამარცხვინოდ მივფრინავ ძირს და მშვენივრად მიჩანს დაცემა. მაგრამ სწორედ ამ სირცხვილში მე უეცრად ვიწყებ სიმღერას. რა ვუყოთ, რომ დაწყევლილი ვარ, რა ვუყოთ, რომ მდაბალი ვარ და ბილწი, მეც ხომ ვკოცნი იმ წმინდა სამოსის კალთას, რომელსაც იმოსავს უფალი ჩემი; რა ვუყოთ, რომ იმავდროულად ეშმაკის კვალს მივსდევ, მაინც შენი ძე ვარ უფალო: მიყვარხარ და მიხარია, მიხარია იმ სიხარულით, ურომლისოდაც ვერ იარსებებს თვითონ სამყაროც"[378].

ადამიანის სულიერი სამყაროს კრიტიკული ანალიზის შედეგად გამოვლენილ ამ ურთიერთსაპირისპირო საწყისებზე დაყრდნობით მიდიოდა და მიდის მეცნიერება თუ ხელოვნება, რაციონალიზმი თუ ინტუიტივიზმი ე. წ. „ეთიკურ პარადოქსამდე": „რა საზარელი ქიმერაა ადამიანი, რა ენიგმა, რა ურჩხული, რა ქაოსი, წინააღმდეგობების როგორი ხლართი. რა სასწაული! სამყაროულ არსთა მსაჯული, მიწის ბრიყვი მატლი, ჭეშმარიტების საცავი, ეჭვებისა და შეცდომების აღუვსებელი საწყაული, სიბილწის ბუდე, სამყაროს დიდება, ბუნების უბადრუკი ნაშთი და ნარჩენი.

ვინ გახსნის ამ ხლართს, ვინ ამოხსნის ამ ამოცანას? ბუნება ჩიხში ამწყვდევს პირონისტებს, გონება — დოგმატიკოსებს. რა გეშველება, ადამიანო, შენი ბუნებრივი ნიჭით, შენი საბრალო გონებით ამაოდ რომ ცდილობ შეიცნო ამა სოფლის ცრუ გამოცანა? შენ თავს ვერ დააღწევ ვერც ერთ ამ სკოლას, მაგრამ, მეორეს მხრივ, ვერც ერთში ვერ გაძლებ, არც ერთში არ დაგედგომება"[379]...

და მართლაც, „ვინ გახსნის ამ ხლართს, ვინ ამოხსნის ამ ამოცანას?" რას გააწყობს ჩვენი „საბრალო გონება", თუკი პარადოქსულია არა მარტო ადამიანის ბუნება, არამედ საერთოდ ყოველგვარი ჭეშმარიტებაც („ამ ქვეყნად ყველაფერი ნაწილობრივ ჭეშმარიტია ნაწილობრივ ყალბი"[380]) და თუკი თვითეულ ჩვენს აზრს, ბოლოს და ბოლოს, თავისი საპირისპირო აზრი მოეძებნება? აქედან — აშკარად მცდარი ცალმხრივობა სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლების, ვთქვათ, სტოიციზმისა და სკეპტიციზმის მიერ ადამიანის ბუნების შეფასებისას:

„რაკი ადამიანის უბადრუკობის შესახებ მისი სიდიადის მიზეზით მსჯელობენ, ხოლო მისი სიდიადე უბადრუკობიდან გამოჰყავთ, ამიტომ ზოგმა საბოლოოდ დაასკვნა, რომ ადამიანი უბადრუკია, და

ეს დასკვნა მით უფრო ურყევი ჰგონია, რაც უფრო მეტად გამომდინარეობს იგი ადამიანის სიდიადიდან; ზოგი კი, პირიქით, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადამიანი დიადია, და თავისი დასკვნა მით უფრო უცილობლად მიაჩნია, რაც უფრო მეტად გამომდინარეობს იგი ადამიანის უბადრუკობიდან. ასე რომ, ყოველივე ის, რითაც ერთში ადამიანის სიდიადეს ამტკიცებენ, მეორეთათვის სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის უბადრუკობის უტყუარი საბუთი... მოკლედ, ისინი, ერთმანეთს რომ უარყოფენ, იმავდროულად, ერთიმეორეს ემყარებიან და ასე იკვრება ბიწიერი წრე"[381]...

კიდევ უფრო მცდარ დასკვნამდე მივყავართ ორივე ცალმხრივი, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისის მექანისტურ შეერთებას ზემოაღნიშნული „ბიწიერი წრიდან" გამოსავლის ძიებისას: „ადამიანის ბუნების გაორება იმდენად აშკარაა, რომ ზოგიერთი იმ დასკვნამდეც კი მივიდა, თითქოს ჩვენ ორი სული გვაქვს. მათი აზრით, მარტივი და ერთგვაროვანი ბუნება შეუძლებელია განიცდიდეს განწყობილებათა ასე მძაფრსა და ანაზდეულ ცვალებადობას — წარმოუდგენელი ქედმაღლობიდან გულისგამყინავ ძრწოლამდე"[382].

ცხადია, პასკალისათვის მიუღებელია ადამიანის ბუნების შინაგან წინააღმდეგობათა ესოდენ ზერელე და ზედაპირული გადაჭრა: ტყუილად როდი უსვამს ხაზს დაჟინებით ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემის უკიდურეს სირთულეს. ტყუილად როდი უბრუნდება გამუდმებით ამ გონებამიუწვდომელ იდუმალებას, რათა ასე იოლად მიკვლეული პასუხით დაკმაყოფილდეს. მაგრამ არსებობს კიდ, საერთოდ, „ეთიკური პარადოქსის" რეალიზაციის საშუალება, შეგვიძლია თუ არა აეაგოთ ადამიანის ბუნების შინაგან წინააღმდეგობათა „მორიგების" მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი თეორია, რომელიც თანაბრად მისაღები იქნება როგორც ჩვენი მალემრწმენი გულის, ისე ჩვენი იქვნეული გონებისთვისაც და, ბოლოს, კანტისეული ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, გვრჩება თუ არა თეზისისა და ანტითეზისის შინაგანი სინთეზის გზა?

„აზრების" ავტორს ინტუიტურად სწამდა, სჯეროდა, რომ შეუძლებელია ბუნებას ანტინომიების ტყვეობისათვის გაეწირა ადამიანი, და რომ კაცს უთუოდ მოეძებნებოდა ჩვენს წინაშე აუცილებლობის ძალით წამოჭრილი ნებისმიერი კითხვის მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი, ცოტად თუ ბევრად ამომწურავი პასუხი. ჯერ კიდევ არ არ-

სებობდა კანტის ტრანსცენდენტალური ფილოსოფია, ჯერ კიდევ არავის გაემიჯნა მეცნიერული სიზუსტით ერთმანეთისაგან თეზისი და ანტითეზისი, ჯერ კიდევ არავის დაესაბუთებინა, რომ თეზისები მორალისა თუ რელიგიის აბსოლუტისტურ მისწრაფებებს აკანონებენ და ცდისმიღმურ რეალობას მიელტვიან, მაშინ როდესაც ანტითეზისები ემპირიული მეცნიერების მოთხოვნებს აფუძნებენ და მკაცრად კრძალავენ ცდის ფარგლებს გარეთ გასვლას, ჯერ კიდევ არავის წამოეყენებინა თეორიულ გონებასთან შედარებით პრაქტიკული გონების უპირატესობის ცხოველმყოფელი იდეა, პასკალი კი უკვე მოითხოვდა, რომ გონებას ნაწილობრივ მაინც შეეზღუდა თავი და აღგილი დაეთმო რწმენისათვის, ე. ი. დაახლოებით იმავე გზით და იმავე გეზით მიდიოდა, რომლითაც შემდეგ წარიმართება კანტის უნივერსალური აზრი („გონების ქმედითობის უკიდურესი ზღვარი იმის აღიარებაა, რომ ურიცხვი რამ მისთვის მიუწვდომელია; გონება სუსტია, თუ არ აღიარებს ამას. მისთვის ხშირად მიუწვდომელია ბუნებრივი მოვლენები; მაშ, რაღა გვეთქმის ზებუნებრივზე?[383]).

რწმენის უქონლობა, ურწმუნოება, — აი, რას უკიჟინებს, უწინარეს ყოვლისა, აი, რას ჰყვედრის პასკალი რაციონალისტური სკეპსისით შეპყრობილსა და ემპირიზმის ჭაობში თხემით ტერფამდე დანთქმულ ადამიანს: „კაცის გრძნობელობა ყოველგვარი წვრილმანისადმი და მისი სრული უგრძნობლობა ყოველივე დიადის მიმართ — სულის უცნაური გახრწნილების ნიშანია"[384]... „...ეს აშკარა დაუდევრობა იქ, სადაც საქმე თვით მათ ეხება, მათ მარადიულობას. მთელს მათ სიკეთეს, თანალმობას კი არა, მხოლოდ ჩემს რისხვას იწვევს. ეს მე მანცვიფრებს და მაძრწუნებს; ეს თავზარს მცემს მე. მერწმუნეთ, ამას ღვთისმოსავის გზნება ან სპირიტუალური აღტყინება როდი მალაპარაკებს. პირიქით, მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ სულის ხსნისათვის ზრუნვა თვით ადამიანურობისა და ადამიანის თავმოყვარეობისაგან უნდა იღებდეს დასაბამს: საკმარისია ვხედავდეთ იმას, რასაც ხედავენ თვით ყველაზე ნაკლებ განსწავლულნი და განათლებულნი"[385]...

ტრანსცენდენტური სინამდვილის მიმართ სულის ენერგიანი, რწმენით ფრთაშესხმული სწრაფვა, — პასკალის ეს მოწოდება აიტაცა და, თავის მხრივ, მომდევნო თაობებს გადასცა მორის მეტვრ-

ლინკნა: „თვითეულმა ჩვენგანმა, ყოველდღიურობის უბადრუკსა და გარდუვალ რეალობაში, უნდა ჰპოვოს თავისთვის უზენაესი სიცოცხლის უნარი. ჩვენს ცხოვრებას არ გააჩნია უფრო კეთილშობილური მიზანი. ის, რაც ჩვენ განგვასხვავებს ერთმანეთისგან, სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენი მიმართება უსასრულობისა და მარადისობისადმი"[386].

ამ ასპექტში პასკალი უკვე მეორე თანადროული ფილოსოფიური მიმდინარეობის პერსონალიზმის შორეულ წინამორბედად გვეცლინება, პერსონალიზმისა, რომელიც ქრისტიანული ეგზისტენციალიზმის მსგავსად, ადამიანის პიროვნულ სამყაროს ზეპიროვნულ, აბსოლუტურ ყოფიერებასთან აკავშირებს. ფრანგი პერსონალისტის ე. მუნიეს აზრით, პიროვნული სიცოცხლე იწყება მაშინ, როცა თავს იჩენს პიროვნების აქტიურობა, მისი „ამაღლება", პიროვნული ყოფის დაძლევის ტენდენცია და სულიერ ძალთა ლტოლვა დასრულებისაკენ, აბსოლუტისაკენ. ღმერთის ქრისტიანული ცნება განსაზღვრავს პერსონალისტური ტრანსცენდენციის შინაარსს, რომლის არსიც, უწინარეს ყოვლისა, ადამიანურ შესაძლებლობათა ერთგვარი ზღვრის დასახვაში მდგომარეობს, ზღვრისა, სადაც, ერთის მხრივ, მთავრდება ადამიანური სამყარო, უაზრო ხდება ყველა ადამიანური წარმოდგენა, კრიტერიუმი თუ განზომილება და სადაც, მეორეს მხრივ, სწორედ ამის წყალობით იძენს აზრს თვით ადამიანური სამყარო. პერსონალისტების მტკიცებით, მხოლოდ ღვთაებრივ პერსპექტივაში ენიჭება აზრი ადამიანურ სამყაროს და გასაგები ხდება ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულება. სულიერი ცხოვრების მიქცევა ღვთაებრივი სამყაროს მიმართ, მისი სწრაფვა „უზენაესი" ყოფიერებისაკენ, აი, პერსონალიზმის მიხედვით, ადამიანის ქმედითი სიცოცხლის ერთადერთი საფუძველი"[387].

არა ჩვენი სკეპტიკური სიბრძნე, არა ჩვენი ორჭოფობითა და შინაგანი წინააღმდეგობებით გათიშული აზრი, არა ჩვენი გონების თავგანწირული ძალისხმევა, არამედ გულმხურვალე რწმენით მიკვლეული უზენაესი არსი, — აი, პასკალის მიხედვით, „ეთიკური პარადოქსის" გადაჭრის. სულიერი სამყაროს ფერისცვალების, ყოველდღიურობის უბადრუკ სინამდვილეზე ამაღლებისა და ჭეშმარიტ ცხოვრებასთან ზიარების ერთადერთი გზა და საშუალება: „...მაშ, შეიცან, ბზვაობარო, რა პარადოქსი ხარ შენსავე თვალში. მოიდრიკე ქედი, უმწეო გონებავ, დადუმდი-მეთქი, ბრიყვო ბუნებავ! იცოდე,

ადამიანი უსასრულოდ აღემატება ადამიანს; ყური მიუგდე შენს მბრძანებელს და შეიცან ის, რაც სამუდამოდ დაფარული დარჩა შენთვის: შეიცან შენი ჭეშმარიტი მდგომარეობა, უსმინე ღმერთს!"[388].

ადვილი სათქმელია: „უსმინე ღმერთს!" კი მაგრამ, ვინ გვთელის იმის ღირსად, რომ თავისი ღვთაებრივი სიტყვით არსებობის უზენაესი საიდუმლო გვამცნოს და დაფარული გაგვიცხადოს? ანდა როგორ ვუსმინოთ ღმერთს, თუკი გარს გვარტყია მხოლოდ უგრძნობელი, უტყვი სამყარო, რომელიც, არსებითად, უცხოა ჩვენთვის და რომლისთვისაც უცხონი ვართ ჩვენ? კიერკეგორისა არ იყოს, პასკალი, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ ღმერთი სუბიექტია და არა ობიექტი და ამიტომ ობიექტურ სინამდვილეში კი არა, უწინარეს ყოვლისა, ჩვენსავე შინაგან არსებაში, ჩვენსავე სულში უნდა ვეძიოთ იგი. „სუბიექტურობა, ინტროვერტირება არის ერთადერთი ჭეშმარიტება", — ამბობდა დანიელი ფილოსოფოსი[389]. ამავე აზრისა იყო პასკალიც:

„...ადამიანთა დიდ ნაწილს სწამს ღმერთი, მაგრამ ისინი ღმერთში კი არ ცხოვრობენ, არამედ ბუნებაში (mais ils ne vivent pas en lui, ils vivent dans la nature). ისინი აღიარებენ ღმერთს, მაგრამ მხოლოდ სამყაროს მიღმა, როგორც უზენაეს არგუმენტს, რომელიც მათ გონებას სჭირდება, და როგორც სამყაროს ახსნის უკანასკნელ საშუალებას, როცა ყველა სხვა საშუალება ფუჭი ხდება. მაგრამ ისინი ვერ გრძნობენ ღმერთს, როგორც უშუალოდ მათ არსებაში, მათ ირგვლივ, მათ ყოველდღიურობასა თუ ყოველწამიერებაში გაცხადებულს. ისინი მას საიქიო ცხოვრებისთვის ინახავენ, ანდა, თუ ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც უთმობენ ადგილს, ეს ადგილი უმნიშვნელოა და მკაცრად განსაზღვრული: ორიოდე წუთით ლოცვა, ორიოდე რელიგიური მოვალეობის აღსრულება; ესაა და ეს, ღმერთის ამქვეყნიური არსებობა მხოლოდ ამით შემოიფარგლება. არავითარი ზებუნებრივი, არავითარი ღვთაებრივი სამყაროს ყოველდღიურ წესრიგში. ისინი ხედავენ მხოლოდ ერთ მისტერიას, საგანთა არსებობის მისტერიას; მაგრამ რაკი ეს არსებობა ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია, არაფერი მათ არ აოცებთ, არაფერი მათ არ აცბუნებთ, რადგან ყველაფერი ბუნებრივად ეჩვენებათ: კაცი, როგორც ცხოველი; სიქველე, როგორც ბიწი; სიცოცხლე, როგორც სიკვდილი. მაგრამ პასკალის თვალში ზებუნებრივი ყველ-

განაა: ადამიანი მისთვის მარტოოდენ ადამიანი კი არ არის, არამედ ქიმერა, ურჩხული, ნახევრად ღმერთი და ნახევრად დემონი, განუწყვეტელი ბრძოლის არენა... ესაა ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას, მადლსა და ცოდვას შორის. ყოველგვარი ცვალებადობა, რასაც განიცდის მისი გული და გონება, მისი გრძნობა და აზრი, სიბრძნიდან სიბრიყვემდე, სიმაღლიდან სიმდაბლემდე, სიმშვიდიდან და მყუდროებიდან გულისგამყინავ ძრწოლამდე, — ესაა მხოლოდ უხილავ ძალთა ამ მარადიული ბრძოლის პერიპეტიების, ცალკეულ ეპიზოდთა ურთიერთმონაცვლეობა. თქვენ იკითხავთ, როგორ ამტკიცებსო იგი დასაბამიერ ცოდვასა თუ მაცხოვრის მიერ კაცის გამოხსნას? მაგრამ ის თვითონ ხედავს, თავის თავშივე გრძნობს და განიცდის ამას: რა არის ყველა ამ ქვენა გრძნობის მძვინვარება, თავის ნებაზე რომ ათამაშებს მას, თუ არა დაცემული ბუნების ქვედამზიდველი სიმძიმე, ცოდვის ტვირთი, რომელიც წარწყმედის უფსკრულისაკენ მიაქანებს? რა არის სულის ეს კეთილმიდრეკილება, სიკეთის ეს მბრძანებლური ხმა, გულის გულამდე რომ განწონის მთელს მის არსებას, თუ არა მაცხოვრის სინაზის, სიყვარულისა და სიმწრის ყვირილი, თავისკენ რომ მიიხმობს მას? იქ, სადაც თქვენ ჰვრეტთ მხოლოდ ბუნების ბუნდოვან სპექტაკლს, ის ნათლად, მკაფიოდ ხედავს ზესკნელს თუ ქვესკნელს, მის ფერხთით პირაშკმულ უფსკრულსა თუ მის ზემოთ გულგახსნილ ცას. ის გამუდმებით გრძნობს წამითი-წამად ურთიერთმონაცვლე სიცოცხლისა და სიკვდილის სუნთქვას. ის ხედავს სამყაროს დასაბამიდან უცოდველ ზვარაკად შეწირულ უფლის სისხლგამდინარე ტარიგს, და ამ უმანკო სისხლის ყოველი წვეთი ციურ მანანად ეპკურება და კურნავს მის წყლულებს. აი, მთელი მისი მტკიცება. არაფერი უფრო უკეთ არ გვიმოწმებს, რაოდენ დავშორდით პასკალს, ვიდრე ის სიძნელე, რომელსაც ასე აშკარად ვგრძნობთ ყოველთვის, როცა გვსურს მივაკვლიოთ ხედვის იმ კუთხეს, საიდანაც „აზრების“ ავტორი ჰვრეტდა ცხოვრებას... პასკალი აქ ისეა, როგორც იტყვიან თაბორის მთისთვის: რასაც უნდა ვიქმოდეთ, ჩვენ ყოველთვის მთის ძირში ვრჩებით“[390]...

ასე თანდათანობით ავიწროებს პასკალი ადამიანის გარშემო საბედისწერო წრეს, ასე ამძაფრებს ჩვენს შინაგან წინააღმდეგობებს, ასე გვამწყვდევს ამქვეყნიური არსებობის სიმწრითა და სისაწყლით სავსე ბნელ ლაბირინთში, რათა შემდეგ მხოლოდ ერთი, ერთადერთი

გამოსავალი დაგვიტოვოს: ჩვენსავე სულში მიკვლეული ჰეშმარიტება, არიადნეს მხსნელი გორგალი, რომლის წყალობითაც, ბოლოს და ბოლოს, შეეძლებთ თავი დავაღწიოთ წყვდიადით მოცულ პირქუშ დილეგს, რათა რწმენის წმინდა ნათელში შევიცნოთ ჩვენი უცნაური გაორების, ჩვენი ბუნების შინაგანი წინააღმდეგობების დაფარული მიზეზი და, ამრიგად, ვეზიაროთ სიმშვიდეს და აუმღვრეველობას.

და სწორედ აქ პასკალის აზრი უშუალოდ ერწყმის დასაბამიერი, ანუ პირველი ცოდვისა და ადამიანის ცოდვითდაცემის რელიგიურ კონცეფციას, რომელიც შემდეგ იანსენიზმის ერთ-ერთ ქვაკუთხედად და ძირითად დოგმად იქცა. კი მაგრამ, რა არის ქრისტიანიზმის მიხედვით, ცოდვა საერთოდ, და, კერძოდ, დასაბამიერი ცოდვა? ცოდვა, ამ სიტყვის უზოგადესი გაგებით, ესაა რელიგიური თვალსაზრისით განხილული ყოველგვარი დანაშაული, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკრალურ ძალთა სისტემისა თუ ღვთიური კანონის დარღვევად. ნეტარი ავგუსტინე ცოდვას განსაზღვრავს, როგორც „მარადიული კანონის წინააღმდეგ მიმართულ სიტყვას, საქმეს თუ სურვილს“[391]. მაშასადამე, ცოდვა — მორალური ბოროტებაა, როგორც ადამიანური, აქტი, რომელიც არღვევს უფლის მარადიული სიკეთის მიერ სამყაროში დადგენილ წესრიგს.

გენეზისის მიხედვით ცოდვა იყოფა პირველ ცოდვად, რომელიც პირველი ადამიანის — აღამისგან იღებს დასაბამს და აწინდელ, ანუ პიროვნულ ცოდვად, რომლის წყაროც ადამის შთამომავალთა თავისუფალი წებაა... ტერმინით — „პირველი ცოდვა“ კათოლიკურ თეოლოგიაში აღინიშნება არა მარტო ადამისაგან მომდინარე დასაბამიერი ცოდვა, არამედ ამ ცოდვის ყველა შედეგიც, რომელიც ვრცელდება ყველა მის შთამომავალზე, მარიამ ღვთისმშობლის გამოკლებით... ამ მოძღვრების ძირითადი მომენტები შემდეგია: თავისი ცოდვის გმაო ადამი შეჩვენებულ იქნა არა მარტო როგორც კერძო პირი, არამედ როგორც კაცთა მთელი მოდგმის მამამთავარიც. ამიტომ საკუთარი ცოდვის სანაცვლოდ მარტო მას კი არ წაერთვა ყველა ის ზებუნებრივი ნიჭი და უკვდავება, რომელიც უფალმა უბოძა, არამედ ეს სასჯელი თანაბრად გავრცელდა ცოდვის შემდეგ და ცოდვის შედეგად გაჩენილ მთელს მის შთამომავლობაზეც[392]...

.როგორი იყო ადამიანი ცოდვითდაცემამდე? წმინდა, უბიწო,

უმწიკვლო, სპეტაკი, როგორც მისი ღვთაებრივი საცხოვრისი, ზეციური სამოთხე, მარადიული იერუსალიმი. აი, რას გვაუწყებს სიბრძნე უფლისა: „მე შევქმენი ადამიანი წმინდა, უბიწო, სრულყოფილი, სინათლით სავსე, გონებით სრული; ღირსი ვყავ იგი ჩემის დიდებისა და ჩემი სასწაულმოქმედებისა. ადამიანი უშუალოდ ჰვრეტდა მაშინ სიდიადეს შემოქმედისა. მისთვის უცხო იყო წყვდიადი, რომელიც ახლა ასე აბრმავებს, უცხო იყო სიკვდილი და უსასოება, რომელიც ახლა ასე აძრწუნებს“[393]...

აქ პასკალს მხარს უმაგრებს არა მარტო საღმრთო წერილი ან კათოლიკური თეოლოგია, არამედ თვით წარმართული ფილოსოფიაც. კერძოდ, პლატონი: „...მშვენიერება თვალისმომჭრელი სხივოსნობით. ბრწყინავდა მაშინ, როცა... ნეტართა დასთან ერთად ვჰვრეტდით ამ თვალწარმტაც სანახაობას და, ამრიგად, ვეზიარებოდით მისტერიათაგან, თამამად შეიძლება ითქვას, უტკბესსა და უნეტარეს მისტერიას, რომელშიც, უბიწონი და მომავალ ცხოვრებაში ჩვენს თავს მოწევნად ბოროტებასთან წილუყრელნი, თავად ვასრულებდით მარადიული ღვთისმსახურების მისტიურ წესს. ჩვენ ვჰვრეტდით უხრწნელ, უმარტივეს, ურყევსა და უწმინდეს არსთ, და მათი წმინდა სხივოსნობის მჰვრეტნი თავად ვიყავით უმწიკვლონი და უმანკონი, რადგან ნატამალიც კი არ გვეცხო იმ ხრწნადი გარსისა, რომელსაც დღეს სხეულს ეუწოდებთ და რომელშიაც მომწყვდეულნი ვართ, როგორც ლოკოკინა — თავის ნიჟარაში[394].

მაგრამ პირველ ადამიანს შემოქმედისაგან ებოძა არა მარტო სიწმინდე და სისპეტაკე, არამედ თავისუფალი ნებაც, ე. ი. სიკეთესა და ბოროტებას შორის თავისუფალი არჩევანის უნარიც და, ნეტარი ავგუსტინეს თანახმად, სწორედ ეს გახდა მისი დაცემის საბედისწერო მიზეზი, ვინაიდან ადამმა ბოროტება არჩია სიკეთეს და, ამრიგად, სცოდა, რითაც მთლიანად შერყვნა და შებღალა კაცის პირველქმნილი ბუნება. აი, რას ღაღადებს, პასკალის მიხედვით, სიბრძნე უფლისა:

ადამიანმა „ვერ გაუძლო ამ სიდიადეს და ცუდმედიდი განდა. მან მოისურვა თავად გამხდარიყო თავისი თავის ცენტრი და არად ჩაეგდო ჩემი შემწეობა. ის გამიდგა დ, რაკი ისურვა თავის თავშივე ეპოვა საკუთარი ბედნიერება, მეც გავწირე და თავისი თავის

ანაბარა მივატოვე; მე ავუმბოხე ქმნილებები, რომლებიც მანამდე ემონებოდნენ, და მტრებად ვუქცივე ისინი: ასე რომ, კაცი მხეცს დაემგვანა და იმდენად დამცილდა მე, რომ მბეუტავ სანთლადღა შემორჩა მოგონება შემოქმედისა: ისე ჩაქრა, ისე ჩაიშრიტა მისი სულიერი ნათელი და გონების სხივცისკროვნება. გონებისაგან თავდახსნილმა და ხშირად გონებისავე მბრძანებელმა გრძნობამ შვებისა და განცხრომის ძებნად მიაქცია იგი. ყველაფერი თრგუნავს, ყველაფერი აძრწუნებს, ყველაფერი აცთუნებს მას, ყველაფერი ან თავისი ძალმოსილებით სრესს, ან თავისი ხიბლით ჩხიბავს, ხოლო ესაა უსასტიკესი უღელი და უმძიმესი ტვირთი უსიხარულო მონობისა.

აი, რა ღლეშია ამჟამად ადამიანი. მას შემორჩა მხოლოდ ბრმა ინსტინქტი, მბეუტავი ხსოვნა თავისი ოდინდელი ბედნიერებისა და დასაბამიერი ბუნებისა. ის მთლიანად შთაინთქა სიმწარეში, მთლიანად ჩამყაყდა სიბრმავესა და სიბილწეში, რომელიც მის მეორე ბუნებად იქცა"[335].

ასე აყალიბებს პასკალი თავის ყველაზე „მძლავრ" არგუმენტს. თუმცა აქვე უთუოდ უნდა ითქვას შემდეგი: „აზრების" ავტორი არსად არ გადადის ზღვარს, არსად არ აზვიადებს საკუთარი არგუმენტაციის მნიშვნელობას და ერთი სიტყვითაც არ აცხადებს იმის პრეტენზიას, რომ ცოდვითდაცემის გონებამიუწვდომელი საიდუმლო (რომლის მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელ ინტერპრეტაციას ამაოდ შეეწირა ეკლესიის მამების — ტერტულიანესა და ამბროსი მედიოლანელის, დიდი თეოლოგების — ნეტარი ავგუსტინესა და თომა აქვინელის, რეფორმაციის ფანატიკოსი ლიდერების—ლუთერისა თუ კალვინისა და სხვათა და სხვათა მცდელობა და გულმოდგინება) თვითცხად თუ თვითმკმარ საბუთად მიაჩნია. პირიქით, ის ამბობს:

„ვანა საოცარი არ არის, რომ ჩვენი ცნობიერებისათვის ყველაზე მიუწვდომელი საიდუმლო, ცოდვის მემკვიდრეობითობის საიდუმლოა სწორედ ის, რის გარეშეც ვერასოდეს შევიმეცნებთ ჩვენსავე თავს?! რადგან ჩვენს გონებას ყველაზე მეტად აოგნებს იმის მტკიცება, რომ პირველი ადამიანის ცოდვამ ყველას უწია და ცოდვილად აქცია ყველა, ვისაც ცოდვის წყაროსაგან უზარმაზარი დროული დისტანცია აშორებს და ამიტომ, ერთის შეხედვით, თითქოს წარმოუდგენელია წილი ედოს პირველ ცოდვაში. ცოდვის ეს

მემკვიდრეობითობა არა მარტო შეუძლებელი გვეჩვენება, არამედ უკიდურესად უსამართლოც, და მართლაც, რა ეწინააღმდეგება უფრო მეტად ჩვენი უბადრუკი სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, ვიდრე ის, რომ სამარადისოდ შეაჩვენო უმანკო ჩვილი, რომელსაც საკუთარი ნება არც კი გააჩნია, შეაჩვენო იმ ცოდვის გამო, რომელშიაც მას მხოლოდ იმდენად მიუძღვის ბრალი, რომ მისი ჩადენიდან ექვსი ათასი წლის შემდეგ დაიბადა? ღმერთმანი, არაფერი არ გვთრგუნავს ისე, როგორც ეს სასტიკი მოძღვრება, და მაინც, მისტერიათაგან ამ ყველაზე გონებამიუწვდომელი მისტერიის გარეშე, ჩვენთვის სამუდამოდ გონებამიუწვდომელი დარჩებოდა ჩვენივე თავი. ჩვენი არსებობის უსიხარულო ხლართი უსახო რგოლებად იგრაგნება უფსკრულის ფსკერზე და ადამიანი უფრო გაუგებარია ამ საიდუმლოს გარეშე, ვიდრე ეს საიდუმლოა გაუგებარი ადამიანისათვის"[396].

მაშასადამე, ცოდვითდაცემის რელიგიური დოგმა პასკალს სჭირდება მხოლოდ და მხოლოდ როგორც ჰიპოთეზა, რომელმაც უნდა ახსნას ადამიანის მრჩობლი ბუნება და გადაჭრას მისი შინაგანი წინააღმდეგობანი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაგვიცხადოს მისი უცნაური გაორების მიზეზი, და არა მარტო გაორებისა. ადამიანის დღევანდელი მდგომარეობა დაცემული არსების მდგომარეობაა. პასკალი მას ადარებს ტახტიდან ჩამოგდებულ მეფეს[397]. ჩვენი სული ისევე ინახავს თავისი ოდინდელი სიდიადისა და აწინდელი უბადრუკობის ნაკვალევს, როგორც კაცობრიობა — ყველა თავისი თავბრუდამხვევი მიღწევისა თუ საბედისწერო მარცხის ხსოვნას, თავის ისტორიულ წარსულს. ადამიანის ბუნების სწორედ ეს ორადობა განაპირობებს, ერთის მხრივ, ჭეშმარიტებასა და ბედნიერებასთან ზიარების ჩვენს უშრეტ წყურვილს, და მეორეს მხრივ, მისი დაცხრომის შეუძლებლობას:

„ჩვენ ხარბად დავეძებთ ჭეშმარიტებას, მაგრამ მხოლოდ ბუნდოვანებას ვპოულობთ ჩვენში.

ჩვენ დავეძებთ ბედნიერებას, მაგრამ მხოლოდ სიმწარეს და სიკვდილს ვპოულობთ.

ჩვენ არ შეიძლება არ გვსურდეს ჭეშმარიტება და ბედნიერება, მაგრამ არ შეგვიძლია ვეზიაროთ ჭეშმარიტ ცოდნასა და შეუმღვრეველ ბედნიერებას. ეს სურვილი დასასჯელად და შესაჩვენებლად კი

არ შემოგვრჩა, არამედ — უფრო იმიტომ, რომ გვახსოვდეს, როგორ დავემხეთ, როგორ დავეცით, და რა დავკარგეთ"[398].

აქედან გამომდინარე, პასკალი ავლენს ადამიანური ბუნების კიდევ ერთ პარადოქსს: ხომ ასეთი უბადრუკნი ვართ, უმწეონი და მსწრაფლწარმავალნი, მაგრამ ჩვენში, ყოველმხრივ სასრულ არსებებში, არის რაღაც უსასრულო, კერძოდ, ბედნიერების შმაგი წყურვილი, და არ არსებობს ამ ქვეყნად ძალა, რომელიც შესძლებს ეს სურვილი ჩაახშოს ჩვენში, ისევე როგორც, სამწუხაროდ, არ არსებობს ამქვეყნიურ სინამდვილეში მისი დაცხრომის არავითარი საშუალება:

„...მაგრამ რას მოწმობს ბედნიერების ეს შმაგი წყურვილი და მისი დაცხრომის შეუძლებლობა, თუ არა იმას, რომ ადამიანი ოდესღაც ჭეშმარიტად ბედნიერი იყო, და რომ ამ ბედნიერების სახსოვრად მას დარჩა მხოლოდ ლიტონი სურვილი, აღუსებელი საწყაული, რომლის ავსებასაც ამაოდ ცდილობს ყოველივე იმით, რაზედაც ხელი მიუწვდება, რაც გარს არტყია, მაგრამ რაკი ხელმისაწვდომი არ აკმაყოფილებს, რაკი მიღწეულით ვერ იკლავს წყურვილს, ხარბად მიელტვის მიუღწეველს და მიუწვდომელს, და კვლავ უშედეგოდ, და კვლავ ამაოდ, ვინაიდან უსასრულო სიცარიელის ავსება შეიძლება მხოლოდ რაღაც უსასრულოთი და უცვლელით, ესე იგი, ღმერთით.

მხოლოდ მასშია ჩვენი ჭეშმარიტი სიკეთე, მაგრამ ვაი რომ დავკარგეთ ის და მას მერე ამაოდ ვეძებთ მის მაგიერს, ამაოდ ვცდილობთ რაიმეთი შევცვალოთ იგი: ვარსკვლავებით, ცით, დედამიწით, სტიქიონებით, მცენარეებით, კომბოსტოთი, პრასით, ცხოველებით, მწერებით, კუროებით, გველებით, ციებ-ცხელებით, ჭირით, ომით, შიმშილობით, ბიწიერებით, გარყვნილებით, სისხლის აღრევით. ჭეშმარიტი სიკეთის დაკარგვის შემდეგ ადამიანს შეიძლება ყველაფერი სიკეთედ მოეჩვენოს, ასე განსაჯეთ, საკუთარი თვითმოსპობაც და თვითგანადგურებაც, თუმცა არაფერი ასერიგად არ ეწინააღმდეგება ღმერთს, გონებას, სამყაროს ბუნებას"[399].

არაფერია უფრო საცოდავი და საწყალობელი, ვიდრე დაცემული და გაოგნებული ადამიანის სიმწრით აღსავსე ყოფა, ვიდრე მისი უთავბოლო წრიალი თუ ბორიალი, მისი მუდმივი ბორგვა, გაუთავებელი ყოყმანი, ორჭოფობა, გაურკვევლობა: „ადამიანმა არ იცის

ვის მოაკეთებოს თავი. ის გრძნობს, რომ დაიკარგა, დაეცა, დაივიწყა ჭეშმარიტი სამშობლო და ვეღარ აგნებს უკან დასაბრუნებელ გზას, თუმცაღა მთელი სიცოცხლე ბრმასავით დაბორიალობს განუჭვრეტელ უკუნეთში და — სასოწარკვეთილი — ალალბედზე, ხელის ფათურით დაეძებს მას"[400].

ვინ მოჰფენს ნათელს ამ უკუნეთს, ვინ მოუღებს ბოლოს ამ ყოყმანს, ვინ წარმართავს წრფელი გეზით სასომიხდილსა და მიწიერი სინამდვილის უსიერ ტევრში (selva oscura) დანტესავით მხარქცეულ კაცს? შესძლებს კია დაცემული ადამიანი თავისდა სასიკეთოდ გადაწყვიტოს მის წინაშე საბედისწერო ვარდუვალობის ძალით დასმული სასტიკი დილემა: ან ხელახალი დაცემა და, ამრიგად, ცხოველად ქცევა, ან თავისი დაცემული ბუნების დათრგუნვა, კვლავ ამაღლება და დასაბამიერ სიწმინდესთან ზიარება?

„რა ბედი ელის ადამიანს? ვის გაუტოლდება: ღმერთს თუ ცხოველებს? რა საშინელი მანძილია! რანი ვართ და რად ვიქცევით ჩვენ? ყოველივე ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ადამიანმა დაჰკარგა თავისი ოდინდელი სიდიადე, დაეცა, დამდაბლდა და ახლა, სასომიხდილი, ამაოდ ცდილობს დაიბრუნოს დასაბამიერი ნეტარება და ბედნიერება. ვინ დაგვიბრუნებს? ჩვენმა ყველაზე დიდმა მოძღვრებმა ვერ შესძლეს ეს"[401].

დიახ, ვერც ერთმა ფილოსოფიურმა სკოლამ — ვერც პირონიზმმა თუ დოგმატიზმმა, ვერც სკეპტიციზმმა თუ რაციონალიზმმა, ვერც სტოიციზმმა თუ ეპიკურეიზმმა ვერ შესძლო ადამიანის მრჩობლი ბუნების მართებული ახსნა და ჩვენს წინაშე ზნეობრივი ქცევის მკაცრი თანმიდევრობით ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო პროგრამის დასახვა:

„ფილოსოფოსებმა ვერ გაგვიმეღაენეს ამ ორი მდგომარეობის შესატყვისი გრძნობები.

ისინი გვინერგავდნენ მხოლოდ და მხოლოდ სიდიადის გრძნობას, მაგრამ ეს გრძნობა არ შეეფერება ადამიანს.

ისინი გვინერგავდნენ მხოლოდ და მხოლოდ სიმდაბლის გრძნობას, მაგრამ ეს გრძნობა არ შეეფერება ადამიანს.

სიმდაბლის გრძნობა საჭიროა, მაგრამ არა ბუნებით, არამედ სინანულით განპირობებული; არა იმიტომ, რომ სიმდაბლეში ჩავმყაყდეთ, არამედ სიდიადემდე ასამაღლებლად. სიდიადის გრძნობა

საჭიროა, მაგრამ არა დამსახურებით, არამედ მადლით განპირობებული, და საჭიროა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანმა უკვე განვლო სიმდაბლის ბჭე, უკვე გაარღვია სიმდაბლის რკალი"[46].

და მართლაც, რაკი ადამიანის ბუნება გაორებულია, რაკი ის ქანქარასავით ქანაობს სიდიადესა და უბადრუკობას, ქედმაღლობასა და თავმდაბლობას, ღმრთის მოყვარეობასა და თავმოყვარეობას შორის, ამიტომ მისი შეფასების ყოველგვარი ცალმხრივი კრიტერიუმი მცდარია და არამართებული:

„სახიფათოა დაარწმუნო ადამიანი იმაში, რომ ზედმიწევნით ცხოველსა ჰგავს ღა იმავდროულად არ უჩვენო მისი სიდიადე. არანაკლებ სახიფათოა დაარწმუნო სიდიადეში და დაუმალო სიმდაბლე. კიდევ უფრო სახიფათოა არც ერთი გაუმჟღავნო და არც მეორე. სასიკეთოა მხოლოდ ერთი რამ: უჩვენო ადამიანური ბუნების ორეოფობა და ორადობა.

ადამიანი თავს არ უნდა უტოლებდეს არც ცხოველებს და არც ანგელოსებს, მისთვის დაფარული არ უნდა იყოს საკუთარი ბუნების არც ერთი მხარე; დაე, ერთსაც იცნობდეს და მეორესაც"[47].

ქრისტიანული სარწმუნოება, — აი, პასკალ-ს მიხედვით, ერთადერთი ქმედითი ძალა, რომელიც ღვთაური მადლის უხრწნელი შუქით ანათებს ჩვენს უმწეო გონებას, წმენდს ჩვენს საბრალო გულს და ამომწურავად გვიცხადებს როგორც ჩვენი შინაგანი წინააღმდეგობების იდუმალ სიღრმეს, ისე მათი წარმომავლობის მისტიურ წყაროს:

„ადამიანის სიდიადე და უბადრუკობა ყოველთვის ამჟღავნებს თვალში საცემი, ამიტომ ჭეშმარიტი რელიგია აუცილებლად უნდა გვაჩვენებდეს, რომ ადამიანში არსებობს როგორც სიდიადის, ისე უბადრუკობის მკვეთრად გამოხატული ორი საწყისი. მან უნდა აგვიხსნას ამ განსაცვიფრებელ ურთიერთსაპირისპირო საწყისთა თანაარსებობა ადამიანის სულში.

მხოლოდ ერთი რამ განაპირობებს ადამიანის ბედნიერებას: რელიგიამ უნდა უჩვენოს მას, რომ არსებობს ღმერთი; რომ მისი ვალია უყვარდეს იგი; რომ ჩვენი ჭეშმარიტი ბედნიერება მისი სიახლოვეა. ჩვენი ერთადერთი უბედურება კი მისი სიშორე: რელიგიისათვის დაფარული არ უნდა იყოს, რომ ჩვენი სული სიბნელითაა სავსე, რაც ხელს გვიშლის შევიცნოთ და გვიყვარდეს ღმერთი, რომ

თვით ჩვენი დანიშნულება გვიწესებს და ურყევ მცნებად გვისახავს მის სიყვარულს, ჩვენი სიბილწე კი გვიკრძალავს ამას და ამიტომ ჩვენ უკეთურნი ვართ და უსამართლონი; მან უნდა აგვიხსნას, რატომ ვუპირისპირდებით ასე ჯიუტად ღმერთსაც და ჩვენს ბედნიერებასაც, მან უნდა გვასწავლოს ამ უმწეობის წამალი და მისი მიკვლევის გზაც. გადახედეთ ამ თვალსაზრისით ყველა მსოფლიო რელიგიას, და თქვენ დარწმუნდებით, რომ არც ერთი არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს ქრისტიანული რელიგიის გარდა[404].

მაგრამ სარწმუნოების გულმხურვალე ღაღადისი, ჭეშმარიტ ცხოვრებად რომ მოუხმობს კაცს, კვლავ რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. რატომ? — კითხულობს პასკალი, — რატომ ეურჩება კაცი ღმერთს? რატომ ძალით იყრუებს და იბრმავებს თავს? რატომ ნებსით ივიწროებს თვალსაწიერსაც და თავისი უბადრუკი „არსებობის საწიერსაც?" რატომ იხშობს მარადისობის უსასრულო და უსაზღვრო პერსპექტივას? „თუ კაცი მართლა ღმერთისათვის არ არის შექმნილი, რატომაა ბედნიერი მხოლოდ და მხოლოდ ღმერთში? თუ კაცი მართლა ღმერთისათვის არის შექმნილი, რატომ ასე ეურჩება ღმერთს"?[405]

ადამიანის ამ უცნაური სიურჩისა და, ერთის შეხედვით, აუხსნელი და გაუგებარი სიყრუისა თუ სიბრმავის მიზეზს „აზრების" ავტორი ისევ და ისევ მის ცოდვილ ბუნებაში ხედავს. უფლის ხატად შექმნილი კაცი ცოდვითდაცემის შედეგად არა მარტო დაშორდა ღმერთს, არამედ კიდევაც დაუპირისპირდა მას. გაუკუღმართებულმა გულმა და გონებამ, გამრუდებულმა ნებამ თანდათანობით ჩაახშო, თანდათანობით წაშალა კაცის სულში შემოქმედის წმიდა ხატება. უღმერთოდ დარჩენილმა ადამიანმა საკუთარი თავი დასვა ღმერთის ადგილას, თავი გაიღმერთა. ამიერიდან, თანადროული ფილოსოფიური მიმდინარეობის ნეოპროტესტანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის ე. ბრუნერის თქმისა არ იყოს, „ადამიანი საკუთარი ღვთაებრიობის ტყვეა"[406]. ნოლო იმავე ნეოპროტესტანტიზმის მიხედვით, რომელიც ისევე გამოდის პასკალიდან, როგორც ბარტუი — კვერცხიდან, ადამიანის მიერ თავისი თავის გაღმერთება, თავისი თავის თვითმკმარ და ავტონომიურ არსებად მიჩნევა, — ესაა კაცობრიობის ერთ-ერთი უმძიმესი შეცდომა, როგორც ადამიანის მიერ ღმერთის პროგატივების მითვისება. ეგოიზმი, — აი, პასკალის მიხედვით, ძირითადი წყარო ადამიანის უღმერთობისა:

„როდესაც გვსურს ღმერთზე ვიფიქროთ, ხომ არის რაღაც, რაც ხელს გვიშლის და სხვა რამისკენ მიაქცევს ჩვენს აზრს? ყოველივე ეს ბოროტებაა, — თანდაყოლილი, ჩვენთან შობილი"[407] „...ჩვენ დაბადებითვე ისე ვეწინააღმდეგებით ამ სიყვარულს შემოქმედის მიმართ, რომ აქედან აუცილებლობის ძალით გამომდინარეობს დასკვნა: ან ჩვენ ვიბადებით ბრალეულნი, ანდა ღმერთი უსამართლოა"[408].

ეგეც არ იყოს, შემოქმედის შეცნობასა და წვდომაში ადამიანს დაუძლეველ დაბრკოლებად ეღობება უზარმაზარი დისტანცია, გადაულახავი ზღვარი, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფს კაცსა და ღმერთს, სასრულსა და უსასრულს: „...უსასრულობა არ გაიზრდება, თუ მას ერთს მივუმატებთ, ისევე როგორც ერთი ციდის წამატებით არ გაიზრდება უსასრულო სიგრძე. უსასრულობასთან შეპირისპირებით სასრული ქრება და წმინდა არარაობად იქცევა. იგივე ითქმის ჩვენი სულისა და ღმერთის, ადამიანური სამართლისა და ღვთაებრივი სამართლიანობის ურთიერთმიმართების გამო... უკეთუ არსებობს ღმერთი, ის მთლიანად გონებამიუწვდომელია, რადგან, როგორც დაუნაწევრებელი და დაუსაზღვრელი, ყოველმხრივ განსხვავდება ჩვენგან. მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ მისი ბუნება, არ შეგვიძლია ვიცოდეთ არსებობს თუ არა იგი. მაგრამ თუ ასეა, ვინ გაბედავს მისი არსებობის დამტკიცებას ან უარყოფას? ყოველ შემთხვევაში, ეს ჩვენს ძალას აღემატება. სად ჩვენ და სად ის?"[409].

სად ჩვენი გონება და სად ღმერთი? პასკალის აზრი აქ აშკარად უპირისპირდება ადამიანური გონების თვითმკმარობის დეკარტისეულ კონცეფციას. ფილოსოფიის ისტორიაში ესაა უპირველესი და უმძაფრესი რეაქცია კარტეზიანული ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ. არა, ადამიანი მარტოოდენ გონებით ვერასოდეს მისწვდება, ვერასოდეს შეიმეცნებს ღმერთს. ლოგიკური მსჯელობის გზით ღმერთის არსებობის დამტკიცებისა თუ დასაბუთების ყოველგვარი ცდა წინასწარვე აშკარა მარცხისთვისაა განწირული, — ასეთია „აზრების" ავტორის დასკვნა, რომელსაც შემდეგ საბოლოოდ დაიფუძნებს და დააკანონებს კანტის „წმინდა გონების კრიტიკა"[410].

პირწმინდად ლოგიკური, რაციონალურ-დისკურსიული მსჯელობის გზით უფლის ძიებას ათასწლეულების მანძილზე ამაოდ შეეწირა კაცობრიობის უზარმაზარი სულიერი ენერგია. დროა, ბოლოს

და ბოლოს ვაღიაროთ, დასძენს პასკალი, რომ ღმერთი გონებით ვერ მიიწვდომება. და, აი, ის მიმართავს თავისი დროისათვის უთუოდ ყველაზე თამამსა და ყველაზე ორიგინალურ ცდას: გონებას მკვეთრად უპირისპირებს ადამიანის თავისუფალ ნებას („ღმერთს უფრო ჩვენი ნების დაუფლება სურს, ვიდრე გონების"[411]) და, ამრიგად, გულისა და გრძნობის ფილოსოფიით გონების ფილოსოფიას. პასკალის ჩანაფიქრი ნათელია: შესაქმისას სწორედ ნების სიმრუდე გახდა ადამიანის ცოდვითდაცემის მიზეზი და ამიტომ მწიკვლისაგან გაწმენდილი ნებისავე სიწრფელემ უნდა იხსნას დაცემული კაცი. შემოქმედმა მხოლოდ იმიტომ გვიბოძა დამოუკიდებლობა, რათა, ქედმოდრეკილნი, ნებაყოფლობით ვმორჩილებდეთ მას. არა გონების ქმედითობა, არამედ ნებელობისმიერი ქცევა, — ასე ესახება პასკალს რწმენის საფუძველთა საფუძველი:

„ნებელობისმიერი ქცევა ძირფესვიანად განსხვავდება ყველა სხვაგვარი ქცევისაგან.

ნებელობის გარეშე წარმოუდგენელია რწმენა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის ქმნის ამ რწმენას, არამედ იმიტომ, რომ ნებისმიერი საგნის, ნებისმიერი მოვლენის სიმართლეს თუ სიყალბეს მხოლოდ ხედვის კუთხე, მხოლოდ ჩვენი თვალსაზრისი განაპირობებს. ნება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ერთს, სულს უკრძალავს ყოველივე იმის ჭვრეტას, რაც თავად არ სიამოვნებს. ასე რომ, ნების მონა-მორჩილი სული ჭვრეტს მხოლოდ იმას, რასაც ნება იწონებს, და განსჯითაც მხოლოდ იმის მიხედვით სჯის, რასაც ნების კარნახით ჭვრეტს"[412].

ამ ვოლუნტარისტული მოძღვრების შინაგან ცენტრად გული გვევლინება, მხოლოდ, რა თქმა უნდა, სუბიექტური ნების ძალისხმევითა და ღვთიური მადლის ზემოქმედებით გაწმენდილი და განახლებული გული, რომელიც თრგუნავს ჩვენს ცხოველურ ეგოიზმს და მთელის არსებით მიგვაქცევს შემოქმედის მიმართ: „ღმერთს გული გრძნობს და არა გონება. აი, რა არის რწმენა: ღმერთი გრძნობადი გულისათვის, არა გონებისათვის"[413].

როცა წერს „გულით", — პასკალი გულისხმობს გრძნობის ერთგვარ უშუალობას და შინაგან სიცხადეს, რომლის მიხედვითაც ჩვენ ლოგიკური მტკიცების შუამავლობის გარეშე ვწვდებით და აღვიქვამთ ჭეშმარიტებას, არა მარტო ზნეობის სფეროში, სადაც გრძნო-

ბის ამ უშუალო სიცხადეს სინიდისი ეწოდება, არამედ თვით ფიზიკური სინამდვილის შეცნობის პროცესშიაც: ესაა ე. წ. პირველსაწყისთა, ანუ, უფრო პოპულარული ტერმინით რომ ვთქვათ, წმინდა იდეათა აპრიორული აღქმა: „ჩვენ შევიცნობთ ჭეშმარიტებას არა მარტო გონებით, არამედ გულითაც; სწორედ გულით შევიმეცნებთ ჩვენ პირველსაწყისთ, და სულ ამაოდ ცდილობს გონება, რომელსაც ხელი არა აქვს გულთან შეიცნოს ეს პირველსაწყისნი...“[414]

გულისმიერ, ინტუიტურ შემეცნებას „აზრების“ ავტორი აშკარა უპირატესობას ანიჭებს რაციონალურ-დისკურსიულ შემეცნებასთან შედარებით („ჩვენი გონების ყოველგვარი ქმედითობა, ბოლოს და ბოლოს, გრძნობინ წინაშე ქედმოდრეკით მთავრდება“[415]). ამ პრობლემის პასკალისეულ გააზრებაში ცხადად იგრძნობა პორ-როიალის გავლენა: სენ-სირანი თეოლოგიას „გულის მეცნიერებას“ უწოდებდა, ხოლო ნიკოლი წერდა: „ჭეშმარიტება სხვა არა არის რა, თუ არა ძველი კანონი, როცა ის გონებით მიიწვდომება, მაგრამ იგივე ჭეშმარიტება ქრისტიანული და ევანგელიკური კანონი ხდება, როცა გულზეა ამოტეიფრული“. ნიკოლსავე ეკუთვნის გამოთქმა: „გულია ჭეშმარიტების ბუნებრივი ადგილი“[416].

გულისმიერი შემეცნების, ინტუიტური წვდომის ობიექტი, უწინარეს ყოვლისა, თვით ადამიანის შინაგანი, სულიერი სამყაროა, და ეს წვდომა, როგორც აღვნიშნეთ, უშუალოდ ხორციელდება. რას ნიშნავს ეს? ზოგიერთი ინტუიციონისტური კონცეფციის თანახმად, შემეცნებისმიერი ცდა ორ ტიპად—გარეგან და შინაგან შემეცნებად განიყოფება. გარეგანი ცდა მხოლოდ გრძნობად, სიმბოლურ ცოდნას გვაძლევს, ვინაიდან აქ საგნები უშუალოდ კი არ შეიმეცნება, არამედ მხოლოდ ჩვენი გრძნობის ორგანოებზე (თვალი, ყური და სხვ.) მათი ზემოქმედების შედეგად. მაშინ როდესაც შინაგანი ცდით ჩვენ უშუალოდ ვაკვირდებით ჩვენივე სულის მოძრაობას (სურვილებს, განცდებს, მისწრაფებებს და ა. შ.). ისე რომ გრძნობის ორგანოთა შუამავლობა არ გვჭირდება და, ამრიგად, შევიმეცნებთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი სულიერი ცხოვრების „დედანს“ და არა მის სიმბოლურ „ასლს“. პასკალის მიხედვით, გულისმიერი შემეცნების ობიექტებია აგრეთვე მორალური თუ რელიგიური ჭეშმარიტებანი, ისევე როგორც შემეცნებისა და კონკრეტული არსებობის პირველსაწყისნი:

„გულს თავისი კანონები აქვს, რომლებიც სრულიად უცხოა გონებისათვის; ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა ეს. მე იმის თქმა მსურს, რომ გულს, ბუნებით, უყვარს უზენაესი არსი და ბუნებითვე უყვარს თავისი თავიც, იმისდა მიხედვით, თუ ვის მიმართ მიდრეკება ხოლმე; და ის თავისი არჩევანით ქვავდება როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ. თქვენ უარყავით გული და გსურთ მისდიოთ მხოლოდ გონებას? რაო, იქნებ გონებით გიყვართ თქვენივე თავი?[417].

შემეცნების წყარო რომ მხოლოდ გონება იყოს, მაშინ, ზოგიერთი ინტუიციონისტის (ბერგსონი, ლოსკი და სხვ.) აზრით, ადამიანის ხვედრი იქნებოდა მხოლოდ რელატიური, მხოლოდ სიმბოლური ცოდნა; მაგრამ ჩვენ ვფლობთ ცოდნის კიდევ ერთ წყაროს, შემეცნების კიდევ ერთ ინსტრუმენტს, სახელდობრ, ინტუიციას, ამ ერთგვარ „შინაგან გრძნობას“, „შინაგან ჭვრეტას“, როგორც მას უწოდებს შელინგი; ეს იგივე „სინოპტიკური აღქმაა“, რომლითაც პლატონის მიხედვით, სული სწვდება და იმეცნებს საგანთა სიმრავლის მიღმა მდგარ იდეას. ინტუიცია ერთგვარი სულიერი სიმპათიაა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვიჭრებით საგნის სიღრმეში, ვიმეცნებთ მის განუმეორებელ ინდივიდუალობას, ვწვდებით მის კონკრეტულ შინაარს და, ამრიგად, ვერწყმით მის ინტიმურ არსს. გულისმიერი, ინტუიტური შემეცნების პრინციპები, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი გრძნობებია, რაციონალურ-დისკურსიული შემეცნების პრინციპები კი ლოგიკური სილოგიზმები და მათემატიკური ოპერაციები. პასკალის ცნობილი ფრანგი კომენტატორის ერნესტ ავეს შენიშვნით, რაციონალური შემეცნების პრინციპები თითქოს მანქანის ზამბარები და ბორბლებია, ინტუიტური შემეცნების პრინციპები კი — ის მოუხელთებელი იდუმალი ძალები, რომელთა თამაში ქმნის ცოცხალი ორგანიზმის განსაცვიფრებელ მექანიზმს[418].

„გულს თავისი წესრიგი აქვს, გონებას — თავისი; გონება საწყისებს და დასაბუთებას ემყარება, გული — სხვა რამეს. ვინ ამტკიცებს ან ასაბუთებს, სიყვარულის ყველა მიზეზის მწყობრი წესრიგით ფილოგენეზისა და თანმიმდევრული ჩამოთვლის გზით, რომ მავანი უნდა გიყვარდეს? რა იქნებოდა უფრო სასაცილო? მაცხოვრისა და წმ. პავლეს მადლი გულმოწყალებისმიერია და არა გონებისმიერი, რადგან მათ ჩვენი განსწავლა კი არ სურდათ, არამედ გათბო-

ბა ჩვენი გულების. იგივე ითქმის წმ. ავგუსტინეს მიმართ, მათი წესრიგი სხვა არა არის რა, თუ არა ყოველწამიერი გადახვევა, რომელიც ამოკლებს მიზნისკენ მიმავალ გზას და უფრო ცხადად წარმოგვიჩენს ჩვენი არსებობის საბოლოო მიზანს"[119].

აქ შეიძლებოდა დაგვესვა წერტილი და ამით დაგვემთავრებინა შემეცნების პასკალისეული თეორიის მოკლე მიმოხილვა. მაგრამ ძნელია თავი დააღწიო მომხიბლავ ცდუნებას და პარალელი არ გაავლო პასკალისა და... რაბინდრანათ თაგორის ნააზრევს შორის, მით უმეტეს, რომ იშვიათად თუ მოიძებნება ორი სხვადასხვა მსოფლგანცდის უფრო სრული და ზუსტი თანხვდომა, იშვიათად თუ მოიძებნება პასკალისეული კონცეფციის უფრო სრულყოფილი ემოციური ადექვატი, ვიდრე თაგორის ქვემოთ ციტირებული ფრაგმენტია:

„რელიგია, რომელსაც ჩვენ საღვთო წერილებიდან ვითვისებთ, ჩვენი გულის საკუთრებად არასოდეს იქცევა. ჩვენ მხოლოდ ჩვეულების ძალითა ვართ მასთან დაკავშირებული. რელიგიის მოპოვება საკუთარ გულში — ეს დიდი და ვაჟკაცური საქმეა, რომელიც მთელ ცხოვრებადა ღირს. ტანჯვის მწვერვალებზე იბადება იგი, გულის სისხლით იზრდება და იმისდა მიუხედავად, მოაქვს თუ არა შვება კაცისათვის, მისი ცხოვრების გზა-აღსრულების სიხარულით მთავრდება.

ჩვენ ხშირად ვერ შეგვიგნია, რამდენად მცდარია ყველაფერი ის, რასაც სხვათა პირიდან ვისმენთ ან განუწყვეტლივ ვიმეორებთ საკუთრითაც. ამ დროს კი დღითი დღე, აგური აგურს ედება და ჩვენს გულში საკუთარი ჭეშმარიტების ტაძარი შენდება. ჩვენ ვერ ჩაეწვდებით ამ მარადი ქმნადობის საიდუმლოს, თუკი ჩვენს ჰმუნვასა და სიხარულს, ჩვენი ცხოვრების სიკეთისა და სიავის დღეებს თვითეულს ცალ-ცალკე, სწრაფადმედინი დროის ფონზე განვიხილავთ. ისევე როგორც გაუგებარი ხდება წინადადების აზრი, როცა მას მარცვალ-მარცვალ დავანაწევრებთ.

როგორც კი ჩავწვდებით საკუთარ გულში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესის ერთობლივ სქემას, იმავ წუთში ნათელი ხდება სამყაროს მარადგანვითარებად პანორამასთან ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება. ჩვენ ვიწყებთ იმის შეგნებას, რომ ყოფიერების შექმნის პროცესთან ჩვენცა ვართ წილნაყარნი, ამ ციურ სამყაროთა

მსგავსად, რომელთაგან თვითეული თავის საკუთარ ორბიტაზე მოძრაობს, — და ყველა ჩვენი მისწრაფება და ტანჯვა-წამება თავის შესაფერ ადგილს იკავებს მსოფლიოს მთლიანობაში.

მართალია, ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა ხდება. ჩვენ არაფერი ვიცით თვით უმცირესი ნაწილისაც კი. მაგრამ როცა ჩვენ შევიცნობთ, რომ საკუთარ გულში მიმდინარე სიცოცხლის ნაკადი მსოფლიოს საერთო ნაკადის სავსებით იდენტურია, ყველა ჩვენი საშვებელი და მწუხარება სიხარულის ერთ გრძელ ასხმად გვეჩვენება. სინამდვილის ფაქტები: მე ვარ, მე ვმოძრაობ, მე ვვითარდები, — მთელი თავისი უზარმაზარი მნიშვნელობით გადაიშლება ჩვენთვის, როგორც კი შევიცნობთ, რომ ყველაფერი დანარჩენი აქეეა, ჩემთანაა, და რომ ვერც ერთი უმცირესი ატომი გვერდს ვერ ამივლის.

ჩემი გულის ურთიერთობა შემოდგომის ამ მომხიბლავ დილასა და მოკამკამე სივრცესთან ახლონათესაური დამოკიდებულებაა. ყველა ეს სურნელი, ფერი და მუსიკა სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი იდუმალი ურთიერთობის გარეგანი გამოხატულება. ეს მუდმივი შეცნობილი თუ შეუცნობელი ურთიერთობა ჩემს გონებას აიძულებს ათრთოლებულმა იმუშაოს. ჩემი შინაგანი და გარე სამყაროს ურთიერთშეთანხმებით მე ვქმნი ჩემს რელიგიას, დიდსა თუ მცირეს, ჩემი ძალების შესაბამისად. ხოლო ამ სინათლეზე მე უკვე შემიძლია გავერკვე საღვთო წერილებში მანამდე, სანამ მივიღებდე და შევითვისებდე მათ"[420].

ერთხელ კიდევ გავიმეორებ: ფრანგი მოაზროვნისა და ინდოელი პოეტის სულიერი ნათესაობა, განცდის, გრძნობის შინაგანი განწყობის იგივეობა უეჭველია და უცილობელი. მაგრამ მიაღწია თუ არა პასკალმა, ტანჯვის გოლგოთაზე ჯვარცმულმა და მარტვილობის უფსკრულში დანთქმულმა კაცმა, სულის იმ სიმშვიდეს და აუმღვრეველობას, „გულის სისხლით" მოპოვებულ იმ ნათელ მრწამსს, იმ შინაგან ჰარმონიას, რაც უფრო მძლავრი, უფრო გაწონასწორებული და, თუ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა ამისი თქმა, ცოტა უფრო მიამიტი სულების შესაშური ხვედრია მხოლოდ?

ვაი, რომ ვერა! სულ ამაოდ ცდილობს იგი დათრგუნოს გონება, რათა წრფელყოს გზანი უფლისანი და მარტოოდენ გულით, მარტოოდენ გრძნობებითა დ ინსტინქტებით დააფუძნოს თავისი მასულდგმულებელი რწმენა: „ნეტა... ღმერთს ენებებინა, რომ არასოდეს

დაგეჭირებოდა გონება და ყველაფერი მხოლოდ გრძნობებითა და ინსტინქტებით შეგვეცნო! მაგრამ ბუნებამ არ გვაღირსა ეს ბედნიერება; მან ძალზე ცოტა რამ დაუტოვა შესაცნობად ჩვენს ინსტინქტებს და გრძნობებს; ყოველივე დანარჩენი მხოლოდ გონების ქმედითობით შეიმეცნება. აი, რატომაა, რომ ყველა ის, ვისაც ღმერთმა რწმენა უბოძა და მორწმუნე გული, ბედნიერია და გულდამშვიდებული. ხოლო ის, ვისაც რწმენა არა აქვს, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ განსჯის გზით ვაზიაროთ ამ ღვთიურ ნიჭს, იმის მოლოდინში, რომ ღმერთი ოდესმე უბოძებს კეთილმორწმუნე გულს, ურომლისოდაც რწმენა მხოლოდ აღამიანურია და, მაშასადამე, სულის სახსნელად ფუჭი და ურგები"[421].

დიახ, ის სულ ამაოდ ცდილობს თავგანწირული ძალისხმევით დათრგუნოს გონება („მოიდრიკე ქედი, უმწეო გონებავ: დადუმდიმეთქი, ბრიყვო ბუნებავ!): არაფერს ძალუძს მოდრიკოს მისი დიადი, სნეული ტვინინ სიამაყე, არაფერს ძალუძს ჩაახშოს მისი ძლევამოსილი გონების მბრძანებლური ხმა: „ჩვენ უფრო უყოყმანოდ უნდა ვემორჩილებოდეთ გონებას, ვიდრე ნებისმიერ მბრძანებელს, რადგან ვინც ეწინააღმდეგება გონებას, უბედურია, ხოლო ვინც ეწინააღმდეგება მბრძანებელს, რეგვენია და შლეგი"[422] (ნიშანდობლივია, რომ პორ-როიალმა „აზრების" პირველ გამოცემაში არ შეიტანა კლერიკალური თვალსაზრისით ეს მეტისმეტად ამაყი აზრი).

მაგრამ სულის ამნაირი განწყობილება კვლავ ახალი, გადასაჭრელად ყველაზე მძიმე და განსაცდელად ყველაზე მწარე პარადოქსის წინაშე აყენებს მას: „როცა ყველაფერს მხოლოდ გონებას ვუქვემდებარებთ, ჩვენს რელიგიას აღარაფერი რჩება მისტიური და ზებუნებრივი; როცა გონების საწყისებს ვარყევთ, რელიგია უაზრო და სასაცილო ხდება"[423].

იქნებ, პირიქით? იქნებ რელიგია სწორედ მაშინ ხდება „უაზრო და სასაცილო", როცა გონების საწყისებს არ ვარყევთ და ამრიგად, მის ქმედითობას თავის ბუნებრივ ფუნქციას ვუნარჩუნებთ? რაგინდ მწარეც უნდა იყოს, სიმართლე მაინც სიმართლეა. საკმარისია დავუკვირდეთ, როგორ ხუნდება და ფერმკრთალდება გონების სკეპტიკური თვალით დანახული რომელიც გნებავთ რელიგიური ჭეშმა-

რიტების ბრწყინვალება. ავიღოთ, თუნდაც, ცოდვითდაცემის ძველთუძველესი დოგმა, პასკალის ეთიკურ-რელიგიური მოძღვრების ეს ქვაკუთხედი, და შეეხედოთ მას „აზრების“ ავტორის დიდი ოპონენტის პოლ ვალერის თვალით:

„დ ა ც ე მ ა ნ ი. ა.) ჩვენ ვიცნობთ ორ დიდსა და მისტიურ დაცემას. ანგელოსთა დაცემა, კაცის დაცემა: ჰ ო მ ო თ ე ტ ი კ უ რ ი კატასტროფანიო, იტყოდა გეომეტრი.

ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, რ ა ც მ ა ნ შ ე ქ მ ნ ა, უ ნ დ ა დ ა ე ც ე ს.

ბ). დასაბამიერი დ ა ც ე მ ი ს იდეაზე დაფუძნებული ყველა რელიგია წყვეტილობის ტკივილებისთვისაა განწირული.

გ.) მაგრამ შესაქმეა პირველი ბზარი. სამყაროს შექმნას უშუალოდ უკავშირდება ორი აქტი: ერთი — შემოქმედისა, მეორე — შექმნილის. პირველი აფუძნებს რწმენას, მეორე კი... თავისუფლებას“[424].

ანტიპოდები ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს. შესაძლოა გადაჭარბებულადაც მოგვეჩვენოს ამისი თქმა, მაგრამ, ვფიქრობ, ასეთი თვალი ჰქონდა პასკალსაც: ზუსტი, ცივი, მომნუსხველი, დაუნდობელი; ციკლოპის თვალი; ან, უკეთ რომ ვთქვათ, ხშირად ამნაირი თვალთახედვით აღიქვამდა იგი სამყაროს, ადამიანს, სიცოცხლეს, ღმერთს. მხოლოდ ეგაა, ვალერისაგან განსხვავებით, მას სურდა დაეხუჭა თავისი მარად ფხიზელი გონების თვალი. ძალიან სურდა, მაგრამ ვერ შესძლო. მხოლოდ სიკვდილმა აღასრულა მისი სურვილი...

სიკვდილი როგორც სიცოცხლე; სიცოცხლე როგორც სიკვდილი, — უკურნებელი სენით განაწამები, შინაგანი წინააღმდეგობებით გათიშული, მრავალტანჯული სიცოცხლე... ყველაფერი მთავრდება იმით, რითაც იწყება: კვლავ ორპოფობა, გაორება, გაურკვევლობა:

„აი, რას ვხედავ და რა მაშფოთებს. საითაც არ გავიხედავ, ყველგან განუჭვრეტელი წყვდიადია და უკუნეთი. ყველაფერი, რასაც ბუნება მივლენს, მხოლოდ ეჭვსა და ძრწოლას იწვევს ჩემში. მე რომ ღვთაების ნიშნით აღბეჭდილს ვერაფერს ვჭვრეტდე, ალბათ, ურწმუნო გავხდებოდი; ყველაფერი რომ ღვთაების ნიშნით აღბეჭდილი მევლინებოდეს, სამუდამოდ დავცხრებოდი, რწმენით აღვსილი. მაგრამ მე ვხედავ მეტისმეტად ბევრს, რათა უარვყო და მეტისმეტად ცოტას, რათა აღვიესო ურყევი რწმენით, და ჩემი გული

წუხს, ჩემი საბრალო გული. რამდენჯერ მინატრია: თუ ბუნება ღმერთმა შექმნა, დაე, მან უტყუარად დაგვიმოწმოს და დაგვიდასტუროს თავისი შემოქმედების არსებობა, ხოლო თუ მისი მოწმობა მოჩვენებითია, დაე, ეს ყალბი ტვიფარი საბოლოოდ წაიშალოს და წარიხოცოს მეთქი, დაე, ბუნებამ ან საბოლოოდ დამარწმუნოს, ან სამუდამოდ გადამარწმუნოს, რათა, ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტო, რა გზას დავადგე. მაგრამ მე კვლავინდებურად არ ვიცი, ვინ ვარ და რა ვარ, კვლავინდებურად არ მესმის, რისთვის ვარ ან რატომ ვარ. გულს მხოლოდ ერთი რამ სწყურია: შეიცნოს ჭეშმარიტი სიკეთე და მისდიოს მას. მარადისობა ჩემთვის ყველაფერია, ყოველივე სხვა დანარჩენი — არაფერი"[425]...

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან გადაიხადა უსასტიკესი ბრძოლები ახალი მეცნიერებისა და ჭეშმარიტი სარწმუნოების ვერაგი და დაუნდობელი მტრების წინააღმდეგ. მაგრამ ყველაზე მძიმე აღმოჩნდა ორთაბრძოლა საკუთარ თავთან, დაუსრულებელი, ქანცგამწყვეტი, სასოწარმკვეთი ორთაბრძოლა. ფრანგმა პოეტმა ჟიულ ლემეტრმა დიდი მხატვრული ექსპრესიით გადმოგვცა პასკალის ამდროინდელი სულიერი მდგომარეობა თავის ბრწყინვალე სონეტში „პასკალი". აი, ამ სონეტის პროზაული თარგმანი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ბრწყინვალების აღარა სცხია რა:

„შენ ჭვრეტდი შენს ფერხთით პირამიდულ უფსკრულს, რომელსაც უსასრულოდ აღრმავებდა ეჭვი და ირონია. და უძილო ღამეებში ამ პირქუში ჩრდილის თავზე დახრილი გრძნობდი, როგორ გივლიდა სულში სასიკვდილო ჟრუანტელი.

მაშინ ამ ხარბსა და უძღებ უფსკრულში უყოყმანოდ ჩააგდე შენი დიდი, დამსხვრეული გული, შენი დასჯილი ხორცი, შენი გონება, შენი დიდება, შენი გენია, სიცოცხლის სიტკბო და სიამაყე არსებობისა.

და როცა საკუთარი ნამსხვრევებით ამოავსე მთელი უფსკრული, შენი უზენაესი და სისხლიანი მსხვერპლით მთვრალმა ჯვარი აღმართე ამ ვრცელ საფლავზე.

მაგრამ ცოცხალი ნამსხვრევების ქვეშ კვლავ იხსნება უფსკრულის პირი და ქარში მოცახცახე ლერწამივით ირყევა მაცხოვრის ჯვარი"[426].

მაცხოვარი... მაცხოვრის ჯვარი... მისი უკანასკნელი ნუგეში, მი-

სი სასოება, მისი სიმხნეევ: ღმერთი შეგინებული, დამცირებული, ჯვარზე ეკრული; მესია მძლეთა-მძლე, დიდებამოსილი, სიკვდილითა სიკკდილისა დამთრგუნველი. მაცხოვრის ორი ბუნება, ორი მოვლენა, ადამიანის ბუნების ორი სხვადასხვა მხარე"[427]... დიახ, ერთია წამებული ადამიანი და ჯვარცმული ღმერთი: „ადამიანი თავისივე სხეულის ჯვარზეა გაკრული. უღონოდ დაბლა დახრილი თავი დაჩხვლეტილი აქვს საკუთარი აზრის ეკლებით"[428]... თავის ღარიბულ ბინაში, რომელიც მწირის სენაკს უფრო მოგვაგონებს, აუტანელი ტკივილით განაწამები, ჰალუცინაციებით გატანჯული, მშიერ-მწყურვალი და ძილგამფრთხალი, ღამეულ კოშმარში თხზავს „იესოს მისტერიას", ჯვარცმული ღმერთისა და მრავალტანჯული კაცის გულისშემძვრელ დიალოგს. „აქ მედიტაციისა თუ მდუმარე ლოცვის რამდენიმე სტრიქონით პასკალი სწვდება ღმერთის აგონიისა თუ ადამიანის ტანჯვის სიღრმეს და ისეთი ვნებით, ისეთი სინაზით, მოწიწებითა და სასოებით გვიმეღლავნებს მას, რომ ვერც ერთი კაცის გული ვერ დარჩება უგრძნობელი"[429].

„ჩემს სულთმობრძაობაში მე ვფიქრობდი შენზე; მე შენთვის დავსთხიე სისხლი".

„ნუთუ შენ მთხოვ, რომ სისხლი დავსთხიო კაცთა სახსნელად, შენ კი ცრემლიც არ ჭსურს დაღვარო".

„დაითმინე კირთება და ხორცის მონობა; მე შენ ამჯერად მხოლოდ სულიერი მონობისგან გათავისუფლებ"...

„მე ვხედავ ჩემი სიამაყის, ცნობისწადილის, სიბილწის უფსკრულს. რაა საერთო ჩემსა და ღმერთს შორის, ან ჩემსა და მაცხოვრის სიმართლეს შორის? მაგრამ ის ცოდვილად შერაცხეს და ყველა თქვენი შოლტი მის ტანზე აღიბეჭდა სისხლიან ზოლად. ის ჩემზე მეტად ღაამცირეს, და მაინც, არამცთუ არ ვეზიზღები, არამედ დიდ პატივადაც თვლის, თუ მე ვისწრაფი მისდა საშველად.

მან თვით განკურნა თავისი თავი და, მით უმეტეს, განმკურნავს მე.

მის წყლულებს უნდა შევუერთო ჩემი წყლულები, და, ამრიგად, შევერწყა მას. ის თავს იხსნის და მეც დამიხსნის. მაგრამ სამერმისოდ ჩემი ჭრილობები აღარ უნდა დავუმატო მის სისხლგამდინარე ჭრილობებს"[430].

დროდადრო საზარელი ყვირილით გაცხადებული ტანჯვა და ანაზდეული ქვითინი ჩვენ გვამცნობენ, რომ ამ მძლეთა-მძლე სუ-

ლისათვის, რომელმაც თითქოს დაივიწყა თავისი სხეული, უცხო არ უნდა ყოფილიყო ტკივილი და სიკვდილის თავზარდამცემი განცდა. მაგრამ სისუსტე წამიერია. ყველაფერს სძლევს სნეულის რკინისებური ნება. მთელი მისი სიცოცხლე ახლა სხვა არა არის რა, თუ არა სიკვდილისათვის სამზადისი. დავიწყება სოფლის; დავიწყება სურვილების, ოცნებების, მისწრაფებების: დავიწყება თავისი თავის; თვითგანდგომა საბოლოო და სრული. ეს თვითგანდგომა, ბოლოს, აშკარა უკიდურესობაში გადადის და ქრისტიანი ანაქორეტების თვითგვემას მოგვაგონებს:

„ის იძულებული იყო ხშირად ესაუბრა სხვადასხვა პირთან და, ცოტა არ იყოს, ესეც აშინებდა, ვაითუ სულს ვავნოო რამე[431]. მაგრამ რაკი საკუთარი სინიდისის წინაშე არ შეეძლო უარი ეთქვა ვინმესთვის, როცა შემწეობას სთხოვდნენ, ამასაც თავისი უვნებელყოფის საშუალება მოუძებნა: შიშველ ტანზე ირტყამდა რკინის ეკლებიან ქამარს, ისე რომ ეკლები ხორცისკენ იყო მიქცეული, და როცა თავში ფუჭი და ამაო აზრი მოუვიდოდა, ან ერთგვარ შვებასა თუ სხვა რაიმე ამგვარს იგრძნობდა, იდაყვს დაიკრავდა ქამარზე, რათა ჩხვლეტების სიმძაფრე გაეორკეცებინა (pour redoubler la violence des piqûres) და, ამრიგად, კვლავ თავის მოვალეობაზე ფიქრს უბრუნდებოდა. ეს თვითწვრთნა იმდენად სასარგებლო ეჩვენა, რომ სიკვდილამდე ხელი არ აუღია მასზე"[432].

პასკალს თავს დასტრიალებს ჟილბერტა, რომელიც ოჯახითურთ გადმოსახლდა პარიზში, რათა თავისი „საბრალო ძმისთვის" მიეხედა. ავადმყოფს ხშირად აკითხავენ პორ-როიალელი მეგობრები — ნიკოლი, არნო, აგრეთვე ჰერცოგი დე როანე და სხვები. საათობით სხედან მის სასთუმალთან. როცა ძალი შესწევს, პასკალი სიამოვნებით საუბრობს მათთან. დროდადრო საშინელი ტკივილი აწყვეტინებს სიტყვას. მაშინ მეგობრების თვალზე ცრემლი გაკრთება ხოლმე. ის კი დრტვინავს: „არავის უნდა მივცე იმის ნება, — ეუბნება ჟილბერტას, — რომ შემიყვარონ, თუნდაც ეს იყოს მათთვის სრულიად თვითნებური და სასიამოვნო გრძნობა. მე მოვატყუებ ყველას, ვის გულშიც ამნაირი გრძნობა აღიძვრის, რადგან მე არავის მიზანი არა ვარ და ყველას იმედს გავუცრუებ. განა სიკვდილი კარზე არ მიკაკუნებს უკვე? ასე, რომ, მათი სიყვარულის საგანი მალე მოკვდება. ხომ დამნაშავე ვიქნებოდი, თუ ვაიძულებდი სხვებს ჭეშმარი-

ტებად მიეჩნიათ სიყალბე, ვაიძულებდი თუნდაც ჩემდა უნებურად, და ამ იძულებით ვაამებდი მათაც და საკუთარ თავსაც? ასევე დამნაშავე ვიქნები, თუკი ჩემდამი სიყვარულის გრძნობას აღეუძრავ ვისმე. უნდა გავაფრთხილო ყველა, ვისაც ვუყვარვარ, ნუ იწამებს ამ სიყალბეს, ნუ მიწამებს, ნუ შემიყვარებს. ნაცვლად იმისა, რომ მე შემიყვარონ, დაე, ეცადონ სათნო-ეყონ ღმერთს"[433]...

საბედნიეროდ, ტკივილი ყოველთვის აუტანელი როდია. მაშინ ის დილაადრიან იწყებს ეკლესიების შემოვლას და საათობით ლოცულობს მუხლმოდრეკილი, ლოცულობს არა თავისი თავისათვის, არამედ უპოვართა, გლახაკთა და დავრდომილთათვის, რომელთაც ჯვარცმული ღმერთის წამებულ ასოებად სახავს. მას სინიდისი ქენჯნის იმის გამო, რომ ამდენი ჭირისუფალი ახვევია გარს, მაშინ როდესაც ათასობით ღარიბ-ღატაკი უწამლოდ და ულუკმაპუროდ იხოცება: „როდესაც ვფიქრობ, რომ მე ასე კარგად მივლით და, ამავე დროს, ათასობით ღარიბ-ღატაკს, რომლებიც ჩემზე მძიმედ არიან ავად, ლუკმა პურიც კი არ გააჩნიათ, ისეთ ტკივილსა ვგრძნობ, რომ ამის ატანა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება"[431].

ამიერიდან პასკალი მხოლოდ ქველმოქმედებითღა სულდგმულობს. გაჭირვებულნი, ქვრივ-ობოლნი, მიუსაფარნი, — აი, მისი ფიქრისა და ზრუნვის ერთადერთი საგანი: შეძლებისდაგვარად, ცდილობს ყველას გაუწოდოს დახმარების ხელი, ყველა გაიკითხოს, ყველა ანუგეშოს. მისი ბინა ღარიბ-ღატაკთა თავშესაფრად არის ქცეული. 1662 წლის ზამთარში ეს მომაკვდავი კაცი აარსებს პარიზში საომნიბუსო მიმოსვლის აქციონერთა საზოგადოებას, რომელსაც ჰერცოგ დე როანესა და მარკიზებთან — კრენანსა და სურშთან ერთად უდგება სათავეში; საზოგადოება მიზნად ისახავს შემწეობა აღმოუჩინოს ბლუას სასოწარკვეთილ მცხოვრებლებს, რომლებსაც მუსრს ავლებს შიმშილი...

მხოლოდ ავადმყოფობის გართულება წყვეტს ამ საქველმოქმედო საქმიანობას. 19 ივნისს ლოგინად ჩავარდნილი პასკალი .მეგობრებს გადაჰყავთ ჟილბერტას ბინაში, სენ-მარსელის გარეუბანში. ავადმყოფი კვლავ ჩვეული სიმტკიცით იტანს ტკივილს. მისი გული კვლავ მოყვასთა და ნათესავ-მეგობართა, გლახაკთა და დავრდომილთა მიმართ სიყვარულითაა სავსე. 3 აგვისტოთი დათარიღებული ანდერძის თანხმად, პასკალი მთელ თავის ქონებას თანაბრად უნაწილებს ნათესავებს, ერთგულ მსახურებსა და პარიზისა და კლერმონ-ფერა-

ნის მთავარ საავადმყოფოებს. თავისი სიმტკიცით და სიყვარულით ის თითქოს ცდილობს ხორცი შეასხას ჭირთამომენის ქრისტიანულსა და, იმავდროულად, სტოიცისტურ იდეალს:

„ტკივილის უსასტიკესი შემოტევის დროს. ყველას. ვინც თავზე ადგა და მისი საცოდაობით იწოდა. ასე მიმართავდა: ნუ. დამტირით, ავადმყოფობა ქრისტიანების ბუნებრივი მდგომარეობაა (la maladie est l'élat naturel des chretiens). იმიტომ რომ მისი წყალობით კაცი ისეთი ხდება, როგორიც უნდა იყოს საერთოდ: ჭირთამომენი, ყოველგვარი სიამისა და გრძნობისმიერი განცხრომისგან განძარცული,... ცუდმედიდობისა და სიხარბისგან თავისუფალი, წამითი-წამად სიკვდილის მომლოდინე და მსურველი. განა ასე არ უნდა ატარებდეს ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი მთელ სიცოცხლეს? და განა დიდი ბედნიერება არ არის, რომ ადამიანი იძულებით აღმოჩნდება იმ მდგომარეობაში, რომელში ყოფნაც ვალად აძევს? მაშ, რაღა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ უდრტვინველად მოვიხაროთ ქედი ბედისწერის წინაშე? ამიტომ მხოლოდ ერთ რამესა გთხოვთ: შემაველრეთ ღმერთს, რომ ესოდენი მოწყალების ღირსი მყოს. აი, როგორი სულისკვეთებით იტანდა იგი თავის უბედურებას"[435].

სიცოცხლის მწუხრი ბევრ რამეს ასხვაფერებს. ოდესღაც ფიქრობდა. და არცთუ მთლად უსაფუძვლოდ. რომ სტოიციზმი. თავისი ცალმხრივობით. მიუტევებლად სცოდავდა ადამიანის ბუნების შეფასებისას. ახლა კი ფიქრობს, რომ ზოგჯერ თვითონაც სცოდავდა, როცა ასე აღიქვამდა სტოელთა მოძღვრებას. ყოველ შემთხვევაში, ახლა მის გულს სულ სხვაგვარად ეხმიანება დიდი სტოელის აზრი: „...ყოველთვის უნდა უცქერდე ყოველივე ადამიანურს, როგორც მალიხრწნადს და მსწრაფლწარმავალს: ის, რაც გუშინ ჩანასახი იყო მხოლოდ, ხვალ უკვე მუმიაა და მტვერი. მაშ, შენი დღემოკლე სიცოცხლის მანძილზე ნურასოდეს გადაუხვევ ბუნების გზას. მერე კი ისევე უდრტვინველად განვედ სიცოცხლით. როგორც მწიფე ზეთსხილი ვარდება ხიდან: დედამიწისა და მშობელი ხის მიმართ ლოცვა-კურთხევითა და გულმხურვალე მადლობის წირვით"[436].

და ის. გულმხურვალე ქრისტიანი. ბედნიერია იმით. რომ წარმართი იმპერატორის კვალდაკვალ. შეუძლია გაიმეოროს: „მე მიყვარს ყველა კაცი, როგორც ჩემი ძმები, იმიტომ რომ მან იხსნა ისინი. მე მიყვარს სილატაკე, იმიტომ რომ მას უყვარს იგი. მე მიყვარს

სიმდიდრე, იმიტომ რომ საშუალებას გვაძლევს გავიკითხოთ უპოვარნი. მე ყველას ერთგული ვარ და ჩემს ბოროტისმყოფელს ბოროტებითვე არ მივაგებ სანაცვლოს... მე ვცდილობ ვიყო მართალი, სამართლიანი, გულწრფელი და ერთგული ყველა კაცის მიმართ, და ჩემი გულის მთელი სინაზე, უწინარეს ყოვლისა, ეკუთვნის იმათ, ვისთანაც ღმერთმა ყველაზე მჭიდროდ დამაკავშირა. და სულერთია, უჩუმრად ვმოქმედებ თუ საააშკარაოდ, ყველა ჩემი მოქმედების საბოლოო მიზანი არის ღმერთი, რომელმაც უნდა განმსაჯოს და რომელსაც ყველაფერი შევწირე, ყველაფერი ვანაცვალე.

აი, როგორია ჩემი გრძნობა, და მე დღემუდამ ვლოცავ მაცხოვარს, რომელმაც ეს გრძნობა ჩამინერგა და სისუსტით, უბადრუკობით, ბილწი ვნებებით, სიამაყით და ცუდმედიდობით სავსე კაცი, თავისი მადლის წყალობით, ყველა ამ ბიწისაგან განმწმინდა, მადლისა, რომელსაც უნდა ვუმადლოდე მთელს ჩემს დიდებას, ვინაიდან, ჩემდა თავად, არა გამაჩნია რა. ცთომისა და სისაწყლის გარდა"...[437].

მისი სიცოცხლე წამითი-წამად უახლოვდება სიკვდილს. თავის საზარელი ტკივილი ხშირად გონებას აკარგვინებს. ამას ზედ ერთვის შიგნეულობის საშინელი ხურვება. 14 აგვისტოს. ტკივილის მორიგი შეტევის შემდეგ დაიკინა. სასწრაფოდ მაზიარეთო. ექიმებმა და მეგობრებმა ზიარების ნება არ დაროეს. სამაგისო აბა რა გვირსო. ხოლო მან თქვა: „თქვენ ვერ განიცდით ჩემს ტანჯვას და ამიტომ ცდებით; თავის ასეთი ტკივილი — ეს რაღაც უჩვეულოა, წარმოუდგენელი, საზარელი"[438].

გავიდა არაადამიანური ტანჯვა-წამების კიდევ სამი დღე. „17 აგვისტოს, — იგონებს ჟილბერტა. — თავის ტკივილის უსასტიკესი შემოტევისას მთხოვა, კონსილიუმი მოიწვიეო, მაგრამ იმწამსვე შეცბა და იკვნეულად მკითხა: მეტისმეტს ხომ არ ვცდილობ ამ მოთხოვნითო?"[439].

მეორე ღამეს დაიწყო აგონია. საშინელი კრუნჩხვები განთიადისას დროებით შეწყდა. მომაკვდავმა თითქოს მოიხედა. ახლოლა აზიარეს. ზიარებისას სულთმობრძავი ტიროდა. ეს ტანჯვისა და ნეტარების ცრემლები იყოო — გვაუწყებს ჟილბერტა[450]. პასკალი გარდაიცვალა 1662 წლის 19 აგვისტოს, შუადღისას, პირველ საათზე. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „Que Dieu ne m'abandonne jamais" — „დაე, ნურასოდეს დამიტევებს ღმერთი!"[441].

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

[1] ციტირებულია წიგნიდან — I. Bertrand, Blaise Pascal, Paris, 1891, p. VIII-IX.

[2] თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ პასკალის „არითმეტიკული მანქანას" ქრონოლოგიურად წინ უსწრებს გერმანელი მეცნიერის, ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორის, ორიენტალისტ (sic!) ვილჰელმ შიკარდის (1592 — 1636) კომპიუტერი, რომლის ერთადერთი ეგზემპლარი, კონსტრუირებული 1623 წელს, ერთი წლის შემდეგ დაიწვა ხანძარში... პასკალისათვის უცნობი იყო შიკარდის გამოგონება (იხ. R. Taton, Sur l'invention de la machine arithmétique, — L'Oeuvre scientifique de Pascal, Paris, 1964, p. 212), რომელსაც მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომ განვითარებაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, მაშინ როდესაც პასკალის ფართოდ გახმაურებულ მეცნიერულ მიღწევას XVII საუკუნეშივე გამოუჩნდნენ მიმდევრები: ს. მორლანდი (1662), გ. ვ. ლაიბნიცი (1670), კ. პერო (1675), რ. გრეიე (1678) და სხვ. თავისი მანქანის პირველ მოდელზე მუშაობა პასკალმა დაასრულა 1642 წელს და შემდეგ მთელი ათი წლის მანძილზე თანდათანობით სრულყოფდა მას. სულ დამზადებულ იქნა ორმოცდაათამდე მოდელი, რომელთაგან დღემდე შემორჩა მხოლოდ რვა. ერთი მათგანი დაცულია პარიზის „ხელოვნებისა და ხელოსნობის მუზეუმში" (Conservatoire des Arts et Métiers).

[3] ლეონარდო და ვინჩი, „ტრივულციოს კოდექსი", ფურცელი 34.

[4] „წერილები, აზრები", ჟურნ. „ცისკარი", 1971, № 12, გვ. 150.

[5] Pascal... par Paul Archambault, Paris, p. 7.

[6] იხ. წიგნში: Pensées de Pascal, publiées dans leur texte authentique avec une introduction, des notes et des remarques par Ernest Havet, tome premier, Paris, 1866, pp. LXIII — XCII. (ქვემოთ ყველა ციტატა მოტანილი იქნება ამ გამოცემის მიხედვით; რომაულ პაგინაციას არაბულით შეეცვლით).

[7] „ამ ჭეშმარიტად ქრისტიანული ფურცლების უბრალოება ყველაზე უკეთ ესადაგება ამ დიდ კაცს" — ასე ახასიათებს ფრანგი აკადემიკოსი პრევო-პარადოლი მადამ პერიეს „ბლეზ პასკალის ცხოვრებას" (იხ. Блез Паскаль. Мысли, с предисловием Прево-Парадоля, С.-П., 1888, стр. 5.).

[8] ეტიენ პასკალის (1588 — 1651) ერთ-ერთი თეორემა, ე. წ. „პასკალის ლოკოკინა" დღემდე შედის თანამედროვე უმაღლესი მათემატიკის არსენალში (იხ.

М. Я. Выгодский. Справочник по высшей математике. М. 1976. стр. 765 - 770)... და კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ძოძენტი ეტიენ პასკალის ძეცხიერული დამსახურებისა: 1636 წელს ის და მისი მეგობარი, ცნობილი მათემატიკოსი რობერვალი (1602 — 1675) სახელგანთქმული ფრანგი მეცნიერის, ბლეზ პასკალთან ერთად ალბათობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის პიერ ფერმასადმი (1601 — 1665) გაგზავნილ წერილში, იოჰან კეპლერის (1571 — 1630) აღმოჩენებზე დაყრდნობით, წერდნენ: „სიმძიმის ძალა არის სხეულთა ურთიერთშიზიდულობა, რომელიც ისე მოქმედებს, რომ ორი სხეულის ერთურთის მიმართ მოძრაობისას უფრო ძლიერად მოქმედი სხეული უფრო მოკლე გზას გადის“ (იხ Е. М. Кляус, И. Б. Погребысский, У. И. Франкфурт. Паскаль, М. 1971, стр. 49). ეს კი, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა ისააკ ნიუტონის (1642 — 1727) მსოფლიო მიზიდულობის კანონის ანტიციპაცია.

[9] „ფრანგული აკადემია“ (Academia française) ოფიციალურად გაიხსნა 1634 წლის 13 მარტს. აკადემია დაარსდა კარდინალ რიშელიეს ინიციატივითა და მხარდაჭერით (იხ Г. Лансон, История французской литературы, С.-П., 1899, стр. 51.).

[10] ლუი XIV უყვარდა გვამებით მოფენილ ბრძოლის ველზე კარეტით გასეირნება (იხ. А. Франс. Собр. соч., т. VIII, М., 1960, стр. 351).

[11] „აზრები“, 156.

[12] შდრ. Jean Demorest, Dans Pascal, Paris, 1953, p. 151.

[13] Jean Demorest, ibid. p. 10 — 11.

[14] მადამ პერიე, „ბლეზ პასკალის ცხოვრება“, დასახ. გამოც. გვ. 64.

[15] „ჩემს ძმას არასოდეს უსწავლია სკოლაში. არც სხვა მასწავლებელი ჰყოლია ოდესმე. მამაჩემს გარდა“, — წერს ჟილბერტა პასკალი. დასახ. თხზ. გვ. 63.

[16] ჟილბერტა პასკალი (მადამ პერიე), იქვე, გვ. 63

[17] პარიზში ეტიენ პასკალი ოჯახითურთ თავდაპირველად დასახლდა ჟიუფის ქუჩაზე: 1632 წლის 1 იანვრიდან საცხოვრებლად გადავიდა ბუშეს, ხოლო 1634 წლიდან — ნევ-სენტ-ლამბერის ქუჩაზე; 1635 წლის ივნისში კი ბრიზეშიშის ქუჩის ჩიხში დაიდო ბინა.

[18] ჟილბერტა პასკალი, დასახ. თხზ. გვ. 64.

[19] V. Giraud, Pascal. L'homme, l'oeuvre, l'influence, Paris. 1900 p. 22.—24.

[20] ჟილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 64.

[21] ყურადღება მიაქციეთ ეტიენ პასკალის სიფრთხილეს: ის „ზოგადად“ (en général) უხსნის გრამატიკულ წესებს (იხ. ზემოთ ციტ. პასაჟი) და ასევე „ზოგადად“ (en général; დედანში, ისევე როგორც თარგმანში ეს სიტყვა ორჯერ მეორდება) განუმარტავს თავის ვაჟს მათემატიკის რაობას.

[22] ამ თეორემის მიხედვით, სამკუთხედის შიდა კუთხეთა ჯამი ორი მართი კუთხის ტოლია (შენიშვნა ჩემია, — ბ. ბ.).

[23] დასახ. თხზ. გვ. 64 — 66.

[24] ჟილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 66.

[25] მერსენს მიმოწერა ჰქონდა მაშინდელი ევროპის თითქმის ყველა სახელგანთქმულ სწავლულთან. მისი კორესპონდენტების სია რამდენიმე ასეულ სახელს

მოიცავს (მათ შორისაა — გალილეი, დეკარტი, ჰობსი და სხვ.). არავინ მერსენზე უკეთ არ იცნობდა ევროპული მეცნიერების უახლეს მიღწევებს; არავინ მასზე თავდადებით არ იღწვოდა ევროპული მეცნიერების პოპულარიზაციისა და მაღალი პრესტიჟისათვის (იხ. Дж. Бернал. Наука в истории общества, М., 1956, стр. 192).

26 რობერვალის მეცნიერული მემკვიდრეობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ იხ. მ. ი. ვიგოდსკი, დასახ. ნაშრ., გვ 752, 754, 766, 769. 804.

27 იხ. მ. ი. ვიგოდსკი, იქვე. გვ. 821.

28 „აზრები", 106.

29 „აზრები", 131.

30 Pascal. Oeuvres complètes, Paris, 1963. p. 35 — 37.

31 პასკალი თავად აღიარებს დეზარგის ამაკრა გაელენას (იქვე გვ. 36).

32 „...რაკი ის სწორედ მათემატიკაში პოულობდა ჭეშმარიტებას, რომელსაც ეგზომ გულმხურვალედ ეძებდა, მთელს თავის სულსა და გულს სდებდა მასში; ასე რომ. მიუხედავად იმ მცირე დროისა, რასაც მათემატიკას უთმობდა, იმნაირად გაიწაფა, რომ თექვსმეტი წლისამ შეთხზა „ცდა კონუსური კვეთის შესახებ", როშელიც გონების ის დიდ მიღწევად იქნა მიჩნეული, რომ ამბობდნენ — არქიმედეს შემდეგ ამნაირი ძალმოსილება არავის უნახავსო (qu'on disait que depuis Archimede on n'avait rien vu de cette force)", — ჟილბერტა პასკალი, დასახ. თხზ., გვ. 67.

33 დაწვრილებით იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ... დასახ. თხზ., გვ. 27 — 29; 337 — 342.

34 ჟილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 67.

35 იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ., დასახ. ნაშრ., 40.

36 პასკალის „არითმეტიკული მანქანა" სიმატორული, ე. ი., ახორციელებს შეკრება-გამოკლებას. გამომგონებლის ყველაზე არსებით მიღწევად უნდა ჩაითვალოს „ათეულების გადატანის" ავტომატიზაცია. როცა წინა თანრიგში ათი ერთეული გროვდება, ნული ცელის, ხოლო მომდევნო თანრიგის ციფრს ავტომატურად ემატება ერთეული. ეს პროცესი ერთგვარი „საყელურის" (sautoir) — ბერკეტის მსგავსი მოწყობილობის მეშვეობით ხორციელდება.

37 იხ. Pascal, Oeuvres complètes. Paris, 1963, p. 191.

38 ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 44 — 45.

39 1640 — 1642 წწ. (შენიშვნა ჩემია. — ბ. ბ).

40 ჟილბერტა პასკალი, იქვე. გვ. 68.

41 კერძოდ, იანსენის „სულიერი კაცის გარდაქმნის" (Discours sur la réformation de l'homme intérieur); არნოს „ხშირი ზიარებისათვის" (De la fréquente communion); სენ-სირანის „სულიერ წერილებს" (Lettres spirituelles), „ახალ გულს" (Le coeur nouveau) და სხვ... არნოსა და სენ-სირანის შესახებ იხ. „ეარიაციები პასკალის „აზრების" თემებზე", 124, 1.

42 შდრ. Emile Boutroux, Pascal, Paris. 1919. p. 21 — 22.

43 I კორინთელთა მიმართ, I, 19 — 20.

44 „აზრები", 118.

[45] საკმარისია ხელოვნებით უარვყოთ ეს „ფარული აზრი“, საკმარისია დავეყრდნოთ მხოლოდ რაციონალური შემეცნების თეორიულ წინამძღვრებს, რომ შორეულ პერსპექტივაში გარდუვალი დასკვნის სახით წარმოგვიჩნდეს ცნობიერების ევოლუციის საზარელი ფინალი, ინტელექტის სიცოცხლის კოშმარული ესქატოლოგია: „სამყაროსა და სულის სიცოცხლე გრძელდება მხოლოდ იმ წინააღმდეგობის წყალობით, რასაც ძნელად საცნაური საგნები გვიწევენ. საკმარისია ყველაფერი შევიცნოთ, რომ ყოველივე გაქრეს, განქარდეს. ცნობიერების მიერ კიდითკიდემდე განწონილი სამყაროს არსებობა იმდენადვე იქნება შესაძლებელი, რამდენადაც მხილებული გაიძვერობა თუ გაქნილი თვალთმაქცის ოინი, რომლის საიდუმლო აღარავისთვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას“ (პოლ ვალერი, წერილები, აზრები, ფრანგულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ. ჟურნ. „ცისკარი“, 1971, № 12, გვ. 148).

[46] „აზრები“, 334.

[47] ფრანგი პასკალოლოგები ამას უწოდებდნენ ე. წ. პირველ „მოქცევას“ (la première „conversion“). ეს პერიოდი პასკალის ცხოვრების 1646 — 1651 წწ. მოიცავს (იხ. ვ. ეირო, დასახ. ნაშრ., გვ. 29 — 38).

[48] ჟილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 70... პასკალმა ჯერ „მოაქცია“ უმცროსი და ჟაკლინი, შემდეგ მამა და, ბოლოს, იმავე 1646 წლის დამლევს რუანში სტუმრად ჩამოსული უფროსი დაც და სიძეც (იხ. ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 23 — 24).

[49] ეს კრიტიკული მდგომარეობა, სულის ეს ნამდვილი კრიზისი პასკალმა შთამბეჭდავი ძალით გადმოგვცა თავის პატარა ტრაქტატში „ცოდვილის მოქცევისათვის“ („Sur la conversion du pecheur“), — იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების“ თემებზე“, 403, 4.

[50] ციტ. წიგნიდან — ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 270.

[51] „აზრების“ ეს ნაწილი (იხ. Pascal, Pensées, Paris, 1964, p. 297 — 313, — Les Miracles), ისევე როგორც პასკალის ქმნილების ზოგიერთი სხვა თავი და პირწმინდად ბიბლიური თუ სქოლასტიკური ხასიათის ბევრი ფრაგმენტი ჩემს თარგმანში მთლიანად გამოტოვებულია. ზემოაღნიშნული გამოცემა სულ ითელის 924 ფრაგმენტს, ქართული თარგმანი — 433.

[52] გენიალური ინგლისელი მეცნიერი მორწმუნე იყო (შენიშვნა ჩემია. — ბ. ბ.).

[53] D'Alembert, Oeuvres philosophiques, historiques et litteraires, v. X, Paris, 1805, p. 191.

[54] იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 256 — 268.

[55] ციტ. წიგნიდან — ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 199.

[56] Лев Толстой, Паскаль, — Полное собрание сочинений, т. 41, М., 1957, стр. 477—478.

[57] იხ. ზემოთ, შენ. 49.

[58] Paul Valéry, Oeuvres, t. I, Paris, 1957, p. 498 — 499.

[59] Ш. Сен-Бёв. Литературные портреты. Критические очерки, М., 1970. стр. 370.

[60] „აზრები“. 183.

[61] „აზრები“, 184.

62 იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების თემებზე“, 184, 1.

63 ციტ. წიგნიდან — ე. ბუტრუ, დასახ. ნაშ., გვ. 198.

64 იხ. Э. Золя. Собр. соч. т. 24, М., 1966, стр. 81.

65 ციტ. წიგნიდან — ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 81.

66 ჟილბერტა პასკალი, დასახ, თხზ., გვ. 71.

67 Б. Паскаль. Мысли о религии, СПб., 1892, стр. 197.

68 იხ. შენ. 17.

69 მათე, V, 48.

70 პოლ ვალერი, წერილები, აზრები, ჟურნ. „ცისკარი“. 1971, № 12, გვ.147.

71 იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების“ თემებზე“, 124, 1.

72ჟილბერტა პასკალი, დასახ. თხზ., გვ. 72—73... „...ისეთი დიდებული მეხსიერება ჰქონდა, რომ იტყოდა ხოლმე: არასოდეს დამვიწყებია ის, რისი დამახსოვრებაც მსურდაო... — ჟილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 85 — 86.

73 ავგუსტინე ავრელიუსი კათოლიკური ეკლესიის მიერ წმიდანად არის შერაცხილი, ხოლო მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ — ნეტარად.

74 ჟილბერტა პასკალი, დასახ. თხზ., გვ. 68.

75 ჟილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 72.

76 იხ. ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 43 — 44.

77 მათე, IX, 17.

78 Р. Декарт. Избранные произведения, М., 1950, стр. 95.

79 Le Opere di Galileo Galilei, Firenze, v. VIII. 1933, p. 483 — 486; v. XVIII, 1937, p. 295.

80 აი, პერიპატეტიკოსებისათვის ესოდენ დამახასიათებელი „საგანთა ფორმით“ ამ ცალმხრივი გატაცების, მათი პირწმინდად ფორმალისტური ტენდენციის ერთი კურიოზული მაგალითი: 1611 წლის ზაფხულში გალილეი ყინულის წონის თაობაზე ეპაექრებოდა პერიპატეტიკოსებს, რომლებიც, არისტოტელეზე დაყრდნობით, ამტკიცებდნენ — ყინული შედედებული წყალიაო. — დიდი სტაგირელი ბრძანებს, — ამბობდნენ ისინი, — რომ სიცივე ყოველთვის სხეულთა სიმკვრივის ზრდას იწვევს. — პირიქით, — ამტკიცებდა გალილეი, — ყინული გაუხშოებული წყალია. აი, საბუთიც: ის ზედაპირზე ტივტივებს. — არა, ჯიუტად იცავდნენ თავს პერიპატეტიკოსები, — არისტოტელე წერს, რომ ტივტივი მხოლოდ და მხოლოდ სხეულთა ფორმითაა განპირობებული და არა მათი წონით... დიახ, ამნაირ არგუმენტს იშველიებდნენ ისინი თანამედროვე ჰიდროსტატიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის წინააღმდეგ. რომელიც ამტკიცებდა, რომ სხეულთა ტივტივი მათ ხვედრით წონაზეა დამოკიდებული: „მე დავამტკიცე, — წერდა გალილეი, — რომ საკმარისია განსხვავება წყლისა და წყალში მცურავი სხეულის ხვედრით წონათა შორის, კერძო და აბსოლუტური წონა კი შეიძლება როგორიც გნებავთ, ისეთი იყოს. ამრიგად, ნებისმიერი სხეული, რომლის ხვედრითი წონაც წყლის ხვედრით წონაზე ნაკლებია, შეიძლება ათიოდე ფუნტი წყლითაც მაღლა ავწიოთ, თუნდაც ის, თავისთავად, ათას ფუნტსაც იწონიდეს და, პირიქით, მეორე სხეულს, თუკი მისი ხვედრითი წონა წყლის ხვედრით წონაზე მეტია, მთელი ზღვითაც ვერ ავწევთ და ავატივტივებთ, თუნდაც მისი აბსოლუტური წონა ერთ ფუნტსაც არ

აღემატებოდეს" (Le Opere di Galileo Galilei, Firenze, v. IV, 1932, p. 79), — შენიშვნა ჩემია, — ბ. ბ.

81 Р. Гук. Общая схема или идея настоящего состояния естественной философии. —«Научное наследство», т. I, М.-Л., 1948, стр. 689.

82 ციტ. წიგნიდან Е. Роджерс. Физика для любознательных, М., 1970, стр. 239.

83 იხ. В. П. Зубов, Аристотель, М., 1963, стр. 145.

84 უფრო ზუსტად, ეს ცდა უშუალოდ ტორიჩელიმ კი არ ჩაატარა, არამედ მისი მითითების მიხედვით განსორციელა ვივიანიმ.

85 აღსანიშნავია, რომ თუ ტორიჩელის ცდაში ვერცლისწყლიან მილს მივამაგრებთ ვერტიკალურ სკალას, მივიღებთ ატმოსფერული წნევის საზომ ხელსაწყოს, რომელსაც უფრო გვიან სახელგანთქმულმა ინგლისელმა ფიზიკოსმა და ქიმიკოსმა რობერტ ბოილმა (1626 — 1691) ბარომეტრი უწოდა.

86 ციტ. წიგნიდან — Я. И. Перельман. Физическая хрестоматия, вып. 1, Л., 1924. стр. 135.

87 ციტ. წიგნიდან — Paul Archambault, Pascal, p. 11.

88 Pascal, Oeuvres complètes, Paris, 1963. p. 235.

89 სხვათა შორის, ახალგაზრდობისას ნოელი ფილოსოფიას ასწავლიდა ლაფლეშის კოლეგიაში, სადაც მისი მსმენელი იყო რენე დეკარტი.

90 ციტ. წიგნიდან — ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 59.

91 Le Opere di Galileo Galilei, v. I, Firenze, 1929. p. 412.

92 ამ ტიტულით იხსენიებს არისტოტელეს ალბერტ დიდი (1193 — 1280).

93 Pascal, Oeuvres complètes. Paris, 1963, p. 201.

94 პასკალი, იქვე, გვ. 204.

95 პასკალი, იქვე, გვ. 220.

96 Le Opere di Galileo Galilei, v. IV, Firenze, 1932, p. 444.

97 იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 49.

98 იხ. ვ. ბ. ზუბოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 303 — 304.

99 Le Opere di Galileo Galilei, v. XIX, Firenze, 1938, p. 613.

100 Юлян Хаксли. Очерки популярной науки: — Э. Роджерс. Физика для любознательных, т. 2, М., 1970, стр. 16.

101 იხ. ჟურნ. «Наука и жизнь», 1977, № 2, стр. 129.

102 Pascal, Oeuvres complètes, Paris, 1963, p. 198.

103 პასკალი, იქვე, გვ. 222.

104 ძველებური ფრანგული დუიმი — 27 მმ, ხაზი კი — 2,25 მმ.

105 Ф. Розенбергер. История физики, ч. 2, М.Л., 1937, стр. 143.

106 Pascal, Oeuvres, complètes. Paris, 1963, p. 258 — 259.

107 იხ. Э. Роджерс. Физика..., т. 1, М., 1969, стр. 132.

108 რაც შეეხება სიმონ სტევინის ჰიდროსტატიკურ ცდებს, პასკალი არ იცნობდა მათ.

109 იხ. Э. Роджерс. Физика..., т. 2, М., 1970, стр. 330—331.

110 იხ. Pascal, Oeuvres, complètes. Paris, 1963, p. 361.

[111] Паскаль. Трактат о равновесии жидкостей. — «Начала гидростатики», М.-Л., 1933, стр. 235.

[112] სოკრატესეული გამოთქმაა. ასე იხსენიებს იგი ფილოსოფოსებს პლატონის დიალოგში „ფედონი". მე მას ახალი დროის მეცნიერებზედაც ეკერცელებ.

[113] პასკალი, იქვე. გვ. 368 — 369.

[114] Léon Brunschwicg, Le Génie de Pascal, Paris, 1925, p 31.

[115] ციტ. წიგნიდან — ე. როჯერსი, დასახ. თხზ., ტ. I, გვ. 13.

[116] ბედის ირონიამ ეს დაზუსტება ზედმეტი გახადა: ამ წერილის დაწერის შემდეგ პასკალმა მხოლოდ 10 წელი და 10 თვე იცოცხლა.

[117] ციტ. წიგნიდან — ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 51 — 52.

[118] მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, X, 28.

[119] იხ. ვ. ჟირო, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

[120] იხ. ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 57 — 58.

[121] Pascal, Discours sur les passions de l'amour. — E. Boutroux, op. sil. p. 61; 64.

[122] Pascal, Oeuvres, complètes, Paris, 1963, p. 265 — 270.

[123] 1907 წელს ოგიუსტენ გაზიემ პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში მიაკვლია მის კიდევ ერთ ასლს.

[124] Pascal, Choix de Textes et Introduction par P. Archambault, p. 147.

[125] იქვე, გვ. 153.

[126] იქვე, გვ. 150.

[127] იქვე. გვ. 144.

[128] ლაბრიუიერი, „ხასიათები", თ. V, „მაღალი საზოგადოებისა და საუბრის ხელოვნებისათვის." 5.

[129] ციტ. წიგნიდან — ვ. ჟირო, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

[130] იხ. „აზრები", შესაბამისად — 63, 76, 115.

[131] იხ. თუნდაც ფრაგმ. 6, 7, 9, 10, 13, 21, 22, 23, 30, 37, 39, 40, 41, 46, 47, 61, 77 და სხვ.

[132] იხ. მოკლედ — „ვარიაციები პასკალის „აზრების" თემებზე," 156, 6.

[133] ჰორაციუსი, ოდები, I, II, 8.

[134] ჟილბერტა პასკალი, დასახ. თხზ., გვ. 69.

[135] იხ. В. Г. Кузнецов. Галилей, М., 1964, стр. 32.

[136] ჟან დე ლაბრიუიერი, ხასიათები, XVI, I.

[137] იხ. „აზრები" 156.

[138] იხ. Pascal Oeuvres complètes. Paris, 1963, p. 658.

[139] იხ. Grand Dictionnaire universel du XIX siècle, Paris, 1874, t. XI, p. 72.

[140] Ibid., loc. cit.

[141] ჟილბერტა პასკალი, დასახ. თხზ., გვ. 85 — 86.

[142] Ш. Сен-Бев. Кавалер де Мере, или о порядочном человеке в XVI столетии. — «Современник», т. X, СПб., 1848. Смесь, стр. 22.

[143] გამოქვეყნდა ავტორის სიკვდილის შემდეგ — 1713 წ.

[144] Альфред Реньи. Письма о вероятности, М., 1970, стр. 80.

[145] კეთილსასურველი ეწოდება ისეთ შედეგს, რომელიც განაპირობებს A მოვლენის ხდომილობის უეჭველობას.

[146] იხ. А. М. Чубарев, В. С. Холодный. Новероятная вероятность, М., 1976. стр. 11—17.

[147] იხ. ალფრედ რენი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

[148] იხ. თუნდაც, ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 355.

[149] იხ. ა. მ. ჩუბარევი, ვ. ს. ხოლოდნი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

[150] იხ. ალფრედ რენი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

[151] იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 353 — 355.

[152] ცოტა მოგვიანებით ჰოლანდიაში იგივე პასუხი მიიღო ქრისტიან ჰიუიგენსმაც.

[153] ამ წერილის გარდა ჩვენამდე მოაღწია პიერ ფერმასადმი პასკალის კიდევ ორმა წერილმა: ერთი დათარიღებულია 1654 წლის 24 აგვისტოთი, ხოლო მეორე — იმავე წლის 27 ოქტომბრით, აგრეთვე ფერმას პასუხებმა მათზე, როგორც სამართლიანად შენიშნავს ალფრედ რენი, „სწორედ ამ მიწერ-მოწერით ეყრება საფუძველი ალბათობის თეორიას", — იხ. ა. რენი. დასახ. ნაშრ., გვ. 78.

[154] ციტ. ა. რენის დასახ. ნაშრ., გვ. 74.

[155] იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 357.

[156] Pascal, Oeuvres complètes, Paris, 1963, p. 102.

[157] იხ. ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

[158] ფორმულა n დადებითი ხარისხისათვის პირველად დამტკიცებულ იქნა იაკობ ბერნულის მიერ; ნიუტონს ეკუთვნის იდეა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ფორმულის გავრცელება ყველა იმ შემთხვევაზე, როცა n-ის მნიშვნელობა წილადური ან უარყოფითია.

[159] გამოქვეყნდა ავტორის სიკვდილის შემდეგ — 1665 წ.

[160] იხ. Г. Вилейтнер. История математики от Декарта до середины XIX столетия, М., 1960, стр. 106.

[161] Pascal, Oeuvres complètes, Paris, 1963, p. 94.

[162] ფრანჩესკო ბონავენტურა კავალიერი (1598 — 1647), სახელგანთქმული იტალიელი მათემატიკოსი, გალილეის მოწაფე და მეგობარი (შენიშვნა ჩემია. — ბ. ბ.).

[163] იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 368.

[164] იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების" თემებზე", 177, 3.

[165] ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

[166] ციტ. წიგნიდან — М. М. Филиппов. Паскаль, С.-ПБ., 1891, стр. 46.

[167] „აზრები", ფრაგმ. 157... „მთელი დედამიწა პირაშკმული უფსკრულიაოხშირად იმეორებდა თურმე იგი... აღსანიშნავია, რომ გამოთქმა „პასკალის უფსკრული" (l'abime de Pascal) ფრანგულ ენაში დღემდე იხმარება დიდ სოციალური თუ მორალური პრობლემების დასახასიათებლად, რომლებიც თავიანთი სიღრმითა და სირთულით თავზარსა სცემენ მათი გადაჭრის ყველა მსურველს.

[168] მოიხუცე შენს უკან კარი შენი (ლათ.).

169 ციტ. წიგნიდან — E. Жебар. Мистическая Италия, С.-ПБ., 1900, стр. 16—17.

170 ციტ. წიგნ. — ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ.111.

171 იხ. ე. ქებარი, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

172 უფალი ჩემი და უფალი თქვენი (ლათ.).

173 დამიტევეს მე, წყარო ცხოვრებისა (ლათ.).

174 არ დავიიწყო სიტყვანი შენნი. ამინ. (ლათ.)... „მემორიალი" თარგმნილია წიგნიდან: Pascal, Pensées, Paris, 1964, p. 71 — 72.

175 ციტ. ე. ქიროს დასახ. ნაშრომიდან, გვ. 52.

176 გრძნობელობის ქინი, შემეცნების ქინი, მბრძანებლობის ქინი (ლათ.).

177 „აზრები", ფრაგმ. 363.

178 პოლ ვალერი (იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების" თემებზე", 164, 1).

179 იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების" თემებზე", 364, 1.

180 „აზრები", ფრაგმ. 342; შდრ. ფრაგმ. 177, 364, 365, 366, 367 და სხვ.

181 იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების" თემებზე", 403, 4.

182 „...მე დავდივარ, როგორც დადის ნადირი, როცა ნადირობა ნებადართულია", — ამბობს რაინერ მარია რილკე, აქ ციტირებული სიტყვების ავტორის — პოლ ვალერის სულიერი თანამოძმე. იხ. Р. — М. Рильке, Ворпсведе. Огюст Родеп. Письма. Стихи. М., 1971, стр. 217.

183 პოლ ვალერი, იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების თემებზე", 164, 1.

184 О. Бальзак. Собр. соч. в 15 томах. т. 15. М., 1955, ст. 330.

185 ციტირებულია ბ. ბ. ფილიპოვის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 53. ...ჟენევა კალვინიზმის ცენტრად ითვლებოდა.

186 შდრ. Блез Паскаль. Письма к провинциалу, С.-Пб, 1898, стр. 13—14.

187 რომაელთა მიმართ ეპისტოლე წმ. მოციქულისა პავლესი, IX, 10 — 11, 13 — 15, 18, 20 — 21.

188 ფილიპ. II, 13.

189 რომ. XI, 20.

190 Г. Лансон. История французской лит-ры. С.-Пб., 1898.

191 „Entretien de Pascal avec M. de Saci", — იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების" თემებზე", 124, 1.

192 დაწერილებით. იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების" თემებზე", 329,1.

193 იხ. Pascal, Oeuvres complètes, Paris, 1954, p. 1454 — 1455.

194 „უცნაური წინააღმდეგობის გამოისობით. ...ადამიანური გონების ეს მგზნბნი (იანსენისტები, — ბ. ბ.), რომლებიც მეცნიერების სიყვარულს ერთ-ერთ უკეთურ მიწიერ ვნებად თელიდნენ. საკმაოდ საფუძვლიან განათლებას აძლევდნენ ბავშვებს" (გ. ლანსონი, დასახ. ნაშრ., 96). ამრიგად, იანსენისტების პრაქტიკა, რომელიც. ასე მკვეთრად უპირისპირდება მათსავე თეორიულ შეხედულებებს, პასკალს „ძალაუნებურად" კვლავ მიაქცევს მეცნიერების მიმართ.

272 დასახ. ნაშრ., გვ. 75.

195 იხ. ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 90 — 91.

196 იეზუიტების ორდენი 1534 წ. დააარსა იგნასიო ლოიოლამ.

197 ე. ბუტრუ. დასახ. ნაშრ., გვ. 110 — 111.

198 ამ დროისათვის ინოკენტი X უკვე ახალმა პაპმა შეცვალა: ეს იყო ალექსანდრე VII.

199 იხ. მ. მ. ფილიპოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

200 იხ. ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

201 იხ. ე. ბუტრუ, იქვე, დასახ. ადგილი.

202 იხ. Pascal. Oeuvres complètes, Paris, 1963. p. 651.

203 ზემოხსენებული ტერმინების შესახებ იხ. ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 115 — 118.

204 Б. Паскаль. Письма к провинциалу. С.-Пб., 1898, стр. 36... აღსანიშნავია, რომ მესამე წერილი, საიდანაც ციტირებულია ზემოთ მოტანილი სიტყვები, ბოლოდება ქარაგმით, რომელიც საკმაოდ ადვილად იხსნება: „თქვენი მონამორჩილი E. A. A. B. P. A. F. D. E. P.: et ancien ami. Blaise Pascal, Auvergnat, fils d'Etien Pascal: და ძველი მეგობარი ბლეზ პასკალი, ოვერნელი, ეტიენ პასკალის ვაჟი.

205 (კანონისათვის შეუწყნარებელი) არასასურველი პიროვნება (ლათ.).

206 იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 132... იხ. აგრეთვე ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

207 „წერილები პროვინციელისადმი“, დასახ. გამოც. გვ. 321.

208 როგორც ვხედავთ, პასკალმა მხოლოდ შეამოკლა თავისი პირველი ფსევდონიმი — მონტალტი.

209 ციტ. მ. მ. ფილიპოვის დასახ. შრომიდან, გვ. 56.

210 „წერილები პროვინციელისადმი“, დასახ. გამოც., გვ. 289 — 290.

211 ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

212 საბრალო ესკობარის ძალიან ძვირად დაუჯდა მას ეს „გამორჩევა“ „წერილების“ გამოსვლის შემდეგ. პასკალის გამანადგურებელი ირონიის ზეგავლენით, ფრანგულ ენაში შეიქმნა ამ დიდი კაზუისტის გვარიდან (Escobar) წარმოებული ახალი ზმნა — escobarder, რაც პირფერობას, პირმოთნეობას, გაიძვერობას ნიშნავს.

213 Pascal, Oeuvres complètes, Paris. 1954, p. 1457 — 1458.

214 ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ. გვ. 114.

215 ციტ. ვ. ეიროს დასახ. ნაშრომიდან, გვ. 85.

216 იხ. ვ. ეირო, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

217 გუსტავ ლანსონი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

218 ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

219 გ. ლანსონი, დასახ. ნაშრ., გვ. 104 — 105.

220 იხ. ე. ბუტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 111 — 112.

221 ციტ. წიგნიდან — ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ.. გვ. 147 — 148.

222 მათე, XXV, 34 — 40.

223 მათე, VII, 13 — 14.

224 ციტ. წიგნიდან — ე. მ. კლიაუსი. და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 151.

225 იხ. E. Жебар. Мистическая Италия. СП.-б., 1900, стр. 10.

226 ემილ ედბარი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

227 „რაკი ჭეშმარიტება აშკარად უპირისპირდება თქვენს მიზნებს, ამიტომ იძულებულნი ხართ მთელი თქვენი იმედი სიყალბეზე დააფუძნოთ", — მიმართავს მონტალტი იეზუიტებს. „წერილები პროვინციელისადმი", გვ. 283.

228 „წერილები პროვინციელისადმი", გვ. 54 — 55.

229 მათე, VI, 24.

230 მათე, XIX, 17 — 18.

231 „წერილები პროვინციელისადმი", გვ. 91.

232 „წერილები პროვინციელისადმი", გვ. 95.

233 „წერილები პროვინციელისადმი", გვ. 91 — 92.

234 იქვე, გვ. 93 — 94.

235 იქვე, გვ. 101 — 102.

236 მათე, V, 39.

237 „წერილები პროვინციელისადმი". გვ. 103.

238 იქვე, ციტირებული ადგილი.

239 იქვე, გვ. 103 — 104.

240 იქვე, გვ. 114.

241 იქვე, გვ. 72.

242 იქვე, გვ. 115 — 116.

243 Grand Dictionnaire universel du XIX siècle, Paris, 1867, p. 537.

244 მათე, XXVI, 52.

245 „წერილები პროვინციელისადმი", გვ. 247.

246 იქვე, გვ. 115.

247 იქვე, გვ. 248.

248 იქვე, დამოწმ. ადგილი.

249 იქვე, გვ. 248 — 249.

250 იქვე. გვ. 246 — 247.

251 იქვე, გვ. 238 — 241.

252 იქვე, გვ. 160.

253 გ. ლანსონი, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

254 იხ. მ. მ. ფილიპოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

255 შენს მსჯავრს მოვუხმობ, უფალო იესო (ლათ.).

256 „აზრები", 431.

257 იხ. Pascal, Oeuvres complètes, Paris, 1963, p. 471 — 476.

258 იქვე, გვ. 480 — 484.

259 იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 202.

260 დაწვრილებით იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დას. ნაშრ., გვ. 139 — 143.

261 „აზრები", ანუ, უფრო სრულად — „აზრები რელიგიაზე", — ასე შეცვალეს „განდეგილებმა" პასკალისეული სათაური „ქრისტიანობის აპოლოგია".

262 იხ. Pascal, Pensées, Paris, 1964, p. 54 — 55.

263 ჟილბერტა ცდება: ეს იყო „განდეგილობის“ მეოთხე და არა მეხუთე წელი (პასკალი პორ-როიალში შევიდა 1655 წლის დამდეგს).

264 მადამ პერიე (ჟილბერტა პასკალი), დასახ. ნაშრ., გვ. 76.

265 Roulette — პატარა ბორბალი, გორგოლაჭი; წარმოსდგება ზმნიდან rouler — გორება.

266 ესაა მრუდი, რომელიც მიიღება მგორავი ბორბლის ზედაპირზე მდებარე წერტილის ტრაექტორიით.

267 იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 194.

268 ძველებური ოქროს მონეტა, უდრიდა 10 ფრანკს.

269 ციტ. წიგნიდან — ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 194.

270 Pascal, Oeuvres complètes, Paris, 1963, p. 261.

271 იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 197.

272 დასახ. ნაშრ., გვ. 75.

273 А. И. Юшкевич. Блез Паскаль как ученый. Сб. «Вопросы истории естествознания и техники», вып. 7, М., 1959, стр. 84.

274 ანაგრამა ეწოდება სიტყვაში თუ სიტყვათა ჯგუფში ასოების ისეთ გადასმას, რის შედეგადაც მიიღება განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი.

275 ამ სპეციფიკური პასკალისეული ტერმინის შესახებ იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 370 — 371.

276 Ж. Даламбер. Очерк происхождения и развития науки. Сб. «Родоначальники позитивизма», вып. I, СПб., 1910, стр. 145.

277 იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 374.

278 T. Russo, Pascal et l'analyse infinitésimale, „L'oeuvre scientifique de Pascal“, Paris, 1964, p. 153.

279 დასახ. თხზულება, გვ. 77.

280 ციტ. წიგნიდან — ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშ., გვ. 223—224.

281 იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 281.

282 მკითხველს ერთხელ კიდევ შევახსენებ, რომ პასკალის დროს „გეომეტრია“ და „გეომეტრი“ იხმარებოდა ზოგადად „მათემატიკისა“ და „მათემატიკოსის“ მნიშვნელობით.

283 Pascal, Oeuvres complètes , Paris, 1963, p. 282.

284 ე. ი. კლერმონ-ფერანამდე.

285 იქვე, დამოწმებული ადგილი.

286 იხ. У. Н. Франкфурт, А. М. Френк, Христиан Гюйгенс, М., 1962, стр. 89.

287 „აზრები“, 58.

288 „აზრები“, 176.

289 Ж. А. Кондорсе. Жизнь Вольтера. СПб., 1888, стр. 14.

290 იხ. ე. ბეტრუ, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

291 იხ. ჟილბერტა პასკალი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

292 „აზრები“, 431, 432.

293 О. Бальзак. Собр. соч. в 15 томах, т. 15, М., 1955, стр. 317.

294 და თუმცა 1814 წელს პაპი პიუს VII (1800—1823) კვლავ აღდგენს იეზუიტთა ორდენს, ეს უკანასკნელი ეეღარასოდეს დაიბრუნებს ძველ გავლენას და ძალმოსილებას. „ქრისტეს რაინდებს", რომლებიც ჯერ კიდევ მათი ორდენის გაუქმებამდე (1762 წ.) გააძევეს საფრანგეთიდან, ორდენის აღდგენის შემდეგ ორჯერ კიდევ განდევნიან პასკალის სამშობლოდან — 1880 და 1901 წ.

295 პასკალი გარდაიცვალა 1662 წელს.

296 შესაძლოა, სწორედ ამ „არამკითხე მრჩევლებს" გულისხმობდა იგი, როდესაც წერდა: „სიბრალული გლახაკთა და დავრდომილთა მიმართ არ გამორცხავს ანგარებას და გაუტანლობას. ჩვენ გვიყვარს თანაგრძობის გამოთქმა, ღმობიერებით თავმოწონება; მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია; სამაგით კი ღმერთმა დაგვიფაროს რამე გავცეთ, რამე მოვიკლოთ" — „აზრები", 357.

297 ჟილბერტა პასკალი, დასახ. თხზ., გვ. 80.

298 იქვე, გვ. 81.

299 ჟილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 78.

300 პრევო-პარადოლი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

301 იხ. А. Кондорсе. Сочинения, СПб., 1888, стр. 8—9.

302 იხ. „წერილები, აზრები", ჟურნ. „ცისკარი", 1971, № 12, გვ. 149.

303 Voltaire, Oeuvres complètes, v. 50. p. 110.

304 იხ. D. Finch, La critique philosophique de Pascal au XVIII-e siècle, Philadelphia, 1840, p. 68.

305 ავესეული გამოც. XIX ს. კიდევ ოთხჯერ გამოქვეყნდა — 1866, 1881, 1891 და 1897 წწ.

306 ესაა პასკალის ხელნაწერების ზუსტი და უშუალო რეპროდუქცია.

307 იხ. ბ. ჟირო, დასახ. ნაშრ., 135 — 136.

308 Ш. Сент-Бёв. Литературные портреты. Критические очерки, М., 1970, стр. 363.

309 შ. სენტ-ბევი, დასახ. ნაშრ., გვ. 365.

310 „აზრები", 57.

311 „აზრები", იქვე.

312 „აზრები", იქვე.

313 იხ. Буржуазная философия XX века, М., 1974, стр. 218.

314 „აზრები", 156.

315 ციტ. წიგნიდან — А. Хюбшер. Мыслители нашего времени, М., 1962, стр. 40—41... შდრ. „აზრები", 163.

316 დასახ. ნაშრ., გვ. 44.

317 იხ. «Буржуазная философия XX века», М., 1974, стр. 217

318 „აზრები", 168.

319 „აზრები", 159.

320 იხ. ა. ჰიუბშერი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

321 მე ვავსებ ცასა და მიწას (ლათ.).

322 „აზრები", 418.

323 იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების“ თემებზე“, 164, 1.

324 ციტ. წიგნიდან — ე. როჯერსი, დასახ. ნაშრ., ტ. 2, მ. 1970, გვ. 185.

325 იხ. „წერილები, აზრები,“ ჟურნ. „ცისკარი“, 1971, № 12, გვ. 148.

326 იხ. ა. „ჰიუბშერი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

327 „აზრები“, 156.

328 „აზრები“, 57.

329 „კაცს რომ უმალ თავისი თავის შეცნობა ეცადა, დაინახავდა, რომ ვერასოდეს ვერ გასცდება, ვერასოდეს გადალახავს სასრულის ზღვარს“ — „აზრები“, იქვე:

330 „აზრები“, 57.

331 „აზრები“, 64.

332 შდრ. პასკალი, 57-ე ფრაგმენტის დასასრული: „ნაცვლად იმისა, რომ წმინდა სახით აღვიქვათ საგანთა იდეები, ჩვენ საკუთარი თვისებებით ვამკობთ მათ და ჩვენს მიერ აღქმულ ყველა მარტივ საგანს ჩვენი არსების დაღს ვასვამთ“...

333 შდრ. პოლ ვალერი: „ჩვენი პიროვნების, ჩვენი აზრების, სიკეთისა თუ სიყვარულის ჩვენმიერი განცდის უინტიმურესი და უღრმესი სუბსტანცია სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენი წინაპრების გულუბრყვილობა, მათი ხატოვანი ლუღლუღი, მათი ზიზღი, მათი უმწეობა ფსიქოლოგიური მოვლენების სფეროში, მათი ენობრივი სიღატაკე და ა. შ. ხოლო ჩვენ ვაგრძელებთ ამ უბადრუკ წანამძღვრებს, ვაგრძელებთ მათ ჩვენი სიჩქარით, ფაციფუცით, არათანამიმდევრობითა და ჩვენი უცნაური და ნერვიული დროის ეგზომ ბოროტად გამოყენებით“, — „წერილები, აზრები“, ჟურნ. „ცისკარი“, 1971, № 12, გვ. 148.

334 ამ მხრივ, მთლად უსაფუძვლო როდია პოლ ვალერის გამანადგურებელი ირონია ფილოსოფოსების მიმართ: „ფილოსოფოსმა, არსებითად, სრულიადაც არ იცის უფრო მეტი, ვიდრე მისმა მზარეულმა, თუკი, რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება სამზარეულოს, სადაც ამ უკანასკნელმა არსებითად (საერთოდ) უფრო მეტი იცის, ვიდრე პირველმა. მაგრამ მზარეული (საერთოდ) თავის წინაშე არ სვამს ყოელისმომცველ კითხვებს. მაშასადამე, ეს ის კითხვებია, რომლებიც ჰქმნიან ფილოსოფოსს. რაც შეეხება პასუხებს... საუბედუროდ, ყოველ ფილოსოფოსში ჩასახლებულია ბოროტი სული, რომელიც პასუხობს და, თანაც ყველაფერზე პასუხობს“, — იქვე, გვ. 153.

335 ტერმინი შექმნილია პლატონის სახელგანთქმული „მღვიმის მითის“ მიხედვით („სახელმწიფოს“ VII წიგნის დასაწყისი), სადაც ადამიანის ცნობიერება შედარებულია ბნელი და პირქუში მღვიმის მქისე ზედაპირთან, რომელზედაც ირეკლება მის მიღმურ საგანთა თუ მოვლენათა მჭრქალი და უღიმღამო ლანდები.

336 შდრ. „აზრები“, 6.

337 აქ ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა დავიმოწმოთ პოლ ვალერი, კერძოდ მისი ერთი საზარელი პარადოქსი: „თუ სიავეს ყველა კეთილი თვალით უყურებს, ის სიკეთეა“, — იქვე, გვ. 156.

338 პასკალი, რა თქმა უნდა, გულისხმობს არა შემოქმედებითს წარმოსახვას, ესოდენ აუცილებელ თვისებას ხელოვანთათვის.

339 „აზრები“, 63.

340 როგორც ვხედავთ, პასკალისეული ტერმინი „თავმოყვარეობა“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით „პატივმოყვარეობის“ სინონიმად გვეელინება.

341 კანტის ეთიკურ მოძღვრებაში ამ ტერმინით აღინიშნება ზნეობრივი ქცევის განმსაზღვრელი მოტივი, ნებელობის სუბიექტური პრინციპი.

342 Куно Фишер. Иммануил Кант и его учение, ч. II, С.-Пб., 1906, стр. 64.

343 „აზრები“, 76.

344 იხ. „აზრები“, შესაბამისად — 123; 134; 135; 125; 126; 318, 88, 69.

345 პრევო-პარადოლი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

346 „აზრები“, 119.

347 იქვე, 139.

348 იქვე, 140.

349 იქვე, 142.

350 იქვე.

351 იქვე, 115.

352 იქვე, 337.

353 იქვე, 337.

354 იქვე, 355.

355 იხ. „წერილები, აზრები,“ ჟურნ. „ცისკარი“. 1971, № 12, გვ; 147.

356 „მაქსიმები“, 256.

357 „აზრები“, 120.

358 იქვე, 76.

359 იქვე, 228.

360 იხ. კუნო ფიშერი, დასახ. ნაშრ., გვ. 228 — 229.

361 იხ. Paul Valéry, Oeuvres, t, I, Paris, 1957, p. 508 — 510.

362 „აზრები“, 224.

363 იქვე, 117.

364 ესაა ცენტრალური იდეა პოლ ვალერის პოემისა „გველის ესკიზი“, სადაც სიცოცხლისა და შემეცნების დაბადება ამ ქვეყნად, მაღალი მეტაფიზიკური ირო-

ნიით, დანახულია როგორც ლაქა, როგორც დეფექტი არყოფნის შექმოეფე სრულქმნილებისა.

365 ციტ. ა. ჰიუბშერის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 41.

366 И. С. Тургенев. Полное собрание сочинений и писем в 28 томах. т. IX. стр. 117.

367 „აზრები", 427.

368 იქვე, 333.

369 დასახ. ნაშრ., გვ. 367.

370 „აზრები", 324.

371 იქვე, 311; შდრ. 312, 313, 314, 315, 316, 317, 318.

372 იქვე, 268.

373 იხ. „აზრები", 316, 317, 318.

374 „მაქსიმები", 182.

375 ციტ. „აზრების" ე. ავესგული გამოცემიდან, პარიზი, 1897, გვ. 213 — 214.

376 „Sermon sur la Mort".

377 Шеллинг. Философские исследования о сущности человеческой свободы, стр. 30.

378 Собр. соч., т. 9, М., 1958, стр. 137.

379 „აზრები", 345.

380 იქვე, 301.

381 იქვე, 329.

382 იქვე, 330.

383 იქვე, 206.

384 იქვე, 158.

385 იქვე, 156.

386 Maurice Macterlinck, Le Trésor des Humbles, Paris, 1915, p. 225.

387 Буржуазная философия XX века, М., 1974, стр. 228—229.

388 „აზრები", 345.

389 იხ. Б. Э. Быховский Кьерке гор, М., 1971, стр. 102.

390 ე. ავე, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

391 C. Faust., XXII, 27.

392 იხ. Enciclopedia italiana, Roma, ed. 1949, vol. XXVI, p. 569—570.

393 „აზრები", 342.

394 „ფედროსი", 250. bc.

395 „აზრები", 342

396 იქვე, 345; შდრ. 351.

397 იქვე, 312.

398 იქვე, 346.

399 იქვე, 337.

400 იქვე, 339.

401 იქვე, 343.

402 იქვე, 391.

403 იქვე, 331.

404 იქვე, 342.

405 იქვე, 347.

406 იხ. Буржуазная философия XX в., М., 1974, стр. 298.

407 „აზრები", 376.

408 იქვე, 380.

409 იქვე, 187.

410 დაწერილებით იხ. „ვარიაციები პასკალის „აზრების" თემებზე", 187, 9.

411 „აზრები", 414.

412 იქვე, 75.

413 იქვე, 216.

414 იქვე, 220.

415 იქვე, 213.

416 იხ. I. Russier, La foi selon Pascal, 1949, p. 332.

417 „აზრები", 215.

418 იხ. „აზრების" აკადემიური გამოცემა, პარიზი, 1897, გვ. 208.

419 „აზრები", 221.

420 რაბინდრანათ თაგორი, ბენგალია, თარგმნა თ. ჩხენკელმა, თბ., 1970, გვ. 208 — 210.

421 „აზრები", 220.

422 იქვე, 266.

423 იქვე, 212... შდრ. ჰეგელი: „ჩვენი დროის ყველაზე უხეშ შეცდომად გვეელინება შეხედულება, რომლის თანახმად აზროვნება ენებს რელიგიას და რომ რელიგია მით უფრო მტკიცეა, რაც უფრო ნაკლებადაა დაკავშირებული აზროვნებასთან" (Гегель. Философия религии, т. I. М., 1957. стр. 253).

424 „წერილები, აზრები", ჟურნ. „ცისკარი", 1971, № 12, გვ. 153.

425 „აზრები", 183.

426 Jules Lemaître, Les Médaillons, Paris, 1880.

427 „აზრები", 422.

428 პოლ ვალერი, „წერილები, აზრები", ჟურნ. „ცისკარი", 1971, № 12, გვ. 156.

429 სენტ-ბევი, დასახ. ნაშრ., გვ. 373 — 374.

430 „აზრები", 404.

431 შდრ. „აზრები", 6; „გონებასაც და გრძნობასაც ჩვენ საუბარში სრულვყოფთ, ანდა, პირიქით, ვრყვნით: კარგი საუბარი სრულგვყოფს, ცუდი კი გვრყვნის. მაშასადამე, ფრთხილად უნდა ამოვირჩიოთ თანამოსაუბრე, თუკი სრულყოფას ვესწრაფვით და არა გარყვნას"... — პარალელი ჩემია — ბ. ბ.

432 იხ. ჟილბერტა პასკალი, დასახ. ნაშრ., გვ. 76 — 77.

433 ჟილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 84.

434 იქვე, გვ. 91.

435 იქვე, გვ. 90.

436 მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები", IV, 48.

437 „აზრები", 403.

438 ჟილბერტა პასკალი, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

439 იქვე, გვ. 92.

440 იქვე.

441 იქვე.

ს. ბ. № 2054

რედაქტორი ნიმა ანთელავა
მხატვარი თ. სამსონაძე
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ზ. დონდუა
კონტრ.-კორექტორი მ. ლაღაძე
კორექტორები ნ. პაპკორია, ნ. ნატროშვილი

გადაეცა ასაწყობად 4.02.87. ხელმოწერილია ღასაბეჭდად 27.05.87. ანაწყ. ზომა 6×9 ქაღალდის ზომა 60×84 1/16. ნაბეჭდი თაბახი 13,48. ბეჭდვა მაღალი. გარნიტურა ვენა. საბ. ქაღალდი № 2. სალ.-გატ. 13,67. სალ.-საგამომ. თაბახი 12,05
შეკვ. № 1922 ტირაჟი 20 000

ფასი 90 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მშვიდობის გამზ. 28
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира 28.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33